პოლიტიკის დაგეგმვა ადრეული განვითარების სფეროში:

სამოქმედო გზამკვლევი

ემილი ვარგას-ბარონი

პოლიტიკის დაგეგმვა ადრეული განვითარების სფეროში: სამოქმედო გზამკვლევი

ემილი ვარგას-ბარონი

სპონსორები

ადრეულ ასაკში განვითარების სამუშაო ჯგუფი,
აფრიკაში განათლების განვითარების ასოციაცია
ADEA

გაეროს ბავშვთა ფონდი
UNICEF

გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია
UNESCO

2005

სპონსორების შესახებ

„ადრეულ ასაკში განვითარების დაგეგმვის პოლიტიკა“ „აფრიკაში განათლების განვითარების ასოციაციის“ (ADEA) სამუშაო ჯგუფის და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) სპონსორობით შემუშავდა. ADEA და UNICEF-ის დასავლეთი და ცენტრალური აფრიკის რეგიონული ოფისი ხელს უწყობდნენ ბურკინა-ფასოში, მავრიტანიასა და სენეგალში ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის საკითხებში გაწეულ საკონსულტაციო მომსახურებას და თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ გზამკვლევის ზოგიერთი კომპონენტის შემუშავებაში. ეს დოკუმენტი „გაეროს ბავშვთა ფონდის“ ნიუ იორკის ოფისისა და დასავლეთი და ცენტრალური აფრიკის რეგიონული ოფისის მიერ გამოყოფილი დაფინანსებით შემუშავდა და გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დახმარებით დაიბეჭდა.

ავტორთა შესახებ

ემილი ვარგას-ბარონი არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის, „განათლების გზით რეკონსტრუქციისა და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტიტუტის“ (RISE), აღმასრულებელი დირექტორი. მისი ოფისები ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქში) და ბოგოტაში (კოლუმბიაში) მდებარეობს (იხ.: http://www.riseinstitute.org). ამავე დროს, ემილი ვარგას-ბარონი არის ადრეულ ასაკში ბავშვთა ინტეგრირებული განვითარებისა და განათლების პოლიტიკის დაგეგმვის, ტრენინგების, პროგრამების შემუშავების და შეფასების საკითხებზე მომუშავე რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის კონსულტანტიც. ის ძირითადად საქმიანობდა აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილსა და საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში, აგრეთვე შუა აღმოსავლეთის და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. უფრო ადრე ემილი ვარგას-ბარონი შემდეგ თანამდებობებზე მუშაობდა: აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „ადამიანური რესურსების უნარების განვითარების ცენტრის“ ადმინისტრატორის ასისტენტის მოადგილე და დირექტორი; „განვითარების, განათლების და კვების ცენტრის“ დამფუძნებელი და დირექტორი (CEDEN) ოსტინში, ტეხასის შტატში; ბოგოტაში ფორდის ფონდის რეზიდენტი წარმომადგენლის მრჩეველი ანდების რეგიონის მოსახლეობის განათლების საკითხებზე (კოლუმბია); და განათლების დარგის სპეციალისტი UNESCO-ს პარიზის ოფისში. დოქტორი ვარგას-ბარონი ასწავლიდა ვაშინგტონის უნივერსიტეტში, ტეხასის უნივერსიტეტში, კოლუმბიის ჯავერიანას უნივერსიტეტში და სორბონაში, ატარებდა სემინარებს მრავალ ქვეყანაში. ანთროპოლოგიის დარგში დოქტორის ხარისხი სტენფორდის უნივერსიტეტში (კალიფორნიაში) მიიღო, სადაც „სტენფორდის საერთაშორისო განათლების ცენტრშიც“ (SIDEC) მუშაობდა. მას განხორციელებული აქვს რამდენიმე კვლევითი პროექტი და არის საერთაშორისო განათლებისა და ადრეულ ასაკში განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი მრავალი წიგნის, სტატიის და დოკუმენტის ავტორი.

დაიბეჭდა 2005 წელს
გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მიერ

ამ გზამკვლევში წარმოდგენილ ინფორმაციაზე, აღწერილ ფაქტებსა და გამოთქმულ მოსაზრებებზე სრული პასუხისმგებლობა ავტორს ეკისრება. UNESCO, UNICEF ან ADEA პასუხს არ აგებენ და შეიძლება არ იზიარებდნენ ავტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

ფოტო გარეკანზე: © Piotr Naskrecki
გრაფიკული დიზაინის ავტორი: კიმ მიქი

ასლის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ:

UNICEF
გაეროს ბავშვთა ფონდის დასავლეთი და ცენტრალური აფრიკის რეგიონულ ოფისს

ეველინ პრესუარს: epressoir@unicef.org
http://www.unicef.com

ADEA
აფრიკაში განათლების განვითარების ასოციაციას
მისამართზე:
7 - 9 rue Eugène-Delacroix, 75116
Paris, France

adea@iiep.unesco.org
http://www.adeanet.org

სარჩევი

სპონსორების შესახებ 3

ავტორთა შესახებ 3

მადლობები და მიძღვნა 8

მადლობა 8

ეძღვნება 9

შესავალი 13

აკრონიმები 14

თავი 1 16

შესავალი 16

ამ სახელმძღვანელოს მიზნები 17

ამ „სახელმძღვანელოს“ სამიზნე აუდიტორია 18

„სახელმძღვანელოს“ არეალი 19

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის საჭიროება და დასაბუთება 19

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მოკლე ისტორია 25

კომპლექსური მიდგომა 26

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვა ცხოვრების ციკლის საფუძველზე 31

მცირეწლოვანი ბავშვების განვითარებაში ინვესტირების უზრუნველყოფა 33

The Participatory Approach ..... **Error! Bookmark not defined.**

პოლიტიკის შესაბამისობა ქვეყნის სხვა ამოცანებთან 36

სქოლიო და განმარტებები 37

თავი 2 40

დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით „ადრეული განვითარების პოლიტიკის“ შემუშავების ხუთი ეტაპი 40

I ეტაპი: მოსამზადებელი სამუშაოები 41

1.1 ლიდერის შერჩევა ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შესამუშავებლად 42

1.2 ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამინისტროს შერჩევა 43

1.3 პოლიტიკის საკითხებში გარე კონსულტანტის შერჩევა 44

1.4 პოლიტიკის შემუშავების პროცესის საწყისი საორგანიზაციო სტრუქტურის შექმნა 44

1.5 ადრეულ ასაკში განვითარების საკითხებზე პასუხისმგებელი საბჭოს ჩამოყალიბება ან განახლება და მოწვევა 46

1.6 ყველა ძირითადი მონაწილე მხარის იდენტიფიკაცია 46

საჯარო სექტორი 47

სამოქალაქო საზოგადოება 47

კერძო სექტორი 47

1.7 სამუშაო ჯგუფის ლიდერის და წევრების არჩევა 48

1.8 სამუშაო ჯგუფის კომიტეტების შექმნა და მათი თავმჯდომარეებისა და წევრების დანიშვნა 49

1.9 სამუშაო ჯგუფის პირველი სამოქმედო გეგმის მომზადება 52

1.10 ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული ფორუმისა და შეხვედრების გეგმის მომზადება 52

1.11 სამუშაო ჯგუფის ტრენინგების დაგეგმვა და ჩატარება 53

1.12 პოლიტიკის შემუშავების პროცესის პირველი საინვესტიციო გეგმის მომზადება 53

1.13 პოტენციურ დონორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პირველი შეხვედრის გამართვა 54

1.14 ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის პირველი პროექტის შემუშავება 54

სქოლიო და განმარტებები 55

თავი 2 ..... **Error! Bookmark not defined.**

II ეტაპი: ადრეულ ასაკში განვითარების მხრივ არსებული მდგომარეობის ანალიზი და კონსულტაციების მომზადება 55

ეტაპი II: ადრეულ ასაკში განვითარების მხრივ არსებული მდგომარეობის ანალიზი და კონსულტაციების მომზადება 56

2.1 ბავშვების საჭიროებების შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება 57

2.2 ადრეულ ასაკში განვითარების რესურსების შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება 59

2.3. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხილვის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება 60

2.4 მონაცემთა საწყისი ანალიზი და ინტერპრეტაცია 61

2.5 მდგომარეობის პირველი პროექტის მომზადება განსახილველად 61

2.6 ქვეყნის მასშტაბით კონსულტაციების მომზადება 62

2.7 საწყისი ინტერვიუების ჩატარება ადრეულ ასაკში განვითარების სფეროს ლიდერებთან 64

2.8 სამუშაო ჯგუფის სამუშაო გეგმის განხილვა 64

თავი 2 ..... **Error! Bookmark not defined.**

III ეტაპი: კონსულტაციები თემის, რეგიონის და ეროვნულ დონეზე 65

3.1 კონსულტაციების მომზადება და ჩატარება 65

3.2 ძირითად რესპოდენტებთან ინტერვიუს მომზადება და ჩატარება 66

3.3 კონსულტაციებსა და ინტერვიუებზე ანგარიშების პროექტების მომზადება 66

3.4 კრებსითი ანგარიშის მომზადება კონსულტაციების შესახებ 66

3.5 ბავშვთა საჭიროებების შეფასების, რესურსების შეფასების და პოლიტიკის განხილვის დასრულება 67

3.6 ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის პირველი პროექტის მომზადება 68

3.7 სამუშაო ჯგუფის სამუშაო გეგმის განხილვა 68

თავი 2 ..... **Error! Bookmark not defined.**

IV ეტაპი: პოლიტიკის პროექტების მომზადება და კონსენსუსის მიღწევა 69

4.1 პოლიტიკის პირველი პროექტის განხილვა სამუშაო ჯგუფისა და სხვათა მიერ 69

4.2 პოლიტიკის მეორე პროექტის მომზადება 69

4.3 პოლიტიკის განხორციელების ორგანიზაციული სტრუქტურის დამატება 70

4.4 პოლიტიკის ინდიკატორების, კრიტერიუმების და მიზნობრივი მაჩვენებლების დამატება 70

4.5 მონიტორინგის და შეფასების გეგმის დამატება 71

4.6 სტრატეგიის დაგეგმვა და კონსენსუსის მისაღწევად შეხვედრების ჩატარება 72

4.7 ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მესამე პროექტის მომზადება 73

4.8 ადრეულ ასაკში განვითარების ტრენინგის გეგმის დამატება 73

4.9 პოლიტიკის ადვოკატირების და სოციალური კომუნიკაციის გეგმის დამატება 75

4.10 კანონმდებლობის, სტანდარტებისა და სახელმძღვანელო რეკომენდაციების საჭიროების განხილვა 76

4.11 საინვესტიციო გეგმის დამატება 76

4.12 დონორი ორგანიზაციების და პარტნიორების კოორდინაციის გეგმის დამატება 78

4.13 კონსენსუსის მისაღწევად შეხვედრების მეორე (შესაძლოა მესამე) რაუნდის გამართვა 79

4.14 ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ბოლოს წინა პროექტის მომზადება 79

4.15 მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის პროექტის საბოლოოდ განხილვის თხოვნა 79

4.16 ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული ფორუმის დაგეგმვა და ორგანიზება 80
4.17 ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის პირველი პროექტის მომზადება 80
4.18 სამუშაო ჯგუფის სამუშაო გეგმის განხილვა 81
შენიშვნები 81
თავი 3 83
დასკვნა 83
დანართი II 87
დანართი III 88
დანართი IV 97
დანართი V 99
დანართი VI 106
დანართი VII 108
დანართი VIII 110
დანართი IX 117
დანართი X 119
დანართი XI 129
დანართი XII 134
დანართი XIII 139
დანართი XV 8
დანართი XVI 10

მადლობა და მიძღვნა

მადლობა

დასავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის საკითხებისადმი მიძღვნილი ეს წიგნი სხვადასხვა საერთაშორისო სააგენტოების და მათი ხელმძღვანელი პირების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია. მის შედგენაში მონაწილე სპეციალისტები მოკლედ ახასიათებენ ძირითადი საერთაშორისო სააგენტოების „ახლებურ ხელმძღვანელობას“. აღნიშნული ქმედითი თანამშრომლობის შედეგად არსებული მწირი რესურსები მაქსიმალურად იქნა გამოყენებული მსოფლიოს ყველაზე მოწყვლადი ბავშვების დასახმარებლად. მინდა ღრმა მადლიერება გამოვხატო შემდეგი პირების მიმართ:

- დოქტორი ჟანეტ ვოგელაარი - ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი და აფრიკაში განათლების განვითარების ასოციაციასთან არსებული „ადრეულ ასაკში განვითარების სამუშაო ჯგუფის“ კოორდინატორი;
- დოქტორი პატრის ინგლი - უფროსი მრჩეველი ადრეულ ასაკში ბავშვთა ინტეგრირებული განვითარების საკითხებში, გაეროს ბავშვთა ფონდი, ნიუ-იორკი;
- დოქტორი ეველინ პრესუარი - რეგიონული მრჩეველი ადრეულ ასაკში განვითარების საკითხებში, გაეროს ბავშვთა ფონდის დასავლეთი და ცენტრალური აფრიკის რეგიონული ოფისი;
- დოქტორი სო-ჰუანგ ჩოი - ადრეულ ასაკში განათლებისა და ინკლუზიური განათლების სექციის ხელმძღვანელი, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, პარიზი;
- დოქტორი ნურპერ ულკუერი - ადრეულ ასაკში განვითარების პროგრამის ოფიცერი, გაეროს ბავშვთა ფონდი, ნიუ-იორკი;

ეძღვნება

დოქტორ ანიბალ ვარგას-ბარონს
და
ქ-ნ ინგებორგ ვარგას-ბარონს

ჩემი მშობლები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მათ შვილებს საკუთარი პოტენციალის სრულად ათვისება შეძლებოდათ. ის, რაც მათ მასწავლეს, ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების შესახებ, კვლავაც ჩემს გზამკვლევ პრინციპად და შთაგონების წყაროდ რჩება. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში ბავშვთა განვითარების პოლიტიკა თანდათან უმჯობესდება, ვიმედოვნებ, რომ ერთხელაც დადგება დღე, როდესაც ყველა ბავშვი შემომიერთდება და იტყვის: „ჩემი პოტენციალის ათვისებასა და ოცნებების ხორცშესხმაში მშობლები დამეხმარნენ“.

წინასიტყვაობა

ფაქტი სახეზეა: ბავშვის ემოციური, ინტელექტუალური, სოციალური და ფიზიკური განვითარების საფუძვლები მისი ცხოვრების პირველ წლებში ყალიბდება. მშობელთა მხრიდან კარგი ზრუნვის, ჯანმრთელობის დაცვის, კვების და განათლების გარეშე მისი განვითარება შეიძლება შეფერხდეს, ხოლო მოგვიანებით ამ ჩამორჩენის გამოსწორება იშვიათად ხერხდება.

მეტისმეტად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბავშვების ცხოვრების პირველი წლები მხოლოდ მშობლებისა და უახლოესი ნათესავების საზრუნავად ითვლებოდა. დღევანდელ საზოგადოებაში სიღარიბე, ავადმყოფობა, არასაკმარისი კვება, სამოქალაქო მღელვარება და ტრადიციული სტრუქტურების ნგრევა მშობლებსა და თემებს მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნიან. ბავშვთა განვითარებასა და უსაფრთხოებას საფრთხე ყოველდღიურად ემუქრება. სტრესულ სიტუაციაში მყოფმა მშობლებმა, ოჯახებმა და თემებმა შეიძლება ბავშვების საჭიროებების სათანადოდ დაკმაყოფილება ვერ შეძლონ.

ადრეულ ასაკში განვითარების ხელშემწყობი ბევრი პროგრამა (განსაკუთრებით სოფლად და ქალაქის ღარიბ უბნებში) სწორედ ამ გამოწვევების დაძლევას ემსახურება. ამის მიუხედავად, პროგრამები ხშირად ლიმიტირებულია და უთანაბროდ განაწილებული. პროგრამების ხარისხი რადიკალურად განსხვავებულია. ბევრ შემთხვევაში იგი ზარალდება არასაკმარისი დაფინანსების, ცუდი კოორდინაციის და შედეგების არამდგრადობის გამო. კავშირი პიროვნების საჭიროებების და უფლებების დაცვასა და ქვეყნების განვითარების პროცესებს შორის სულ უფრო ძლიერდება (განსაკუთრებით სიღარიბის დაძლევასა და ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით). შესაბამისად, ადრეული ასაკის ბავშვების საჭიროებებისა და უფლებების დასაკმაყოფილებლად მთავრობები თავის თავზე მეტ პასუხისმგებლობას იღებენ. მათი როლი განსაკუთრებით კრიტიკულია ისეთი ხელსაყრელი გარემოს შექმნის საქმეში, რომელიც ბავშვებს ჯანმრთელ, დაბალანსებულ და პასუხისმგებელ პიროვნებებად ჩამოყალიბების საშუალებას მისცემს.

ადრეულ ასაკში განვითარების (ECD) ეროვნული სტრატეგიები და ჩარჩო პოლიტიკა შეიძლება იქცეს ადრეულ ასაკში განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნის და შესაბამისი ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისთვის სათანადო დაფინანსების ადვოკატირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვის მიმართ ინტეგრირებული მიდგომა და მასში ყველა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა გადამწყვეტ როლს თამაშობს წარმატებული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. ბავშვის განვითარების მრავალმხრივობა სხვადასხვა სამინისტროების, მშობლების, თემების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა მონაწილე მხარეების თანამშრომლობის აუცილებლობას აჩენს.

ადრეულ ასაკში განვითარების (ECD) სტრატეგიები და ჩარჩოპოლიტიკა შეიძლება მიმართული იყოს ისეთი საკითხების მოგვარებისკენ, როგორიცაა ადრეულ ასაკში განვითარებისთვის საჭირო ხარისხიანი და სამართლიანი სერვისების ხელმისაწვდომობა მშობლებისა და მოწყვლადი ბავშვებისთვის. მათი მეშვეობით მშობელთა განათლებასა და მხარდაჭერას შეიძლება მაღალი პრიორიტეტი მიენიჭოს. პოლიტიკა ხშირად შეიცავს ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა კოორდინაციის ქმედითი სისტემების ჩამოყალიბება რესურსების მაქსიმალური გამოყენების მიზნით და ინტეგრირებული მიდგომის არსებობა ადრეულ ასაკში განვითარების საკითხებზე ტრენინგების ჩატარების, სასწავლო გეგმების შედგენის და მეთოდების შემუშავების პროცესში. პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი ხშირად უწყობს

ხოლმე ხელს ადრეულ ასაკში განვითარების საქმეში ადგილობრივი ინვესტიციების ზრდას, კერძო სექტორის რესურსების ჩათვლით. დაბოლოს, პოლიტიკათა უმეტესობა განსაზღვრავს ადრეულ ასაკში განვითარების ინდიკატორებს, მონაცემთა ბაზებს, შეფასებისა და მონიტორინგის სისტემებს და სამოქმედო/კვლევით პროგრამებს.

დღეისათვის ბევრი ქვეყანა აცნობიერებს, რომ არსებობს კავშირი ადრეულ ასაკში ბავშვების განვითარების პროცესსა და ეროვნული განვითარების პროცესს შორის. საჰარის სამხრეთით მდებარე რამდენიმე ქვეყანა მუშაობს ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე (მაგ.: ბურკინა ფასო, გამბია, განა, კენია, მალავი, მავრიტანია, ნამიბია, სენეგალი და ტანზანია). ზოგიერთ ქვეყანაში მიმდინარეობს ადრეულ ასაკში განვითარების პროგრამების ეკონომიკურად ეფექტიანი სტრატეგიების ტესტირება (მაგ.: გვინეა, ერიტრეა, კენია, ლესოტო, მალი, მავრიტანია, მადაგასკარი, რუანდა და სენეგალი). აფრიკაში განათლების განვითარების ასოციაციასთან (ADEA)[1] არსებულმა „ადრეულ ასაკში განვითარების სამუშაო ჯგუფმა“ (ამიერიდან „სამუშაო ჯგუფი“) თავის თავზე აიღო ადრეულ ასაკში განვითარების მიმართ კომპლექსური მიდგომის ხელშეწყობა და განხორციელება ეროვნული პოლიტიკის კონტექსტში, „სიღარიბის დაძლევის სტრატეგიების“ ან მთელი სექტორის მომცველი მიდგომების გამოყენებით.

ამ წიგნის დაწერის იდეა გაჩნდა ბურკინა ფასოში, მავრიტანიასა და სენეგალში 2003 – 2004 წლებში ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობების განვითარების მიზნით „გაეროს ბავშვთა ფონდის“ დასავლეთი და ცენტრალური აფრიკის რეგიონული ოფისის, UNESCO/BREDA-ს და აფრიკაში განათლების განვითარების ასოციაციის სამუშაო ჯგუფის თანამშრომლობის შედეგად. პროექტის მიმდინარეობის პროცესში ამ წიგნის ავტორისა და სპონსორებისთვის ნათელი გახდა, რომ პოლიტიკის შესამუშავებლად სხვადასხვა ქვეყნებს ზოგადი გზამკვლევი სჭირდებათ. ეს გზამკვლევი აფრიკაში და მსოფლიოს სხვა რეგიონებში ადრეულ ასაკში განვითარების, განათლების და ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავების დროს მიღებულ გამოცდილებას ეყრდნობა. ამ წიგნის მომზადება და პუბლიკაცია UNICEF-ის და UNESCO-ს სპონსორობით განხორციელდა. იგი წარმოადგენს UNESCO-ს „ადრეულ ასაკში განვითარების (ECD) პოლიტიკისა და სისტემების შემუშავების პროგრამის“ ნაწილს. ზემოხსენებულმა თანამშრომლობამ ნათლად დაგვანახა, რომ ორგანიზაციები, ბავშვთა განვითარებასთან დაკავშირებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სულ უფრო მეტ ინტერესს ავლენენ ერთობლივი, კოორდინირებული მუშაობის მიმართ.

ამ წიგნში მოცემული მდიდარი მასალა ძალიან სასარგებლო იქნება ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც განვითარებად სამყაროში ადრეულ ასაკში განვითარების ხელშეწყობით არის დაინტერესებული.

ჟანეტ ვოგელაარი
თავმჯდომარე, ADEA-ს „ადრეულ ასაკში განვითარების სამუშაო ჯგუფი“.

[1] „აფრიკაში განათლების განვითარების ასოციაცია“ (ADEA) აფრიკის ქვეყნების განათლების და ტრენინგის სამინისტროების და დამფინანსებელი სააგენტოების თანამშრომლობის პლატფორმას წარმოადგენს. ეს თანამშრომლობა მიზნად ისახავს აფრიკაში განათლების მდგომარეობის გაუმჯობესებას დამფინანსებელ სააგენტოებთან პოლიტიკური დიალოგის და უკეთესი კოორდინაციის გზით. ADEA მუშაობს მთელი რიგი ტექნიკური სამუშაო ჯგუფების მეშვეობით, რომლებიც აფრიკაში განათლების რეფორმის საკვანძო საკითხებზე არიან ფოკუსირებულნი. „ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების სამუშაო ჯგუფი“ (WG (ECD)) ერთ-ერთი ასეთი ჯგუფია.

შესავალი

ადრეულ ასაკში განვითარების (ECD) პოლიტიკის მოცემული გზამკვლევი უნდა დაეხმაროს მთავრობებს და სხვა მონაწილე მხარეებს ითანამშრომლონ პოლიტიკის შემუშავების პროცესში, ყველა ბავშვის პოტენციალის სრულად ათვისების უზრუნველსაყოფად.

გზამკვლევის მიზანია ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვის „ინსტრუმენტების ნაკრების“ შექმნა სხვადასხვა ქვეყნების სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რაც მათ საშუალებას მისცემთ:

1. დანერგონ ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების ისეთი პროცესები, რომeლშიც ჩართულნი იქნებიან ყველა დონის სამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება;
2. მოამზადონ ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული პოლიტიკა ან ჩარჩო პოლიტიკა შესაბამისი სტრატეგიებით, რომლებიც მოწყვლადი ბავშვების მომსახურებაში არსებული ხარვეზების დაძლევას ემსახურებიან და ადრეულ ასაკში განვითარების კომპლექსური, ადგილობრივი კულტურისთვის მისაღები პროგრამების მიმართულებას განსაზღვრავენ;
3. დანერგონ ადრეულ ასაკში განვითარების მიმართ ინტეგრირებული მიდგომის კონცეფცია დარგთაშორის და დარგობრივ პოლიტიკებსა და გეგმებში.

გზამკვლევი ხაზს უსვამს დაგეგმვის პროცესში ~~ყველა~~ ბავშვის საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობას. პრიორიტეტი ენიჭებათ მოწყვლად ბავშვებს, რომლებიც მაღალი რისკის მატარებელ გარემოში ცხოვრობენ. მასში წარმოდგენილია ბავშვის გადარჩენისა და განვითარების მიმართ კომპლექსური, ცხოვრების ციკლის საფუძველზე აგებული მიდგომა. გზამკვლევში ხაზგასმულია მშობელთა განათლებისა და დახმარების მნიშვნელობა და ადრეულ ასაკში განვითარების პროგრამების მიმართ კომპლექსური მიდგომის გამოყენების (რომელიც ჯანმრთელობას, კვებას, ჰიგიენას, განათლებას და ქალებისა და ბავშვების უფლებებს მოიცავს) მნიშვნელობა. გზამკვლევი აგრეთვე შეიცავს რჩევებს სკოლისათვის ბავშვების მომზადების საკითხებზე, „ათასწლეულის განვითარების ამოცანების“ (MDGs), „განათლება ყველასათვის“ (EFA), სიღარიბის დაძლევის ყველა სტრატეგიის და დარგთაშორისი და დარგობრივი პოლიტიკების შესაბამისად.

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკასთან დაკავშირებული სიტუაცია ყველა ქვეყანაში განსხვავებულია, მაგრამ პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი -საკმაოდ ერთგვაროვანი. შესავალში კონცეფციების ფორმულირების შემდეგ, გზამკვლევში მოცემულია პრაქტიკული რჩევები ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვის წარმატებული პროცესებისთვის დამახასიათებელი ხუთი ეტაპისთვის:

ეტაპი I: მოსამზადებელი ფაზა;
ეტაპი II: ადრეულ ასაკში განვითარებასთან დაკავშირებული სიტუაციის ანალიზი და კონსულტაციებისთვის მომზადება;
ეტაპი III: კონსულტაციები თემის, რეგიონის და ქვეყნის მასშტაბით;
ეტაპი IV: პოლიტიკის პროექტი და კონსენსუსის მიღწევა;
ეტაპი V: პოლიტიკის დამტკიცება და მიღება.

თითოეული ეტაპი რამდენიმე თანამიმდევრობითი ღონისძიებისგან შედგება, თუმცა ზოგიერთი მათგანის დაწყება მითითებულ დროზე ადრე შეიძლება. დანართებში აღწერილია ისეთი საშუალებები, რომლებიც დამგეგმავ პირებს ადრეულ ასაკში განვითარების ქმედითი პოლიტიკების და ჩარჩო პოლიტიკის შემუშავებაში დაეხმარებათ.

პოლიტიკის შემუშავება თვითმიზანი არ არის. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკებისა და პოლიტიკური ჩარჩოს მიღება მხოლოდ პირველი ნაბიჯია იმ ხანგრძლივი პროცესისა, რომელიც პატარა ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის მომსახურების გაფართოებას და გაუმჯობესებას ემსახურება.

ემილი ვარგას-ბარონი

აკრონიმები

ADEA	აფრიკაში განათლების განვითარების ასოციაცია
CDO	თემთა განვითარების ორგანიზაცია
CGECCD	ადრეულ ასაკში ბავშვებზე ზრუნვის და განვითარების საკონსულტაციო ჯგუფი
CSO	სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია
DHS	დემოგრაფიული მდგომარეობის და ჯანმრთელობის კვლევა
ECCD	ზრუნვა და განვითარება ადრეულ ასაკში
(ECD)	ბავშვთა განვითარება ადრეულ ასაკში
(ECD)VU	ადრეულ ასაკში განვითარების ვირტუალური უნივერსიტეტი
ECI	ადრეული ინტერვენცია (ინტერვენცია ბავშვთა ცხოვრების ადრეულ ეტაპზე)
EFA	განათლება ყველასათვის
FBO	რელიგიური ორგანიზაცია
FGC	ქალების წინადაცვეთა
HIV/AIDS	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი / შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი
ICBF	ოჯახის კეთილდღეობის კოლუმბიის ინსტიტუტი
I(ECD)	ადრეულ ასაკში ბავშვთა ინტეგრირებული განვითარება
IT	საინფორმაციო ტექნოლოგიები
MDG	ათასწლეულის განვითარების მიზნები
MEP	მონიტორინგისა და შეფასების გეგმა
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია

NPA	ეროვნული სამოქმედო გეგმა
O(ECD)	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OVYC	ადრეული ასაკის ობოლი და მოწყვლადი ბავშვები
PRS	სიღარიბის დაძლევის სტრატეგია
PRSP	სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის დოკუმენტი
SSA	საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკული ქვეყნები
SWAps	მთელი დარგის მომცველი მიდგომა
TOT	ტრენერთა ტრენინგი
UNDAF	გაეროს განვითარების ხელშეწყობის ჩარჩო პროგრამა
UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდი
UNESCO	გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია
WG/(ECD)	აფრიკაში განათლების განვითარების ასოციაციასთან არსებული „ადრეულ ასაკში განვითარების სამუშაო ჯგუფი“
WHO	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

თავი 1

შესავალი

სახეობების გადარჩენა მხოლოდ ძლიერთა ტრიუმფზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ისინი გადაშენდებოდნენ. ამრიგად გადარჩენის, „არსებობისთვის ბრძოლის“ გადამწყვეტი პირობაა უფროსი თაობის სიყვარული შვილების მიმართ.

მარია მონტესორი, სკოლამდელი განათლების სპეციალისტი, იტალია, 1870

მოწყვლადი ბავშვების განვითარების გაუმჯობესების გზების საძიებლად მთელი მსოფლიოს ქვეყნები ადრეულ ასაკში ბავშვების განვითარების (ECD)[2] ძლიერი და ქმედითი პოლიტიკის შექმნას ცდილობენ. ეს პოლიტიკა რესურსების მაქსიმალური გამოყენების უზრუნველყოფის, ბავშვების საკეთილდღეოდ ჩადებული ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების გაზრდის და კომპლექსური პროგრამების ხარისხისა და კოორდინაციის გაუმჯობესების საშუალებას წარმოადგენს. ძირითადი მომსახურებების გაფართოების და გაუმჯობესების ახალი, თამამი სტრატეგიების საშუალებით, ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა და ჩარჩო პოლიტიკა შეიძლება ქვეყნებს ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესებაში დაეხმაროს.[3] გამოცდილება ასევე გვიჩვენებს, რომ ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა განსაკუთრებით ქმედითია მაშინ, როდესაც იგი სამთავრობო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოებრივი დაწესებულებების, მშობლების და თემების სრული მონაწილეობით მუშავდება.

გზამკვლევის მიზნები

მოცემული გზამკვლევი არის თავისებური სახელმძღვანელო, „ინსტრუმენტების ნაკრები“, რომელიც უნდა დაეხმაროს მთავრობებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სხვა მონაწილე მხარეებს, ითანამშრომლონ ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების პროცესში, ყველა ბავშვის გადარჩენისა და პოტენციალის სრულად ათვისების უზრუნველსაყოფად.

ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის (ECD) დამგეგმავმა პირებმა ხშირად დანამდვილებით არ იციან, როგორ იმოქმედონ. ისინი ასეთი პოლიტიკისა და ჩარჩო პოლიტიკის საჭიროებაში დარწმუნებულნი არ არიან. მათ სურთ იცოდნენ, თუ როგორ უნდა მოხდეს პოლიტიკის დაგეგმვის ეფექტიანი ორგანიზაცია და როგორ უნდა შეირჩნენ კონსულტაციების პროცესის მონაწილე მხარეები თემების, რეგიონების და მთელი ქვეყნის დონეზე. ზოგიერთ მათგანს სურს გაიგოს, თუ როგორია პოლიტიკურ რეალობასთან გამკლავების ეფექტიანი გზები და როგორ შეიძლება მტკიცე კონსენსუსის მიღწევა. ესმით რეალისტური პოლიტიკის შემუშავების საჭიროება, რადგანაც ეს ბიუჯეტის რესურსების მაქსიმალური გამოყენების და ბავშვების მომსახურებაში მეტი ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას იძლევა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მათ სურთ აწარმოონ პოლიტიკა და უზრუნველყონ შედეგიანობა.

გზამკვლევის მთავარი მიზანია მიაწოდოს პოლიტიკის დამგეგმავ პირებს ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების „ინსტრუმენტების ნაკრები“, რომელიც დაეხმარებათ მათ:

4. დანერგონ ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების ისეთი პროცესები, რომელშიც ჩართულები იქნებიან ყველა დონის სამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება;
5. მოამზადონ ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა ან ჩარჩო პოლიტიკა შესაბამისი სტრატეგიებით, რომლებიც მოწყვლადი ბავშვების მომსახურებაში არსებული ხარვეზების დაძლევას ემსახურებიან და ადრეულ ასაკში განვითარების კომპლექსური, ადგილობრივი კულტურისთვის მისაღები პროგრამების მიმართულებას განსაზღვრავენ;
6. დანერგონ ადრეულ ასაკში განვითარების მიმართ ინტეგრირებული მიდგომის კონცეფცია დარგთაშორის და დარგობრივ პოლიტიკებსა და გეგმებში.

გზამკვლევი ხაზს უსვამს დაგეგმვის პროცესში ყველა ბავშვის საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობას. პრიორიტეტი ენიჭებათ მოწყვლად ბავშვებს, რომლებიც მაღალი რისკის მატარებელ გარემოში ცხოვრობენ.

გზამკვლევი ინსტრუქცია არ არის.[4] ის არ უთითებს ქვეყნებს, თუ რა საკითხები უნდა შეიტანონ ეროვნულ პოლიტიკაში. თითოეული ქვეყანა თვითონ უნდა იყოს მომავალი თაობის წინაშე აღებული ვალდებულებების „არქიტექტორი". თითოეული მათგანის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები განპირობებული იქნება განსხვავებული ეროვნული ღირებულებებით და სოციალური, კულტურული და ეკონომიკური პირობებით. ამის მიუხედავად, მოცემულ გზამკვლევში შემოთავაზებულია საკითხები, რომლებიც ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში უნდა შევიდეს. მასში აღწერილია ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ორგანიზაციის პრინციპებიც, რომლებიც მისი განხორციელების შესაძლებლობას უზრუნველყოფენ. მოცემული გზამკვლევი არ გვკარნახობს ადრეულ ასაკში განვითარების სტრატეგიებს და არ განმარტავს პროგრამების შემუშავების, განხორციელების და შეფასების გზებს; ამის ნაცვლად, ის პროგრამების შესამუშავებლად სტრატეგიების განსაზღვრის გზებს გვთავაზობს. ეს „სახელმძღვანელო" შეიცავს იდეებს, დაგეგმვის პროცესში ადგილობრივი და საერთაშორისო დონორების მოზიდვისა და ადრეულ ასაკში განვითარების ახალი კონცეფციების შესახებ. იგი ეხმარება მკითხველს ახლებურად გაიაზროს თავისი როლი ადრეულ ასაკში განვითარების ხელშეწყობის საქმეში.

არ არსებობს პოლიტიკის ფორმულირების მიმართ ისეთი მიდგომა, რომელიც ყველა ქვეყანას მოერგება. ამის მიუხედავად, სხვა ქვეყნებში პოლიტიკის დაგეგმვისას წარმატებით განხორციელებული პროცესების გამოყენების შემთხვევაში, დასახული მიზნების მიღწევის ალბათობა იზრდება. პოლიტიკის შემმუშავებელმა პირებმა „სახელმძღვანელოში" მოცემული დებულებები თავიანთი ქვეყნის სიტუაციის გათვალისწინებით უნდა შეცვალონ. ამასთან ერთად, ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავება თვითმიზანი არ არის და პროცესი ამ პოლიტიკის მიღებით არ სრულდება. პირიქით, მისი მიღება მხოლოდ პირველი ნაბიჯია იმ ხანგრძლივი პროცესისა, რომელიც პატარა ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის მომსახურების გაფართოებას და გაუმჯობესებას ემსახურება.

ამ „სახელმძღვანელოს" სამიზნე აუდიტორია

„სახელმძღვანელოს" შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო ადრეულ ასაკში განვითარების საკითხებით დაინტერესებულმა მრავალმა მხარემ. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ადრეულ ასაკში განვითარების ღონისძიებების დამგეგმავ პირებზე, რომელთა შორის იყვნენ:

- გეგმების შემმუშავებელი პირები და წამყვანი სპეციალისტები ფინანსთა, განათლების, ჯანდაცვის, კვების, სანიტარიის, ბავშვთა და ქალთა უფლებების, ოჯახის განვითარების, ურბანული და სოფლის რეგიონების განვითარების და სხვა სამინისტროებიდან, რომლებიც პასუხს აგებენ ადრეული ასაკის ბავშვებისა და მათი მშობლების კეთილდღეობაზე;
- იმ ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების დირექტორები და სპეციალისტები, რომლებიც ადრეულ ასაკში განვითარების და მშობელთა განათლების პროგრამებს ახორციელებენ;

- ადრეულ ასაკში განვითარების საკითხებზე მომუშავე სპეციალისტები, პროფესორები და შესაბამისი პროგრამების ხელმძღვანელები სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, როგორებიცაა მაგ.: ასოციაციები, ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, პედაგოგიური კოლეჯები და კავშირები.
- დირექტორები და სპეციალისტები მრავალმხრივი ან ორმხრივი ერთობლივი სააგენტოებისა, რომლებიც განვითარებად ქვეყნებში ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავებას უწყობენ ხელს;
- საერთაშორისო დონეზე ადრეულ ასაკში განვითარების, განათლების, ჯანდაცვის, კვების, სანიტარიის, ბავშვთა უფლებების და სხვა მსგავს სფეროებში მომუშავე პროფესორები და სტუდენტები.

ეს „სახელმძღვანელო“ ექსპერიმენტად შეიძლება ჩაითვალოს იმ გაგებით, რომ აღნიშნული სახით ეს საკითხები პირველად ჩამოყალიბდა ერთიან დოკუმენტში. ავტორი სიხარულით მიიღებს კომენტარებს და წინადადებებს მასში ცვლილებების შეტანის შესახებ.

„სახელმძღვანელოს“ არეალი

„სახელმძღვანელო“ მოიცავს ბავშვის განვითარების პერიოდს ორსულობიდან რვა წლის ასაკამდე. ქვემოთ მოცემული იქნება მეტი ინფორმაცია ცხოვრების ციკლზე დამყარებული მიდგომის შესახებ. ამ „სახელმძღვანელოში“ განხილულია ბავშვის გადარჩენისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ყველა ძირითადი სფერო, ჯანმრთელობის, კვების, განათლების, სანიტარიის, ბავშვთა და ქალთა უფლებებისა და მათი დაცვის ჩათვლით.

შესავალი თავის შემდეგ, „სახელმძღვანელოში“ მოცემულია პრაქტიკული რჩევები ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის წარმატებული დაგეგმვისთვის დამახასიათებელი ხუთი ეტაპისთვის:

ეტაპი I: მოსამზადებელი ფაზა;
ეტაპი II: ადრეულ ასაკში განვითარებასთან დაკავშირებული სიტუაციის ანალიზი და კონსულტაციებისთვის მომზადება;
ეტაპი III: კონსულტაციები თემის, რეგიონის და ქვეყნის მასშტაბით;
ეტაპი IV: პოლიტიკის პროექტი და კონსენსუსის მიღწევა;
ეტაპი V: პოლიტიკის დამტკიცება და მიღება.

თითოეული ეტაპი რამდენიმე თანმიმდევრობითი ღონისძიებისგან შედგება, თუმცა ზოგიერთი მათგანის დაწყება მითითებულ დროზე ადრეც შეიძლება. დანართებში აღწერილია თითოეულ ეტაპზე გამოსაყენებელი ინსტრუმენტები, კონტენტი, პროცესები და მეთოდები, რომლებიც დამგეგმავ პირებს ადრეულ ასაკში განვითარების ქმედითი პოლიტიკების და ჩარჩო პოლიტიკის შემუშავებაში დაეხმარებათ.

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის საჭიროება და დასაბუთება

განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში მოწყვლადი ბავშვების საჭიროებებს სრულად ძალიან ცოტა ლიდერი თუ იცნობს. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია ადრეული ასაკის

ბავშვების სტატუსის შეფასების სირთულეებით. ბავშვების საჭიროებების შესახებ ყოვლისმომცველ მონაცემთა შეგროვება, გაანალიზება და პოლიტიკის/პროგრამების დასაგეგმად გამოყენება იშვიათად ხდება. როგორც წესი ზუსტი მონაცემების ნაკლებობაა შემდეგ სფეროებში: მშობლების განათლება და მზრუნველობა; მშობიარობის შედეგები, მათ შორის ახალშობილთა დაბალი წონა; ახალშობილებისა და ბავშვების განვითარების ჩამორჩენა და შეზღუდული უნარები; ზრუნვის პრაქტიკა და ახალშობილის სტატუსი; ბავშვზე ზრუნვისა და სკოლამდელი დაწესებულებების ხარისხი; ჯანმრთელობის და კვების მდგომარეობა; სანიტარია სახლში და თემში; და ბავშვთა უფლებები და სამართლებრივი დაცვა.

ამის გამო, განვითარებადი ქვეყნების ლიდერების ყურადღება კონცენტრირებულია მხოლოდ ორსულობიდან 8 წლის ასაკამდე პერიოდში ბავშვების გადარჩენასა და განვითარებაზე მოქმედ ზოგიერთ გარემოებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მრავალრიცხოვანი საერთაშორისო კვლევებიდან ჩანს, რომ ბავშვების არასათანადო განვითარება პირდაპირ კავშირშია სიღარიბესთან, უწიგნურობასთან, თემის შიდა კონფლიქტებთან, ოჯახურ ძალადობასთან, ჯანმრთელობის ქრონიკულ პრობლემებთან და კვების ნაკლებობასთან, სამწუხაროდ მოწყვლადი ბავშვები კვლავ „უხილავნი“ რჩებიან თუ მათ გამოსავლენად დიდი ძალისხმევა არ იხარჯება.

ბავშვთა გადარჩენასა და განვითარებასთან დაკავშირებული სიტუაციის გამოსწორება შესაძლებელია ისეთი პოლიტიკის განხორციელებით, რომელიც ინსტიტუტებსა და თემებს ბავშვებისა და მშობლების ძირითადი საჭიროებების გამოვლენასა და დაკმაყოფილებაში ეხმარებათ. განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკებისა და პოლიტიკური ჩარჩოს შემუშავების და შესაბამისი პროგრამების განხორციელების მწვავე საჭიროება იზრდება. სიღარიბეში მცხოვრებ მილიონობით ბავშვს ხელი არ მიუწვდება:

- პოზიტიურ მშობლიურ ზრუნვაზე (მშობლების მოუმზადებლობის გამო);
- ახალშობილთა სტიმულირებაზე, ზრუნვასა და სკოლამდელ განათლებაზე;
- პირველადი ჯანდაცვისა და კვების მომსახურებაზე;
- სუფთა, ჰიგიენურ და უსაფრთხო გარემოზე;
- განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილ ინტენსიურ მომსახურებაზე, და
- სკოლაში წარმატებისთვის მომზადებაზე.

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკისა და ეფექტიანი წლიური სამოქმედო გეგმების გარეშე სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების მწვავე საჭიროებების დაკმაყოფილება ნაკლებად მოსალოდნელია. შედეგად შეიძლება დაიკარგოს მოწყვლადი ბავშვების ერთი ან მეტი თაობა. საჰარის სამხრეთით და სამხრეთ აზიაში მდებარე ზოგიერთ ქვეყანაში ფიქრობენ, რომ მათი სახელმწიფო განვითარების იმედები გაქარწყლდება, თუ ბავშვები სკოლაში წარმატებისთვის მზად არ იქნებიან. ბევრ ქვეყანაში, ომების ან მასშტაბური ბუნებრივი კატასტროფების, ან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის და ლტოლვილების არსებობის გამო, მწვავედ დგას მცირეწლოვანი ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებების დაკმაყოფილების საკითხი. უფრო მეტიც, იმ ქვეყნებში, სადაც ახალგაზრდობის დემოგრაფიული პრიორიტეტი არსებობს და ახალგაზრდა თაობა შრომისა და მოქალაქეობისთვის მზად არ არის, კონფლიქტის პოტენციალი რადიკალურად იზრდება.[5] არასათანადო მშობლიური მზრუნველობის და აღზრდის გამო მილიონობით

ბავშვი აივ/შიდსით არის დაავადებული და შესაბამისად საბაზისო უნარებისა და იმედის გარეშეა დარჩენილი.

მოწყვლადი ბავშვები

როგორც UNESCO-სა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის „ადრეული ასაკის პოლიტიკის განხილვის პროექტში“ აღინიშნა, „ადრეულ ასაკში ზრუნვა და განათლება ამჟამად სიღარიბის და სოციალური უთანასწორობის დაძლევის ქმედით სტრატეგიად ითვლება, რომელიც მათ გამომწვევ მიზეზებს დასაწყისშივე აღმოფხვრის.“[6] ამის მიუხედავად, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ყველაზე მოწყვლად ბავშვებს ამჟამად ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილ მომსახურებებზე ხელი არ მიუწვდებათ. ისინი განვითარების ჩამორჩენის რისკის წინაშე დგანან ან უკვე ჩამორჩენილნი არიან. ისინი მზად არ არიან სკოლისთვის, კლასიდან კლასში ვერ გადადიან და სკოლას ადრე ტოვებენ. განვითარებაში ძლიერი ჩამორჩენის მქონე და ღარიბ თემებში მცხოვრები ბევრი ბავშვის იდენტიფიკაცია სამი წლის ასაკამდე ვერ ხერხდება; ტრაგიკულია, მაგრამ ამ დროისათვის მათი ჩამორჩენის და სწავლის უნარის გამოსწორება უკვე შეუძლებელი ან ძალიან ძნელია. სხვადასხვა ქვეყნებში ძლიერი უნარშეზღუდულობის და განვითარების ჩამორჩენის შემთხვევების წილი ბავშვების მთლიანი რაოდენობის 5%-დან 35%-მდე მერყეობს.[7] ბევრ ბავშვს აქვს სუსტი ან საშუალო ჩამორჩენა. განვითარების ჩამორჩენის შედარებით მაღალი მაჩვენებლები ხშირად აღინიშნება იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ან ლტოლვილების ბანაკებში და იმ მოსახლეობაში, რომელიც შიმშილობას განიცდის. ასეთ სიტუაციებში, სუსტი ან საშუალო ჩამორჩენა ხშირად დაუდგენელი რჩება. ამის გამო, არ ხდება ისეთი პროგრამების შემუშავება, რომლებიც აღნიშნულ ბავშვთა საჭიროებებს დააკმაყოფილებენ.

„სწავლისთვის მოუმზადებელი“ მცირეწლოვანი ბავშვების უმეტესობამ განვითარების შემაფერხებელი ერთი ან მეტი დაბრკოლება გამოსცადა, რომელთა შორისაა:

- ფიზიკური სისუსტე (მაგ.: ახალშობილის დაბალი წონა, არასათანადო კვება, ქრონიკული ავადმყოფობა);
- მაღალი რისკის მატარებელი ოჯახი (მაგ.: ღარიბი, ლტოლვილი, იძულებით გადაადგილებული ან მიგრანტი, მოზარდი ასაკის დედა ან მამა, მარტოხელა მშობელი, დედის განათლების დაბალი დონე, მავნე ნივთიერებების მოხმარება, ოჯახური ძალადობა, ბავშვის მიმართ სასტიკი დამოკიდებულება ან უგულებელყოფა და ა.შ.);
- გარემოს რისკი (მაგ.: ინსექტიციდები ან სხვა ქიმიური ან ბიოლოგიური ნივთიერებები, ტყვიით მოწამვლა, ბოლი ან დაბინძურება და ა.შ.) ან
- იდენტიფიცირებული სუსტი, საშუალო ან ძლიერი ჩამორჩენა (მაგ.: სოციალური, ემოციური, ფიზიკური, შემეცნებითი, აღქმის ან ენობრივი ჩამორჩენა).

ბავშვების გადარჩენისა და განვითარების პერსპექტივები — ალბათობა, რომ სასკოლო ასაკის მიღწევისას მათ წარმატებისთვის საჭირო საბაზისო შემეცნებითი, სოციალური და ემოციური უნარები ექნებათ — მათი ოჯახების შესაძლებლობებზე, რესურსებსა და მხარდაჭერაზეა დამოკიდებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშვის გადარჩენის, განვითარების და სკოლისთვის მზაობის ტენდენციებს ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობა, კვება და განათლების დონე განაპირობებს. ადრეულ ასაკში განვითარებისა

და განათლების შესახებ არსებულ ლიტერატურაში უხვადაა მოყვანილი სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების ცუდი მოსწრების მაგალითები. როგორც წესი, მოსწავლეთა დაბალ ნიშნებს და წიგნიერების დაბალ დონეს ძირითადად სკოლებს აბრალებენ: მათ ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, სასწავლო პროგრამებს, სწავლების მეთოდებს, ტესტირების წესებს და ა.შ. მიუხედავად ამისა, კვლევის შედეგები გვიჩვენებენ, რომ სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები სკოლაში შესვლამდე გაცილებით ადრე იწყება.[8] **მცირეწლოვანი ბავშვების ოჯახებში ჩადებული ინვესტიციები საკვანძო როლს თამაშობენ სკოლაში მოსწრების გაუმჯობესების საქმეში.**

ჯანმრთელობასთან, კვებასთან და სწავლასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა ბავშვის დაბადებამდე წარმოიქმნება. არსებობს მაღალი რისკი, რომ სათანადო მშობლიურ მზრუნველობას, კვებას და ოჯახის მხარდაჭერას მოკლებული ოც წლამდე ასაკის ორსული დედა შეიძლება მშობიარობის დროს ბავშვთან ერთად დაიღუპოს ან წონანაკლული, სუსტი და შესაბამისად ნელა განვითარებადი ბავშვი გააჩინოს. ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი მომსახურებების გარეშე არსებობს მაღალი რისკი, რომ გადარჩენილი ბავშვის განვითარება შეფერხდება არაადეკვატური სტიმულირების, ქრონიკული ავადმყოფობის ან არასათანადო კვების გამო. როგორც წესი, ერთი და იგივე ბავშვი ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ერთდროულად რამდენიმეს ზემოქმედებას განიცდის. ადრეულ ასაკში განვითარების ხელშემწყობი კარგად შემუშავებული პროგრამების (სახლებში ვიზიტებით და მრავალჯერადი ინტერვენციებით) შეფასებამ აჩვენა, რომ მათ ბავშვის განვითარებაზე და მშობლიური ზრუნვის შედეგებზე დადებითი ზემოქმედება მოახდინეს.[9] იმედის მომცემი და მტკიცებულებებზე დამყარებული მაგალითები ახლა უკვე ბევრ ქვეყანაში არსებობს. რაც შეეხება ბავშვებზე ზრუნვას, ბოლო პერიოდის კვლევებმა გვიჩვენეს, რომ ზოგადად, მშობლიური მზრუნველობა ბავშვის სოციალურ, ემოციურ და შემეცნებით განვითარებას დიდად განაპირობებს და შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ბავშვთა მომსახურების ცენტრებში მიღებული ზრუნვა, განსაკუთრებთ, თუ ამ უკანასკნელთა ხარისხი საკმაოდ დაბალია.[10] იქ, სადაც ბავშვზე ზრუნვის ხარისხი მაღალია, იგი ასოცირებულია სათანადო დედობრივ ზრუნვასთან, ბავშვების ნორმალურ გონებრივ განვითარებასთან და (მზრუნველთა შეფასებების მიხედვით) ბავშვების პოზიტიურ სოციალურ კომპეტენციასთან.[11] ამის გამო, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის კარგი განვითარებისა და სკოლისთვის მზადყოფნის სტრატეგიები ითვალისწინებდნენ მშობლების განათლების ღონისძიებებს, ბავშვებზე ხარისხიან ზრუნვას და საბაზისო ჯანდაცვას, კვებას და სანიტარულ მომსახურებებს.

უფრო მეტიც, სიღარიბეში მცხოვრებ მილიონობით ბავშვს არ აქვს სუფთა წყალი და სანიტარული კვანძები. ამის შედეგად, ბევრი მათგანი იღუპება ჰიგიენური ნორმების დარღვევით გამოწვეული დაავადებების შედეგად, როგორიცაა მაგალითად დიარეა და მალარია. მთელი მსოფლიოს მასშტაბით საშუალოდ ბავშვების 82% გაუმჯობესებული სასმელი წყალით სარგებლობს, მაგრამ საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკულ ქვეყნებში სუფთა სასმელ წყალზე ხელი მიუწვდება მხოლოდ ბავშვების 57%-ს. თუ მსოფლიოში ადეკვატური სანიტარული კვანძებით ბავშვების 61% სარგებლობს, სამხრეთ აზიაში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 34%, ხოლო საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკულ ქვეყნებში - 53%-ს უტოლდება.[12]

მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში სოციალური დაცვის პროგრამების ძირითადი ნაკლოვანება სწორედ ის არის, რომ ისინი ორსულობიდან სამი წლის ასაკამდე ბავშვების გადარჩენის, განვითარების და სკოლისთვის მზაობისთვის საჭირო პირობებს სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში შეიძლება აქცენტი გაკეთდეს

იმაზე, რომ მეტი ინვესტიციები ჩაიდოს ქალებისა და სამ წლამდე ბავშვებისთვის თემების მონაწილეობით და ადგილობრივი კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით შედგენილ რენტაბელურ პროგრამებში.

ვინ არიან ყველაზე მოწყვლადი ბავშვები?

თითოეულ ქვეყანაში მოწყვლადი ბავშვების ჯგუფები, და მათი პროცენტული რაოდენობაც, განსხვავებული იქნება. იმისთვის, რომ ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკებსა და პოლიტიკურ ჩარჩოში ყველა მათგანს სათანადო ყურადღება დაეთმოს, მნიშვნელოვანია თავიდანვე დავადგინოთ, ვინ არიან ისინი, სად ცხოვრობენ და რა სპეციფიკური მომსახურებები სჭირდებათ. ამ მონაცემების მოპოვება ძნელია, რადგან ეროვნულ დონეებზე ძალიან ცოტა შეფასება იყო გაკეთებული, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. თუმცა იქ, სადაც ამგვარი შეფასებები განხორციელდა, „დემოგრაფიული მონაცემებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერის“ (DHS) განათლების კომპონენტი ხშირად ფასეულ ინფორმაციას იძლევა. პოლიტიკის შემუშავების მიზნებისათვის მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა ქვეყანამ მოწყვლადი ბავშვების სხვადასხვა ტიპები დაადგინოს. ადგილობრივი სიტუაციიდან გამომდინარე, მოწყვლად ჯგუფში შეიძლება შემდეგი ბავშვები შედიოდნენ:

- უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები და ხშირად სოფლად მცხოვრები ბავშვები, რომელთა მშობლების შემოსავალი დღეში ერთ აშშ დოლარზე ნაკლებია (საშუალოდ მსოფლიოში მთელი მოსახლეობის 21% და საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკული ქვეყნების მოსახლეობის 50%; ინდუსტრიულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ფაქტობრივად ნოლია).[13]
- წონანაკლული ახალშობილების (<2,500 გრამი) შემთხვევაში განვითარების ჩამორჩენის და შეზღუდული უნარების რისკი ძალიან მაღალია. ამის მიუხედავად, ძალიან ბევრ ქვეყანაში წონანაკლულ ბავშვთა დაბადება არ აღირიცხება (საშუალოდ მსოფლიოში მთელი მოსახლეობის 16%, სამხრეთ აზიაში - 30% და ინდუსტრიულ ქვეყნებში - 7%).[14]
- არასათანადო კვება, როგორც წესი, ბავშვების განვითარების ჩამორჩენას და ქრონიკულ დაავადებებს იწვევს. თუ მალნუტრიციის მხოლოდ ერთ საზომს - „სიმაღლეში ზრდის ჩამორჩენას“ ავიღებთ, მსოფლიო მასშტაბით მისი საშუალო მაჩვენებელი ძალიან მაღალია - 31% (სამხრეთ აზიაში - 44%, საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკული ქვეყნებში - 38%).[15]
- აივ/შიდსის ვირუსით ინფიცირებული და სხვა დაავადებების მქონე ბავშვები, მათ შორის ობოლი ბავშვები და ისინი, რომელთა მშობლებს მათი შენახვა აღარ შეუძლიათ, აგრეთვე ინფიცირებული ჩვილები, რომლებიც ავად არიან ან რომელთა აივ/შიდსის ტესტის შედეგი პოზიტიურია, მაგრამ ნორმალური განვითარების შანსი არსებობს. UNICEF-ის შეფასებით საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში აივ/შიდსის ვირუსის გამო დაობლებული ბავშვების რაოდენობა განსაცვიფრებელ რიცხვს - 11 მილიონს აღწევს.[16]
- კონფლიქტით დაზარალებული ბავშვები, რომლებიც იძულებით გადაადგილებულთა, ლტოლვილთა ან პარტიზანთა ბანაკებში ცხოვრობენ, ზოგ შემთხვევაში - ბავშვი ჯარისკაცები. კონფლიქტით დაზარალებული სამოქალაქო მოსახლეობის 80%-ზე მეტი ბავშვები და ქალები არიან. 2004 წელს,

76-ზე მეტ ქვეყანაში იყო კონფლიქტი ან კონფლიქტის შემდგომი გარდამავალი სიტუაცია.[17] ეს ბავშვები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ განვითარების ჩამორჩენის პრევენციის მიზნით. ამჟამად მსოფლიოში 121 მილიონი ბავშვი სასკოლო განათლების გარეშეა დარჩენილი[18] და მათი უმეტესობა კონფლიქტის ქვეყნებში ცხოვრობს.

- ბავშვთა შრომის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში ბავშვები, მართალია, შეიძლება მშობლებთან ან დამსაქმებლებთან ცხოვრობდნენ, მაგრამ მათ ბავშვობა წართმეული აქვთ და სკოლაში არ დადიან. 5-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვთა შრომის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში და 30%-დან (მადაგასკარში) 65%-მდე (ნიგერში) მერყეობს.[19]
- ბავშვები, რომლებიც რელიგიური ტრადიციის შესაბამისად ან უფროსების მხრიდან იძულებით მათხოვრობენ - დასავლეთ აფრიკაში ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა, მაგრამ სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს.
- ქუჩაში მცხოვრები ობოლი ბავშვები, ან ხშირად ოჯახური ძალადობის გამო სახლიდან გამოქცეულები, უკიდურეს სიღარიბესა და შიმშილს განიცდიან. მათ შესახებ საიმედო სტატისტიკა არ მოიპოვება, მაგრამ მათი რიცხვი მნიშვნელოვანია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბრაზილია, ინდოეთი და ვიეტნამი.
- ფიზიკური, სქესობრივი ან ემოციური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა ისეთ საზოგადოებებში, სადაც ოჯახური ძალადობა ცხოვრების წესად არის ქცეული.

ადრეულ ასაკში განვითარებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და უფლებები

ბავშვთა უფლებების სამართლებრივი საფუძველი მას შემდეგ შეიქმნა, რაც ეს უფლებები 1948 წელს გაეროს გენერალური ასამბლეაზე მიღებულ „ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაში“ იყო ფორმულირებული. აღნიშნული დეკლარაციის მიხედვით: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით“ და „დედობისა და ბავშვობის უფლებები განსაკუთრებული ზრუნვისა და დაცვის საგანია.“ ოჯახი „საზოგადოების ბუნებრივ და ფუნდამენტურ ჯგუფად“ იქნა აღიარებული. შემდგომ წლებში, ბავშვთა უფლებები და განათლების უფლება ადამიანის ძირითად უფლებებად იყო აღიარებული შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე: გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიღებული „ბავშვის უფლებების დეკლარაცია“ (1959 წ.); „კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ (1961 წ.); „კონვენცია ეკონომიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებების შესახებ“ (1961 წ.); „ბავშვის უფლებების კონვენცია“ (1989 წ.); და „დანკარის სამოქმედო ჩარჩო“; აგრეთვე 1990 წელს ჯომტიენში (ტაილანდში) და 2000 წელს დანკარში (სენეგალში) გამართულ საერთაშორისო კონფერენციებზე „განათლება ყველასათვის“.[20]

დანკარის ჩარჩო „განათლება ყველასათვის“ (EFA) ქვეყნებს მოუწოდებს, რომ მათი N 1 ამოცანა იყოს: „***ადრეულ ასაკში კომპლექსური ზრუნვისა და განათლების სფეროს გაფართოება და გაუმჯობესება, განსაკუთრებით ყველაზე მოწყვლადი და დაჩაგრული ბავშვების შემთხვევაში“.*** ამ დეკლარაციის მიუხედავად, ადგილი ჰქონდა N 1 ამოცანის

გამოტოვების და პირდაპირ N 2 ამოცანაზე გადასვლის ტენდენციას. ამოცანა N 2: ***2015 წლისათვის კარგი ხარისხის, სრული, უფასო და სავალდებულო დაწყებითი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ბავშვისათვის (განსაკუთრებით გოგონებისთვის, მძიმე გარემოებებში მცხოვრები ბავშვებისა და ეთნიკური უმცირესობების ბავშვებისთვის).*** აქ გამორჩენილია დებულება, რომ ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარებაში ჩადებული ინვესტიციები სკოლისთვის მზადყოფნის და შემდგომი წარმატებული სწავლისა და ცხოვრებისათვის კრიტიკულად საჭირო ფუნდამენტს ქმნიან. სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც N 1 და N 2 ამოცანები ადრეულ ასაკში განვითარებას ეხება. არსებობს კიდევ ორი დამატებითი დოკუმენტი, რომლებიც ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავენ: 1994 წელს, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა განათლების საკითხებისადმი მიძღვნილ UNESCO-ს კონფერენციაზე მიღებული „სალამანკას დეკლარაცია და სამოქმედო ჩარჩო“ და „ჰააგის რეკომენდაციები ეროვნული უმცირესობების მიერ განათლების მიღების უფლებების შესახებ“ (1995 წ.), რომელიც ეთნიკური და ლინგვისტური ჯგუფების განათლების უფლებებს ეხება და ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.

იმის მიუხედავად, რომ ბავშვების უფლებებისადმი მიძღვნილი კონვენციებისა და დეკლარაციების დებულებები ქვეყნების უმეტესობის კანონმდებლობაში, დეკლარაციებში და ბრძანებულებებში დიდი ხანია აისახება, სამწუხაროდ მათი აღსრულება, მონიტორინგი და შესაბამისი ანგარიშგება მოისუსტებს. აუცილებელია მოწყვლად ბავშვებთან დაკავშირებული ღონისძიებების მოცულობა და სპექტრი სასწრაფოდ გაიზარდოს, განსაკუთრებით სიღარიბეში და საომარი მოქმედებების ზონებში მცხოვრები ბავშვებისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა შეძლება ანგარიშგების უფრო ქმედითი სისტემების შექმნაში დაგვეხმაროს, ბავშვების უფლებების დასაცავად შექმნილი საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს აღსრულების მიზნით.

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მოკლე ისტორია

მცირეწლოვანი ბავშვებისთვის განკუთვნილი მომსახურების არაოფიციალური პოლიტიკა ასობით წელია არსებობს. ისტორიული დოკუმენტები ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ელემენტებს შეიცავენ ჯერ კიდევ იტალიური რენესანსის და კომერსანტთა კლასის გაჩენის დროიდან, რომელმაც ობოლი ბავშვების თავშესაფრები და შეგირდთა პროგრამები შექმნა. მე-19 საუკუნეში ევროპაში ადრეული ასაკის ბავშვებთან დაკავშირებული მომსახურების ორი ძირითადი ტრადიცია ჩამოყალიბდა, რომლებსაც სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კერძო სექტორი წარმართავდნენ. ერთ-ერთი ტრადიცია იყო ობოლი ბავშვების თავშესაფრების და დღის ცენტრების შექმნა, რომელთა ფუნქცია განსაკუთრებული საჭიროებების ბავშვებზე ზრუნვა და დაცვა იყო. მეორე ტრადიცია ადრეულ ასაკში განათლებას გულისხმობდა, ძირითადად სკოლამდელ დაწესებულებებსა და საბავშვო ბაღებში. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის პირველი ელემენტების ჩამოყალიბება მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო. ის სწრაფად განვითარდა მე-20 საუკუნის განმავლობაში, სამუშაო ძალებში ქალების მზარდი მონაწილეობისა და ინდუსტრიალიზაციის კვალდაკვალ. დღეისათვის ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა და საგულდაგულოდ რეგულირებული მომსახურებები ევროპის, ამერიკის და აზიის ბევრ ქვეყანას აქვს. ის სხვადასხვა კონკრეტულ სფეროებს უკავშირდება, მათ შორისაა: სკოლამდელი განათლება, პირველადი ჯანდაცვის

მომსახურება ჩვილებისა და მცირეწლოვანი ბავშვებისთვის, საოჯახო რესურს-ცენტრები და მშობლიური ზრუნვის საკითხებზე ინფორმირების პროგრამები, შეზღუდული უნარების, ქრონიკული დაავადებების ან განვითარებაში ჩამორჩენის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი სპეციფიკური სამედიცინო მომსახურებები და ოჯახში და თემში სანიტარიისა და უსაფრთხოების პროგრამები. ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პროგრამები უაღრესად კომპლექსურია. ასეთებია მაგალითად შეერთებული შტატების „კარგი დასაწყისის პროგრამა“ (Head Start Programme), კანადის „ადრეულ ასაკში განვითარების პირველი სახელმწიფო პროგრამა“ (First Nations ECD Programme) და ახალი ზელანდიის, ფინეთის, დანიის და შვედეთის „ბავშვთა განვითარების სისტემები“.

ლათინური ამერიკის, შუა აღმოსავლეთის და აზიის ზოგიერთმა განვითარებადმა ქვეყანამ ბავშვთა მომსახურებასთან დაკავშირებული პოლიტიკების შემუშავება მე-20 საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში დაიწყო. მაგალითად, კოლუმბიის „ოჯახის კეთილდღეობის ინსტიტუტი“ (ICBF), რომელიც 1968 წელს დაარსდა, იყო პირველი სახელმწიფო სააგენტო განვითარებად ქვეყნებს შორის, რომლის ფუნქციასაც ადრეულ ასაკში განვითარების ინტეგრირებული პროგრამებისა და პოლიტიკის ხელშეწყობა წარმოადგენდა.[21] ეს ნახევრად ავტონომიური, მრავალდარგობრივი ინსტიტუტი პრეზიდენტის აპარატის, განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების და დაგეგმვის სახელმწიფო დეპარტამენტის ნაწილს წარმოადგენს. მისი ბიუჯეტის დაფინანსების წყარო სახელფასო გადასახადია. დაარსების დღიდან ICBF-მა ჯანმრთელობის, კვების და ადრეული განათლების ინტეგრირებული პროგრამების შემუშავება დაიწყო. 1979 წელს ეს პროგრამები კოლუმბიის „ბავშვებზე ზრუნვის პირველ სახელმწიფო პოლიტიკაში“ შევიდა. საერთაშორისო მასშტაბით, ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მიმართ ინტეგრირებული მიდგომის გავრცელება ფაქტობრივად მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. მას შემდეგ, ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მიმართ კომპლექსური, მრავალდარგობრივი მიდგომა მსოფლიოს ყველა რეგიონის მთელ რიგ ქვეყნებში დაინერგა.

ზემოხსენებული მოძრაობა „განათლება ყველასათვის“ მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო და 1990 წელს ტაილანდში, ჯომტიენში ჩატარებული კონფერენციის შემდეგ სწრაფად გავრცელდა. ამ მოძრაობის მიზანს თავდაპირველად ადრეულ სწავლაზე მთავარი აქცენტის გაკეთება და სკოლამდელ განათლებაზე ფოკუსირებული ცენტრალიზებული ECD პოლიტიკის შემუშავება წარმოადგენდა. 2000 წელს ათასწლეულის განვითარების მიზნების და დაკარის სამოქმედო ჩარჩოს („განათლება ყველასათვის“) შემუშავების შემდეგ, ახალი, კომპლექსური მიდგომა გაჩნდა, რომელიც ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ფორმულირებაში მეტი მხარის მონაწილეობას გულისხმობდა. ასეთი მიდგომის მნიშვნელობას უამრავი კვლევა ადასტურებს, რის გამოც ეს გზა ბევრმა ქვეყანამ აირჩია. ამჟამად ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკებისა და ჩარჩო პოლიტიკის ფორმულირების პროცესში ქვეყნების უმეტესობა კომპლექსურ მიდგომას იყენებს.

კომპლექსური მიდგომა

ადრეულ ასაკში განვითარების მიმართ კომპლექსური მიდგომა, უპირველეს ყოვლისა იმიტომ არის კრიტიკულად აუცილებელი, რომ ბავშვი მრავალი მიმართულებით განვითარდეს. ეს პროცესი აღქმის, ფიზიკურ, გონებრივ, ლინგვისტურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებას მოიცავს. მისი მიზანია ბავშვი იყოს ჯანმრთელი, იღებდეს

სათანადო კვებას და ცხოვრობდეს უსაფრთხო გარემოში. კომპლექსური მიდგომა გულისხმობს დარგთაშორისი, კოორდინირებული სისტემების შექმნას, ნოვატორული პროგრამების ხელშეწყობას, ცოდნაში არსებული ნაკლოვანებების შევსებას, მომსახურებებისა და რესურსების უზრუნველყოფას და ეკონომიკურად ჯანსაღი და კულტურული თვალსაზრისით მისაღები პროგრამების შექმნას. ქვეყნების გამოცდილების თანახმად, „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ დაგეგმვის მიმართ კომპლექსური მიდგომა ყველა სექტორს ხელს უწყობს, თავისი წვლილი შეიტანოს ბავშვის გადარჩენაში, ზრდაში, განვითარებასა და სკოლაში წარმატების მიღწევაში. თანამშრომლობის გზით შემუშავებულ პოლიტიკას გაითავისებენ გადაწყვეტილების მიმღები პირები, მშობლები და ადრეულ ასაკში განვითარების პროგრამების მონაწილეები. ამასთან ერთად, ჩნდება ადგილობრივ დონეებზე კოორდინაციისა და ინტეგრაციის ახალი იდეები.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრამდე ადრეულ ასაკში განვითარების ხელშემწყობი საერთაშორისო ღონისძიებების რიცხვი ძალიან მცირე იყო და ისინიც ძირითადად პირველად ჯანდაცვასა და სკოლამდელ განათლებაზე იყო კონცენტრირებული. 70-იან წლებში დაწყებული ადრეული ინტერვენციის ექსპერიმენტული პროგრამები ბავშვის განვითარების მიმართ უფრო დამაიმედებელ, კომპლექსურ მიდგომას ეყრდნობოდნენ.[22] ასეთი მიდგომა გულისხმობდა სახლში ვიზიტს ან ჯგუფურ შეხვედრებს მშობლებთან ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მცირეწლოვანი ბავშვის განვითარების სტიმულირება, ხარისხიანი ადრეული განათლება და ზრუნვა, ჯანმრთელობის დაცვა, საკვები ნივთიერებების დამატება და სწორი კვება.

1972 წელს, „ფორდის ფონდის“ ტექნიკური და ფინანსური დახმარებით, კოლუმბიის „ოჯახის კეთილდღეობის ინსტიტუტმა“, „ჰარვარდის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლამ“ და „განათლების ფართომასშტაბიანი კვლევის ფონდმა“, ბოგოტას ღარიბ უბნებში მცხოვრები ბავშვებისთვის ნოლიდან სამ წლამდე ასაკში განვითარების ხელშეწყობის პირველი კომპლექსური პროგრამა შეიმუშავეს.[23] ეს მოდელი შეიცავდა ჯანდაცვის მომსახურებას კვლევაში მონაწილე ყველა ბავშვისათვის, რომელთაგან თითოეულს ჰყავდა არასათანადო კვებით დაზარალებული მინიმუმ ერთი უფროსი და ან ძმა. ბავშვები შემდეგ ჯგუფებად დაიყვნენ: 1) საკონტროლო ჯგუფი, რომელიც მხოლოდ სამედიცინო მომსახურებას იღებდა, 2) ჯგუფი, რომლის ოჯახიც სამედიცინო მომსახურებას და საკვებ დანამატებს იღებდა, 3) ჯგუფი, რომელიც გარდა სამედიცინო მომსახურებისა, ოჯახში ვიზიტების დროს იღებდა ინფორმაციას მცირეწლოვან ბავშვთა განვითარების სტიმულირების შესახებ, და 4) ჯგუფი, რომელიც იღებდა სამედიცინო მომსახურებას, საკვებ დანამატებს და ექვემდებარებოდა ოჯახში ვიზიტებს. ბავშვებზე პროგრამის ზემოქმედების შეფასება მოხდა სამი და ექვსი წლის ასაკში. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ის ბავშვები, რომლებიც მხოლოდ საკვებ დანამატებს ან განვითარების სტიმულირების საშუალებებს იღებდნენ, უკეთ განვითარდნენ, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის ბავშვები, მაგრამ ბავშვები, რომლებიც ორივე ტიპის ინტერვენციას იღებდნენ, ყველაზე უკეთ განვითარდნენ. ეს შედეგები გამეორდა სამი წლის შემდეგაც, ანუ 6 წლის ასაკშიც.

დაახლოებით 1976 წლიდან ამ ნოვატორულმა პროექტმა ზეგავლენა მოახდინა კოლუმბის და მთელი მსოფლიოს ბევრ ინსტიტუტზე. მისმა შედეგებმა შთააგონა „ფორდის ფონდს“ „ბავშვის განვითარებისა და სამართლიანი დასაწყისის პროგრამის“ შემუშავება და საბოლოო ჯამში „ადრეული ზრუნვისა და განვითარების საკონსულტაციო ჯგუფის“ (CG) ჩამოყალიბება. ამასთან ერთად, სამხრეთ ამერიკაში, შეერთებულ შტატებში, კანადაში, თურქეთში, ინდოეთში, ფილიპინებზე და ბევრ სხვა ქვეყანაში მრავალი კომპლექსური პროგრამა შემუშავდა. ადამიანებმა სულ უფრო მეტად გააცნობიერეს, რომ ბავშვების კარგი

განვითარების მისაღწევად აუცილებელია კომპლექსური პროგრამების შემუშავება, რომლებიც მოწყვლადი ბავშვების საჭიროებების უზრუნველსაყოფად ჯანმრთელობის დაცვის, კვების, სტიმულირების და განათლების ღონისძიებებს მოიცავენ. ამ გარემოებამ შესაბამისი ზემოქმედება მოახდინა სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკის ფორმულირებაზე.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ადრეული განვითარების მიმართ კომპლექსური მიდგომა როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ სიბრტყეში გაფართოვდა. ცალკეული ქვეყნების დონეზე, **ჰორიზონტალური ზრდა** ნიშნავს მცირეწლოვანი ბავშვების, მათი ოჯახების და სპეციალური საჭიროებების საკითხებზე მომუშავე ყველა სამინისტროს და სამინისტროთაშორისი ორგანოს ჩართვას. ჩვეულებრივ ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვაში შემდეგ სფეროებზე პასუხისმგებელი სამინისტროები და სამთავრობო უწყებები მონაწილეობენ: ფინანსები, დაგეგმვა, სამართალი, განათლება, ჯანდაცვა და კვება, სანიტარია და წყალმომარაგება, ეროვნული სოლიდარობა, ოჯახის კეთილდღეობა ან განვითარება, სოფლის განვითარება, ურბანული განვითარება და სხვა. აქ აგრეთვე შედის პროვინციების, რაიონების და თემების დონეებზე არსებული სამთავრობო ერთეულები. მნიშვნელოვანია, რომ პროცესში სრულად იყვნენ ჩართულნი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის უნივერსიტეტები, ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რელიგიური ორგანიზაციები, პროფესიული გაერთიანებები და ა.შ. იმის გამო, რომ ადრეულ ასაკში განვითარების ზოგიერთ მომსახურებას კერძო სექტორი ახორციელებს, (მაგ.: სკოლამდელი განათლება, ბაგა-ბაღები, კერძო კლინიკები) მისი მონაწილეობაც აუცილებელია. ამასთან ერთად, სავაჭრო პალატები, კორპორაციები და საქველმოქმედო ორგანიზაციები შეიძლება ბავშვთა უფლებების დაცვისა და ბავშვთა განვითარების ხელშემწყობი საქმიანობების ლიდერები გახდნენ.

ვერტიკალურ სიბრტყეში, მომსახურების პერიოდი გაიზარდა: თუ ადრე ის დაბადებიდან სამი ან ხუთი წლის ასაკამდე პერიოდს მოიცავდა, ამჟამად იგი ორსულობისთვის მზადების პერიოდიდან იწყება, პრენატალურ მომსახურებას მოიცავს და რვა წლის ასაკამდე გრძელდება. პრენატალური მომსახურების მიზანია მშობიარობის კარგი შედეგებით დასრულება, რაც ბავშვის განვითარების საფუძველს ქმნის. ადრეულ ასაკში განვითარების ხელშემწყობი იდეალური მომსახურება ბავშვის დაბადების მომენტიდან უწყვეტი ხდება. ის რვა წლის ასაკამდე ბავშვის შეფასებას, მომსახურებას, მონიტორინგს და ხელშეწყობას ითვალისწინებს, რათა მათ თავიანთი პოტენციალი სრულად აითვისონ და დაწყებით სკოლაში მომზადებულები შევიდნენ.

ადრეულ ასაკში განვითარების მიმართ კომპლექსური მიდგომა შეიძლება შემდეგნაირად დავახასიათოთ:

ყოვლისმომცველი მომსახურებების მიწოდება. მომსახურება, როგორც წესი, მოიცავს მცირეწლოვან ბავშვთა განვითარების სტიმულირებას, მშობლების განათლებას, ადრეულ განათლებას სახლებსა და ცენტრებში, განათლებას ჯანმრთელობის, კვების და ზრუნვის საკითხებში, სანიტარიას და სამართლებრივ დაცვას სასტიკი მოპყრობისგან, ექსპლოატაციისა და ძალადობისგან. თემებისთვის გაწეულმა თითოეულმა მომსახურებამ ხელი უნდა შეუწყოს და გააძლიეროს სხვა მომსახურებები.

ზრუნვის უწყვეტობის უზრუნველყოფა. კარგად კოორდინირებულმა და ინტეგრირებულმა სისტემებმა პრენატალური პერიოდიდან რვა წლის ასაკამდე ზრუნვის უწყვეტობა უნდა უზრუნველყოს, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება პრენატალურიდან სამი წლის ასაკამდე პერიოდს დაეთმობა, რადგანაც ამ ასაკში ბავშვის ტვინი, და ზოგადად ბავშვი, ყველაზე სწრაფად ვითარდება. ბიჭების და გოგონების განვითარებას თანაბარი ყურადღება უნდა დაეთმოს და ყველა სახის გენდერულ

დისკრიმინაციას თავი უნდა ავარიდოთ. ისეთ რეგიონებში, სადაც გოგონები „არ არიან“ ან ჯანმრთელობასთან, კვების ნაკლებობასთან და განვითარებასთან დაკავშირებული მეტი პრობლემა აქვთ, მათი გადარჩენისა და განვითარების უზრუნველყოფას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

მშობლებისა და მზრუნველი პირების განათლება და თემის ჩართულობა. პროგრამები ხშირად ითვალისწინებენ მშობლებისა და მზრუნველი პირების ინფორმირებას ბავშვთა ქცევის მართვის წესების და სწავლების გზების შესახებ. როგორც წესი, ასეთი მომსახურება დედებს, მამებს, მზრუნველებს და ოჯახის სხვა წევრებს მიეწოდებათ. ადრეულ ასაკში განვითარების კომპლექსური პროგრამების შემუშავება, დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება თემების მონაწილეობით მიმდინარეობს, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან პროგრამების მხარდაჭერას უზრუნველყოფს.

ადგილობრივი კულტურის თავისებურებების გათვალისწინებით შედგენილი პროგრამების შეფასება. ადრეულ ასაკში განვითარების ხელშემწყობი მომსახურებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ეთნიკური, ლინგვისტური, ეკონომიკური და რელიგიური ჯგუფისთვის. მშობლების განათლებისა და ბავშვთა ადრეული განათლების პროგრამები ადგილობრივი კულტურის გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს, რისთვისაც აუცილებელია ერთიანი რესურსების ადაპტირება ადგილობრივი კულტურებისა და ენებისთვის. ამ გზით ადგილობრივ მოსახლეობას პროგრამების უცხო მოდელებს თავს არ მოვახვევთ.

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მომსახურება. მომსახურება ობოლი და აივ/შიდსით ინფიცირებული ბავშვების საჭიროებებზეც უნდა იყოს მორგებული.

ადრეულ ასაკში განვითარების იდეალური სისტემები მშობელთა სრული მონაწილეობით არის შემუშავებული. ისინი ყოველმხრივ, უწყვეტ, ადგილობრივი კულტურისთვის მისაღებ და თემის ჩართულობით მიმდინარე პროგრამებს წარმოადგენენ. მშობლები თავისი შვილების მთავარი და საუკეთესო აღმზრდელები, მასწავლებლები და განვითარების ხელშემწყობი პირები უნდა გახდნენ.

კონფლიქტით დაზარალებულმა ბავშვებმა და დედებმა პრიორიტეტულად უნდა მიიღონ მშობლებისთვის განკუთვნილი და ბავშვის განვითარების ხელშემწყობი ისეთი მომსახურებები, როგორიცაა მაგალითად, გაეროს ბავშვთა ფონდის „ბავშვზე მორგებული სივრცის პროგრამა“.[24] აღნიშნულმა პროგრამებმა შეზღუდული შესაძლებლობის, ქუჩაში მცხოვრები და სხვა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ინკლუზიური მომსახურება უნდა უზრუნველყონ.

მიუხედავად ამისა, ქვეყნების უმეტესობა ასეთი იდეალური მოდელისგან შორსაა. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვის მიმართ კომპლექსური მიდგომა ამ მიზნის მისაღწევად საჭირო საკოორდინაციო სისტემების შექმნის სტრატეგიების განსაზღვრაში უნდა დაგვეხმაროს. ეს შეიძლება უწყებათაშორისი საბჭოების შექმნისა და ერთობლივ პროგრამებში მონაწილეობის გზით მიიღწეს, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეებზე. ზოგიერთმა ქვეყანამ შეიძლება, კოლუმბიის მსგავსად, ეროვნულ დონეზე მსგავსი ინტეგრირებული სისტემების და ნახევრად ავტონომიური ინსტიტუტების შექმნა მოახერხოს, თუმცა ქვეყნების უმეტესობას ამის გაკეთება უჭირს.[25] **ქვემოთ მოყვანილია იმ**

ძირითადი ამოცანების მაგალითები, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნები ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მიმართ კომპლექსური მიდგომის დროს ისახავენ:

1. ბავშვებისთვის ყოვლისმომცველი პროგრამების შემუშავების ხელშემწყობი სტრატეგიების, პროცედურების, სტანდარტების, მარეგულირებელი წესების და კანონმდებლობის დანერგვა;
2. სხვადასხვა სამთავრობო უწყებების და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ამოცანების, მიზნების და სტრატეგიების ჰარმონიზაცია;
3. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ელემენტების შეტანა თითოეული სექტორის გეგმებში, რაც დარგის შიგნით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათ რეგულარულ განხილვას უზრუნველყოფს;
4. ცენტრალური სამთავრობო უწყებებისთვის დახმარების გაწევა, ადრეულ ასაკში განვითარების ხელშემწყობი მომსახურების ადგილობრივ საჭიროებებზე უფრო სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, განსაკუთრებით მოწყვლადი ბავშვებისა და მათი მშობლების შემთხვევაში.
5. ადმინისტრაციული როლებისა და მომსახურებების კომბინირება, მწირი ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების მაქსიმალური გამოყენების მიზნით და პოლივალენტური სფეროების ლიდერებისა და მუშაკების ტრენინგის უზრუნველყოფა;
6. ისეთი საკოორდინაციო სისტემების შექმნა, რომლებიც პროგრამების შემმუშავებელ პირებს, ადმინისტრატორებს, ობიექტებზე მომუშავე პერსონალს და შემფასებლებს, ადრეულ ასაკში განვითარების ამოცანების მისაღწევად გუნდური მუშაობის საშუალებას მისცემენ.

ადრეულ ასაკში განვითარებასთან დაკავშირებული მრავალდარგობრივი სამუშაოები შეიძლება უფრო მასშტაბური, ეროვნული პოლიტიკის რამდენიმე სხვადასხვა ამოსავალ დოკუმენტში გაერთიანდეს:

- უკიდურესი სიღარიბის დაძლევისა და აღმოფხვრის სახელმწიფო პოლიტიკა;
- სახელმწიფო ეკონომიკის დაგეგმვა პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით,
- დარგთაშორისი ხელშეკრულებები, რომლებიც ბავშვებისა და მათი ოჯახების საკითხებს ეხება (მაგ.: აივ/შიდსით ინფიცირებული მოსახლეობისთვის განკუთვნილი მომსახურება, ლტოლვილებთან და იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობასთან დაკავშირებული პოლიტიკა, სახელმწიფო ნუტრიციული გეგმები და ა.შ.).

პოლიტიკის ინტეგრაცია სამინისტროების შერწყმას, შექმნას ან გაუქმებას არ გულისხმობს, თუმცა პოლიტიკური მოსაზრებებით ამის გაკეთებაც შესაძლებელია. ინტეგრაცია სხვადასხვა ადმინისტრაციულ დონეებზე, როგორც წესი, სხვადასხვა ფორმებს იღებს და თითოეულ ქვეყანაში მთავრობისა და დარგების დეცენტრალიზაციის ხარისხზეა დამოკიდებული. იმისათვის, რათა ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკამ შედეგი გამოიღოს, ის მართვის თითოეულ დონეზე სხვადასხვა ორგანიზაციების როლებისა და პასუხისგებლობების აღწერას უნდა შეიცავდეს. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების მიმართ ინტეგრირებული მიდგომის დანერგვა შესაძლებელია სახელმწიფო დონეზე, საბჭოებისა შექმნისა და ინსტიტუტების თანამშრომლობის გზით. ასეთი მექანიზმები შეიძლება შემუშავდეს და განისაზღვროს პროვინციის ან რეგიონის დონეზე და მოერგოს, განხორციელდეს და

შეფასდეს ადგილობრივ დონეებზე. განსხვავებული ინსტიტუციური კულტურების გამო, სხვადასხვა ქვეყნები თანამშრომლობის, კოორდინაციის და ინტეგრაციის მიმართ სხვადასხვა მიდგომებს გამოიყენებენ.

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვა ცხოვრების ციკლის საფუძველზე

ცხოვრების ციკლის გათვალისწინება მნიშვნელოვანია ისეთი პროგრამების შემუშავებისას, რომლებიც მთელი ოჯახის დახმარებას და გარკვეული დროის შემდეგ კუმულატიური შედეგების მიღწევას ისახავენ მიზნად. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში ცხოვრების ციკლზე აგებული მიდგომის გამოყენების დროს ოთხი ძირითადი საწყისი პერიოდი უნდა გამოვყოთ. ესენია: პრენატალური და პერინატალური პერიოდი; დაბადებიდან სამი წლის ასაკამდე პერიოდი; სამიდან ხუთ წლამდე პერიოდი; და ექვსიდან რვა წლამდე პერიოდი. ამას თან ერთვის მშობლების განათლებისა და ხელშეწყობის ღონისძიებებიც.

პრენატალური და პერინატალური პერიოდები [26]

ბავშვების გადარჩენის, მათი განვითარების გაუმჯობესების, სიღარიბის დაძლევისა და ჯანდაცვის ხარჯების შემცირების მიზნით, მშობიარობის შედეგების გაუმჯობესებას, ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირებასა და წონანაკლული ახალშობილების რაოდენობის შემცირებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. მთელ მსოფლიოში, ყველაზე ღარიბი ორსული მოზარდები და ქალები პრენატალურ მომსახურებას ვერ იღებენ. მსოფლიო მასშტაბით პრენატალური მომსახურებით ქალების 70% სარგებლობს, მაგრამ სამხრეთ აზიაში იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 54%-ია, ხოლო საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში - 66%. უფრო მეტიც, მსოფლიო მასშტაბით სპეციალური მომზადების მქონე მეანების დახმარებით მშობიარობს ქალების მხოლოდ 58%, სამხრეთ აზიაში - 35%, ხოლო საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში - 42%. ამის შემდეგ გასაკვირი აღარ არის, რომ ყოველი 100 000 მშობიარობიდან 400 - დედის, ხოლო ყოველი 1000 მშობიარობიდან 56 - ახალშობილის სიკვდილით მთავრდება. ყოველი ათასი მშობიარობიდან, ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის საშუალო მაჩვენებელია 196. ეს მაჩვენებელი (ყოველ 1000 მშობიარობაზე გაანგარიშებით) შემაძრწუნებელია საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში - 262, შუა აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში - 250, სამხრეთ აფრიკაში - 244 და აღმოსავლეთ აფრიკასა და წყნარი ოკეანის აუზში - 207. ამის საპირისპიროდ, განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის საშუალო მაჩვენებელია 39 ყოველ 1000 მშობიარობაზე.[27]

კვლევა გვიჩვენებს, რომ დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა და წონანაკლული (2500 გრამზე ნაკლები) ახალშობილების რაოდენობა შეიძლება საგრძნობლად შემცირდეს მშობიარობის პირველ ტრიმესტრში გაწეული პრენატალური სამედიცინო მომსახურების შემთხვევაში, რომელიც ითვალისწინებს საკვები დანამატების საჭიროებისამებრ მიწოდებას და სახლში ვიზიტებს მომავალი მშობლების ინფორმირების მიზნით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ბავშვის განვითარება, ჯანმრთელობა, კვება და ბავშვზე ზრუნვის უნარები.[28] უფრო მკაცრი კონტროლის ქვეშ შესრულებული კვლევის საჭიროების მიუხედავად, არსებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთ პროგრამებში მაღალი რისკის ჯგუფში შემავალი, მოწყვლადი ბავშვების მშობლების მონაწილეობის შემთხვევაში, მათ ნაკლებად

ინტენსიური პოსტნატალური დახმარება სჭირდებათ. ერთი ნაადრევად დაბადებული წონანაკლული ახალშობილის ინტენსიური ჰოსპიტალური მოვლის ხარჯები ხშირად შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვიდრე ასობით ბავშვის სამედიცინო შემოწმება და შეფასება.

დაბადებიდან სამ წლამდე: ტვინის სწრაფი ზრდა და მშობლების ინფორმირება

ტვინის იმ უბნების უმეტესობა, რომლებიც სწავლასა და დაბალანსებულ სოციალურ და ემოციურ ფუნქციონირებაზე აგებენ პასუხს, ორსულობიდან სამი წლის ასაკამდე კრიტიკული მნიშვნელობის პერიოდში ვითარდება.[29] განვითარებაში ჩამორჩენის პრევენცია ან იდენტიფიკაცია და შემობრუნება სწორედ ტვინის ამ სწრაფი ზრდის პერიოდში უნდა მოხდეს. მას შემდეგ, რაც ბავშვი სამი წლის გახდება, მის განვითარებაში არსებული ჩამორჩენის დაძლევა სულ უფრო ძნელი ხდება. განვითარების ამ ადრეულ ასაკში მყოფი ბავშვების მშობლების განათლება და ხელშეწყობა კრიტიკულად აუცილებელია, განსაკუთრებით, როდესაც საქმე გვაქვს მოწყვლად ან მაღალი რისკის ჯგუფში შემავალ ბავშვებთან, რომლებიც სიღარიბის, კონფლიქტის, შიმშილის ან ქრონიკული დაავადებების მსხვერპლნი არიან. ნოლიდან სამი წლის ასაკამდე ბავშვების მშობლებისთვის განკუთვნილმა ზოგიერთმა პროგრამამ ბავშვთა გადარჩენის მაჩვენებლები გააუმჯობესა და შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია ბავშვთა განვითარების, ჯანმრთელობის, სკოლაში წარმატების და საბოლოო ჯამში, ეკონომიკური პროდუქტიულობის ზრდისა და დანაშაულის შემცირების თვალსაზრისით.[30]

სამიდან ექვს წლამდე: ყურადღების კონცენტრირება ზრუნვასა და სკოლამდელ განათლებაზე

სკოლამდელი პროგრამების შეფასებამ აგრეთვე აჩვენა პოზიტიური შედეგები. ნეპალში, დაწყებით სკოლაში ჩაირიცხა იმ ბავშვების 90%, რომლებიც სკოლამდელ დაწესებულებებში დადიოდნენ და მხოლოდ 70% იმ ბავშვებისა, რომლებსაც სკოლამდელ დაწესებულებებში არ უვლიათ. მეორე კლასში გადავიდა იმ ბავშვების 80%, რომლებიც სკოლამდელ დაწესებულებებში დადიოდნენ და მხოლოდ 40% იმ ბავშვებისა, რომლებსაც არ უვლიათ სკოლამდელ დაწესებულებებში. სკოლამდელ დაწესებულებებში სიარულმა გოგონებს მეტი სარგებელი მოუტანა, ვიდრე ბიჭებს, თუმცა შედეგები დადებითი იყო ორივე შემთხვევაში.[31] ინდოეთში, ბიჰარის შტატში, ისტორიულად მოწყვლადი კასტებისა და სხვა დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის განკუთვნილმა სკოლამდელმა პროგრამამ - „მაჰილა სამახიამ“, მნიშვნელოვნად გაზარდა ბავშვების ჩარიცხვა ჯერ სკოლამდელ დაწესებულებებში, ხოლო შემდეგ დაწყებით და საშუალო სკოლებში. პროგრამის შედეგად აგრეთვე გაუმჯობესდა სკოლის მუშაობაში მშობლების ჩართულობა, ვაქცინაციის მაჩვენებლები და დიარეის მკურნალობა.[32]

თუმცა არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ მომუშავე დედებისგან ბავშვებს სერიოზულად აკლდებათ ყურადღება, ამჟამად აღიარებულია, რომ „…ახალშობილის განვითარების პრობლემები შეიძლება ასოცირდებოდეს დედის მუშაობასთან, მისი ცხოვრების პირველი ექვსი თვის განმავლობაში….“[33] განსაკუთრებით ამ მიზეზის გამო, აუცილებელია დეკრეტული შვებულების შესახებ ისეთი კანონების არსებობა, რომლებიც დედებს ახალშობილი ბავშვების სათანადოდ მოვლის საშუალებას მისცემს. განვითარებული

ინდუსტრიული ქვეყნები სულ უფრო მეტად აუმჯობესებენ დეკრეტულ შვებულებებთან დაკავშირებულ კანონმდებლობასა და პოლიტიკას.

განვითარებადი ქვეყნების კანონმდებლობები დეკრეტულ შვებულებას იშვითად ითვალისწინებს; აღნიშნულ ქვეყნებს სერიოზული დაფიქრება მართებთ ასეთი კანონმდებლობის შემოღებაზე. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა უნდა ეხმარებოდეს სახლის გარეთ მომუშავე დედებს მშობლისთვის აუცილებელი ცოდნის მიღებაში, ბავშვის სათანადო მოვლასა და მცირეწლოვანი ბავშვებისთვის სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფაში. თუ მოწყვლად, მაღალი რისკის მატარებელ ბავშვებს გვერდით მზრუნველი უფროსი არ ჰყავთ, მათ შეიძლება შემეცნებითი, სოციალური და ემოციური უნარების განვითარების ჩამორჩენა აღენიშნოთ. პოლიტიკა საგანგებოდ უნდა იყოს ასეთ ბავშვებზე ფოკუსირებული. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა ან მასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ასევე უნდა შეიცავდეს ბავშვთა ცენტრებში ადრეული ზრუნვის და განათლების მინიმალურ სტანდარტებს.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლმა ბავშვებმა შეიძლება ისეთი ფსიქოლოგიური ტრავმები მიიღონ, რომლებიც ცხოვრების ბოლომდე გაჰყვებათ. მოგვიანებით მათ შეიძლება იმგვარი ქცევა გამოავლინონ, როგორსაც სახლში იყვნენ მიჩვეულნი. კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლა სახელმწიფო მასშტაბით წარიმართოს. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა შეძლებისდაგვარად უნდა ითვალისწინებდეს ბავშვებისა და ოჯახების შეფასების სპეციალურად მომზადებულ სპეციალისტებთან რეფერირების სისტემის დანერგვას, ოჯახების ხელშემწყობი მომსახურებების გაწევას და პოზიტიური ზრუნვის უნარების სწავლებას. ასეთი მიდგომა შეიძლება უკეთესი იყოს, ვიდრე ბავშვთა დაცვის ცალკეული მომსახურებების შემოღება, რადგანაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბავშვის განვითარების საჭიროებებს ხშირად სათანადო ყურადღება არ ექცევა და აქცენტი ძირითადად კეთდება მეურვეობაზე, ფიზიკური დაზიანების პრევენციაზე, მართლმსაჯულებაზე, შვილად აყვანასა და ბავშვთა სახლებზე.

ექვსიდან რვა წლამდე: სკოლისთვის მზადყოფნა და სკოლაში შესვლა

კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სახლიდან სკოლაში გადასვლის ისეთი ხელშემწყობი პროგრამის არსებობას, რომელიც ადგილობრივი კულტურის თავისებურებებს ითვალისწინებს. კვლევამ გვიჩვენა, რომ სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები გაცილებით ნაკლებად არიან მომზადებულნი სკოლისთვის, ვიდრე საშუალო და მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახების ბავშვები, რომელთა დედებსაც ოფიციალური განათლება აქვთ მიღებული.[34] ამგვარად, ღარიბი ოჯახების შემთხვევაში ხშირად აუცილებელია მშობლების ინფორმირება და ხელშეწყობა, რომ მათ ბავშვებს სკოლაში საკუთარი პოტენციალის სრულად ათვისება შეეძლოთ.

მცირეწლოვანი ბავშვების განვითარებაში ინვესტირების უზრუნველყოფა

ქვეყანაში მცხოვრები ბავშვების სათანადო განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სათანადო ინვესტიციების ჩადება ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ღონისძიებებში. მიუხედავად ამისა, „ბავშვებთან და ოჯახებთან დაკავშირებული პოლიტიკის ცენტრის“ (CFPC) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ თუმცა

ბავშვის ტვინის ზრდისა და ზოგადი განვითარების თვალსაზრისით ცხოვრების პირველი ეტაპები (სამი და ხუთი წლის ასაკამდე) ყველაზე მნიშვნელოვანია, ამერიკის შეერთებული შტატების 12 შტატში აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფებისთვის გამოყოფილი ინვესტიციები, მომდევნო ასაკობრივი ჯგუფებისთვის განკუთვნილ ინვესტიციებთან შედარებით,მნიშვნელოვნად ნაკლებია,.[35] იგივე მდგომარეობა აღინიშნება ბევრ სხვა ქვეყანაშიც, სადაც გაცილებით მეტი ინვესტიციები იდება ხუთი ან ექვსი წლიდან ოფიციალური განათლების უზრუნველყოფაში. ქვემოთ მოცემული გრაფიკი საშუალებას გვაძლევს შევადაროთ სხვადასხვა ქვეყნების მიერ ნოლიდან ხუთ წლამდე და თოთხმეტიდან თვრამეტ წლამდე ბავშვების განვითარებაში ჩადებული ინვესტიციები.

ტვინის ზრდა და სახელმწიფო ინვესტიციები ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



CFPC, 2004

კონტრასტი ყოველთვის შოკის მომგვრელია. მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციების ნაკლებობის გამო ბავშვები სკოლისთვის მზად არ არიან და ხშირად აღენიშნებათ განვითარების ძლიერი ჩამორჩენა, უფროსი ასაკობრივი ჯგუფებისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ხარჯები გაცილებით უფრო მაღალია მცირეწლოვანი ბავშვების დაფინანსებასთან შედარებით. ასეთი ბავშვები ერთსა და იმავე კლასში რჩებიან და სკოლას თავს ანებებენ. ეს მნიშვნელოვნად ზრდის თითოეული ბავშვის განათლებაზე გაწეულ ხარჯებს და შესაბამისად, ამცირებს ბიუჯეტს, რომლის დახარჯვაც შესაძლებელი იქნებოდა ადრეულ ასაკში განვითარების გასაუმჯობესებლად. „მსოფლიო ბანკის“ გაანგარიშებით, დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში, ერთსა და იმავე კლასში ჩარჩენის მაჩვენებლის შემცირების შედეგად დაზოგილი თანხები საკმარისი იქნებოდა მშობლების ინფორმირებისა და სკოლამდელი განათლების ხარისხიანი ღონისძიებების დასაფინანსებლად.[36]

იმ ქვეყნებში, სადაც ახალშობილების, და ზოგადად, ბავშვების სიკვდილიანობის, წონანაკლული ახალშობილების, ბავშვთა დაავადებების, განვითარებაში ჩამორჩენის, მალნუტრიციის და ქრონიკული დაავადებების მაჩვენებლები მაღალია, **მშობლებისთვის/ბავშვებისთვის სათანადო ხარისხის პროგრამებისა ან ცენტრების შექმნა** პოლიტიკის მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს. ასეთი პროგრამები შეიძლება შემდეგ ღონისძიებებს მოიცავდნენ:

1) ექიმის ვიზიტი ბავშვთან, სახლში - ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების სამედიცინო შემოწმების, იდენტიფიცირების, შეფასების, მაღალი რისკის და განვითარების ჩამორჩენის გამოვლენის მიზნით;
2) მაღალი რისკის ჯგუფში შემავალი ოც წლამდე ასაკის ორსული მოზარდების, ქალების და მათი შვილების იდენტიფიკაცია, მხარდაჭერა და მონიტორინგი;
3) პროგრამების არსებული რესურსების შეფასება და პოტენციური ალტერნატიული რესურსების პროგნოზირება;
4) მშობლების ინფორმირება და მხარდაჭერა;
5) საყოველთაოდ ხელმისაწვდომი პროგრამების და ინტენსიური ღონისძიებების უზრუნველყოფა მაღალი რისკის ჯგუფის ოჯახებისთვის და სუსტი ჯანმრთელობის მქონე ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის;
6) გაუმჯობესებულ საბაზისო მომსახურებებს შორის კავშირების და რეფერირების ეფექტიანი სისტემის შექმნა;
7) მშობლების ჩართვა სკოლების მუშაობაში,
8) მომსახურების საჭიროების მქონე ოჯახების რეგულარული მონიტორინგი; მომსახურების ხელმისაწვდომობა და სარგებლობა თემების დონეზე.

მონაწილეობითი მიდგომა

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების პროცესში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა, პოლიტიკის სანდოობის შეფასების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს. კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში მონარქები, დიქტატორები, ცენტრალური სამთავრობო ორგანიზაციების მოხელეები და გარეშე საფინანსო ორგანიზაციებიც კი, ქვეყნების პოლიტიკას აყალიბებდნენ. მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე მშობლები, თემები, მომსახურების მიმწოდებლები და არასამთავრობო ორგანიზაციები იშვითად მონაწილეობდნენ იმ პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რომელიც მათ ცხოვრებაზე უშუალო ზემოქმედებას ახდენდა. ცალკეული იზოლირებული სამინისტროების მოხელეების მცირე ჯგუფების ან დონორი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სამთავრობო პოლიტიკა იშვიათად პასუხობდა ხალხის საჭიროებებს და მიზნებს. საბოლოო ჯამში, მთავრობა წარუმატებელი პოლიტიკის მიმართ ინტერესს კარგავს, მტვრიან თაროზე შემოდებს და ივიწყებს. **განათლების და ჯანდაცვის სფეროში ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაგეგმილმა წარუმატებელმა რეფორმებმა ნათლად აჩვენა, რომ ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, ყველა დონეზე, ფართო კონსულტაციების ჩატარებას და კონსენსუსის მიღწევა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.**[37]

პოლიტიკის დაგეგმვაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ბევრი მიზეზი არსებობს. მონაწილე მხარეებთან კონსულტაციების გამართვის და კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, მეტია ალბათობა, რომმათთვის ეს პოლიტიკა მისაღები იქნება და მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ისინი მისი დებულებებით იხელმძღვანელებენ. მთელი ქვეყნის მასშტაბით მონაწილე მხარეებთან კონსულტაციების გამართვა სრულიად აუცილებელია მისი მხარდამჭერი პირებისა და ორგანიზაციების „კრიტიკული მასის“ მისაღებად. კონსულტაციების დროს მონაწილე მხარეები პრიორიტეტული საჭიროებების გამოვლენასა და ანალიზში მონაწილეობენ და თავს პოლიტიკის თანაავტორობად მიიჩნევენ. ამის შედეგად, ისინი პოლიტიკაში

ჩამოყალიბებულ დებულებებს გაითავისებენ და მათ განხორციელებას ხელს შეუწყობენ. ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ლიდერები, პოლიტიკის ადვოკატირებით, მხარს დაუჭერენ ბავშვთა მომსახურებაში ინვესტიციების ზრდას და პოლიტიკის განხორციელებას უზრუნველყოფენ. ასეთი ფართო მონაწილეობა სამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული რესურსები, მოიძიონ ახალი რესურსები და შექმნან ახალი კომპლექსური პროგრამები, პარტნიორული ურთიერთობები და ქსელები. საერთაშორისო დონორები ბავშვთა მომსახურებაში ინვესტიციების ჩადებას უფრო საიმედოდ მიიჩნევენ. ბავშვების საჭიროებების, პოლიტიკის და პროგრამების შესახებ ინფორმირებულ საზოგადოებაში ბავშვთა საბაზისო მომსახურებებზე მოთხოვნილება გაიზრდება. ეს მოთხოვნილება ბიძგს მისცემს „ქმედითი ციკლის“ დაწყებას, რადგანაც პოლიტიკის მიმართ მზარდი საზოგადოებრივი ინტერესი და მხარდაჭერა მთავრობებს და მათ ლიდერებს სტიმულს მისცემს, გაზარდონ ინვესტიციები ბავშვების საჭიროებებში. ფაქტობრივად, როდესაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ადამიანებს აზრს ეკითხები, ისინი ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ძირითად პრინციპებს ითვისებენ და მიიჩნევენ, რომ სასარგებლო საქმეს აკეთებენ. საბოლოო ჯამში, პოლიტიკა მათ საკუთარი სამუშაოს და ცხოვრების სტრუქტურის ჩამოყალიბებაში ეხმარებათ.

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ეფექტიანი მონაწილეობისთვის სრულიად აუცილებელია, რომ მის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ოფიციალური პირები მონდომებულნი იყვნენ ჩაატარონ კონსულტაციები და მიაღწიონ კონსენსუსს. მათ თავიდანვე უნდა ესმოდეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მშობლების, თემების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და კერძო სექტორის მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავების ყველა ეტაპზე.

პოლიტიკის შესაბამისობა ქვეყნის სხვა ამოცანებთან

საერთაშორისო ორგანიზაციები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ „ათასწლეულის განვითარების ამოცანებში“ და სიღარიბის დაძლევის ეროვნულ სტრატეგიებში დასახულის შესრულებას, დარგობრივ მიდგომებს,[38] აივ/შიდსთან ბრძოლის გეგმებს და სხვა პოლიტიკებს. ათასწლეულის განვითარების რამდენიმე ამოცანა უშუალოდ არის დაკავშირებული ადრეულ ასაკში განვითარების შედეგების გაუმჯობესებასთან. იმისთვის, რომ განვითარებად ქვეყნებში ათასწლეულის განვითარების ამოცანების შესრულება შესაძლებელი გახდეს, ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ღონისძიებებში მეტი ინვესტიციები უნდა ჩაიდოს. **მე-2 დანართში წარმოდგენილი, ადრეულ ასაკში განვითარების ინდიკატორები, ათასწლეულის განვითარების ამოცანებთან არის დაკავშირებული.** აშკარაა, რომ ათასწლეულის განვითარების რამდენიმე ამოცანა ადრეულ ასაკში განვითარებას ითვალისწინებს. „ათასწლეულის განვითარების ამოცანები“ ძალიან ზოგადია, რადგანაც მათში ბევრი სხვადასხვა ინდიკატორი და ქვე-ინდიკატორი უნდა გაერთიანებულიყო. სიღარიბის დაძლევის სტრატეგიებში მოცემული ინდიკატორები ადგილობრივი რეალობის მიმართ უფრო სენსიტიურნი არიან. საჰარის სამხრეთით მდებარე რამდენიმე ქვეყნის სიღარიბის დაძლევის სტრატეგიებში მოცემულ ინდიკატორთა განხილვის შემდეგ ნათელი გახდა, რომ მათი 30-70% ადრეულ ასაკში განვითარების მიმართ კომპლექსურ მიდგომას უკავშირდება. სიღარიბის დაძლევის სტრატეგიებში დასახული მიზნების მისაღწევად აღნიშნულ ქვეყნებს ადრეულ ასაკში განვითარების ღონისძიებებისთვის განკუთვნილი

ინვესტიციების მნიშვნელოვანი გაზრდა მოუწევთ. ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა და ჩარჩო პოლიტიკა საგულდაგულოდ უნდა იყოს შესაბამისობაში მოყვანილი „ათასწლეულის განვითარების ამოცანებთან“ და ეროვნულ მრავალდარგობრივ პოლიტიკასთან და გეგმებთან, როგორიცაა მაგალითად: სიღარიბის დაძლევის სტრატეგია, ობოლ და მოწყვლად ბავშვებზე ზრუნვის პოლიტიკა (OVYC) და აივ/შიდსის წინააღმდეგ ბრძოლა,[39] ქალებისა და ოჯახების განვითარება, სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა და სხვა. შესაძლებლობის ფარგლებში, ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა / ჩარჩო პოლიტიკა შესაბამისობაში უნდა იყოს დარგობრივ პოლიტიკებთან და გეგმებთან და ითვალისწინებდეს მთლიანი დარგის მიმართ კომპლექსურ მიდგომას განათლების, ჯანდაცვის, სანიტარიის, წყალმომარაგების, სოფლის მეურნეობის, სოფლის განვითარების, ურბანული და მუნიციპალური განვითარების და სხვა სათანადო სფეროებში.

ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკაში სიღარიბის დაძლევის სტრატეგიით განსაზღვრული ინდიკატორების გონივრული გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (იხ.: **დანართი XII: პოლიტიკის ინდიკატორების განსაზღვრა და შერჩევის ინსტრუქციები**). სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის მქონე ყველა ქვეყანას უკვე ჩადებული აქვს მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინდიკატორების დადგენაში, გასატარებელი ღონისძიებების აღწერაში, მიზნების განსაზღვრაში, მონაცემების შეგროვებასა და ანალიზში და ანგარიშების მომზადებაში. სასურველია, რომ ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში უპირველეს ყოვლისა „ათასწლეულის განვითარების ამოცანების“ და სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის ინდიკატორები შევიდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეივსოს დანარჩენი ინდიკატორებით, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკის შედეგების შესაფასებლად, წლიური სამოქმედო გეგმების შესადგენად და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ანგარიშების მოსამზადებლად არის საჭირო.

პოლიტიკაში ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული მცირეწლოვან ბავშვებთან დაკავშირებული მარეგულირებელი კანონმდებლობის, სტანდარტების, ბრძანებულებების, კანონების და სხვა ოფიციალური დოკუმენტების მოთხოვნები. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკამ შეძლებისდაგვარად უნდა ასახოს აღნიშნული დოკუმენტების ყველა ძირითადი დებულება; მან აგრეთვე უნდა გამოავლინოს და დაძლიოს კანონმდებლობაში არსებული შეუსაბამობები, ნაკლოვანებები და დუბლირება და მოგვცეს კოორდინაციის ქმედითი მექანიზმები მცირეწლოვანი ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის სრულფასოვანი მომსახურების უზრუნველსაყოფად. უფრო დეტალური ინსტრუქციები, სახელმძღვანელოები და მარეგულირებელი წესები „ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში უნდა შემუშავდეს.

სქოლიო და განმარტებები

[2] სხვადასხვა პოლიტიკურ დოკუმენტებში მცირეწლოვანი ბავშვებისთვის განკუთვნილი მომსახურებების აღსანიშნავად ბევრ სხვადასხვა ტერმინს იყენებენ. მაგ.: „ზრუნვა და განათლება ადრეულ ასაკში“, „ადრეული განათლება და ზრუნვა“, „ბავშვის განვითარება ადრეულ ასაკში“, „განვითარება ადრეულ ბავშვობაში“ და ა.შ. ორსულობიდან რვა წლის ასაკამდე პერიოდში საჭიროა არა მხოლოდ „ადრეული განათლება და ზრუნვა“, არამედ მშობლების ინფორმირებაც, სახლში ვიზიტები კვების, ჯანმრთელობის, ჰიგიენის, ჩვილის განვითარების სტიმულირების საკითხებზე რჩევების მისაცემად, ადგილობრივი მომსახურება და ძალიან ბევრი სხვადასხვა მომსახურება ჯანდაცვის, კვების, ჰიგიენის, უსაფრთხოების სფეროში. ამის გამო, ავტორმა არჩევანი შეაჩერა ტერმინზე „ადრეულ ასაკში განვითარება“. ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში და მცირეწლოვან ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა ქვესაკითხს მოიცავს. ის ბავშვთა კომპლექსური განვითარების მიმართ ინტეგრირებული მიდგომის გამოყენების საშუალებას იძლევა.

[3] ტერმინი „ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო (სახელმწიფო) პოლიტიკა“ (ECD) ყოველთვის მოიცავს „ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნულ (სახელმწიფო) ჩარჩო-პოლიტიკასაც“, იმის მიუხედავად, რომ ტერმინი „ჩარჩო-პოლიტიკა“ შეიძლება ყოველთვის არ იყოს ნახსენები. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკისა და ჩარჩო პოლიტიკის შემუშავების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ.: **დანართი III: ძირითადი განსაზღვრებები ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვისთვის**.

[4] მოცულობასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, ეს „სახელმძღვანელო“ არ შეიცავს ადრეულ ასაკში განვითარების არსებული პოლიტიკების ვრცელ ანალიზს. მომავალში ავტორს განზრახული აქვს დეტალურად გააანალიზოს სხვადასხვა ქვეყნების „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა და ჩარჩო-პოლიტიკა“.

[5] Sommers, M. (June 2002). Children, Education and War: Reaching Education for All Objectives in Countries Affected by Conflict in *Conflict Resolutions and Reconstruction Unit, Working Papers, No. 1*. Washington, DC: World Bank.

Vargas-Baron, E. and McClure, M. (1998). “The New Heroics of Generational Commitment: Education in Nations with Chronic Crises” in *Education as an Humanitarian Response*, Retamal G. and Aedo-Richmond, R. eds. London: Cassell.

[6] UNESCO. (2004). Implementation Guidelines for the UNESCO/Oადრეულ ასაკში განვითარების (ECD) Early Childhood Policy Review Project. Paris: UNESCO. This project is being conducted in Brazil, Indonesia, Kazakhstan, and Turkey.

[7] Vargas-Baron, E. (1992). *An Investment Plan for the Young: The Austin Project*. Lyndon Baines Johnson Library. Austin, Texas.

[8] Shonkoff, J.P. & Phillips, D. (Eds.) (2000). *From Neurons to Neighborhoods: The Science of Early Childhood Development*. კომიტეტი on Integrating the Science of Early Childhood Development. Washington, DC: National Academy Press.

[9] Stephens, S.A. (2001). “Implementing and Evaluating Variations of Proven and Promising Home Visiting Models,” Center for Assessment and Policy Development.

[10] Klein, L. G. Ed. (2002). *Set for Success: Building a Strong Foundation for School Readiness Based on the Social-Emotional Development of Young Children*. Kansas City: Ewing Marion Kauffman Foundation.

[11] NICHD Early Child Care Research Network. (May 2002). “Child-Care Structure: Process— Outcome: Direct and Indirect Effects of Child-Care Quality on Young Children’s Development*.” Psychological Science*, Vol. 13, No. pp. 199 – 206.

[12] UNICEF. (2004). *The State of the World’s Children*. New York: UNICEF.

[13] UNICEF. *The State of the World’s Children*. Ibid.

[14] UNICEF, *The State of the World’s Children*. Ibid.

[15] UNICEF. *The State of the World’s Children*. Ibid. (below minus two standard deviations from medium height for age of reference population)

[16] UNICEF. *The State of the World’s Children*. Ibid. [17] UNICEF. *The State of the World’s Children*. Ibid.

[18] Vargas-Barón, E. and H. Bernal Alarcón. (in press for 2005*). From Bullets to Blackboards: Education for Peace in Latin America and Asia*. Washington, DC: Inter-American Development Bank. UNICEF. *State of the World’s Children*, Ibid.

[19] UNICEF. *The State of the World’s Children*. Ibid.

[20] United Nations. (1948). *United Nations Universal Declaration of Human Rights*, New York:

United Nations; UNESCO. (2000). *Dakar Framework for Action*, World Education Conference. Dakar: UNESCO.

[21] Arango, M. (1990). Child Care Policies: The Colombian Case. Paper prepared for the International Conference on Child Policies, Gotemburg, Sweden. Fort Lauderdale: International Centre for Education and Human Development, CINDE/USA.

[22] Olmsted, P. P. (1980). Parent Education: the Contributions of Ira J. Gordon. Washington D.C.: Association for Childhood Education International.

Gordon, I. J. (March-April, 1969). “Stimulation via Parent Education.” *Children*.

Gordon I. J. & J. R. Lally. (1967). *Intellectual Stimulation for Infants and Toddlers*. Gainesville, Florida: Institute for Development of Human Resources. University of Florida. Gainesville, Florida.

Barnett, W. S. (1996). *Lives in the balance: Age-27 benefit-cost analysis of the High/Scope Perry Preschool Programme.*

Monographs of the High/Scope Educational Research Foundation, 11. Ypsilanti, MI: High/Scope Press.

Campbell, F. A., Ramey, C. T., Pungello, E. P., Sparling, J., & Miller-Johnson, S. (2002). Early Childhood Education: Young Adult Outcomes from Abecedarian Project. *Applied Developmental Science, 6*, 42-57.

[23] Super, C.M, M. Herrera, G. and Mora, J.O. (1992). “Long-Term Effects of Food Supplementation and Psychosocial Intervention on the Physical Growth of Colombian Infants at Risk of Malnutrition,” *Annual Progress in*

Child Psychiatry and Child Development 1991, pp. 160-189. New York: Bruner/Mazel, Publishers. ეთიკური მოსაზრებების გამო ამ პროგრამის დუბლირება, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, შეუძლებელია,.

[24] UNICEF. (2001). "The Effects of Armed Conflict on Early Childhood." *State of the World's Children*. New York: UNICEF.

[25] ICBF website: http://www.icbf.gov.co/ingles/general.asp

[26] გამოიყენება სხვადასხვა ტერმინები: „პრენატალური" - აღნიშნავს ორსულობას ბავშვის დაბადებამდე (დიდ ბრიტანეთში ამ პერიოდის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი "antenatal" „ანტენატალური"); ტერმინი „პერინატალური" აღნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება დაახლოებით ორსულობის 28-ე კვირიდან და გრძელდება ბავშვის დაბადებიდან ერთი თვის განმავლობაში, ხოლო ტერმინი „პოსტნატალური" აღნიშნავს უშუალოდ დაბადების შემდგომ პერიოდს.

[27] UNICEF. *The State of the World's Children*. Ibid.

[28] CEDEN. (1989). *Evaluation of the Prenatal Education Programme*. Austin: CEDEN. [29] Shonkoff, Ibid.

[30] Following are a few of the many useful references that could be provided:

Love, J. L. et al. (June 2002). *Making a Difference in the Lives of Infants and Toddlers and Their Families: The Impacts of Early Head Start*, Administration on Children, Youth and Families, Washington, DC: U.S. Department of Health and Human Services.

Campbell, F. A., Ramey, C. T., Pungello, E. P., Sparling, J., & Miller-Johnson, S. (2002). Early Childhood Education: Young Adult Outcomes from the Abecedarian Project. *Applied Developmental Science, 6*, 42-57. ამ სტატიაში წარმოდგენილია 21 წლის ასაკის მონაწილეების ინტელექტუალური ფუნქციონირებისა და აკადემიური მოსწრების კვლევის შედეგები; აგრეთვე „წარმატებული ცხოვრების" შეფასების პარამეტრები, როგორიცაა განათლება, დასაქმება, სოციალური მდგომარეობის გამოსწორება და ა.შ.

Barnett, W. S. (1996). *Lives in the balance: Age-27 benefit-cost analysis of the High/Scope Perry Preschool Programme* (Monographs of the High/Scope Educational Research Foundation, 11). Ypsilanti, MI: High/Scope Press.

[31] Save the Children. (2003). *What's the Difference? An ECD impact study from Nepal*. Kathmandu, Nepal: Save the Children.

[32] Jansenns, W. (May, 2004). Social Capital and Early Childhood Development. Amsterdam Institute for International Development. PowerPoint presentation at the World Bank.

[33] National Scientific Council on the Developing Child. (2004). *Young Children Develop in an Environment of Relationships*, Working Paper #1. Waltham, Massachusetts: Brandeis University. http://www.developingchild.net/reports.shtml

[34] Coley, R.J. (March 2002). *An Uneven Start: Indicators of Inequality in School Readiness*, Policy Information Report. Princeton, New Jersey: Educational Testing Service.

[35] Bruner, C. et al. (February, 2004). *Early Learning Left Out: An Examination of Public Investments in Education and Development by Child Age*. Des Moines, Iowa: Child and Family Policy Centre.

[36] Jaramillo, A and Mingat, A. (April 2003). Early Childhood Care and Education in Sub-Saharan Africa: What Would it Take to Meet the Millennium Development Goals? Washington, DC: World Bank.

[37] Crouch, L. and Healey, F. H. (1997). *Education Reform Support*, vols. 1 to 6. Washington, DC: U.S. Agency for International Development.

[38] „მთლიანი დარგის მიმართ კომპლექსური მიდგომა" წარმოადგენს ქვეყნის მიერ გაწეულ ძალისხმევას მთლიანი დარგის კომპლექსური დაგეგმვისა და დონორთა ინვესტიციების კოორდინაციის მიზნით (ინვესტიციების გაერთიანების ჩათვლით), შეთანხმებული დარგობრივი ჩარჩო-პოლიტიკის და სტრატეგიის ფარგლებში, განხორციელების ჰარმონიზებული მექანიზმებით.

ამჟამად ავტორი, ტანზანიელ სპეციალისტებთან ერთად, მოწყვლადი მცირეწლოვანი ბავშვების ხელშეწყობის პირველ ეროვნულ დარგთაშორის პოლიტიკაზე მუშაობს, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება აივ/შიდსით ინფიცირებულ ბავშვებს ეთმობა. ავტორები იმედოვნებენ, რომ ეს მიდგომა სასარგებლო მაგალითი იქნება მსგავსი გამოწვევების მქონე სხვა ქვეყნებისთვისაც.

თავი 2

დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით „ადრეული განვითარების პოლიტიკის“ შემუშავების ხუთი ეტაპი

I ეტაპი: მოსამზადებელი სამუშაოები

ჩვენ თავადაც ვგრძნობთ, რომ რასაც ვაკეთებთ, ზღვაში წვეთია. მაგრამ ამ ერთი წვეთის გარეშე ზღვა უფრო პატარა იქნებოდა.

დედა ტერეზა, მაკედონიელი და ინდოელი მისიონერი, **1910 –1997**

პირველი ეტაპის დაწყებამდე აუცილებელია ქვემოთ ჩამოთვლილი
დანართების წაკითხვა:

დანართი III: ძირითადი განსაზღვრებები ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვისთვის

დანართი IV: მინიშნებები წარმატებული პოლიტიკის დასაგეგმად

საკონტროლო სია თითოეული ეტაპის დასაწყისში უნდა შემუშავდეს. ის სამუშაოების დასაგეგმად და პროცესის მიმდინარეობის შესაფასებლად არის საჭირო. თითოეული ეტაპის ფაზები ზოგადად უნდა განისაზღვროს და მათი თანმიმდევრობა დაახლოებით უნდა იყოს დაცული, თუმცა, პოლიტიკაზე მომუშავე გუნდის გადაწყვეტილებით, მათი განხორციელება უფრო ადრეც შეიძლება. ზოგადად თითოეული ეტაპის აქტივობები მომდევნო ეტაპის დაწყებამდე უნდა დასრულდეს.

I ეტაპი: მოსამზადებელი სამუშაოები

I ეტაპის ღონისძიებების საკონტროლო სია : მომზადება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1.1 ლიდერის შერჩევა ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შესამუშავებლად;		
1.2 ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამინისტროს შერჩევა;		
1.3 პოლიტიკის საკითხებში გარე კონსულტანტის შერჩევა;		
1.4 პოლიტიკაზე მუშაობის პროცესის საწყისი საორგანიზაციო სტრუქტურის შექმნა;		
1.5 ადრეულ ასაკში განვითარების საბჭოს ჩამოყალიბება ან განახლება და მოწვევა;		
1.6 ძირითადი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია;		
1.7 პოლიტიკაზე მომუშავე გუნდის ხელმძღვანელის და წევრების შერჩევა;		
1.8 პოლიტიკაზე მომუშავე გუნდის კომიტეტების შექმნა; მათი თავმჯდომარეების და წევრების არჩევა;		
1.9 პოლიტიკაზე მომუშავე გუნდის პირველი სამოქმედო გეგმის შედგენა;		
1.10 ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული ფორუმის გეგმის მომზადება და შეხვედრების დაგეგმვა;		
1.11 პოლიტიკაზე მომუშავე გუნდის ტრენინგის დაგეგმვა და განხორციელება;		
1.12 პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის პირველი საინვესტიციო გეგმის მომზადება;		

1.13 პოტენციურ დონორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პირველი შეხვედრის ჩატარება;		
1.14 ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის პირველი შავი მონახაზის შემუშავება.		

1.1 ლიდერის შერჩევა ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შესამუშავებლად

პოლიტიკის შემუშავების პროცესში პირველი გადაწყვეტილებები მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შემდეგ უნდა მიიღებოდეს. ეს გადაწყვეტილებები აუცილებლად პილიტიკური იქნება, რადგანაც ქვეყნის ლიდერების მხარდაჭერა აუცილებელია პროცესის ყველა ეტაპზე. ხშირად სახელმწიფოს ხელმძღვანელი, მინისტრთა კაბინეტი, დამგეგმავი სამინისტრო, ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭო ან რომელიმე კონკრეტული ძლიერი სამინისტრო საწყისი გადაწყვეტილებების მიღების ან დამტკიცების პროცესში ლიდერის როლს კისრულობს. ზოგჯერ ბავშვების მხარდაჭერის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი კონკრეტული სამინისტრო უკვე განსაზღვრულია. გარე პარტნიორებმა შეიძლება კონსულტანტების როლი შეასრულონ, მაგრამ ისინი არ უნდა ჩაერიონ ქვეყნის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში (სახელმწიფო მათგან ასეთ ჩარევას არც უნდა ელოდოს).

პირველ ეტაპზე მისაღები ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების პროცესისთვის მაღალი რანგის ადგილობრივი ლიდერის შერჩევაა. ის ადრეულ ასაკში განვითარების მოძრაობის სიმბოლური ლიდერი გახდება და ამ როლის შესასრულებლად სრული მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს. ადრეულ ასაკში განვითარების ხელშეწყობის სფეროში ლიდერის როლს, როგორც წესი, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი პირი ასრულებს: პრეზიდენტი ან ყოფილი პრეზიდენტი; პრემიერმინისტრი, ვიცეპრეზიდენტი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე, წამყვანი პარლამენტარი ან მინისტრი (ე.ი. ფინანსთა, განათლების ან ჯანდაცვის მინისტრი), ან პოპულარული ეროვნული ლიდერი (მაგ.: ეპისკოპოსი დესმონდ ტატუ). ასეთი ლიდერები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ შეხვედრების ორგანიზებაში, საორგანიზაციო სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და საიმედო საბიუჯეტო მხარდაჭერის მოპოვებაში, მაგრამ პოლიტიკის შემუშავების პროცესში ისინი იშვიათად მონაწილეობენ. მათი როლი შეიძლება იყოს: საწყისი საორგანიზაციო სამუშაოების ხელშეწყობა; სხვადასხვა პირების მოწვევა სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად; სხვადასხვა ღონისძიებებზე / ცერემონიებზე (მაგ.: ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნულ ფორუმზე) გამოჩენა; შესაბამისი ორგანოების მიერ „ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის“ დამტკიცების უზრუნველყოფა; ახალი პოლიტიკის შესახებ საჯარო განცხადების გაკეთება; და პოლიტიკის ლობირება და მისი სწრაფი განხორციელების ხელშეწყობა. როგორც წესი, ეროვნულ ლიდერებს, როგორც პოლიტიკური, ასევე ბავშვების განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები ამოძრავებთ (მაგ.: სენეგალის პრეზიდენტ უეიდის მიერ „მცირეწლოვანი ბავშვების სასწავლო ცენტრების“ მხარდაჭერა და კოლუმბიის პრეზიდენტ, ლერას რესტრეპოს მიერ „ოჯახის კეთილდღეობის ინსტიტუტის“ დაარსება). თუმცა, ლიდერის პოლიტიკური მიზნების შეფასების და მისთვის სათანადო აღიარების უზრუნველყოფის საშუალებით ჩვენ ბავშვებზე ზრუნვის პოლიტიკისა და პროგრამებისთვის უმაღლესი დონის მხარდაჭერის მოპოვება შეგვიძლია.

იმის გამო, რომ ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ლიდერის დასახელება უაღრესად პოლიტიზებული საკითხია, მნიშვნელოვანია, რომ ეს იყოს ერთ-ერთი ყველაზე

გავლენიანი პოლიტიკური პარტიის ან მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ჯგუფის ლიდერი. ასეთ ლიდერებს დახმარების თხოვნით უნდა მივმართოთ, რეგულარულად მივაწოდოთ ინფორმაცია სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ, რჩევები ვკითხოთ და აზრის გამოთქმა ვთხოვთ. მას შემდეგ, რაც პოლიტიკა საჯაროდ გამოცხადდება, შერჩეულ ლიდერს უნდა ვთხოვოთ მოქმედი მთავრობის გვერდით დადგეს, რომ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებში ერთსულოვნების დემონსტრირება მოახდინოს. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკას საყოველთაოდ მოიწონებენ და გრძელვადიანი მხარდაჭერის ალბათობაც მნიშვნელოვნად გაიზრდება.

1.2 ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამინისტროს შერჩევა

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკისა და ჩარჩო-პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამინისტროს დანიშვნისას სხვადასხვა ქვეყნებში ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები იყო გამოყენებული:

- სამინისტროს ოფიციალურად დაეკისრა ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავება;
- მიეცა ფართო მანდატი მცირეწლოვან ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად;
- ხელმძღვანელობდა ადრეულ ასაკში განვითარების მიმართ ინტეგრირებული მიდგომების შემუშავებას;
- კარგად თანამშრომლობს სახელმწიფო ბიუჯეტზე პასუხისმგებელ სამინისტროსთან ან სააგენტოსთან;
- ჰყავს ძლიერი მინისტრი, რომელსაც შეუძლია შეკრიბოს სხვა მინისტრები და მოიპოვოს პოლიტიკის მხარდაჭერა;
- აქვს სათანადო კომპეტენცია, კარგად თანამშრომლობს სხვა უწყებებთან და შეუძლია ადრეულ ასაკში განვითარების სამუშაოების კოორდინაცია;
- ზედამხედველობს ან უშუალოდ აგებს პასუხს ადრეულ ასაკში განვითარების სერვისების დეცენტრალიზაციაზე;
- საუკეთესოდ შეძლებს ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ტექნიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას;
- აღიარებულია, რომ ის გამჭვირვალედ მუშაობს და კარგად თანამშრომლობს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

როგორც წესი, არჩეული სამინისტროს მინისტრი პოლიტიკის შემუშავების პროცესის კოორდინატორი ხდება. ამის მიუხედავად, მინისტრები ყოველდღიური სამუშაოების კოორდინაციას არასდროს ან ძალიან იშვიათად ახორციელებენ. მათ ეს როლი დელეგირებული აქვთ რომელიმე უფროსი ხელმძღვანელი პირისთვის, რომელიც პოლიტიკის კოორდინატორი ხდება და სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს. ზოგჯერ პოლიტიკის კოორდინატორი ამ ფუნქციას თავადაც რომელიმე ნდობით აღჭურვილ სპეციალისტს ანდობს. პოლიტიკის კოორდინატორი უზრუნველყოფს პროცესის დროულ წინსვლას, ამტკიცებს სამუშაოების ძირითად ეტაპებს, აწყობს შეხვედრებს და პატიჟებს მონაწილეებს, უზრუნველყოფს სხვადასხვა დარგების წარმომადგენელთა მონაწილეობას, მონაწილეობს კონსულტაციებში და ცდილობს მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევას.

პოლიტიკის კოორდინატორი ჩართული უნდა იყოს პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის ყველა ასპექტში.

1.3 პოლიტიკის საკითხებში გარე კონსულტანტის შერჩევა

გარე კონსულტანტი დაგეგმვის პროცესის რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა შეირჩეს. ხშირად კონსულტანტი გარე პარტნიორების დახმარებით შეირჩევა, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება სამუშაო ჯგუფმა უნდა მიიღოს. რაც შეეხება ანგარიშგებას, კონსულტანტი ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს ხელმძღვანელ სამინისტროს, სამუშაო ჯგუფს და გარე პარტნიორს, რომელიც მის მუშაობას აფინანსებს. პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში კონსულტანტი სამუშაო ჯგუფს და სხვა ჯგუფებს რჩევებს და მიმართულებას აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი სპეციალისტები, როგორც წესი, ტექნიკურ საკითხებში კომპეტენტურები არიან, რადგან ძალიან დაკავებულები არიან ყოველდღიური სამუშაოთი და შეჩვეულები არიან არსებულ პრაქტიკას, პოლიტიკურ ალტერნატივებს და პოლიტიკურ სიტუაციებს, ამ მიზეზების გამო შესაძლოა გაუჭირდეთ შესაძლებლობების სრული სპექტრის დანახვა და მათზე მუშაობა. გარე კონსულტანტი გაუზიარებს მათ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას, ჩაატარებს ტრენინგებს, შეამოწმებს დოკუმენტების სისრულეს და მათში ჩამოყალიბებული დებულებების პრაქტიკულობას და დაეხმარება ადგილობრივ ლიდერებს ახალი კონტაქტები დაამყარონ სხვა ქვეყნების ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სააგენტოებთან. კონსულტანტი ხელს უწყობს პოზიტიურ კომუნიკაციას და შეხვედრების ჩატარებას და, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფებს შორის მედიატორის როლს ასრულებს. სავარაუდოდ, კონსულტანტი პერიოდულად ჩამოვა ქვეყანაში, ელექტრონული ფოსტის საშუალებით მუდმივი კონტაქტი ექნება სამუშაო ჯგუფთან და დოკუმენტებს განიხილავს. შესაძლებლობის შემთხვევაში მისი ვიზიტები მანამ უნდა გაგრძელდეს, ვიდრე პოლიტიკა და წლიური სამუშაო გეგმა საბოლოოდ არ დამტკიცდება. გარე კონსულტანტს ერთდროულად რეგიონის სამ ქვეყანასთან მუშაობა შეუძლია. ერთობლივმა ტრენინგებმა შეიძლება პროდუქტიული ერთობლივი ძალისხმევის საფუძველი შექმნან.[40]

1.4 პოლიტიკის შემუშავების პროცესის საწყისი საორგანიზაციო სტრუქტურის შექმნა

ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე ნაჩვენებია ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების პროცესის საორგანიზაციო სტრუქტურის მოდელი. არსებობს ბევრი სხვადასხვა ვარიანტი, თუმცა, როგორც წესი, იქმნება შემდეგი ჯგუფები:



თითოეული ზემოხსენებული ჯგუფი დეტალურად იქნება აღწერილი ქვემოთ და მე-5 დანართში პოლიტიკის დამგეგმავი სტრუქტურების მიმართ არსებული მოთხოვნების ნიმუში და კონსულტაციები.

ზოგიერთმა ქვეყანამ, მაგალითად ბურკინა ფასომ, ცენტრალურ დონეზე აგრეთვე ჩამოაყალიბა 50-100 წევრისგან შემდგარი „**პოლიტიკის განმხილველი ჯგუფი**“, რომელშიც სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები შევიდნენ. აღნიშნული ჯგუფის ფუნქციებია: სიტუაციის ანალიზის და ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შავი ვარიანტების განხილვა, ტექნიკური რჩევების შემუშავება, წარმოდგენილი დოკუმენტების არაოფიციალური დამტკიცება და წინასწარი განხილვის საბჭოს როლის შესრულება. ბურკინა ფასოში ამ პრაქტიკამ გაამართლა, თუმცა აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ამ ჯგუფს არ ჩაუნაცვლებია და არც უნდა ჩაენაცვლებინა მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩასატარებელი კონსულტაციები და კონსენსუსის მისაღწევად გამიზნული ღონისძიებები.

1.5 ადრეულ ასაკში განვითარების საკითხებზე პასუხისმგებელი საბჭოს ჩამოყალიბება ან განახლება და მოწვევა

ზოგიერთ ქვეყანაში მცირეწლოვანი ბავშვებისა და მათი ოჯახების საკითხებზე მომუშავე დარგთაშორისი კომიტეტები ან საბჭოები უკვე არსებობენ, თუმცა მათი შემადგენლობა ხშირად დაუბალანსებელია და ყველა დაინტერესებული მხარე სათანადოდ წარმოდგენილი არ არის. თუ ქვეყანას ასეთი საბჭო არ აქვს, პოლიტიკის შემუშავების მიზნით აუცილებელია დროებითი საბჭოს შექმნა. ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე უნდა იყოს ეროვნული ლიდერი ადრეულ ასაკში განვითარების სფეროში. საბჭოს წევრები შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა აირჩნენ: ბავშვთა დაცვის სფეროსთან დაკავშირებული ყველა სამინისტროს მინისტრები (მათ შორის ფინანსთა ან დაგეგმვის, ჯანდაცვის, კვების, სანიტარიის, გარემოს/წყლის რესურსების, იუსტიციის მინისტრები), აგრეთვე მცირეწლოვანი ბავშვებისა და მათი ოჯახების საკითხებზე მომუშავე სამინისტროების (მათ შორის: ეროვნული სოლიდარობის, ოჯახისა და სოციალური კეთილდღეობის, ქალების განვითარების, ურბანული და სოფლის განვითარების, სოფლის მეურნეობის და ა.შ.) მინისტრები. საბჭოში უნდა შედიოდნენ რეგიონული და მუნიციპალური ასოციაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების, სამოქალაქო ჯგუფების, პროფესიული კავშირების და კერძო სექტორის ლიდერი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ადრეულ ასაკში განვითარების საბჭოს როლი და შემადგენლობა დაგეგმვის პროცესში განისაზღვრება. ამისათვის ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში შესაბამისი დებულებები უნდა შევიდეს.

პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ადრეულ ასაკში განვითარების საბჭოს მუშაობის გაგრძელებას ან მისი საქმიანობის სპექტრის გაზრდას, პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად. ზოგჯერ ისეთი ქვესაბჭოები იქმნება, რომლის წევრები მხოლოდ მინისტრები არიან. ეს ადგილობრივ ტრადიციებზეა დამოკიდებული.

1.6 ყველა ძირითადი მონაწილე მხარის იდენტიფიკაცია

პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის ხელმძღვანელობის სტრუქტურის შემუშავების, შემდგომი კონსულტაციების წარმართვისა და კონსენსუსის მიღწევის მიზნით ყველა ძირითადი მონაწილე მხარის იდენტიფიკაციის პროცესი კრიტიკულად მნიშვნელოვანია. იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი მონაწილე მხარე თავიდანვე ცხადია, არსებობენ ისეთებიც, რომლებიც ასე თვალსაჩინოდ არ ჩანან. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილე პირებთან ერთად მისი ბენეფიციარებიც უნდა გავითვალისწინოთ. ამ პირებმა და მოსახლეობის ჯგუფებმა შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულონ პოლიტიკის ადვოკატირებაში, საჯარო განათლებასა და პოლიტიკის განხორციელებაში. მათ შეიძლება დიდი წარმატებით გაავრცელონ ცოდნა და ინფორმაცია, მოახდინონ შეცვლილი ქცევის ან სპეციფიკური დამოკიდებულების დემონსტრირება, რომელიც სხვებსაც სათანადო ცვლილებებისკენ უბიძგებს.[41] ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ქვემოთ ჩამოთვლილი სექტორების ყველა დონის წარმომადგენლებმა:

საჯარო სექტორი

- ფინანსთა ან დაგეგმვის სამინისტრო;
- განათლების სამინისტრო (ან სამინისტროები);
- ჯანდაცვის სამინისტრო;
- ჯანდაცვის სამინისტროს ინსტიტუტი ან სტრუქტურული ერთეული, რომელიც კვების საკითხებზე მუშაობს;
- სანიტარიის, გარემოს და წყალმომარაგების სამინისტრო;
- იუსტიციის სამინისტრო და ბავშვთა დაცვაზე პასუხისმგებელი სხვა უწყებები;
- ეროვნული ერთიანობის, ოჯახის კეთილდღეობის, ქალთა განვითარების, ურბანული და სოფლის განვითარების, სოფლის მეურნეობის ან სხვა მსგავსი სამინისტროები, რომლებიც ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ;
- სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტი ან დეპარტამენტი;
- პროვინციების ან რეგიონული ხელისუფლება, სააგენტოები და ასოციაციები;
- ეთნიკური, ლინგვისტური, კლასობრივი ან რელიგიური უმცირესობების და უმრავლესობების ლიდერები;
- რაიონული ან მუნიციპალური ხელისუფლება, სააგენტოები, ასოციაციები და პროგრამები.

სამოქალაქო საზოგადოება

- მშობლები;
- მშობელთა/მასწავლებლების ჯგუფები;
- ბავშვები და ახალგაზრდული ჯგუფები;
- მოწყვლადი ბავშვების საქმეებზე მომუშავე საბჭოები და ასოციაციები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები;
- უნივერსიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები და უმაღლესი დაწესებულებების ასოციაციები;
- მასწავლებლების, ჯანდაცვის სპეციალისტების და სპეციალური თერაპიის ექსპერტების ძირითადი პროფესიული კავშირები;
- თემთა განვითარების ორგანიზაციები;
- სამოქალაქო ჯგუფები, როგორიცაა მაგალითად, „როტარი“;
- ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მომუშავე კავშირები და სინდიკატები;
- რელიგიური ლიდერები და ორგანიზაციები.

კერძო სექტორი

- სკოლამდელი დაწესებულებები, კლინიკები, კერძო სასწავლებლები, ბავშვთა სახლები და სხვა;
- ფინანსური ინსტიტუტები, ბიზნესი, კომერციული ორგანიზაციები და კორპორაციები;
- მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპანიები;
- კერძო სექტორის ასოციაციები, როგორიცაა მაგ.: კონტროლის პალატა, ჯანდაცვის ასოციაციები, კერძო ბაგა-ბაღებისა და სკოლების ასოციაციები.

თითოეული მონაწილე მხარის ინტერესები, ამოცანები და პოტენციური როლები თავიდანვე უნდა დადგინდეს, რომ შეთანხმების პროცესში ისინი მხედველობაში მიიღონ. თითოეულ პირს ან ჯგუფს ერთი ან მეტი მთავარი საკითხი ექნება. მნიშვნელოვანია, რომ მათ აზრის გამოთქმის საშუალება მიეცეთ და მათი მოსაზრებები ყურადღებით მოისმინონ. ასეთ შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ მათ მიერ წამოჭრილი ყველა საკითხი პოლიტიკის საბოლოო ტექსტში არ მოხვდება, ამ პირებს (ჯგუფებს) ემახსოვრებათ, რომ მათ აზრს პატივისცემით მოუსმინეს და პოლიტიკას უფრო მეტი ალბათობით დაუჭერენ მხარს.

1.7 სამუშაო ჯგუფის ლიდერის და წევრების არჩევა

ხელმძღვანელი სამინისტრო სამუშაო ჯგუფის კოორდინატორად თითქმის ყოველთვის დირექტორს ნიშნავს. ეს პიროვნება პატივისცემით უნდა სარგებლობდეს, კომპეტენტური სპეციალისტი უნდა იყოს და ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების საქმისადმი - ენთუზიაზმით განწყობილი. ძლიერი ლიდერის თვისებები უნდა ჰქონდეს, გუნდის შექმნა და შეხვედრების ორგანიზება შეეძლოს, ერთდროულად დიპლომატიურიც იყოს და მტკიცეც. სამუშაო ჯგუფში, როგორც წესი, 12-დან 25-მდე წამყვანი ECD სპეციალისტი შედის. ჯგუფში, ყველა ჩართული სამინისტროს წარმომადგენლები უნდა იყვნენ გაერთიანებულნი; ასევე უნდა იყოს დაცული ბალანსი სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორს შორის. სასურველია ჯგუფში მონაწილეობდეს წამყვანი მედიის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მინიმუმ ერთი წარმომადგენელი. ის შეიძლება ყველა ტექნიკურ განხილვაში არ მონაწილეობდეს, მაგრამ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ადვოკატირებისა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის პოლიტიკის დაგეგმვასა და შემუშავებაში. იმისათვის, რომ ჯგუფმა ხშირად შეკრება შეძლოს, დისკუსიები კი ნაყოფიერი იყოს, უმჯობესი იქნება, თუ მისი წევრების რაოდენობა 15-ს არ აღემატება. ამის მიუხედავად, ყველა კომიტეტისთვის (რომლებიც ქვემოთაა ჩამოთვლილი) წევრების საკმარისი რაოდენობის უზრუნველსაყოფად, სამუშაო ჯგუფი დაახლოებით 25 წევრისგან უნდა შედგებოდეს.

სამუშაო ჯგუფის წევრები უნდა იყვნენ ისეთი პირები, რომლებსაც ლიდერობის, თანამშრომლობის და შეთანხმების მიღწევის გამოცდილება აქვთ. მხარს უნდა უჭერდნენ კომპლექსურ მიდგომას ადრეულ ასაკში განვითარების მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგეგმვის საწყის ეტაპზე მიზნობრივი ტრენინგი უნდა გაიარონ. დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის შედეგად სამუშაო ჯგუფის წევრები ხშირად ახალ ცოდნას, ხელმძღვანელობის გამოცდილებას და ტექნიკურ უნარებს იძენენ. იმის გამო, რომ მათ ადრეულ ასაკში განვითარების მნიშვნელობა გვიან „ირწმუნეს“, ეს ადამიანები შეიძლება მისი მხურვალე მხარდამჭერები გახდნენ, რესურსების მოძიებაში დაგვეხმარონ და ადრეულ ასაკში განვითარების ახალ ღონისძიებებს უხელმძღვანელონ. მაგალითად, ერთ-ერთ ქვეყანაში, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის შედეგად, სამინისტროებთან, ჯანდაცვის ასოციაციებთან, მშობლებისა და მასწავლებლების ასოციაციებთან და თემთა განვითარების ორგანიზაციებთან ერთად, მშობლების განათლების პროგრამის განხორციელებაში ერთ-ერთი უდიდესი არასამთავრობო ორგანიზაცია ჩაერთო. ზოგჯერ ერთ ადამიანს შეუძლია ერთზე მეტი დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი გახდეს, მაგრამ ეს დასაწყისშივე მკაფიოდ უნდა დადგინდეს და შეთანხმდეს ყველა მონაწილესთან.

სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი სრულად უნდა მონაწილეობდეს მთლიან პროცესში. თუმცა, ზოგიერთმა მათგანმა შეიძლება დროდადრო დასწრება ვერ შეძლოს ან ნაკლებად

იყოს დაინტერესებული სამუშაოს ზოგიერთი ასპექტით. ასეთი წევრები რეგულარულად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი ჯგუფის მუშაობის მსვლელობის შესახებ. მათ უნდა ეცნობოთ ჯგუფის თითოეული წევრის პოზიცია და საშუალება მიეცეთ გამოთქვან თავისი მოსაზრებები მათთვის საინტერესო საკითხებზე. პროცესის ხელშემწყობი საერთაშორისო პარტნიორები შეიძლება დროდადრო ესწრებოდნენ სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს, მაგრამ ისინი უნდა იყვნენ *ex-officio* წევრები, ხმის უფლების გარეშე. ბევრი დონორი შეიძლება და უნდა იყოს პოლიტიკის შემუშავების პროცესის საკვანძო მხარდამჭერი. ჩვეულებრივ, დონორი პარტნიორები შეხვედრებს მასპინძლობენ, საოფისე მომსახურებას უზრუნველყოფენ და მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართულ საკონსულტაციო შეხვედრებს აფინანსებენ.

1.8 სამუშაო ჯგუფის კომიტეტების შექმნა და მათი თავმჯდომარეებისა და წევრების დანიშვნა

როგორც წესი, პოლიტიკის დაგეგმვის პერიოდში, სამუშაო ჯგუფის წევრები ერთზე მეტი კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობენ. კონკრეტულ კომიტეტებში შესაძლებელია დამატებითი პირების მოწვევაც, მათი საექსპორტო ცოდნისა და დაინტერესებიდან გამომდინარე.

პირველი ნაკადის კომიტეტები

დაგეგმვის პროცესის დასაწყისში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდეგი კომიტეტების ჩამოყალიბებას:

- *პოლიტიკის ტექსტის პროექტზე მომუშავე კომიტეტი*

  ამ კომიტეტმა უნდა მოამზადოს პოლიტიკის პროექტი. აქ წამყვანი როლი უნდა შეასრულოს განათლების, ჯანდაცვის და ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში დიდი გამოცდილების მქონე ავტორმა; ეს უნდა იყოს საჯარო მოხელე ან ადგილობრივი კონსულტანტი — მაგრამ ***არავითარ შემთხვევაში*** საერთაშორისო მრჩეველი. მას დახმარებას აღმოუჩენს სამუშაო ჯგუფის ორი წევრი (ან სპეციალურად დაქირავებული ექსპერტები), რომლებიც ადრეულ ასაკში განვითარების სხვადასხვა სფეროების წარმომადგენლები უნდა იყვნენ. როგორც წესი, ეს ჯგუფი ხანმოკლე კონსულტაციებს ან სხვადასხვა სამინისტროების დახმარებას იღებს.

- *საჭიროებების შეფასების კომიტეტი*

  ამ კომიტეტმა უნდა მოიცვას ყველა სფერო, მოიძიოს ბავშვებთან დაკავშირებული სტატისტიკა და კვლევები და შეიმუშაოს ქვეყანაში ბავშვებისა და ოჯახების მდგომარეობის შეფასების ანგარიში, რომელშიც ძირითადი აქცენტი მოწყვლად ბავშვებზე გაკეთდება.

- *რესურსების შეფასების კომიტეტი*

ამ კომიტეტმა უნდა უხელმძღვანელოს ორსული ქალებისთვის, ჩვილი და მცირეწლოვანი ბავშვებისთვის და მათი ოჯახებისთვის მომსახურების მიმწოდებელი ინსტიტუტების, ჯგუფების და პირების იდენტიფიკაციას, შესწავლასა და ანალიზს.

- *პოლიტიკის განმხილველი კომიტეტი*

ამ კომიტეტმა უნდა შეისწავლოს და გააანალიზოს ბავშვებთან დაკავშირებული ყველა პოლიტიკა, გეგმა, მარეგულირებელი წესები, სტანდარტები, კანონები და კანონქვემდებარე აქტები, გამოავლინოს მათი ნაკლოვანებები და მომავალი საჭიროებები. ის ადგენს კანონების, სტანდარტების და მითითებების შემუშავების პასუხისმგებლობებს (შესაფერისობის პარამეტრების, უფლებების, რეგისტრაციის და ლიცენზირების წესების განსაზღვრის პასუხისმგებლობის ჩათვლით). ის აგრეთვე აანალიზებს დეცენტრალიზაციის საკითხებს (როლებისა და პასუხისმგებლობების ჩათვლით).

- *კონსულტაციების დაგეგმვის, განხორციელების, ანალიზის და ანგარიშგების კომიტეტი*

ამ კომიტეტის ფუნქციებია: კონსულტაციების დაგეგმვა და ორგანიზაცია თემების, პროვინციების, რაიონების და მთელი ქვეყნის მასშტაბით; შედეგების ანალიზი, ანგარიშების მომზადება და დარიგება. მან უნდა უზრუნველყოს შედეგების გათვალისწინება ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის და ჩარჩო პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

- *ადრეულ ასაკში განვითარების დაგეგმვის კომიტეტები*

მიუხედავად იმისა, რომ ზოგი სამუშაო ჯგუფი დარგობრივ კომიტეტებს აყალიბებს, კომპლექსური მიდგომის უზრუნველსაყოფად უმჯობესია შეიქმნას ქვემოთ ჩამოთვლილი კომიტეტები. თითოეული კომიტეტი კონცენტრირებული უნდა იყოს მის ასაკობრივ ჯგუფზე, ყველა დარგის გათვალისწინებით. მან უნდა შეაფასოს კონსულტაციების და შეთანხმებების შედეგად მიღებული რეკომენდაციები, ხელი შეუწყოს საკვანძო სტრატეგიების იდენტიფიკაციას და შეიმუშაოს პოლიტიკის შესაბამისი სექციის ელემენტები. ჩვეულებრივ, ასეთი კომიტეტებია: *პრენატალური განათლებისა და ზრუნვის კომიტეტი; ნოლიდან სამ წლამდე ასაკობრივი ჯგუფის კომიტეტი; სამიდან ექვს წლამდე ასაკობრივი ჯგუფის კომიტეტი; ექვსიდან რვა წლამდე ასაკობრივი ჯგუფის კომიტეტი;* და *განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების საქმეების კომიტეტი.*

- *რეგიონული კომიტეტები*

სამუშაო ჯგუფის პროტოტიპი კომიტეტები შეიძლება შეიქმნას რეგიონულ დონეებზე. მათი ფუნქცია კონსულტაციების და კონსენსუსის მისაღწევად ჩატარებული ღონისძიებების ხელშეწყობაა. მათ აგრეთვე უფრო ვრცელი

თანამშრომლობა და მეტად დეცენტრალიზებული დაგეგმვა უნდა უზრუნველყონ.

მეორე ნაკადის კომიტეტები:

მოგვიანებით სამუშაო ჯგუფი სხვა კომიტეტებს ჩამოაყალიბებს, რომელთა ფუნქციებში შევა: შეთანხმებული სტრატეგიების ჩამოყალიბება, პროგრამების სფეროების განსაზღვრა, განსაკუთრებული ინიციატივები და პოლიტიკის სხვა სფეროები. კომიტეტების ჩამოყალიბება დაგეგმვის პროცესის დინამიკაზე და სამუშაო ჯგუფისა და ტექსტზე მომუშავე კომიტეტის სიძლიერეზე იქნება დამოკიდებული.

- *ადრეულ ასაკში განვითარების საორგანიზაციო სტრუქტურების კომიტეტი*

  ამ კომიტეტის ფუნქციებია: დარგთაშორისი საორგანიზაციო სტრუქტურების შესაძლო ვარიანტების განხილვა; კოორდინაციის, ქსელების შექმნის და კომპლექსური პროგრამების შემუშავების ხელშეწყობა; და თემების გააქტიურების, მშობლების მონაწილეობის და რაიონულ დონეზე კოორდინაციის გზების მოძიება.

- *მშობელთა განათლებისა და მხარდაჭერის კომიტეტი*

  იმის გამო, რომ მშობლების ინფორმირებისა და მხარდაჭერის აუცილებლობა ბევრ ქვეყანაში არსებობს, ამ სფეროს ხშირ შემთხვევებში ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მთავარ სტრატეგიად განსაზღვრავენ და ზოგიერთი პოლიტიკა „მშობლების განათლების სისტემის“ ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

- *დამწყები და მომუშავე სპეციალისტების ტრენინგის პროგრამების კომიტეტი*

  ამ კომიტეტის ფუნქციაა შეიმუშაოს იდეები ადრეულ ასაკში განვითარების დარგობრივ და დარგთაშორის საკითხებზე, დამწყები და მომუშავე სპეციალისტების მომზადების და ტრენინგების სასწავლო გეგმები, კურსები და მასალები.

- *ღონისძიებების ანალიზის, მონიტორინგის და შეფასების კომიტეტი (შედეგების, ინდიკატორების, საზომი ერთეულების და მიზნების განსაზღვრის ჩათვლით)*

  ამ კომიტეტმა უნდა მოამზადოს ადრეულ ასაკში განვითარების ღონისძიებების ანალიზის, მონიტორინგის და შეფასების გეგმები; მან აგრეთვე განსახილველად და შესათანხმებლად უნდა შეიმუშაოს შეფასების ინდიკატორები, საზომი ერთეულები და მიზნები.

- *პოლიტიკის ადვოკატირების და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომიტეტი*

ამ კომიტეტმა უნდა მოამზადოს პოლიტიკის ადვოკატირების და საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმის პროექტი და დაგეგმოს საწყისი კომუნიკაცია, კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით.

- *ინვესტიციების დაგეგმვის კომიტეტი*

  სტრატეგიასა და პროგრამებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, ამ კომიტეტმა განსახილველად და შესათანხმებლად უნდა მოამზადოს ფინანსური სიმულაციები და გრაფიკები.

1.9 სამუშაო ჯგუფის პირველი სამოქმედო გეგმის მომზადება

ჩამოყალიბების შემდეგ სამუშაო ჯგუფმა **„სამოქმედო გეგმის“** პირველი ვერსია უნდა მოამზადოს. პოლიტიკაზე მუშაობის პროცესში ის მრავალჯერ გადაისინჯება. „სამოქმედო გეგმა“ ძალიან მარტივი და ყველასთვის ადვილად გასაგები უნდა იყოს (იხ.: **დანართი VI: სამუშაო ჯგუფის „სამოქმედო გეგმის“ ნიმუში**). „სამოქმედო გეგმა“ პოლიტიკაზე მუშაობის მთელ პროცესს მოიცავს. მასში აგრეთვე უნდა შევიდეს ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დამტკიცების და მიღების სტრატეგიაც. თითოეულ ქვეყანას პოლიტიკის მიღების განსხვავებული წესები აქვს და ფრთხილი დაგეგმვის გარეშე ეს პროცესი შეიძლება რამდენიმე თვე ან წელი გაგრძელდეს, როგორც ეს განას შემთხვევაში მოხდა. „სამოქმედო გეგმა“ ფართოდ უნდა გავრცელდეს, რაც გამჭვირვალებას უზრუნველყოფს, მონაწილე მხარეების ენთუზიაზმს აამაღლებს და ახალ მოხალისეებს მოიზიდავს.

1.10 ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული ფორუმისა და შეხვედრების გეგმის მომზადება

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მომზადება მთელი ქვეყნის მასშტაბით განსახორციელებელი სამუშაოა და მისი ყველა რეგიონის მოსახლეობის მონაწილეობას საჭიროებს. პოლიტიკაზე მუშაობის საწყის ეტაპზე ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული ფორუმი ხელს შეუწყობს ყველა დაინტერესებული მხარის სრულ მონაწილეობას, მათ შორის იმათიც, ვინც ყველა ღონისძიებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, მაგრამ ამ საქმეში თავისი წვლილი აუცილებლად უნდა შეიტანოს. ამ გზით მეტ გამჭვირვალებას და მხარდაჭერას მივიღებთ. პროცესში მონაწილე ადამიანები გრძნობენ, რომ ინფორმირებულნი არიან და მათი დახმარება დაფასებულია. ფორუმმა შეიძლება შექმნას „უსაფრთხო ადგილი“ დიალოგის გამართვის, შეთანხმების მიღწევის, ახალი პარტნიორული ურთიერთობებისა და ქსელების ჩამოყალიბების მიზნით. ამის მიუხედავად, ზოგიერთი ქვეყანა ფორუმს მხოლოდ პროცესის ბოლოს მართავს შედეგების განხილვის და ზოგჯერ, ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის არაოფიციალურად დასამტკიცებლად. ფორუმის მონაწილეები ყველა საბოლოო რეკომენდაციას განიხილავენ, რაც სხვადასხვა ჯგუფებს შორის მტკიცე კონსენსუსის მიღწევის და პოზიტიური დიალოგის საშუალებას იძლევა. ისინი კონკრეტულ შესწორებებზე თანხმდებიან და გზას უხსნიან საბოლოო დოკუმენტის მომზადების და ოფიციალური დამტკიცების პროცესს. ფორუმი აგრეთვე შეიძლება გამოვიყენოთ ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის გამოცხადებისა და ადვოკატირებისთვის.

1.11 სამუშაო ჯგუფის ტრენინგების დაგეგმვა და ჩატარება

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის სამუშაო ჯგუფის და სხვა მონაწილეების ტრენინგი როგორც წესი საჭიროა და ამისთვის შესაბამისი თანხები უნდა გამოიყოს. ტრენინგს გარე კონსულტანტი და ადრეულ ასაკში განვითარების სხვა სპეციალისტები ჩაატარებენ. იმ რეგიონებში, სადაც არიან ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების მაღალი დონის სპეციალისტები, ასეთი ტრენინგის ჩატარება ადგილობრივ სპეციალისტებს შეუძლიათ. ჩვეულებრივ ტრენინგის საჭიროება დგას შემდეგ სფეროებში: სხვადასხვა მხარეების ფართო მონაწილეობის გზით ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების პროცესები; ადრეულ ასაკში განვითარების სისტემების კოორდინაცია და ინტეგრაცია; „ათასწლეულის განვითარების ამოცანები“, სიღარიბის დაძლევის სტრატეგიები, მრავალდარგობრივი და დარგობრივი პოლიტიკები და მათი ინდიკატორები; მოწყვლადი ბავშვების მდგომარეობა და მათი საჭიროებები; ადრეულ ასაკში განვითარების წარმატებული პროგრამების ფარგლებში ჩატარებული კვლევების შედეგები; ალტერნატიული ტრენინგების სისტემები დამწყები და მომუშავე სპეციალისტებისთვის; პოლიტიკის ადვოკატირება და საზოგადოებასთან ურთიერთობის დაგეგმვა; პოლიტიკის ანალიზი, შეფასება და მონიტორინგი; სახელმწიფო პოლიტიკის ინდიკატორები; ფინანსური პროგნოზები და დონორების კოორდინაცია; ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის მომზადება და სხვა. ამ ტრენინგების მიზნებია: ცოდნის გადაცემა; სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ ერთი და იგივე ინფორმაციის გამოყენება; მათი შესაძლებლობების და შეხედულებების დადგენა; დაგეგმვის პროცესის მიმართ ენთუზიაზმის უზრუნველყოფა; ჯგუფის წევრების შესაძლებლობების განვითარება პროგრესის მისაღწევად; და ერთნაირი ხედვის ჩამოყალიბების დაწყება ტრენინგის პროცესში არაოფიციალური დიალოგის გზით.

1.12 პოლიტიკის შემუშავების პროცესის პირველი საინვესტიციო გეგმის მომზადება

პოლიტიკის შემუშავების პროცესი 1.5-დან 2 წლამდე გრძელდება. შესაბამისად, ბიუჯეტი მთელ ამ პერიოდს უნდა ფარავდეს. სხვადასხვა ქვეყნებში ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესები ძალიან განსხვავებულია. ეს გამოწვეულია ქვეყნებში არსებული ისეთი განსხვავებული ფაქტორებით, როგორიცაა: სახელმწიფო ხარჯები, მოხალისეების და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და სხვადასხვა სახის არაფულადი დახმარების არსებობა (მაგ.: შეხვედრის ადგილების, კვების, მგზავრობის, მასალების, მოწყობილობის და ა.შ. უზრუნველყოფა). ინფორმაცია ამ აქტივობების და ხარჯების კატეგორიების შესახებ მოცემულია მე-7 დანართში (**დანართი VII: ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვის ტიპიური ბიუჯეტი).** საჭირო საპროგნოზო თანხების დაფინანსების ვალდებულებები, შეძლებისდაგვარად პირველივე ეტაპზე უნდა დადგინდეს. ბიუჯეტი ყოველ სამ-ექვს თვეში უნდა გადაისინჯოს, რადგანაც დანამდვილებით თავს იჩენს მოულოდნელი ხარჯები. რესურსების გამოყოფის შესახებ დაპირების მიღებისთანავე მომდევნო ღონისძიებები სწრაფად უნდა განხორციელდეს, რადგანაც თანხების ამ მასალების დროული მიუწოდებლობის შემთხვევაში, ისინი შეიძლება სხვა სასწრაფო პრიორიტეტებისთვის დაიხარჯოს.

1.13 პოტენციურ დონორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პირველი შეხვედრის გამართვა

ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ დონორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის ჩატარებაა საჭირო. ის დონორები, რომლებიც თანხებს პოლიტიკის შემუშავებაზე გამოყოფენ, როგორც წესი მის განხორციელებასაც უწყობენ ხელს. დახმარების მისაღებად საჭირო არგუმენტაციის წარდგენისას ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ საკუთარი თანამონაწილეობაც დაგეგმოს, შესაძლოა ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის, ან პერსონალის, საოფისე ფართის, მარაგების და სხვა ხარჯების დაფარვის სახით. ამ შეხვედრაზე მოწვეული უნდა იყოს ყველა დონორი ორგანიზაცია, რომელმაც წარსულში ქვეყანას ადრეულ ასაკში განვითარების სფეროში დახმარება გაუწია. აგრეთვე მოწვეულნი უნდა იყვნენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე ქვეყანაში მომუშავე სხვა დონორებიც. ხშირად ეს ჯგუფები მზად არიან ხელი შეუწყონ ადრეულ ასაკში განვითარების პროგრამების განხორციელებას, მაგრამ ამას არ აკეთებენ, რადგანაც ქვეყნის მთავრობას ადრეულ ასაკში განვითარების სათანადო პოლიტიკა არ აქვს. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართვის შემდეგ ისინი შეიძლება ძალიან დაინტერესდნენ მისი განხორციელების მხარდაჭერით.

თითოეული ძალისხმევა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ მასში მონაწილეობა მიიღოს ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების მაქსიმალურმა რაოდენობამ. ასეთი ორგანიზაციებია: საერთაშორისო დონორები (ერთი ან რამდენიმე ქვეყნის) და გაეროს ორგანიზაციები; საელჩოები; რეგიონული ორგანიზაციები; საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები; საქველმოქმედო და კორპორაციული ფონდები და ადრეულ ასაკში განვითარების ღონისძიებების ხელშემწყობი პირები. UNICEF, UNESCO და ADEA ერთად ასრულებენ ლიდერის როლს ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების პროცესში და ქვეყნებს სხვა დონორების მონაწილეობით შეხვედრების ორგანიზებაში ეხმარებიან. თუმცა თითოეულ ქვეყანაში ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების პროცესისთვის მნიშვნელოვანი დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა გადამწყვეტ როლს თამაშობს.

1.14 ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის პირველი პროექტის შემუშავება

პირველი ეტაპის ბოლოსთვის ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ტექსტზე მომუშავე კომიტეტმა მისი პირველი პროექტი უნდა შეიმუშაოს და განსახილველად სამუშაო ჯგუფს წარუდგინოს. ამით სამუშაო ჯგუფი ხედვის, ამოცანების, მიზნების, სტრატეგიების და პროგრამების სფეროების საკვანძო ელემენტების განხილვას იწყებს. ეს ჯგუფის წევრებს მათი კონკრეტული სამუშაოების შესრულებაში დაეხმარება და ისინი დაიწყებენ ფიქრს როგორც ერთიანი ჯგუფი. პროექტის შემუშავების პროცესის მონაწილეები იგრძნობენ, რომ მათ საკუთარი იმედების და მოსაზრებების გამოხატვის საშუალება მიეცათ, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯგუფში შეთანხმების მისაღწევად. ამავე დროს ჯგუფის თითოეული წევრის შესაძლებლობები უკეთ გამომჟღავნდება. მუშაობის პროცესში სამუშაო ჯგუფში ყოველთვის ახალი ლიდერი ვლინდება. ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს ხელი უნდა შეუწყონ. მათ უნდა გამოავლინონ, მოტივაცია შეუქმნან და დაეხმარონ ლიდერებს, რომლებიც შემდგომში ძალიან მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

პოლიტიკის სტრუქტურის მოდელი მოცემულია მე-8 დანართში (**დანართი VIII: ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ზოგადი სტრუქტურა**). ყველა ქვეყანის პოლიტიკის სტრუქტურა განსხვავებული იქნება იქ არსებული განსხვავებული რეალობების გამო. თუ „ადრეულ ასაკში განვითარების საბჭო“ და წამყვანი სამინისტრო გადაწყვეტენ, რომ ჩარჩო პოლიტიკა მოქმედ პოლიტიკაში, გეგმებსა და მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე უნდა იყოს კონცენტრირებული, მაშინ სტრუქტურაში შესაბამისი მოდიფიკაციები უნდა შევიდეს და არსებული პოლიტიკის ანალიზის თავი უნდა გაიზარდოს. პოლიტიკის შემუშავების პროცესში სტრუქტურა ბევრჯერ შეიცვლება. ამის მიუხედავად მნიშვნელოვანია, რომ ჩარჩო თავიდანვე იყოს შეთანხმებული. ერთი მხრივ ეს მიმართულებას მისცემს სამუშაო ჯგუფს მისი მუშაობისა და კონსულტაციების პროცესში, მეორე მხრივ კი ხელს შეუწყობს გამჭვირვალე ანგარიშგებას ქვეყნის ხელმძღვანელობის, მონაწილე მხარეებისა და დონორების წინაშე. თავმჯდომარე მიუკერძოებლად უნდა მიუდგეს ყველა შესაძლო ვარიანტს და ხელს უწყობდეს დიალოგს; იგივე ითქმის გარე მრჩეველზეც, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს ყველა მოსაზრების სათანადო ყურადღებით განხილვა.

ამ საწყის ეტაპზე სამუშაო ჯგუფში ადრეულ ასაკში განვითარების მიმართ უნდა ჩამოყალიბდეს ერთობლივი ხედვა, რომელიც კონსულტაციების და შეთანხმების პროცესში მოდიფიკაციებს განიცდის. ეს საწყისი ხედვა ძალას შემატებს იმ ადამიანებს, რომლებიც დაუღალავად იმუშავებენ და ღამეებს გაათენებენ დადგენილ ვადებში სამუშაოს დასასრულებლად. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დამტკიცება და მიღება თითოეული მონაწილის ურყევ მონდომებაზეა დამოკიდებული.

სქოლიო და განმარტებები

40 Vargas-Baron, E. (February 29 2004). *Final Report: Project to Support National Policy Planning for Early Childhood Development in Three Countries of West Africa*. The Hague: ADEA-WG/ECD.

41 მაგ.: მათ შეიძლება სხვებსაც სტიმული მისცენ დაარეგისტრირონ ახალშობილი, ჩაუტარონ რეგულარული სამედიცინო შემოწმებები, მონაწილეობა მიიღონ მშობლების საგანმანათლებლო პროგრამებში და ასწავლონ სხვებს ის, რაც თვითონ ისწავლეს.

II ეტაპი: ადრეულ ასაკში განვითარების მხრივ არსებული მდგომარეობის ანალიზი და კონსულტაციების მომზადება

ის ადამიანები, ვისაც მიაჩნია, რომ მსოფლიო მათ პოლიტიკას უნდა მოერგოს და ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ მათი პოლიტიკა უნდა მოერგოს მსოფლიოში არსებულ რეალობას, ერთმანეთთან მუდმივ კამათში არიან.

ეტაპი II: ადრეულ ასაკში განვითარების მხრივ არსებული მდგომარეობის ანალიზი და კონსულტაციების მომზადება

II ეტაპი: ადრეულ ასაკში განვითარების მხრივ არსებული მდგომარეობის ანალიზი და კონსულტაციების მომზადება – ღონისძიებების საკონტროლო ნუსხა	დაწყებულია	დასრულებულია
2.1 ბავშვების საჭიროებების შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება		
2.2 ადრეულ ასაკში განვითარების რესურსების შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება		
2.3 ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხილვის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება		
2.4 მონაცემების საწყისი ანალიზი და ინტერპრეტაცია		
2.5 მდგომარეობის ანალიზის პირველი პროექტის მომზადება განსახილველად		
2.6 ქვეყნის მასშტაბით კონსულტაციების მომზადება		
2.7 საწყისი ინტერვიუს ჩატარება ადრეულ ასაკში განვითარების სფეროს ლიდერებთან		
2.8 სამუშაო ჯგუფის სამუშაო გეგმის განხილვა		

ადრეულ ასაკში განვითარების მხრივ არსებული მდგომარეობის ანალიზი, როგორც წესი, ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის პირველ თავშია წარმოდგენილი. იგი სამი ნაწილისგან შედგება:

1. ბავშვთა საჭიროებების შეფასება;
2. ადრეულ ასაკში განვითარების რესურსების შეფასება;
3. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხილვა.

სამუშაო ჯგუფის შესაბამისმა კომიტეტებმა ხშირად უნდა ჩაატარონ შეხვედრები დაგეგმვის, ინფორმაციის გაცვლისა და ანალიზის მომზადების მიზნით. ეს სამუშაო ჯგუფს აძლიერებს, თითოეული კვლევის უკეთესად ჩატარების საშუალებას იძლევა და შეძლებისდაგვარად ყოველთვის აკავშირებს მათ ანალიზს ერთმანეთთან. თუ კვლევები უკვე ტარდება, შესაძლებელია ქვეყნის მასშტაბით კონსულტაციების და ინტერვიუების დაგეგმვის დაწყება.

2.1 ბავშვების საჭიროებების შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება

ბავშვების საჭიროებების შეფასება მოიცავს მცირეწლოვანი ბავშვების და მათი ოჯახების მდგომარეობის დარგობრივ და დარგთაშორის ანალიზს. პირველ რიგში, ბავშვთა საჭიროებების შეფასების კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს სტრატეგია, იმისათვის, რომ განსაზღვროს შესაბამისი დოკუმენტები და მათი ადგილსამყოფელი – სტატისტიკური და საჭიროებების შეფასების დოკუმენტების, გეგმების, კვლევის ანგარიშების, შეფასებითი კვლევების და სხვა. აღნიშნული სტრატეგია, ჩვეულებრივ ისეთ დაწესებულებებში ვიზიტს მოიცავს, როგორიცაა: სამინისტროების საკანცელარიო განყოფილებები, რომლებსაც აქვთ სტატისტიკის ამსახველი დოკუმენტები დაგეგმვის შესახებ; უნივერსიტეტის კათედრები, ბიბლიოთეკები და დოკუმენტების შემნახველი და აღმრიცხავი ცენტრები; ეროვნული სტატისტიკის და კვლევითი ორგანიზაციები; დაწესებულებები და პროგრამები, რომლებიც შინამეურნეობების კვლევას ატარებენ; ვებგვერდები და ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების დოკუმენტები; ძირითადი საერთაშორისო კვლევითი ჯგუფები, რომლებსაც ქვეყნის ბავშვების შესახებ კვლევები აქვთ ჩატარებული. ინფორმაცია მოსაძიებელია ეროვნულ დონეზე, ასევე რეგიონებში, რაიონებში და თემებში, სადაც ხშირად უფრო მეტი ინფორმაციის მოპოვებაა შესაძლებელი, ვიდრე ეს დასაწყისში იყო ნავარაუდევი. რადგან ბავშვების შესახებ ინფორმაციის მოპოვება მომსახურების შესახებ ინფორმაციისგან განცალკევებით რთულია, ორივე ერთად ქვემოთ არის მოცემული. მომსახურების რესურსის შესახებ ინფორმაციას რესურსების კომიტეტს უზიარებენ. ინფორმაციის მოძიება ხდება განათლების, ჯანდაცვის, კვების, სანიტარიის, ბავშვების უფლებების და იურიდიული დაცვის შესახებ შემდეგ სფეროებში:

- პრენატალური და პერინატალური პერიოდი: პრენატალური ზრუნვის და ინფორმირების სერვისების რაოდენობა, დაფარვის არეალი და ტიპი; მომსახურების მიწოდებაში არსებული ხარვეზები მოსახლეობის ტიპების და გეოგრაფიული ზონების მიხედვით; დედების ასაკი და განათლება; დედობრივი და ნეონატალური სტატუსი; დედათა და ბავშვთა ავადობა და სიკვდილიანობა; წონანაკლულობა და სხვა გამოსავალი; დაბადების რეგისტრაცია; საწყისი პოსტნატალური მომსახურების უზრუნველყოფა სამი თვის ასაკამდე; ინტენსიური მომსახურების ხელმისაწვდომობა და გამოყენება წონანაკლული, დაბადებიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან განვითარების შეფერხების მქონე ჩვილებისთვის; ასევე ურთიერთდაკავშირებული ინფორმაცია.
- დაბადებიდან სამ წლამდე: მშობელთა ინფორმირების და მხარდაჭერის მომსახურების ტიპები, რაოდენობა და მოცვის დონე; მშობლების ინფორმირების და მხარდაჭერის პროგრამების ხარისხი ან განხორციელების სტანდარტები და მოცვის დონე; განვითარების შეფერხებების, არასრულფასოვანი კვების (მალნუტრიციის), ქრონიკული დაავადებების მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სპეციალიზებული სერვისები; ჩვილ ბავშვთა ბაგები ან ბავშვთა მოვლის სხვა პროგრამები; პირველადი ჯანდაცვის და ჯანდაცვის განსაკუთრებული სერვისების ტიპები, რაოდენობა და მოცვის დონე, მათ შორის გეგმიური შემოწმებები; ჩვილების და 1–დან 2.5–წლამდე ასაკის ბავშვების შეფასება, რეფერალი, მომსახურება, მათზე დაკვირვება და მომსახურების შემდგომი კონტროლი; იმუნიზაციის სტატუსი და ხარვეზები; კვების საკითხებზე ინფორმირება, შეფასება, და

რეაბილიტაციის სერვისები; ძირითადი სანიტარული მომსახურება (წყალი, ნარჩენები, გარემოდან მომავალი საფრთხეები, რომლებიც ჩვილ ბავშვებს საშიშროებას უქმნის); სამართლებრივი დაცვის უზრუნველმყოფი კანონები, კოდექსები და ა.შ.

- ოთხიდან ექვს წლამდე: მშობელთა ინფორმირებასთან და მხარდაჭერასთან დაკავშირებული, ზემოთ აღნიშნული საქმიანობის გაგრძელება; განვითარების შეფერხების, არასრულფასოვანი კვების (მალნუტრიციის), ქრონიკული დაავადებების მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მომსახურება; ბავშვების მოვლის ხარისხიანი მომსახურების ან სკოლამდელი განათლების მიღება ან მათი არარსებობა; სკოლამდელი განათლების მართვაში მშობლების მონაწილეობა; რელიგიური ან კერძო სკოლების მომსახურება; ბავშვის უსაფრთხოებასთან, ჯანმრთელობასთან და კვებასთან დაკავშირებული საკითხები; სახლიდან ან სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სკოლაში მისვლისთვის მომზადება; სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების სანიტარიული პრაქტიკა და სხვა საკითხები.
- შვიდიდან რვა წლამდე: ბავშვის სკოლაში მისვლისთვის მოსამზადებელი პროგრამების არსებობა/არარსებობა; მოსახლეობა და გეოგრაფიული მოცვა; სკოლების საქმიანობაში მშობელთა მონაწილეობა (სფერო და ტიპი: მიზნების/ამოცანების დასახვა, დაგეგმვა, ბიუჯეტის შედგენა, სასწავლო გეგმის და სასწავლო მასალების განხილვა, მასწავლებლების, ადმინისტრატორების, მასწავლებელთა დამხმარეების მხარდაჭერა, ფინანსების და პროგრამების შეფასება, სწავლის ყოველწლიური შედეგების განხილვა და ყოველწლიური ამოცანების შესრულება; დაწყებით საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა (ჩარიცხვის მთლიანი/წმინდა მაჩვენებლები, სქესი, სოფელი/ქალაქი, კლასის განმეორება, გადინება, სკოლის დამთავრების მაჩვენებლები და ა.შ..); სკოლის ჯანდაცვის, კვების, უსაფრთხოების, ტუალეტის და სანიტარული მომსახურება; ინკლუზიური განათლება და ა.შ.
- მოწყვლადი ბავშვების სპეციალიზებული ჯგუფები: სტატისტიკური ინფორმაცია განსაკუთრებული მდგომარეობის მქონე ბავშვების სტატუსის შესახებ: ომის ან თემში არსებული ძალადობის შედეგად ტრავმირებული ბავშვები; აივ ინფიცირებული ან შიდსით დაავადებული ბავშვები; მათხოვარი ან უპატრონო ბავშვები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები (მაგ.: ნაღმები); ბავშვები, რომელთა შრომას ბოროტად იყენებენ; ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვები და ა.შ.

ცოტა ქვეყანას თუ აქვს ყოვლისმომცველი მონაცემთა ბაზა, ფეხმძიმობის, შობადობის, ახალდაბადებული და ნულიდან რვა წლამდე ასაკის ბავშვების შესახებ. დემოგრაფიული მდგომარეობის და ჯანმრთელობის კვლევის (DHS) პროგრამის გარდა, სტატისტიკური პროგრამები ძირითადად საბაზისო ჯანდაცვის მომსახურების და სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის მონაცემებს მოიცავს — და ხშირად არასრულ ინფორმაციას უზრუნველყოფენ. როგორც წესი, მონაცემთა კომპლექტში, რომელიც პოლიტიკის ფორმულირებისთვის არის საჭირო, ბევრი ხარვეზი და შეუსაბამობაა. ამის გამო, ზოგი ქვეყანა საჭიროებების შეფასების მოსამზადებელ ეტაპს ატარებს, რომელიც მოიცავს ზემოთ მოცემული საკითხების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, ქვეყნის,

რეგიონის, ინსტიტუციურ და ადგილობრივ დონეზე. კვლევა შეიძლება იყოს ზოგადი ან ორიენტირებული კონკრეტულ სექტორზე (მაგ.: ჯანმრთელობა, პრენატალური განათლება და მოვლა, ან სკოლამდელი განათლება), ასაკობრივ ჯგუფებზე (მაგ.: მშობლების ინფორმირება დაბადებიდან სამ წლამდე ასაკის ბავშვების მოვლაზე), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებზე (მაგ.: ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, აივ ვირუსით ინფიცირებული/შიდსით დაავადებული ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები). გარდა ამისა, საჭიროებების შეფასებისას უნდა განისაზღვროს დაბრკოლებები, გამოწვევები და პრობლემები. საკონსულტაციო სემინარების დროს (იხ.**2.6 ქვეთავი**) ინფორმაციასა და სტატისტიკურ მონაცემებზე ახალი მოთხოვნა გაჩნდება. მნიშვნელოვანია, რომ ეს მოთხოვნები დააკმაყოფილოთ და თუ შესაძლებელია, საჭიროებების შეფასების სწრაფად ჩატარების დაგეგმვაში ეს ადამიანები დაიხმაროთ. ზოგჯერ საჭიროებების შეფასების ფარგლებში „ეროვნული მონაცემების“ მოპოვება ხდება. ეს მონაცემები შეიძლება დროებითი მონაცემების სახით იყოს გამოყენებული და მოგვიანებით უფრო ზუსტი სტატისტიკური მონაცემით ჩანაცვლდეს. ჩვეულებრივ კვლევაში მონაწილე პირები კვლევის შედეგებს თვითონვე იყენებენ. თანამონაწილეობის ეს გრძნობა, მათ სტიმულს აძლევს სხვებთან ითანამშრომლონ პოლიტიკის საკითხებზე კონსენსუსის მისაღწევად და ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხორციელებაში დასახმარებლად. ქვეყნების უმრავლესობის ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა ფეხმძიმობის, შობადობის და მცირეწლოვანი ბავშვების შესახებ ამომწურავი და საიმედო მონაცემების მოპოვების სტრატეგიას მოიცავს.

2.2 ადრეულ ასაკში განვითარების რესურსების შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება

რესურსების შეფასების კომიტეტი პირველ რიგში ადრეულ ასაკში განვითარების რესურსების განსაზღვრის სტრატეგიას შეიმუშავებს:

- ადრეულ ასაკში განვითარების სერვისების მქონე დაწესებულებები ეროვნულ, რეგიონულ, პროვინციის, რაიონის და თემის დონეზე: სამინისტროები და ხელისუფლების სხვა ორგანოები, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორები, პროფესიული ასოციაციები, უნივერსიტეტები, დაწესებულებები, კავშირები, რელიგიური ჯგუფები, თემის განვითარების ორგანიზაციები და ადრეულ ასაკში განვითარების მომსახურების უზრუნველმყოფი კერძო ორგანიზაციები;
- ქსელები და პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკასთან შეიძლება ინტეგრირდნენ.
- ადამიანური რესურსები, ტრენინგ გავლილი პერსონალი (მაგ.: პროგრამის დირექტორები, ტრენერთა ტრენერები, მშობელთა ინფორმირების სპეციალისტები, სერტიფიცირებული და არასერტიფიცირებული სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგები, ბავშვის შეფასების სპეციალისტები, ფიზიოთერაპევტები, ლოგოპედები და პროფესიული დაავადებების თერაპევტები, ჯანდაცვის საკითხების ინსტრუქტორები, სამედიცინო პერსონალი, დიეტოლოგები, შემფასებლები, ინფორმაციის გავრცელების სპეციალისტები, სანიტარიის სპეციალისტები, ბავშვთა დაცვის სერვისების და უფლებების სპეციალისტები და სხვ..

- ტრენინგის პროგრამები, მათი შესაძლებლობები და გაფართოების და გაუმჯობესების პოტენციალი.

ადრეულ ასაკში განვითარების ყველა დაწესებულების, პროგრამის და ქსელის დადგენის შემდეგ, კომიტეტმა თითოეულის შესახებ უნდა მოიძიოს ინფორმაცია. შესაძლებელია სრული ეროვნული გამოკითხვის ჩატარება ან ფართომასშტაბიანი ან ინოვაციური პროგრამების შესახებ სტრუქტურირებული ინტერვიუს ჩატარება. საჭიროა შემდეგი ინფორმაციის მოპოვება: მიზნები და ამოცანები; ძირითადი ღონისძიებები და სერვისები; პროგრამის პერსონალი; პროგრამის მოცვის დონე მოსახლეობის ტიპების/რაოდენობის და გეოგრაფიული ზონების მიხედვით; მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სახე; პირველადი მომსახურების გამოსავალი/შედეგები, და ზოგადი საერთო ბიუჯეტი და დაფინანსების პროცენტული წილი დაფინანსების ტიპების მიხედვით (მაგ.: $100,000/წელიწადში: 50% რეგიონული მთავრობა, 25% სამინისტრო, 15% ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, 10% თემი). საჭიროა დაგეგმვა და რეკომენდაციების შემუშავება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: პოლიტიკისა და პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული საჭიროებები, რომლებიც ვერ დაკმაყოფილდა; მოცვის და მომსახურების დონის გაფართოების შესაძლებლობა მეტი მხარდაჭერის საშუალებით; ის, თუ რის გაუმჯობესებას ისახავს პროგრამები მიზნად; მომსახურე ან პროგრამის პერსონალისთვის საჭირო მოტივაცია; მომსახურებამდე ან მომსახურების პროცესში საჭირო ტრენინგი, რა როლის შესრულება სურთ პროგრამებს მომავალში პოლიტიკის ადვოკატირებაში, პროგრამების დაპროექტებაში და ა.შ. საკონსულტაციო სემინარის დროს განისაზღვრება და „რესურსების შეფასებაში“ ინტეგრირდება დამატებითი რესურსები.

2.3. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხილვის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება

პოლიტიკის განმხილველმა კომიტეტმა უნდა მიიღოს ღონისძიებები ყველა შესაბამისი დოკუმენტის დასადგენად და განსახილველად, მათ შორის: ეროვნული და პროვინციის პოლიტიკა და გეგმები; აღმასრულებელი ხელისუფლების დადგენილებები; კანონმდებლობა და კანონები; ბავშვების და მათი ოჯახების მომსახურების დაფინანსების მექანიზმები (მაგ.: კორპორაციული, ქონების ან ცალკეული გადასახადები, ტარიფები, სუბსიდიები ან მცირეწლოვან ბავშვთა პროგრამების დასაფინანსებლად გამოყენებული სხვა მეთოდები); რეგულირების ნორმები, სტანდარტები და მათი აღსრულების მექანიზმები; საზოგადოებრივი ადვოკატირების პოლიტიკა საზოგადოების ინფორმირების მიზნით; ასევე, პოლიტიკის საკოორდინაციო ორგანოები, ღონისძიებები ან ქსელები. ყოველივე ეს უნდა გაანალიზდეს შედეგი მიმართულებით:

- პოლიტიკაში შემავალი სფეროები, ხარვეზები, არასაჭირო დუბლირება და მომავალი მოთხოვნები;
- სექტორებს შიგნით და სექტორებს შორის არსებული შესაძლო წინააღმდეგობები პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებში, მათი მიზეზები და გადაჭრის გზები;
- შერჩეული სტრატეგიები, მათი ეფექტიანობა, ამ სტრატეგიების უფრო წარმატებით გამოყენების პირობები; და სტრატეგიები, რომლებიც არ შევიდნენ პოლიტიკაში;
- კანონები, კანონმდებლობა, დადგენილებები, რეგულირების ნორმები, სტანდარტები ან კონკრეტული შედეგების მისაღწევად შემუშავებული სხვა მექანიზმები, და მათი აღსრულების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;

- მიზეზები, რის გამოც ზემოთ ჩამოთვლილმა ინსტრუმენტებმა ვერ შეძლეს დაგეგმილი შედეგების მიღება, და იურიდიულ მექანიზმებთან და აღსრულების სხვა მეთოდებთან დაკავშირებული რეკომენდაციები;
- პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომლობის, კოორდინაციის და ინტეგრაციის საკითხები ან მათი არ არსებობა;
- ეფექტიანობა და ქმედითობა ან პირიქით;
- ზოგადი გავლენა და შედეგები, წარმატებების და წარუმატებლობის ჩათვლით, მიზეზები, რის გამოც დასახული მიზნების მიღწევა ვერ მოხერხდა.

ანალიზის შედეგად **მიღებულ გაკვეთილებს** სახელმძღვანელოდ გამოვიყენებთ ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში, მათ შორის კოორდინაციის, თანამშრომლობის და ინტეგრაციის გაუმჯობესების გზების განსაზღვრისას.

2.4 მონაცემთა საწყისი ანალიზი და ინტერპრეტაცია

შეფასების დასრულების შემდეგ, კვლევების დაგეგმვამდე, კომიტეტებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ ანალიზის და საორიენტაციო შედეგები. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკისთვის ბავშვების და მათი ოჯახების, პროგრამის რესურსების და პოლიტიკის არსებული ელემენტების შესახებ მდგომარეობის ერთი საერთო ანალიზი მომზადდება. შესაძლებელია სხვა ქვეყნის კვლევის შედეგების მოშველიება, მათი დახმარებით ეროვნული მონაცემების ინტერპრეტაცია და პოლიტიკის სტრატეგიების მომზადება. ზოგიერთ ქვეყანაში მდგომარეობის ანალიზის მიზნით მომზადებული სამი კვლევა განსაკუთრებულ დოკუმენტებს წარმოადგენს, რომლებიც იმდენად კარგად არის მომზადებული, რომ ცალკე გამოქვეყნებას იმსახურებს. მათი დახმარებით შეიძლება გაიზარდოს ბავშვთა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების შესახებ ინფორმირებულობის დონე და ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაზე მოთხოვნა. განსაკუთრებით რეკომენდებულია მათი ადრეულ ეტაპზე გამოქვეყნება, რადგან ცალკე ანალიზმა შეიძლება უფრო მეტი დეტალები უზრუნველყოს. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში მდგომარეობის ანალიზი მოკლე და ფოკუსირებული უნდა იყოს. მდგომარეობის ანალიზში რეგიონების ან პროვინციების შესახებ მონაცემები, შეიძლება არ შევიდეს, მაგრამ ისინი საკონსულტაციო სემინარებზე წარსადგენად, პოლიტიკის და წლიური სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად, ასევე, მომავალი პროგრამების მოსამზადებლად გამოგადგებათ. კვლევის დოკუმენტები ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დოკუმენტების შენახვის და აღრიცხვის ცენტრში უნდა განთავსდეს, იმისათვის, რომ კითხვების გაჩენის შემთხვევაში, მათზე პასუხი მოგვიანებით, დოკუმენტების ანალიზის საშუალებით იყოს შესაძლებელი.

2.5 მდგომარეობის პირველი პროექტის მომზადება განსახილველად

მონაცემების ანალიზის, ინტერპრეტაციის და გრაფიკის მომზადების საფუძველზე პოლიტიკის ტექსტზე მომუშავე ჯგუფი მდგომარეობის ანალიზის პირველ პროექტს ამზადებს. მას შემდეგ, რაც პროექტს სამი კომიტეტი განიხილავს, იგი მთელ სამუშაო ჯგუფს გადაეცემა განსახილველად. მიღებული კომენტარების საფუძველზე მეორე პროექტი მზადდება. შემდეგ შეხვედრას ატარებს შედარებით მოზრდილი ჯგუფი, მაგალითად, პოლიტიკის განმხილველი ეროვნული კომიტეტი, თუ იგი უკვე შექმნილია. ამ შედარებით

მოზრდილი ჯგუფის შემადგენლობაში უნდა შევიდეს დაგეგმვის და კვლევის ყველა ჯგუფი, სტატისტიკური ორგანიზაციები, განხილული ინსტიტუციები და იმ პოლიტიკასა და გეგმებთან დაკავშირებული ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც შეფასდა. განხილვის შემდეგ, მდგომარეობის ანალიზი გადაისინჯება და კონსულტაციის შედეგებთან ერთად ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის პირველი პროექტის მოსამზადებლად გამოიყენება.

2.6 ქვეყნის მასშტაბით კონსულტაციების მომზადება

ეროვნული საკონსულტაციო სემინარები ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის მომზადების პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. სამუშაო ჯგუფი ძალიან დიდ როლს თამაშობს კონსულტაციების დაგეგმვაში, ორგანიზებასა და ჩატარებაში. საკონსულტაციო კომიტეტის შემადგენლობაში ადრეულ ასაკში განვითარების ყველა ძირითადი დარგის სპეციალისტი უნდა შევიდეს. სასურველია მის შემადგელობაში ასევე იყვნენ პოლიტიკის ტექსტზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელი, მდგომარეობის ანალიზის ჯგუფების წევრები, ფინანსთა (ან დაგეგმვის) სამინისტროს და სხვა სამინისტროების წარმომადგენლები, რომლებიც ადრეულ ასაკში განვითარების სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

წარსულში, სამუშაო ჯგუფი მხოლოდ ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებთან გადიოდა კონსულტაციას. ზოგჯერ ისინი კონკრეტული სფეროს სპეციალისტებისგან, რეგიონის რამდენიმე ლიდერისგან და სტატისტიკის სპეციალისტებისგანაც იღებდნენ რჩევებს. ძირითადად, სამუშაო ჯგუფს ამომწურავი, პოლიტიკურად მისაღები და ტექნიკურად კარგად შედგენილი დოკუმენტის შემუშავება ევალებოდა. ჩვეულებრივ მათ მიერ შემუშავებული პოლიტიკა გარე დამფინანსებელი ორგანოების მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, მაგრამ ამ პოლიტიკის ელემენტების უმრავლესობა არ ხორციელდებოდა და განხორციელების შემთხვევაშიც კი დასახულ მიზნებს ვერ აღწევდა. იმის გამო, რომ პოლიტიკას ცენტრალური მთავრობის უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლების გარდა, იშვიათად ვინმე თუ ხედავდა, მისი სტრატეგიები და პროგრამის პრიორიტეტები სხვა დონეზე გადაწყვეტილების მიღებას ხელს არ უწყობდა. როდესაც პოლიტიკის ასლს მიიღებდნენ, რეგიონული და ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლებს მათი ფუნქციები და მოვალეობები არ ესმოდათ — თუ პოლიტიკა საერთოდ განსაზღვრავდა კონკრეტულად მათ ფუნქციებს და მოვალეობებს. მსოფლიოს ქვეყნების განათლების, ეკონომიკის და ჯანდაცვის წარუმატებელი რეფორმები იმაზე მიუთითებს, რომ ეროვნული პოლიტიკა, ქვეყნის მოქალაქეების მიერ პოლიტიკის მიზნებისა და სტრატეგიების გაუთავისებლად, წარმატებით ვერ განხორციელდება.

პოლიტიკის კოლექტიურმა, ეროვნული მასშტაბით შემუშავების ადრეულმა ექსპერიმენტებმა გამოავლინა, რომ ყველა დონეზე კონსულტაციის გავლა ხელს უწყობს პოლიტიკის უკეთ გათავისებას, განხორციელებას და მისი მიზნების მიღწევის შესაძლებლობის გაუმჯობესებას. შესაბამისად, შემუშავდა საკონსულტაციო სემინარების ეფექტიანად წარმართვის მეთოდები, რომლებიც ჩვეულებრივ, ეროვნულ, პროვინციის, რაიონის და თემის დონეზე იმართება. კონსულტაციების გრძელვადიანი მიზნებია:

- ყველა ბავშვის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ეროვნული ხედვის ჩამოყალიბება;

- ადგილობრივი, რაიონის, პროვინციის და რეგიონის ხელმძღვანელი პირების დადგენა;
- მათი ბავშვების საჭიროებების და შესაძლებლობების განხილვისთვის, მოქალაქეთა მოტივაცია;
- ადგილობრივი მოთხოვნის გაჩენა ბავშვების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე, მომავალში დაგეგმვის ღონისძიებების განსახორციელებლად;
- ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მიზნების მიღწევაში მხარდაჭერის მოპოვება და ენთუზიაზმის გაღრმავება;
- ადგილობრივი მოქალაქეების წახალისება, ერთად იმუშაონ ბავშვებისთვის ახალი ინიციატივების წამოსაწყებად;
- ცალკეული პირების წახალისება ადრეულ ასაკში განვითარების სერვისებისთვის მოსამზადებლად;
- ყველა დონეზე ბავშვთა პროგრამების დაფინანსების ახალი წყაროების იდენტიფიკაცია;
- თანამშრომლობის, კოორდინაციის არხების და ინტეგრირებული მიდგომის ჩამოყალიბება.

- გარემოს შექმნა მომავალი პარტნიორობის და ქსელის განსავითარებლად.

კონსულტაციები უზრუნველყოფს გრძელვადიანი განვითარების სტრუქტურას, რომელიც ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ფარგლებს საგრძნობლად სცდება. კარგად დაგეგმვისა და ორგანიზების შემთხვევაში, ისინი ის ინტერვენციები ხდებიან, რომლის დახმარებით ბავშვების განვითარებაში ინვესტიციები იზრდება.

კომიტეტი ამზადებს **საკონსულტაციო სტრატეგიას და გეგმას**. კონსულტაციების დაგეგმვის და ჩატარების ინსტრუქციები მოცემულია **X დანართში (დანართი X: კონსულტაციები თემის, რეგიონის და ეროვნულ დონეზე)**. თუ საკონსულტაციო სტრატეგია და გეგმა კარგა ხნით ადრე მომზადდება, სამუშაო გრაფიკი არ ირღვევა. აუცილებელია გეგმის სამთავრობო ორგანოებისთვის და შემლებისდაგვარად ბევრი ადგილობრივი და საერთაშორისო დონორისთვის წარდგენა. ხელმძღვანელი სამინისტროს მიერ თითოეულ დონორ ორგანიზაციასთან ჩატარებული შეხვედრა ყველაზე კარგ შედეგს იძლევა. ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ სხვებსაც, ვინც ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ. თითოეულმა დონორმა უნდა მიიღოს ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის, საკონსულტაციო გეგმის ზოგადი მონახაზი და დეტალური ბიუჯეტი. კონსულტაციის ბიუჯეტის ტიპური მუხლები **მე-10 დანართშია მოცემული**.

თითოეული კონსულტაციის თარიღის და ადგილის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, პოლიტიკის ტექსტზე მომუშავე ჯგუფი და დაკავშირებული კომიტეტები ადგენენ სტატისტიკურ ანგარიშებს ბავშვების მდგომარეობის, ხელმისაწვდომი რესურსების და პოლიტიკის გავლენის შესახებ ყოველ რეგიონში. საუკეთესო შემთხვევაში, მდგომარეობის ეს მინიანალიზი თითოეულ მონაწილეს, რეგიონის საჭიროებების და ინფორმაციაში არსებული ხარვეზების განხილვისთვის, კარგა ხნით ადრე ეგზავნება. ეს მათ მომავალში მიზნების, სტრატეგიების და პროგრამის სფეროების ზოგადად ჩამოყალიბებაში დაეხმარება. ანგარიშები საკონსულტაციო სემინარზეც უნდა წარმოადგინონ ზეპირად და ვიზუალურად, რათა მცირე ჯგუფებმა მათზე იმუშაონ და განიხილონ. თუ ავტორები ესწრებიან, შეფასებითი კომენტარები მათ მდგომარეობის ანალიზის გაუმჯობესებაში დაეხმარება. ხშირად კონსულტაციებში მონაწილე ადამიანებს აქვთ ინფორმაცია დამატებითი მონაცემთა

კომპლექტებისა და კვლევების შესახებ და ინფორმაციაში არსებული ხარვეზების შევსება შეუძლიათ. სფეროებში, სადაც მნიშვნელოვანი ინფორმაციაა გამოტოვებული, მონაწილეებს შეუძლიათ „ეროვნული მონაცემები“ ჩასვან, რომლებიც დროებითი მონაცემების სახით იქნება გამოყენებული და მომავალში სანდო სტატისტიკური ინფორმაციით ჩანაცვლდება. როდესაც თემის შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს, შესაძლებელია რეგიონული სტატისტიკის გამოყენება და შესაბამისი შეზღუდვების მითითება.

2.7 საწყისი ინტერვიუების ჩატარება ადრეულ ასაკში განვითარების სფეროს ლიდერებთან

კონსულტაციების დაგეგმვის დროს, სამუშაო ჯგუფმა უნდა შეადგინოს კითხვარები და ადრეულ ასაკში განვითარების საბჭოს წევრებს და ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის სხვა ლიდერებს შეავსებინოს. ეს პიროვნული ურთიერთობა ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესს ხელს უწყობს და გადაწყვეტილების მიმღებ წამყვან პირებს აგრძნობინებს, რომ მათ აზრებს გაითვალისწინებენ. **ინტერვიუს ფორმატის** მიხედვით, ძირითად რესპონდენტებს რეკომენდაციებს სთხოვენ შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ადრეულ ასაკში განვითარების შესახებ ხედვა; მშობლების, ფეხმძიმე ქალების და ჩვილი ბავშვების საჭიროებები; ბავშვის სტიმულირება, ჯანმრთელობა და კვება; სანიტარიული მდგომარეობა სახლსა და თემში; სკოლამდელი განათლება და ბავშვის სკოლაში წასვლა. კითხვები უნდა დაისვას ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნულ მიზნებსა და ამოცანებზე; ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების სტრატეგიაზე; და პროგრამის იმ სფეროებზე, რომლებიც პრიორიტეტულ ყურადღებას იმსახურებენ. ამ ინტერვიუს შედეგები, პოლიტიკის მომზადების პროცესში გამოყენების მიზნით,.სწრაფად უნდა გაერთიანდეს საკონსულტაციო სემინარების შედეგებთან ერთად.

2.8 სამუშაო ჯგუფის სამუშაო გეგმის განხილვა

მე-2 ეტაპის ბოლოს სამუშაო ჯგუფის ყველა წევრმა უნდა მიიღოს მონაწილეობა სამუშაო გეგმის განხილვაში. ეს პროცესი, ჯგუფის წევრებს პოლიტიკის დაგეგმვის პროცესზე ერთნაირ დამოკიდებულებას უყალიბებს. ჩვეულებრივ, ამ განხილვებისას ბევრ საკითხზე ხდება მოლაპარაკება. განხილული სამუშაო გეგმა ფართოდ უნდა გავრცელდეს დაინტერესებული პირების ინფორმირების და მათ მიერ პროცესის შემდგომი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

III ეტაპი: კონსულტაციები თემის, რეგიონის და ეროვნულ დონეზე

პოლიტიკა მუდმივად ცვალებადი დროებითი მსოფლმხედველობაა, მაგრამ ვიდრე ის თავის თავს ამართლებს, ფანატიკური გულმოდგინებით უნდა შესრულდეს

მოჰანდას კ. განდი, ინდოელი ფილოსოფოსი, 1869

IIIეტაპი: კონსულტაციები თემის, რეგიონის და ეროვნულ დონეზე - მოქმედებების საკონტროლო ნუსხა	**დაწყება**	**დასრულება**
3.1 კონსულტაციების მომზადება და ჩატარება		
3.2 ძირითად რესპონდენტებთან ინტერვიუს მომზადება და ჩატარება		
3.3 კონსულტაციებსა და ინტერვიუებზე ანგარიშების პროექტების მომზადება		
3.4 კონსულტაციებზე კრებსითი ანგარიშის მომზადება		
3.5 ბავშვთა საჭიროებების, რესურსების შეფასების და პოლიტიკის განხილვის დასრულება		
3.6 ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის პირველი პროექტის მომზადება		
3.7 სამუშაო ჯგუფის სამუშაო გეგმის განხილვა		

3.1 კონსულტაციების მომზადება და ჩატარება

საკონსულტაციო სემინარები, ეროვნულ, რეგიონის/პროვინციის და რაიონის/თემის დონეზე ყურადღებით უნდა დაიგეგმოს **X დანართში (კონსულტაციები თემის, რეგიონის და ეროვნულ დონეზე)** მითითებული ღონისძიებების შესაბამისად. ყველა კონსულტაციის ჩატარება ოთხიდან ექვს თვემდე პერიოდში უნდა იყოს შესაძლებელი. სამუშაო ჯგუფის ზოგიერთი წევრი შეიძლება ცენტრალურ დონეზე დაგეგმვას ანიჭებდეს უპირატესობას და თავდაპირველად კონსულტაციები „დროის ფუჭად კარგვად“ მიიჩნიოს. ისინი მინიმუმ ერთ სემინარს მაინც უნდა დაესწრონ იმისათვის, რათა დაინახონ მონაწილეთა ენთუზიაზმი და ის, თუ რამდენად მრავალფეროვანია მათი რეკომენდაციები. ზოგადად, თითოეულ კონსულტაციას ცვლილებები შეაქვს მომდევნო კონსულტაციაში, რადგან ეს იტერაციული პროცესია. მნიშვნელოვანია კონსულტაციების გრაფიკის დაცვა და ჯგუფების ან შეხვედრების გამოტოვების თავიდან აცილება. ადამიანებს იმედი უცრუვდებათ, როდესაც იციან, რომ მათი რეგიონი ან თემი კონსულტაციებში მონაწილეობს, მაგრამ მათ არ იწვევენ, და შესაძლოა პოლიტიკას ნაკლებად დაუჭირონ მხარი.

3.2 ძირითად რესპოდენტებთან ინტერვიუს მომზადება და ჩატარება

ადრეულ ასაკში განვითარების სფეროს ლიდერებთან საწყისი ინტერვიუს ჩატარების შემდეგ, საჭიროა გამოკითხვის მასშტაბი გააფართოოთ და სხვა სფეროში გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ პირებსაც გაესაუბროთ: ფინანსთა მინისტრი, სახელმწიფო დაგეგმვის ხელმძღვანელი პირი, დიდი არასამთავრობო ორგანიზაციების დირექტორები, სავაჭრო პალატის დირექტორები, ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერი, ბანკების, კორპორაციების, დიდი საწარმოების პრეზიდენტები, უნივერსიტეტების და ინსტიტუტების პრეზიდენტები, საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპანიების და მასმედიის წარმომადგენლების (ტელევიზია, რადიო, გაზეთები და კიბერკაფეები) დირექტორები, რელიგიური ლიდერები და საზოგადო მოღვაწეები, პედაგოგები, ექიმები, დანტისტები, იურისტები, ადვოკატები და სხვ. აღნიშნულ მთავარ რესპონდენტებს უნდა დაპირდეთ, რომ მათი მოსაზრებები კონფიდენციალური დარჩება და რომ ანგარიშში ზოგადი ანალიზი შევა და არა ინდივიდუალური კომენტარები. ეს მათ გულახდილობისკენ და რეკომენდაციების მოცემისკენ უბიძგებს. **2.7 ქვეთავში** ჩამოთვლილ საკითხებზე აზრის გამოთქმის გარდა, ზემოთ აღნიშნულ პირებს სთხოვეთ გირჩიონ რა გზით შეიძლება ბავშვთა განვითარებაში სახელმწიფო ინვესტიციების გაზრდა, რომელი რეგულირების ნორმები, კანონები და სპეციალიზებული პროგრამის კომპონენტები უნდა შემუშავდეს. ასეთი მიდგომის შემთხვევაში, ბევრი ხელმძღვანელი პირი ახალ საინტერესო რეკომენდაციებს მოგცემთ და ზოგი მათ განხორციელებაში დახმარების სურვილსაც გამოთქვამს.

3.3 კონსულტაციებსა და ინტერვიუებზე ანგარიშების პროექტების მომზადება

როგორც ეს მე–**9 თავის X დანართშია (კონსულტაციები თემის, რეგიონის და ეროვნულ დონეზე)** აღნიშნული, მზადდება ანგარიშები კონსულტაციების შესახებ და ყველა მონაწილეს ეგზავნება. გარდა ამისა, ანგარიშები უნდა გადაეცეს სამუშაო ჯგუფის ყველა წევრს, ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნულ საბჭოს და სხვებს, ვისაც ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის პროექტის მომზადება პირდაპირ ეხება. ანალოგიურად, ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს იმ ინტერვიუს ანალიზი და ინტერპრეტაცია, რომელიც ადრეულ ასაკში განვითარების სფეროს ლიდერებს და სპეციალისტებს, ასევე გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს ჩაუტარდათ ეროვნულ დონეზე.

3.4 კრებსითი ანგარიშის მომზადება კონსულტაციების შესახებ

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის პირველ პროექტში შესატანი ძირითადი საკითხების განსაზღვრისთვის, საკონსულტაციო სემინარების და ინტერვიუების საფუძველზე მზადდება ზოგადი კრებსითი ანგარიში კონსულტაციების შესახებ. ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე: ეროვნული ხედვა; მიზნები და ამოცანები; პოლიტიკის სტრატეგიები; პროგრამის სფეროები და მაჩვენებლები. აღნიშნული „საერთო ელემენტები“ პოლიტიკაში ისეთი სტრატეგიების შეტანის საჭიროებას ასაბუთებს, როგორიცაა მშობელთა განვითარების ეროვნული პროგრამის შემუშავება; სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების ჯანდაცვის, კვების და სკოლამდელი განათლების სერვისების გაფართოება და გაუმჯობესება; ან განვითარების შეფერხებების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ადრეული შეფასების და ინტერვენციის სისტემის და სხვა სტრატეგიების დანერგვა. მიუხედავად იმისა, რომ

ზოგიერთი საკითხი, კონსულტაციების ან ინტერვიუს დროს ხშირად არ განიხილება, მათი ჩატარება მაინც ძალიან მნიშვნელოვანია. სტატისტიკურმა ანალიზმა შეიძლება მნიშვნელოვანი დამატებითი საჭიროებები გამოავლინოს. მსგავსი პრობლემების მქონე სხვა ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევებმა შეიძლება კიდევ სხვა ახალი პოტენციური სტრატეგიების და პროგრამების შესახებ მოგაწოდოთ იდეები. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა მომავალზე უნდა იყოს ორიენტირებული და ხელს უწყობდეს სპეციალური სტრატეგიებისა და პროგრამის სფეროების დანერგვას. პოტენციურად „დავიწყებული სფეროების" მაგალითებია ადრეულ ასაკში განვითარების პროგრამები იძულებით გადაადგილებული ბავშვებისთვის კონფლიქტურ ზონაში, ტრენინგი მეანებისთვის და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების სერტიფიკაცია.

კრებსით ანგარიშში კონსულტაციების შესახებ მოცემული უნდა იყოს ის ელემენტები, რომლებიც მნიშვნელოვანია თითოეული გეოგრაფიული ზონისთვის, კულტურული ან ლინგვისტური ჯგუფისთვის, ან სპეციალური საჭიროებების მქონე მოსახლეობის ჯგუფებისთვის. ასეთი შეიძლება იყოს ძალიან ღარიბი შინამეურნეობები, განვითარების შეფერხებების ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლები, აივ ვირუსით ინფიცირებული/შიდსით დაავადებული ბავშვების მომვლელები და ა.შ. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა ვერ შეძლებს მათი ყველა პრობლემის მოგვარებას, რადგან იგი ეროვნულ პრიორიტეტებს განსაზღვრავს და მათ შესახებ კონსენსუსს უზრუნველყოფს. თუმცა, მან სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების მოთხოვნებიც უნდა დააკმაყოფილოს. ძალიან რთულია ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა, როცა ბავშვებთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა და საჭიროება არსებობს, რესურსებია კი მცირეა.

3.5 ბავშვთა საჭიროებების შეფასების, რესურსების შეფასების და პოლიტიკის განხილვის დასრულება

კონსულტაციები ცხადყოფს, რა დამატებითი სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, კვლევების ჩატარება და დაკვირვებები, ან აქამდე უცნობი ბავშვთა სერვისები და პროგრამებია საჭირო ბავშვების სტატუსის შესახებ ქვეყანაში. ასევე გამოიკვეთებიან ადრეულ ასაკში განვითარების სფეროს ნიჭიერი ლიდერები, ბავშვების კეთილდღეობით უკიდურესად დაინტერესებული ორგანიზაციები და რეგიონული და პროვინციის პოლიტიკის ელემენტები, რომლებიც ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში უნდა შევიდეს. კონსულტაციების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შესატანად, საჭიროა **ბავშვთა საჭიროებების შეფასების** გადახედვა. ანგარიშები ფეხმძიმე მოზარდებისა და ქალების საჭიროებებსა და პრობლემებზე, ნულიდან რვა წლამდე ასაკის ბავშვებზე, მშობელთა მიერ ბავშვზე ზრუნვის პრაქტიკაზე, მათი მომსახურების პროგრამებსა და მომსახურებაში არსებულ ხარვეზებზე, გაამყარებს სტატისტიკურ მტკიცებულებას და ძლიერ არგუმენტებს უზრუნველყოფს პოლიტიკის მიზნების, ამოცანების, სტრატეგიების და პროგრამის სფეროების განსაზღვრის დროს. ამ დროისთვის საჭირო იქნება **რესურსების შეფასების** განახლება და დასრულება. მას დაემატება ინფორმაცია პროგრამების, პერსონალის და კონსულტაციების დროს განსაზღვრული სხვა საკითხების შესახებ. მართალია პოლიტიკაში ამ ინფორმაციისა და გრაფიკების უდიდესი ნაწილი არ შევა, მაგრამ ის აუცილებელია პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისთვის. **პოლიტიკის განხილვას** უნდა დაემატოს კონსულტაციების დროს განსაზღვრული რეგიონების პოლიტიკა, რეგულირების ნორმები და სახელმძღვანელო რეკომენდაციები .

3.6 ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის პირველი პროექტის მომზადება

კონსულტაციების, ინტერვიუების, კრებსითი ანგარიშის, ბავშვების შეფასების, რესურსების შეფასების და პოლიტიკის განხილვის დასრულების შემდეგ პოლიტიკის ტექსტზე მომუშავე ჯგუფი ადგენს ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის პირველ პროექტს. პირველი პროექტი, რომელიც ქვემოთ მითითებული თავებისგან შედგება, სამუშაო ჯგუფს ეგზავნება განსახილველად. სხვა თავები მოგვიანებით, პოლიტიკის ძირითად ელემენტებზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ დაემატება. ამ თავებზე დეტალური ინფორმაციის მოსაძიებლად იხ. **VIII დანართი (დანართი VIII: ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ზოგადი სტრუქტურა)**.

- სარჩევი (შეიტანეთ თავების სრული ჩამონათვალი და აღნიშნეთ, რომელია ჯერ კიდევ მოსამზადებელი)
- შესავალი
- ადრეულ ასაკში განვითარების მხრივ არსებული მდგომარეობის ანალიზი: ბავშვების და ოჯახების სტატუსი; ბავშვებისა და ოჯახებისთვის განკუთვნილი არსებული სერვისების და რესურსების ანალიზი; პოლიტიკის, გეგმების, კანონების და რეგულირების ნორმების განხილვა და ანალიზი
- ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ხედვა
- ადრეულ ასაკში განვითარების მიზნები და ამოცანები
- პოლიტიკის სტრატეგიები
- პროგრამის სფეროები
- პოლიტიკის ინდიკატორები, ღონისძიებები და მიზნობრივი მაჩვენებლები (დაამატეთ შესაძლო პუნქტები)

სხვა თავები მოგვიანებით მომზადდება და გავრცელდება, თუმცა მათზე მუშაობა ამ მომენტიდან შეიძლება დაიწყოს. მათი პრეზენტაცია პირველ თავებზე კონსენსუსის მიღწევამდე არ არის რეკომენდებული, ძირითადად იმის გამო, რომ შესაძლოა ბევრი დრო წაიღოს პროექტების მომზადებამ, რომლებიც მოგვიანებით კიდევ უნდა შეიცვალოს.

3.7 სამუშაო ჯგუფის სამუშაო გეგმის განხილვა

საკონსულტაციო სემინარების ჩატარების, ყველა ანგარიშის მომზადების და ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის პირველი პროექტის დასრულებისა და განსახილველად გავრცელების შემდეგ, საჭიროა სამუშაო ჯგუფის სამუშაო გეგმის გადახედვა.

IV ეტაპი: პოლიტიკის პროექტების მომზადება და კონსენსუსის მიღწევა

განათლება არის ყველაზე ძლიერი იარაღი, რომელიც შეიძლება მსოფლიოს შესაცვლელად გამოიყენოთ .

ნელსონ მანდელა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი

4.1 პოლიტიკის პირველი პროექტის განხილვა სამუშაო ჯგუფისა და სხვათა მიერ

აღნიშნული ღონისძიებები, კიდევ ერთხელ, თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს. მას შემდეგ, რაც სამუშაო ჯგუფი პოლიტიკის პირველ პროექტს განიხილავს, მას იხილავს პოლიტიკის ტექსტზე მომუშავე ჯგუფი და შემდეგ, თუკი შექმნილია პოლიტიკის განმხილველი ეროვნული კომიტეტი, პროექტს სწრაფად უგზავნის მას, ასევე საკონსულტაციო სემინარების მონაწილეებს და იმ ხელმძღვანელ პირებს, რომელთაც ინტერვიუ ჩაუტარდათ. გრაფიკის ვადების ჩამორჩენის თავიდან ასაცილებლად საჭიროა დოკუმენტის განხილვის ვადების დადგენა. შესაბამისად, სამუშაო ჯგუფმა უნდა განიხილოს პოლიტიკის განხორციელების ორგანიზაციული სტრუქტურა. ამისათვის, იხილეთ **XIV დანართი (დანართი XIV: ადრეულ ასაკში განვითარების საკოორდინაციო სტრუქტურების ფუნქციები და მოვალეობები).** სამუშაო ჯგუფმა უნდა შეისწავლოს ასეთი სტრუქტურების შექმნის სტრატეგიები და მათი ფუნქციები და მოვალეობები.

4.2 პოლიტიკის მეორე პროექტის მომზადება

აუცილებლად აღმოჩნდება, რომ პოლიტიკის პირველი პროექტის შესახებ ქვეყნის მასშტაბით მიღებული კომენტარების ნაწილი, წინააღმდეგობაში იქნება სხვა კომენტარებთან. მუშაობის გაგრძელებამდე კონსენსუსის მისაღწევად რეკომენდებულია მცირე ჯგუფების შეხვედრების ჩატარება. ძირითად კომპონენტებზე შეთანხმების შემდეგ მომზადდება ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მეორე პროექტი. პროექტის განხილვის შემდეგ, მას შესაძლოა ახალი თავები დაემატოს.

ეს თავები შესაძლოა მოიცავდეს:

- ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხორციელების დარგთაშორის ორგანიზაციულ სტრუქტურას;
- ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის და/ან წლიური სამოქმედო გეგმის კოორდინირების, ზედამხედველობის და გადასინჯვის მიზნით მონიტორინგის, შეფასების, ანგარიშგების და შესრულების შემოწმების ღონისძიებებს;
- პოლიტიკის კვლევის გეგმას.

4.3 პოლიტიკის განხორციელების ორგანიზაციული სტრუქტურის დამატება

შემდეგ, სამუშაო ჯგუფთან და ძირითად რესპონდენტებთან დისკუსიების საფუძველზე საჭიროა პოლიტიკის განხორციელების ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება. შესაბამისი მითითებები მოცემულია მე-14 დანართში **(დანართი XIV: ადრეულ ასაკში განვითარების საკოორდინაციო სტრუქტურების ფუნქციები და მოვალეობები)**.

4.4 პოლიტიკის ინდიკატორების, კრიტერიუმების და მიზნობრივი მაჩვენებლების დამატება

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა, ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად და პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, უნდა მოიცავდეს ინდიკატორების, კრიტერიუმებისა და მიზნობრივი მაჩვენებლების ნუსხას. წინა პერიოდში პოლიტიკის განხილვის (განსაკუთრებით ათასწლეულის განვითარების მიზნების, სიღარიბის დაძლევის სტრატეგიული დოკუმენტების და დარგობრივი სტრატეგიების და გეგმების), ბავშვების სტატუსის ანალიზის, რესურსების გადახედვის, საკონსულტაციო სემინარების, ინტერვიუების და საერთაშორისო წყაროების მიმოხილვის შედეგად ბევრ მოსაზრებას მოუყრით თავს. ინდიკატორების, კრიტერიუმების და მიზნობრივი მაჩვენებლების შერჩევამდე საჭიროა მე-13 დანართის **(დანართი XII: პოლიტიკის ინდიკატორების განსაზღვრა და შერჩევის ინსტრუქციები)** გადახედვა. ყველაზე ფართოდ გამოყენებული ეროვნული ინდიკატორები მოცემულია მე-13 დანართში **(დანართი XIII: პოლიტიკის ინდიკატორები).** ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში, ჩვეულებრივ, მხოლოდ რამდენიმე „სახელმძღვანელო ინდიკატორი“ შეაქვთ. ნუსხაში 60 ინდიკატორზე მეტი იშვიათად შედის და როგორც წესი, იგი უფრო მოკლეა. ამისი მიზეზი ძირითადად ის არის, რომ ეროვნულ დონეზე დიდი რაოდენობის ინდიკატორის თვალყურის დევნება ძალიან ძვირი ჯდება. ადგილობრივ, პროვინციის და ეროვნულ დონეზე იშვიათად თუ მოიძებნება საკმარისი რაოდენობის მომზადებული პერსონალი იმისათვის, რომ მათ მოიპოვონ და გაანალიზონ მონაცემები და ანგარიშგება აწარმოონ.

საჭიროა ინდიკატორების „სათანადო კომუნიკაცია“. მათი დახმარებით ადამიანები უნდა მიხვდნენ, რის მიღწევას ცდილობს ქვეყანა ადრეულ ასაკში განვითარების სფეროს გაუმჯობესებით. ეროვნული დონის ინდიკატორებს უნდა ჰქონდეთ ძლიერი „წარმომადგენლის უფლებამოსილება“. ეროვნული ინდიკატორების უმრავლესობა „შემცვლელი“ ან „ხელმძღვანელი ინდიკატორის“ სახით ფუნქციონირებს სხვა „ქვეინდიკატორებისთვის“, რომლებიც შეიძლება რაიონის, თემის ან პროგრამის დონეზე გამოიყენონ. ეროვნული დონის ინდიკატორებს უნდა შეეძლოს მოიცვას მთელი რიგი ქვე-ინდიკატორები, რომლებიც ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში არ შედის. თუ შესაძლებელია, შედარებით ადვილი უნდა იყოს მათი შეფასება არსებული მონაცემთა მოპოვების პროცესების და მომსახურების მიწოდების სისტემების გამოყენებით. **ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა უნდა მოიცავდეს სტრატეგიების ინდიკატორებს სასიცოცხლო ციკლის თითოეული ეტაპისთვის და ბავშვების განსაკუთრებული ჯგუფებისთვის. ჯანმრთელობასთან, კვებასთან, განათლებასთან, სანიტარიასთან და ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული ინდიკატორები ყველა დონეზე იქნება საჭირო.**

4.5 მონიტორინგის და შეფასების გეგმის დამატება

ადრეულ ასაკში განვითარების თითოეული პოლიტიკა უნდა მოიცავდეს მონიტორინგისა და შეფასების გეგმას, რომელშიც ზოგადად ასახავს პოლიტიკის განხორციელების შემოწმების სისტემას. მონიტორინგისა და შეფასების გეგმის მთავარი მიზანია, პოლიტიკის მიზნობრივი მაჩვენებლების შესრულებისა და ადრეულ ასაკში განვითარების ყოველწლიური სამოქმედო გეგმის მომზადების ხელშესაწყობად, მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის უზრუნველყოფა. მონიტორინგისა და შეფასების გეგმამ ხელი უნდა შეუწყოს პოლიტიკის განხორციელებას, მის მოქნილობას და ქვეყანაში დაგეგმვის უნარის განვითარებას. იგი უნდა აღიქვან, არა როგორც სადამსჯელო ღონისძიება, არამედ, როგორც ინფორმაციის წყარო, რომელიც მომსახურების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. იმ გეოგრაფიულმა რაიონებმა ან პროგრამებმა, სადაც პოლიტიკა სათანადოდ ვერ ხორციელდება, დამატებითი ტექნიკური კონსულტაცია უნდა მიიღონ და არა საყვედური. ადრეულ ასაკში განვითარების თითოეულ პროგრამას უნდა ჰქონდეს მონიტორინგის და შეფასების გეგმა, რომელიც დაკავშირებული იქნება ანგარიშგების ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ სისტემებთან. ამ კავშირების სისტემა პოლიტიკაში უნდა იყოს წარმოდგენილი.[42]

საჭიროა კონსენსუსის მიღწევა **ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხორციელებისა და შეფასების სტრუქტურის** განთავსების თაობაზე. აღნიშნული სტრუქტურა ამ ქმედებებს განახორციელებს და წლიურ სამოქმედო გეგმას მოამზადებს. მისი განთავსება შესაძლებელია ხელმძღვანელ სამინისტროში ან ცალკე ნახევრად-ავტონომიურ დაწესებულებაში. აღნიშნულმა სტრუქტურამ ხელი უნდა შეუწყოს ადრეულ ასაკში განვითარების პროგრამების განხორციელებას და მონიტორინგი და შეფასება კოორდინაციისა და ზედამხედველობის პროცესებს უნდა დაუკავშიროს. პროგრამების ფარგლებში პრობლემების განსაზღვრის, შედეგებზე ანგარიშგების და მიღწევების აღნიშვნისთვის რეგულარული შეხვედრები უნდა მოიწვიოს. საჭიროა მონაცემთა ბაზების შემუშავება და ანალიზი იმისათვის, რომ მომზადდეს არგუმენტები ბავშვთა განვითარებაში ინვესტიციების გასაზრდელად, ასევე პროგრამის დაგეგმვის ღონისძიებების შესასრულებლად, პროგრამების განსახორციელებლად და ყველა დონეზე ანგარიშგებისა და პოლიტიკის განხორციელების შემოწმებისა უზრუნველსაყოფად. ქვეყანაში ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარებაში ჩადებული ინვესტიციების მინიმუმ **5-10%** შეფასებით კვლევას, მონიტორინგს, სტატისტიკურ ანგარიშგებას და შესრულების შემოწმების სისტემებს უნდა დაეთმოს.

ქვეყნებს მონაცემების მოპოვება პოლიტიკის ახალი მიზნობრივი მაჩვენებლების შესაფასებლად ესაჭიროებათ. რეკომენდებულია, ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული პოლიტიკა მოიცავდეს თავს **ადრეულ ასაკში განვითარების მხარდამჭერი ადგილობრივი ჯგუფების** ტრენინგის შესახებ. აღნიშნული ჯგუფები შეაფასებენ ჯანდაცვის, კვების, მშობელთა ინფორმირების, ბავშვთა განვითარების, სანიტარიის სერვისებს და სხვა საკითხებს. შესაძლებელია ჯგუფებმა ტრენინგის კურსი გაიარონ მონიტორინგისა და შეფასების ისეთი მარტივი, მაგრამ მნიშვნელოვანი ქმედებების განსახორციელებლად, როგორიცაა ბავშვთა დაბადების რეგისტრაცია, სკრინინგი, ბავშვების და ოჯახების დაკავშირება ჯანდაცვის, კვების და მშობელთა ინფორმირების აუცილებელ სერვისებთან, ასევე, გაწეული მომსახურების აღრიცხვა, მონიტორინგი და შემდგომი კონტროლი. ჯგუფების უფროსებს შეუძლიათ უხელმძღვანელონ მომსახურებას, შეაფასონ იგი, უზრუნველყონ ზუსტი მონაცემების მოპოვება და გაგზავნონ მონაცემები რაიონში ან

პროვინციაში მდებარე ოფისებში ანალიზისთვის და ყველა დონეზე გადასაცემად. ამისათვის საჭიროა სისტემების დიზაინის, მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების, ტრენინგის სახელმძღვანელოების, თემის სახელმძღვანელოების და ზედამხედველობის სახელმძღვანელოების შემუშავება. ყველა ეს საკითხი უნდა აისახოს მონიტორინგისა და შეფასების გეგმაში.

ამ ეტაპზე ასევე უნდა შემუშავდეს **პოლიტიკის კვლევის გეგმა,** მათ შორის პრიორიტეტული საკვლევი საკითხების სია ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. გეგმის შინაარსის უდიდესი ნაწილი სიტუაციის ანალიზის დროს განისაზღვრება. თუმცა, კონსულტაციების და შეთანხმების მიღწევის პროცესში ახალი საკვლევი საკითხები იჩენს თავს და ზოგიერთ მათგანს დიდი პრიორიტეტი მიენიჭება. დაინტერესებული მხარეები, რომლებიც გარკვეული კვლევების ჩატარებას ითხოვენ, ჩვეულებრივ, ასეთ კვლევებს მხარდაჭერით უზრუნველყოფენ და მათ შედეგებს იყენებენ.

4.6 სტრატეგიის დაგეგმვა და კონსენსუსის მისაღწევად შეხვედრების ჩატარება

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მეორე პროექტის დასრულების შემდეგ, სამუშაო ჯგუფმა უნდა განიხილოს იგი, შეასწოროს და განხილვაში მონაწილე პირებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს გადასცეს. კონსენსუსის მიღწევის მრავალი მეთოდი არსებობს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი გარკვეულ კულტურულ გარემოში ეფექტიანი არ არის. შესაბამისად წარმოგიდგენთ კონსენსუსის მიღწევის ზოგად სახელმძღვანელო პრინციპებს. მნიშვნელოვანია, რომ შეთანხმების მიღწევის მიზნით გამართულ შეხვედრებს ყველა ის პირი დაესწროს, რომელიც შეთანხმების მიღწევაში მონაწილეობს. თუ შეხვედრის ფორმატის გამო ან შემთხვევით, რომელიმე პირი გამოტოვეთ, ის, ჩვეულებრივ, მიღებულ შედეგებს შეეწინააღმდეგება. თანხმობა, შეძლებისდაგვარად, პირველ რიგშისამუშაო ჯგუფში უნდა მიიღწეს. შემდგომ, შესაძლებელია უფრო ფართომასშტაბიანი შეხვედრის ჩატარება. ზოგჯერ უმჯობესია ასეთი შეხვედრები დაინტერესებული მხარეების მიხედვით ჩატარდეს, მაგალითად, მთავრობის წარმომადგენლების შეხვედრა ცალკე, შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების და ასე შემდეგ. სხვა შემთხვევაში, შერეული ჯგუფების შეხვედრების გამართვა სჯობს. თუ პოლიტიკის განმხილველი ეროვნული კომისია ფორმირებულია, მას კონსენსუსის მისაღწევად, უფრო ფართომასშტაბიანი შეხვედრების გამართვა შეუძლია. შეთანხმების მიღწევის მიმართ ქვემოთ მოცემულმა მიდგომებმა მრავალ გარემოში გაამართლა:

1. თითოეულ დაინტერესებულ მხარეს სთხოვეთ დაასახელოს პოლიტიკის რომელი ნაწილია მათთვის განსაკუთრებით საინტერესო.
2. ჩაატარეთ შეხვედრა იმ საკითხების განსასაზღვრად, რომლებზეც არსებობს თანხმობა ან პოტენციური თანხმობა ხედვის, მიზნების, ამოცანების, სტრატეგიების და პროგრამის აქცენტების შესახებ. ზოგჯერ მონაწილეებმა არ იციან, რომ მრავალ საკითხში ეთანხმებიან ერთმანეთს.
3. განსაზღვრეთ საკითხები, რომლებზეც უთანხმოება არსებობს, ან ის საკითხები, რომლებშიც მათ ცვლილებების შეტანა სურთ.
4. თითოეულ პირს სთხოვეთ განგიმარტოთ მისი უთანხმოების ზუსტი ხასიათი და დაეხმარეთ პოზიციის პოზიტიურად წარმოდგენაში. თავი შეიკავეთ ბრაზის გამოხატვისა და ემოციური გამოსვლებისგან. ყურადღებით მოუსმინეთ თითოეულ ადამიანს და ზრდილობიანად გადაუხადეთ მადლობა.

5. ერთი საკითხის გარკვევის შემდეგ, სთხოვეთ ზოგადად განიხილოთ საკითხი და ეცადეთ მიაღწიოთ კონსენსუსს ან კომპრომისს. შეძლებისდაგვარად, ეცადეთ დაიცვათ კულტურული ნორმები შეთანხმების მისაღწევად. ზოგიერთ კულტურაში კონსენსუსის მიღწევის მეთოდები ეფექტიანია და მოსაზრებების სრულად გამოხატვის საშუალებას იძლევა. სხვა კულტურისთვის ხმამაღალი არგუმენტებია დამახასიათებელი, რასაც სავალდებულო ჯგუფური შეთანხმება მოყვებაა. რამდენიმე კულტურაში, ვერანაირი სისტემა ვერ იარსებებს და კონფრონტაციის თავიდან აცილება შეუძლებელია; საჭიროა გამოცდილი ფასილიტატორები.
6. ნებისმიერ კულტურულ გარემოში, ეცადეთ კონსენსუსს ღია დიალოგის საშუალებით მიაღწიოთ, რომლის დროსაც სხვადასხვა ჯგუფები საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამენ შეთანხმების მისაღწევად. შემდეგ განსაზღვრეთ საკითხები, რომლებზეც მხარეები თანხმდებიან და გამოიყენეთ ისინი კომპრომისის და ურთიერთგაგების მისაღწევად.
7. საჭიროების შემთხვევაში, შეთანხმების მისაღწევად შესაძლებელია კომიტეტის მოკლე ვადით ფორმირება.
   კომიტეტი ანგარიშვალდებული იქნება სამუშაო ჯგუფის მიმართ.
8. კონსენსუსის მიღწევა გარკვევით უნდა აღინიშნოს შეხვედრაზე და დაიწეროს დაფაზე, რათა ყველამ კარგად დაინახოს. შემდეგ აღნიშნული ინფორმაცია ჩაიწერება შეხვედრის ოქმში, სადაც მოცემულია ყველა მონაწილის სახელი და გვარი. შესაძლებელია ოქმის ფართოდ გავრცელება. ზოგჯერ უმჯობესია, უბრალოდ, ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემდეგი პროექტი მომზადდეს ტექსტში იმ საკითხების შეტანით, რომლის შესახებაც თანხმობა მიიღწა.
9. იმ შემთხვევაში, თუ შეხვედრის მონაწილეები რომელიმე საკითხებზე ვერ შეთანხმდებიან, მათ შესახებ ზოგადი თანხმობის მიღწევამდე, აღნიშნული საკითხები კონსენსუსის მისაღწევად გამართულ მომდევნო რაუნდის შეხვედრებზე გადავა.

4.7 ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მესამე პროექტის მომზადება

პოლიტიკის მეორე პროექტში შემავალი თავების შინაარსის შესახებ შეთანხმების მიღწევის შემდეგ მზადდება და დოკუმენტს ემატება ბოლო ნაწილები:

- ადრეულ ასაკში განვითარების ტრენინგის გეგმა;
- პოლიტიკის ადვოკატირების და სოციალური კომუნიკაციის გეგმა;
- საინვესტიციო გეგმა;
- დონორებთან და პარტნიორებთან კოორდინირების გეგმა.

4.8 ადრეულ ასაკში განვითარების ტრენინგის გეგმის დამატება

ზოგადად, ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა და ჩარჩო–პოლიტიკა **მომსახურებამდე და მომსახურების პროცესში ტრენინგის კომპლექსურ გეგმას ინტერვენციის მთავარ სტრატეგიად** წარმოადგენს. ქვეყნების უმრავლესობაში, ადრეულ ასაკში განვითარების გარკვეულ საკითხებში უკვე არსებობს ცალკეული დარგობრივი ტრენინგის პროგრამები.

რესურსების ანალიზის ფარგლებში უნდა შეფასდეს ტრენინგის არსებული რესურსები, მათ შორის, შენობები, პერსონალი, მგზავრობის საშუალებები, კონსულტანტები, მასალები და აღჭურვილობა. ისტორიული მიზეზების გამო, შესაძლოა ტრენინგის ზოგიერთ ცენტრს არაეკონომიური ან დუბლირებული ინფრასტრუქტურა და სერვისები ჰქონდეს. სამუშაო ჯგუფებმა უნდა მოიძიონ შესაძლებლობები ტრენინგის მომსახურების გასაფართოებლად, რესურსების მაქსიმალურად გამოსაყენებლად და მასშტაბის ეფექტის მისაღწევად ზოგიერთი მათგანის ინტეგრირების საშუალებით. ტრენინგის სისტემების კომბინირება ხშირად შესაძლებელს ხდის ხარჯების საგრძნობლად შემცირებას და ხარისხის გაუმჯობესებას. ადრეულ ასაკში განვითარების საკითხებზე კომპლექსურმა ტრენინგმა შესაძლოა ასევე შეუწყოს ხელი პროგრამის ერთობლივად დაგეგმვას და განხორციელებას თემის დონეზე.

არსებული ტრენინგის ცენტრის გაფართოებით და გაძლიერებით ზოგჯერ ინტერესდებიან **ადრეულ ასაკში განვითარების ახალი ეროვნული ტრენინგის ცენტრის** დასაარსებლად, სადაც მოამზადებენ: ტრენერების ტრენერებს, დარგობრივი პროგრამების მომსახურე პერსონალს; დარგობრივ პერსონალს, რომელიც ადგილზე მომუშავე პერსონალს ჩაუტარებს ტრენინგს დარგთაშორის პროგრამებში; და პოლივალენტურ პერსონალს, რომელიც ადგილზე მომუშავე პოლივალენტურ პერსონალს მოამზადებს ინტეგრირებული პროგრამებისთვის. ქვეყნების უმრავლესობას ექნება სურვილი შეიმუშაოს **ადრეულ ასაკში განვითარების რეგიონული ტრენინგის ცენტრები** ან მობილური ტრენინგის პროგრამების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც დარგობრივ, ისე დარგთაშორის ტრენინგის კურსებს, რეგიონის და ადგილობრივ დონეზე. თუ ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნულ ცენტრს და უნივერსიტეტებს დისციპლინური ფოკუსი აქვთ კვალიფიციური ტრენერთა ტრენერების მომზადებაზე, რეგიონული ცენტრები აქცენტს უფრო ადგილობრივი პოლივალენტური პერსონალის ტრენინგზე აკეთებენ. ეს მოდგომა უზრუნველყოფს დარგობრივი პროგრამების მიერ კარგად მომზადებული პერსონალის ყოლას, რომელთაც ასევე შეუძლიათ დარგთაშორის ტრენინგის პროგრამებში მონაწილეობა და პოლივალენტური ჯგუფების შემადგენლობაში შესვლა.

ტრენინგის გეგმაში უნდა შევიდეს, როგორც მომსახურებამდე, ისე მომსახურების პროცესში ტრენინგი. მომსახურებამდე ტრენინგი შეიძლება უფრო იოლი და ნაკლებ ხარჯებთან დაკავშირებული იყოს, ვიდრე ტრენინგი მომსახურების პროცესში, მაგრამ მწირი ფინანსური და ტექნიკური რესურსების მქონე ქვეყნებს, რომლებსაც მრავალრიცხოვანი ადგილობრივი მუშაკის მომზადება ესაჭიროებათ, მომსახურებამდე ხანგრძლივი ტრენინგი შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეთ; შეიძლება ხალხი საკუთარ თემებს მოწყდეს და ამან ადგილობრივი შესაძლებლობების დაკარგვა გამოიწვიოს. მართალია დეცენტრალიზებულია, მაგრამ ადგილობრივი მომსახურე პერსონალის მომზადებას, მომსახურებამდე მოკლევადიან ტრენინგს, რომელსაც შემდეგ მომსახურების პროცესში ხშირი და უწყვეტი ტრენინგი მოსდევს, ბევრი დადებითი მხარე აქვს. ჩვეულებრივ, დანიშნული მომსახურე პერსონალი, რომელიც საკუთარ თემში რჩება, პროგრამების ფარგლებში ადგილობრივ საჭიროებებს აკმაყოფილებს და დროთა განმავლობაში საკუთარი თემების განვითარებას უწყობს ხელს. ზედამხედველებს ორმაგი როლის თამაში შეუძლიათ – ტრენერის და დამხმარე ხელმძღვანელის. ზედამხედველობის სისტემების, მომსახურების პროცესში, ტრენინგთან, მონიტორინგთან და შეფასებასთან გაერთიანება შესაძლებელს ხდის დიდი ეკონომიის გაწევას. საამისოდ, ჩვეულებრივ, საჭიროა ზედამხედველების ხელახალი ტრენინგი, რათა ტრენინგის დამხმარე ფუნქციები შეასრულონ და ამავე დროს დაკვირვებები აწარმოონ და პროგრამის ფარგლებში გაწეულ საქმიანობას ზედამხედველობა გაუწიონ.

მომსახურების პროცესში ტრენინგი და ზედამხედველობის სისტემები, მომსახურებამდე ტრენინგის სისტემებს უნდა დაუკავშირდეს, მათ მიერ ერთნაირი კულტურულად შესაბამისი სასწავლო გეგმის, მეთოდების, მასალების და საშუალებების გამოსაყენებლად. ქვეყნების უმრავლესობაში, ადრეულ ასაკში განვითარების სერვისების გასაუმჯობესებლად, საჭირო გახდება ახალი სასწავლო გეგმები. **სასწავლოს გეგმის, მასალების და მეთოდების** შემუშავების გეგმები შესაძლებელია შევიდეს ტრენინგის გეგმაში ან სტრატეგიის ასაკობრივი ჯგუფების და სპეციალური საჭიროებების მქონე ჯგუფების შესახებ თავებში. ზოგ ქვეყანაში, პროგრამის ახალი შინაარსის მოსამზადებლად, სასწავლო მასალების შესამუშაველად და გამოყენების დემონსტრირებისთვის, ტრენინგის ცენტრების განვითარება ადრეულ ასაკში განვითარების **ეროვნული და რეგიონული რესურსცენტრების** შექმნას ან გაფართოებას დაუკავშირდება.

ადრეულ ასაკში განვითარების ტრენინგის სისტემები ამ სფეროში მომუშავე პერსონალის მოტივირების კარგად ორგანიზებულ სისტემას უნდა დაუკავშირდეს. ტრენინგის გეგმაში უნდა შევიდეს დებულებები ხელფასების, ბონუსების, დაწინაურების, ჯილდოების და შემდგომი ტრენინგის შესაძლებლობების შესახებ. იგი ასევე უნდა ითვალისწინებდეს **ადრეულ ასაკში განვითარების სფეროში მომუშავე პერსონალის შრომის მარეგულირებელი ნორმების** შემუშავებას. ამის მეშვეობით პერსონალის ტრენინგისა და მათი გრძელვადიანი შენარჩუნების მოტივაციას უზრუნველყოფთ.

4.9 პოლიტიკის ადვოკატირების და სოციალური კომუნიკაციის გეგმის დამატება

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა და ჩარჩოპოლიტიკა უნდა მოიცავდეს **პოლიტიკის ადვოკატირების და სოციალური კომუნიკაციის** ინოვაციურ **გეგმას**. სინამდვილეში ეს ორი ცალკე გეგმაა, მაგრამ მათი დიდი ნაწილი ერთმანეთს ემთხვევა. პრეზენტაციის მიზნებისთვის მათი გაერთიანება მოსახერხებელია. **პოლიტიკის ადვოკატირების გეგმის** მიზანია, ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკისთვის, გადაწყვეტილების მიმღები მთავარი პირების და ქვეყნის მოქალაქეების მხარდაჭერის მოპოვება. თემის და რეგიონული კონსულტაციები ხელს უწყობს ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მიმართ ინტერესის ზრდას, მაგრამ მედიის საშუალებით გავრცელებული კოორდინირებული გზავნილებიც საჭიროა. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების და კერძო სექტორში მოქმედი ორგანიზაციების პოლიტიკის ადვოკატირების როლები გეგმაში უნდა განისაზღვროს. საზოგადოებასთან ურთიერთობის ფირმებს და მედია საშუალებებს შეუძლიათ უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაცია, დამხმარე პერსონალი, საეთერო დრო და საგაზეთო ჩანართები.

სოციალური კომუნიკაციის გეგმის მიზანია ფოკუსირებული გზავნილების უზრუნველყოფა ადრეულ ასაკში განვითარების საკითხების მიმართ საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად და ისეთ საკითხებზე ინფორმირების მიზნით, როგორიცაა: ადრეული და ხარისხიანი პრენატალური განათლების და მოვლის მნიშვნელობა; ბავშვების რეგისტრაცია დაბადებისას; მშობელთა ინფორმირების პროგრამებში მონაწილეობა; ჩვილის და ბავშვის კარგად განვითარებისთვის საჭირო ძირითადი ქმედებები; ინფორმაცია დაავადების ადრეული და უწყვეტი პროფილაქტიკის შესახებ; ისეთი ნეგატიური პრაქტიკის შეწყვეტა, როგორიცაა ქალების წინდაცვეთა; კვება განვითარების ყველა საფეხურზე; ბავშვებზე ზრუნვის და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის შეფასება; ბავშვის მომზადება სკოლაში წარმატების მისაღწევად; მშობლების ინფორმირება

მათი გოგონების და ბიჭების მიერ დაწყებითი განათლების დასრულების გზების შესახებ. სოციალური კომუნიკაციის გეგმა უნდა მოიცავდეს რამდენიმე ძირითად გზავნილს ადრეულ ასაკში განვითარების შესახებ; უნდა ჰყავდეს კონკრეტული სამიზნე, მაღალი პრიორიტეტის მქონე მოსახლეობა; დაამყაროს კომუნიკაცია ადრეულ ასაკში განვითარების პროგრამებსა და იმ ხალხს შორის, ვისაც ეს პროგრამები ესაჭიროება; უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირების საშუალებები პროგრამის მიღწევების შესახებ; მოახდინოს წარმატებულ პროგრამებში ინვესტიციების გაზრდის ადვოკატირება და შესაბამისად, სოციალური კომუნიკაცია დააკავშიროს პოლიტიკის ადვოკატირებასთან.

4.10 კანონმდებლობის, სტანდარტებისა და სახელმძღვანელო რეკომენდაციების საჭიროების განხილვა

ქვეყნების უმრავლესობაში ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა, ჩარჩოპოლიტიკა და წლიური სამოქმედო გეგმა არასაკმარისია ყველა იმ ცვლილების განსახორციელებლად, რომელიც ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული მიზნების შესასრულებლად არის საჭირო. ამ ქვეყნებში საჭიროა კანონების, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების, სტანდარტების და სახელმძღვანელო რეკომენდაციების ნუსხების შედგენა. ხშირად ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა ამას მკაფიოდ ითვალისწინებს. თუმცა, კანონმდებლობასთან დაკავშირებული დეტალები წლიური სამოქმედო გეგმების ქმედებების ფარგლებში განისაზღვრება. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის და წლიური სამოქმედო გეგმების კანონმდებლობასთან, დადგენილებებთან, სტანდარტებთან და სახელმძღვანელო რეკომენდაციებთან დაკავშირებით საგრძნობლად იზრდება ადრეულ ასაკში განვითარების მიზნების მიღწევის შესაძლებლობა.

4.11 საინვესტიციო გეგმის დამატება

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა და ჩარჩოპოლიტიკა უნდა მოიცავდეს **საინვესტიციო გეგმას** დამხმარე გრაფიკებით (იხ. **დანართი IX: ადრეულ ასაკში განვითარების ალტერნატიული მატრიცები).** საინვესტიციო გეგმაში უნდა შევიდეს ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მიზნების და ამოცანების შესრულების ზოგადი სტრატეგიები. ადრეულ ასაკში განვითარების თითქმის ყველა პოლიტიკის და ჩარჩოპოლიტიკის მთავარი სტრატეგია ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების ბაზის გაფართოებაა.

საინვესტიციო გეგმა ასახავს ზოგად **ეროვნულ საბიუჯეტო პროცესს**, რომლის ფარგლებში განისაზღვრება ორგანიზაციების მოვალეობები და პასუხისმგებლობები ადგილობრივ, რაიონის, პროვინციის, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე. საბიუჯეტო პროცესის წარმატებულმა აღწერამ, შეიძლება უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშოს ადრეულ ასაკში განვითარების გრძელვადიანი პოლიტიკის განხორციელებაში. თუ **ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული ფონდი** იქმნება, იგი ამ ნაწილში უნდა იყოს წარმოდგენილი. ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული ფონდის დაარსების სხვადასხვა გზა არსებობს:

- ფინანსთა (ან დაგეგმვის) სამინისტრო ადგენს ყოველწლიურ შესატან თანხას (პროცენტს ან ფიქსირებულ თანხას) ყოველი მონაწილე სამინისტროს, ან პრეზიდენტის სპეციალური ბიუჯეტიდან;

- შესაძლებელია საერთაშორისო კომპანიების და/ან ადგილობრივი კომპანიების თვიური სახელფასო ფონდის (არა ინდივიდუალური ხელფასების) დაბეგვრა (3-დან 10 პროცენტამდე);
- შესაძლებელია ხელმძღვანელ სამინისტროს, ადრეულ ასაკში განვითარების პროგრამების კომპლექსური დაგეგმვის, დაფინანსების, კოორდინირების, მართვისა და შეფასებისთვის, დაემატოს სპეციალური ბიუჯეტი;
- ფონდის მხარდაჭერა შეუძლია ორმხრივ და მრავალმხრივ დონორ ორგანიზაციებს, ფონდებს, კომპანიებს, კორპორაციებს, პროფესიულ ასოციაციებს, რელიგიურ ჯგუფებს, მუნიციპალურ ასოციაციებს, სავაჭრო პალატებს, მერების ასოციაციას, საქმიანი ადამიანების კავშირს და სხვებს.

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის თითოეული სტრატეგიისთვის საჭიროა ზოგადი საბიუჯეტო ინფორმაციის უზრუნველყოფა: [43]

1. თითოეული ძირითადი პროგრამისთვის საჭირო დაფინანსების მთლიანი თანხა;
2. მთლიანი ხარჯები: პერსონალი, ინფრასტრუქტურა და სხვა ხარჯები;
3. არსებული და/ან პოტენციური დაფინანსების წყაროების პროცენტული წილი ტიპების მიხედვით (ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო დონორები და სხვ.).

აღნიშნული ძალისხმევის მიზანია სიდიდის მიხედვით საჭირო რესურსების ჩამონათვალის და არა დეტალური საბიუჯეტო გეგმების უზრუნველყოფა. ძირითად ხარჯებად დაყოფილი ზოგადი ბიუჯეტების არსებობა ხელისუფლების მიერ ბიუჯეტის დაგეგმვას და დონორი ორგანიზაციების კოორდინაციას გაადვილებს. ამ გრაფიკების საბოლოო მიზანია „პოტენციური ხარჯების სპექტრი“ წარმოადგინოს იმისათვის, რომ დასაბუთდეს ბავშვებისთვის გამოყოფილი თანხების გაზრდის საჭიროება ეროვნულ, რეგიონულ, პროვინციის, რაიონის და თემის/მუნიციპალურ ბიუჯეტებში. საერთაშორისო დონორებს (ერთი ან რამდენიმე ქვეყნის) სურთ, რომ იცოდნენ ძირითად პროგრამებთან დაკავშირებული მოსალოდნელი ხარჯები თითოეული პოლიტიკის სტრატეგიის ფარგლებში და თუ ეს ინფორმაცია არ არის, ისინი მას ითხოვენ.

თითოეული ძირითადი სტრატეგიისთვის რეალური ბიუჯეტის მოსამზადებლად, რეკომენდებულია არსებული პროგრამების, მომსახურების დაგეგმილი გაფართოების, ახალი კომპონენტების და ახალი პროგრამების პოტენციური ხარჯების განსაზღვრა. მსოფლიო ბანკის სპეციალისტებმა მოამზადეს პროგრამული მოდელი ადრეულ ასაკში განვითარების ალტერნატიული სახელმწიფო ხარჯების დასაგეგმად.[44] ჯანდაცვის და განათლების სფეროებში არსებული გლობალური ბიუჯეტების გამოყენებით, მოდელში არსებული მატრიცები ხარჯების დაგეგმვის საშუალებას შემდეგ სფეროებში იძლევა: 1) მშობელთა ინფორმირების პროგრამები თემის დონეზე ჩვილებისა და ნულიდან სამ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის და 2) ცენტრზე დაფუძნებული სკოლამდელი განათლების სერვისები სამიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. მოდელი არ უზრუნველყოფს პრენატალური/პერინატალური მომსახურების, ჯანდაცვის და კვების სერვისებს ბავშვთა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, სანიტარულ მომსახურებას მოწყვლადი ბავშვების სპეციალური ჯგუფებისთვის, მაგალითად, აივ ინფიცირებული/შიდსით დაავადებული ბავშვები, უპატრონო ან მათხოვარი ბავშვები, სასტიკი მოპყრობის პირობებში მყოფი ბავშვები, არასრულფასოვანი კვების (მალნუტრიციის) მქონე ბავშვები, ქრონიკული დაავადებების ან სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვები, განვითარების დარღვევების ან შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე ბავშვები. შესაბამისად, ყველა ასეთი მომსახურების ხარჯი, რომელიც ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაშია წარმოდგენილი, ცალკე გამოითვლება. საჭიროა ასევე დაგეგმვასთან, მართვასთან, კოორდინაციასთან, საქმიანი კონტაქტების დამყარებასთან, შეფასებასთან, მონიტორინგთან და ანგარიშგებასთან დაკავშირებული ძირითადი ხარჯების დაგეგმვა. მსოფლიო ბანკის მოდელის ფარგლებში ზოგიერთი ტრენინგის ხარჯები გამოთვლილია, მაგრამ სხვა სახის ტრენინგების ხარჯები ცალკე უნდა დაიგეგმოს. სათანადოდ მომზადების შემთხვევაში, ძალიან დაგეხმარებათ ადრეულ ასაკში განვითარების დაფინანსების ფორმულის შედგენა, დონეებისა და რეგიონის მიხედვით. ის უნდა იყოს მიუკერძოებელი და ბავშვის საჭიროებების და რეგიონის რესურსებზე მოთხოვნების შეფასებას უნდა ეფუძნებოდეს. მაგრამ ქვეყნების უმრავლესობას, რომლებიც ადრეულ ასაკში განვითარების პირველ პოლიტიკას შეიმუშავებენ, ასეთი ფორმულის მოსამზადებლად და გამოსაყენებლად საჭირო საკმარისი ინფორმაცია და კონსენსუსის მიღწევის უნარი არ ექნება. ამიტომ მისი შემუშავება შესაძლოა ადრეულ ასაკში განვითარების წლიური გეგმის ფარგლებში მომავალი მიზნის სახით დაისახოს.[45]

4.12 დონორი ორგანიზაციების და პარტნიორების კოორდინაციის გეგმის დამატება

დონორი ორგანიზაციების და პარტნიორების კოორდინაციის გეგმა აუცილებელია ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის და ჩარჩოპოლიტიკის განსახორციელებლად. როგორც წესი, დონორ ორგანიზაციებს კოორდინაციას ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული საბჭო უწევს, ხელმძღვანელ სამინისტროსა და ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხორციელების და შეფასების განყოფილებასთან მჭიდრო თანამშრომლობით. საჭიროა ყველა არსებული და პოტენციური ორმხრივი და მრავალმხრივი დონორი ორგანიზაციის, საელჩოს, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის, საქველმოქმედო და კორპორაციული ფონდის და სხვა მხარდამჭერი ორგანიზაციების განსაზღვრა, მათთან საწყის ეტაპზევე დაკავშირება და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესზე მათი რეგულარული ინფორმირება. ხარჯების დაგეგმვაში დამხმარე დონორი ორგანიზაციები, ჩვეულებრივ, პოლიტიკის შესახებ საჭირო რეკომენდაციებსა და პოლიტიკის განხორციელებაში მხარდაჭერასაც უზრუნველყოფენ. იმისათვის, რათა ადრეულ ასაკის ბავშვთა განვითარებაში ჩადებულმა ინვესტიციებმა ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის და წლიური სამოქმედო გეგმის მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევას შეუწყოს ხელი, საკოორდინაციო გეგმაში უნდა აისახოს დონორი ორგანიზაციების კოორდინაციის მიზნები. იგი უნდა შეეცადოს შექმნას ყველა პროგრამისთვის „ფინანსური მხარდაჭერის მოზაიკა“. მასში მოცემული უნდა იყოს დონორ ორგანიზაციებთან შეხვედრების რეგულარული გრაფიკი ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის და წლიური სამოქმედო გეგმის შესრულებაში მიღწეული პროგრესის განსახილველად. დონორი ორგანიზაციების კოორდინაციის გეგმამ ხელი უნდა შეუწყოს საერთო და გამჭირვალე სისტემების გამოყენებას კოლექტიური ან „ერთობლივი მიზნობრივი“ დაფინანსებისთვის; პროგრამის დაგეგმვას და მართვას; მონიტორინგს და შეფასებას; და პროგრამისა და ფინანსური ანგარიშებისთვის საერთო ჩარჩოს გამოყენებას. უნდა აღინიშნოს, რომ დონორ ორგანიზაციებს, რომლებიც ცალკეული პროექტების დაფინანსებას ამჯობინებენ, შეუძლიათ ასე მოიქცნენ დონორების კოორდინაციის სისტემის ფარგლებში, დუბლირების თავიდან ასაცილებლად. პარტნიორობის განვითარების გეგმამ უნდა უზრუნველყოს რეკომენდაციები და მცირე ფონდი ჯანსაღი პარტნიორული ურთიერთობების განსავითარებლად. მთავრობას,

არასამთავრობო ორგანიზაციებს, უნივერსიტეტებსა და სხვა ორგანიზაციათა შორის პარტნიორობა ქვეყანას ადრეულ ასაკში განვითარების სერვისების გაფართოებასა და კოორდინირებაში დაეხმარება. წარმატებული პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების რეკომენდაციები მოცემულია **XI დანართში (დანართი XI: წარმატებული პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბების სახელმძღვანელო მითითებები).**

4.13 კონსენსუსის მისაღწევად შეხვედრების მეორე (შესაძლოა მესამე) რაუნდის გამართვა

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მესამე პროექტი გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ პირებს, ფინანსთა სამინისტროს და კონსულტაციაში მონაწილე სხვა პირებს. პოლიტიკის მიმართ წინააღმდეგობის ზრდის თავიდან ასაცილებლად, პროცესი გამჭვირვალედ უნდა წარიმართოს. ჩვეულებრივ, შეთანხმების მისაღწევად, საჭიროა შეხვედრების მეორე რაუნდის გამართვა. უთანხმოების საგანი შეიძლება გახდეს ფინანსური დაგეგმვა, პროგრამის სფეროები, ინდიკატორები ან მიზნობრივი მაჩვენებლები; შეთანხმების მიღწევის მიზნით, იმისათვის, რათა ყველა მოსაზრება გამოითქვას და შეთანხმება მიიღწეს, შეიძლება შეიქმნას შეხვედრების მესამე რაუნდის გამართვის საჭიროება. ზოგიერთი სექტორის წარმომადგენელი რომელიმე საკითხთან დაკავშირებით შეიძლება გაჯიუტდეს. ასეთ შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას ადრეულ ასაკში განვითარების საბჭო ან სხვა ორგანო მიიღებს. სურვილის არსებობის შემთხვევაში, საწინააღმდეგო მოსაზრების შესახებ შენიშვნა შეიძლება შევიდეს ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის საბოლოო ტექსტში მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად. რეკომენდებულია „დამარცხებული მხარის“ პოზიციის ზოგიერთი ასპექტის ადრეულ ასაკში განვითარების წლიურ სამოქმედო გეგმაში წარმოჩენა და ყველანაირი ძალისხმევა იმისათვის, რომ ამ პირმა ან სააგენტომ მონაწილეობა მიიღოს მომავალ საქმიანობაში.

4.14 ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ბოლოს წინა პროექტის მომზადება

ყველა რეკომენდაციის, შეთანხმების მიღწევის მიზნით ჩატარებული შეხვედრების შედეგების და აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილების (თუ საჭიროა) საფუძველზე, სამუშაო ჯგუფი ამზადებს და განიხილავს ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული პოლიტიკის ან ჩარჩოპოლიტიკის ბოლოს წინა, კარგად რედაქტირებულ პროექტს.

4.15 მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის პროექტის საბოლოოდ განხილვის თხოვნა

განხილვის შემდეგ, პოლიტიკის ბოლოს წინა პროექტი ეგზავნება ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნულ საბჭოს ან ხელისუფლების სხვა ხელმძღვანელ პირებს, რომლებიც მას დაამტკიცებენ. აღნიშნულ პირებს უკვე უნდა ჰქონდეთ განხილული წინა ვერსიები და მათთან დაკავშირებით კომენტარები გამოთქმული. შესაბამისად, ისინი ჩვეულებრივ რამდენიმე საბოლოო ცვლილების შეტანას ითხოვენ; ეს ცვლილებები შესაძლოა ეხებოდეს პოლიტიკასთან დაკავშირებულ ძირითად გადაწყვეტილებებს, საინვესტიციო სტრატეგიებს, სტრუქტურულ, ან თანამშრომლობის, კოორდინაციის და ინტეგრაციის საკითხებს.

4.16 ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული ფორუმის დაგეგმვა და ორგანიზება

V დანართში (პოლიტიკის დამგეგმავი სტრუქტურების მიმართ არსებული მოთხოვნების ნიმუში და კონსულტაციები, თავი 6) ზოგადად არის წარმოდგენილი ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული ფორუმის ძირითადი საქმიანობა. წინასწარი მითითებები ფორუმის მომზადების შესახებ მოცემული იყო **I ეტაპის: 1.10 ქვეთავში**. ზოგიერთ ქვეყანაში ფორუმი ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული პოლიტიკის ან ჩარჩოპოლიტიკის დამტკიცების მიზნით ტარდება, აღნიშნული დოკუმენტის ოფიციალურად მიღებამდე. სხვა ქვეყნებში, ფორუმს პოლიტიკის მიღების აღსანიშნად და მისი ადვოკატირების მიზნით ატარებენ. იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკის საბოლოო ტექსტი უნდა დამტკიცდეს, შესაძლებელია საჭირო გახდეს მცირე ჯგუფის მიერ სამუშაოს ჩატარება შეთანხმების მისაღწევად ან დიდი ჯგუფის მიერ კონსენსუსის მიღწევაოფიციალური შესწორებების შეტანის შეთავაზების გზით. როგორც წესი, დაინტერესებულ ჯგუფებს სურთ მასში სპეციალური ფრაზების შეტანა კონკრეტული ტიპის პრობლემების შესახებ, რომლებიც რთულ გარემოებებში მყოფ ბავშვებს უკავშირდება. იმედია, პოლიტიკასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საკითხი შეთანხმების მიღწევის მიზნით მანამდე ჩატარებულ შეხვედრებზე გადაიჭრება და მონაწილეთა უმრავლესობა მხარს დაუჭერს პოლიტიკის ძირითად სტრატეგიებს. ფორუმი ცერემონიული ღონისძიების როლს ასრულებს პოლიტიკის ადვოკატირების დასაწყებად. ხშირად ქვეყნის მასშტაბით ბილბორდებს ამონტაჟებენ და ფორუმის სესიებს რადიოთი და ტელევიზიით გადასცემენ. თუ შესაძლებელია, პრეზიდენტი და ყოფილი პრეზიდენტები, პრემიერმინისტრი, ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერი და მთელი კაბინეტი ერთიანდება ქვეყნის ბავშვების მხარდასაჭერად. ბავშვების მიმართ ეროვნული ერთიანობის ასეთი დემონსტრირება პოლიტიკის გრძელვადიან გავლენას უზრუნველყოფს, რადგან პოლიტიკა ყოფილი, ახლანდელი, და დიდი ალბათობით მომავალი ეროვნული ლიდერების მხარდაჭერას იღებს. ხშირად ფორუმზე პრეზიდენტი აკეთებს განცხადებას ბავშვთა პროგრამებში ინვესტიციების საგრძნობლად გაზრდის შესახებ. ქვეყნის მასშტაბით საკითხზე ყურადღების გამახვილება ხელს უწყობს ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემების მიმართ რეგიონში ინტერესის გაძლიერებას, რადგან რეგიონის და ადგილობრივი ლიდერები ბავშვების „ეროვნულ პრიორიტეტებად“ აღქმას იწყებენ. საუკეთესო ვარიანტში, კარგი იქნება თუ ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმა ფორუმის ჩატარების დროისთვის უკვე მზად იქნება, იმისათვის, რომ პრიორიტეტული ინიციატივები გამოცხადდეს.

4.17 ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის პირველი პროექტის მომზადება

სამუშაო ჯგუფმა უნდა მოამზადოს **სამუშაო გეგმა ადრეულ ასაკში განვითარების სამოქმედო გეგმის** პროექტის მოსამზადებლად.[46] სამოქმედო გეგმაზე მუშაობა შეიძლება უფრო ადრე დაიწყოს, მაგრამ გეგმის ადრეულ ეტაპზე შემუშავებული ნაწილები, პოლიტიკის საბოლოო ვერსიასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, უნდა გადაისინჯოს. სამუშაო ჯგუფმა უნდა განიხილოს კონკრეტული გეგმები ადრეულ ასაკში განვითარების პროგრამების გაფართოების, გაერთიანების და გაუქმების მიზნითაც კი. ამ დროს უნდა დაიწყოს გეგმის ფარგლებში ახალი პროგრამების შემუშავება. **ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმა** განსაზღვრავს ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის სტრატეგიების განსახორციელებლად საჭირო ქმედებებს, ნაბიჯებსა და პროგრამებს. იგი იქმნება ადრეულ

ასაკში განვითარების პოლიტიკის პროექტის, კონსულტაციებისა და შეთანხმების მიზნით გამართული შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და მოიცავს დაგეგმვის დეტალებს, რომელთა შეტანა ადრეულ ასაკში განვითარების გრძელვადიან პოლიტიკაში არ არის მართებული. ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის ზოგადი სტრუქტურა მოცემულია მე-15 დანართში **(დანართი XV: ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის ზოგადი სტრუქტურა).** სამოქმედო გეგმის დანართების მომზადების მიმართ მიდგომა წარმოდგენილია მე-16 დანართში **(დანართი XVI: მატრიცის მოდელი სამოქმედო გეგმის დეტალების წარმოსადგენად).** მიღებული უნდა იყოს ყველა ზომა დარგთაშორისი პროგრამების კოორდინაციის, თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესაძლებლობების განსაზღვრისთვის. ამის საშუალებით ჩნდება ურთიერთთანამშრომლობის, საერთო მიზნების დადგენის და ხარჯების შემცირების შესაძლებლობები დუბლირებული ადმინისტრაციული სისტემების გაუქმებით. სამოქმედო გეგმაში უნდა აისახოს დეტალური სახელმძღვანელო რეკომენდაციები კოორდინაციის, თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესახებ. შემდგომ წლებში, სამოქმედო გეგმა გადაისინჯება, შედეგები შეფასდება და გეგმა დაიხვეწება. საბიუჯეტო ტრადიციებიდან გამომდინარე, ხშირად რეკომენდებულია ორწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენა, და გეგმის პირველი წლის დასრულების შემდეგ, მეორე წლის გეგმის განახლება. ეს უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. ზოგიერთი ქვეყანა სამიდან ხუთ წლამდე სამოქმედო გეგმას ამზადებს, მაგრამ ასეთი გეგმა საკმაოდ ზოგადია. როდესაც სამინისტროები პროგრამის განხორციელების გრაფიკს ჩამორჩებიან, ხშირად განუსაზღვრელი ვადით გადადებენ ხოლმე გრძელვადიანი გეგმების განხორციელებას.

4.18 სამუშაო ჯგუფის სამუშაო გეგმის განხილვა

ამ ეტაპზე სამუშაო ჯგუფის სამუშაო გეგმა საბოლოოდ გადაისინჯება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დოკუმენტის დამტკიცების და მიღების პროცესს, როგორც ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის, ისე ეროვნული სამოქმედო გეგმის შემთხვევაში.

შენიშვნები

[42] პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებული დეტალები ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში არ შედის. ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების გეგმების მომზადებისას საჭირო იქნება ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა. იტერაციული პროცესის საშუალებით, პროგრამის მაჩვენებლების და შედეგების საფუძველზე პოლიტიკის ინდიკატორები მოდიფიკაციას განიცდის, მაგრამ ისინი პოლიტიკის ინდიკატორებს არ ჩაანაცვლებენ, რადგან შეფასების ადგილობრივ საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდნენ.

[43] ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში დეტალური ბიუჯეტები არ აისახება, რადგან ის რამდენიმე წლის განმავლობაში გამოიყენება (ჩვეულებრივ ხუთიდან ათ წლამდე) და ასეთი დეტალების მასში შეტანა მის სწრაფ მოძველებას გამოიწვევს. დეტალურად გაწერილი ბიუჯეტი ადრეულ ასაკში განვითარების წლიურ სამოქმედო გეგმასა და პროგრამების სტრუქტურაში უნდა შევიდეს.

[44] Mingat, A. and Jaramillo, A. (23 May 2003). A Description of the Costing Model for ECCD. Washington, DC: World Bank.

[45] რეკომენდაციებს თითოეული ქვეყნაზე კარგად მორგებული პოლიტიკის მოდელებთან დაკავშირებით, მომავალი დოკუმენტის ფარგლებში წარმოგიდგენთ, რომელიც მომზადების პროცესშია.

[46] ადრეულ ასაკში განვითარების წლიურ სამოქმედო გეგმას ზოგჯერ ადრეულ ასაკში განვითარების ოპერაციულ გეგმას (ECD Operational Plan) ან ადრეულ ასაკში განვითარების მოქმედებათა ეროვნულ გეგმას (National ECD Plan of Action) უწოდებენ. ეს ტერმინები ერთსა და იმავე გეგმას აღნიშნავს.

თავი 3 დასკვნა

თუ გვინდა, რომ მსოფლიოს ნამდვილი მშვიდობიანი ცხოვრება ვასწავლოთ და ნამდვილი ომი გამოვუცხადოთ ომს, ყველაფერი ბავშვების სწავლებით უნდა დავიწყოთ

მოჰანდას კ. განდი, ინდოელი ფილოსოფოსი, 1869-1948

ყოველდღე, როდესაც ისეთი პოლიტიკის შემუშავებას ვცდილობთ, რომელიც ბავშვების პოტენციალის სრულ განვითარებას შეუწყობს ხელს, იმავდროულად ვერ უზრუნველვყოფთ მშვიდობას და ჰუმანიტარულ განვითარებას მსოფლიოში.

ამის გამო, მოწყვლადი ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესების პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ უაღრესად საყურადღებო პრობლემაზე მსოფლიო ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ხუჭავდა თვალს. ბევრმა გამორჩეულმა ლიდერმა მთელი ცხოვრება დეკლარაციების შემუშავებას, საერთაშორისო კონფერენციების მოწყობას და განუხორციელებელი პოლიტიკის ჩამოყალიბებას დაუთმო. დროა ვიმოქმედოთ, რომ ბავშვები პირველ ადგილზე დავაყენოთ.

ამ დოკუმენტში განვმარტეთ, თუ როგორ შეიძლება ეფექტიანი გავხადოთ ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკა, ჩარჩოპოლიტიკა და სამოქმედო გეგმები; განსაკუთრებით თუ ისინი მშობლების, თემების, სამოქალაქო ორგანიზაციების და ყველა დონის სამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შემუშავდა. ამავე დროს, მთავრობის ხელმძღვანელებს უნდა ესმოდეთ, რომ სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის მოსაღწევად სწრაფად უნდა გაზარდონ ბავშვების ხელშეწყობისთვის გამოყოფილი ინვესტიციები. რადგანაც ბიუჯეტის რესურსები შეზღუდულია, ხოლო ქვეყნის საჭიროებები მრავალრიცხოვანი, ბავშვების ინტერესების დასაცვად მთავრობის ხელმძღვანელ პირებს საზოგადოების ძლიერი მხარდაჭერა სჭირდებათ.

ეს ნიშნავს, რომ ადრეულ ასაკში განვითარების მხარდამჭერი მოძრაობის როლი გადამწყვეტია, ვინაიდან ის მთავრობის ხელმძღვანელ პირებს ბავშვთა განვითარების პირობების გაუმჯობესების გამუდმებულ ადვოკატირებაში დაეხმარებათ. ამ სახელმძღვანელოში ადრეული განვითარების ხელშემწყობი ეროვნული მოძრაობის წარმატებისთვის საჭირო ბევრი ელემენტია აღწერილი. საბოლოო ჯამში, ზემოხსენებული მოძრაობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება ჩვენი ამოცანა და პასუხისმგებლობაა... უბრალოდ იმიტომ, რომ მილიონობით მოწყვლადი ბავშვის გასაჭირს ვიცნობთ და ამ საქმის კეთება ვიცით.

დანართები

ადრეული განვითარების პოლიტიკის შემუშავების ინსტრუმენტები

ადამიანები სხეულის ნაწილებს გვანან,
რომლებიც ერთი და იგივე არსისგან არიან შექმნილნი.
როდესაც სხეულის ერთი ნაწილი ზიანდება ან ტკივილს განიცდის,
დანარჩენები მშვიდად და წყნარად ვერ არსებობენ. თუ თქვენ
გულგრილნი ხართ სხვების უბედურების მიმართ
და არ განიცდით მას, თქვენ ადამიანს ვერ გიწოდებენ.

მოსლიჰ ედდინ საადი (1184 –1291), სპარსელი პოეტი

დანართი N 1

გამოყენებული ლიტერატურა და რესურსები

Amponsah, Margaret. (2004). Assessment of the Current Coordination and Supervision of ECD Programmes in Ghana. Unpublished Master's degree Major Project Report, Victoria, British Columbia, Canada: University of Victoria.

Arango, Marta. (1990). Child Care Policies: The Colombian Case. Paper prepared for the International Conference on Child Policies, Gotemburg, Sweden. Fort Lauderdale: International Centre for Education and Human Development, CINDE/USA.

Bassant, VD & Moti, M. (2000). A Case Study on ECD Policy in Mauritius. The Hague: ADEA-WG/ECD.

Boakye, J.K.A., Adamu-Issah, M. & Etse, S. (15 March 2001). A Case Study on ECD Policy Development in Ghana. The Hague: ADEA, WG/ECD.

de los Angeles-Bautista, F. (2004). *Early Childhood Care and Education in South-East Asia: Working for Access, Quality and Inclusion in Thailand, the Philippines and Viet Nam*. Bangkok: UNESCO.

Colleta, N. J, Balachander, & J. Liang, X. (1996). *The Condition of Young Children in Sub-Saharan Africa: the Convergence of Health, Nutrition and Early Education*. Washington, D.C.: World Bank.

Evans, J. L., with Meyers, R.G. & Ilfeld, E.M. (2000). *Early childhood Counts: A Programming Guide on Early Childhood Care for Development*. Washington, DC: World Bank. (includes CD-ROM).

Hyde, K. A. L. & Kabiru, M. (2003). *ADEA Quality Study: ECD as an Important Strategy to Improve Learning Outcomes*.The Hague: ADEA, WG/ECD.

Jaramillo, A & Mingat, A. (April 2003). Early Childhood Care and Education in Sub-Saharan Africa: What Would it Take to Meet the Millennium Development Goals? Washington, DC: World Bank.

Mingat, A., Jaramillo, A. (2003). A Description of the Costing Model for ECCD. Washington, DC: World Bank.

Myers, Robert. (1995). *The Twelve Who Survive: Strengthening Programmes of Early Childhood Development in theThird World*. Ypsilanti, Michigan: High Scope Press, 2nd edition.

National Scientific Council on the Developing Child. (2004). *Young Children Develop in an Environment of Relationships*, Working Paper #1. Waltham, Massachusetts: Brandeis University. http://www.developingchild.net/reports.shtml

Pence, A. R. (2004). ECD Policy Development and Implementation in Africa. In *Early Childhood and Family Policy Series*, No. 9. Paris: UNESCO.

Pence, A. R. & Marfo, K. (Eds.). (in press). Capacity Building for ECD in Africa [Special Issue]. *International Journal of Educational Policy, Research and Practice.*

Pressoir, E. (2004). Early Childhood Development: Promising Experiences in West and Central Africa. Dakar: UNICEF WCARO.

Pressoir, E. (2002). L'Education Parentale: Volet incontournable de l'approche intégrée pour le développement du jeune enfant. Dakar: UNICEF BRAOC.

Republic of Malawi. (February 2003). *National Policy on Early Childhood Development*. Lilongwe: Ministry of Genderand Community Services.

Save the Children. (2003). *What's the Difference: An ECD Impact Study from Nepal*. Kathmandu: Save the Children, Norway.

Second International Conference on Early Childhood Development. (28 – 31 October 2002). *Asmara Early Childhood Development Conference Documents: Declaration, Overview and Synthesis Statements*. Asmara: Conference on Early Childhood Development.

Second International Conference on Early Childhood Development. (28 – 31 October 2002). *Recommendations Workshop Group on Integrated ECD: Policy, Planning and Research.* Asmara: Conference on Early Childhood Development. (Available from the author.)

Shonkoff, J.P. & Phillips, D. (Eds.) (2000). *From Neurons to Neighborhoods: The Science of Early Childhood Development*. Committee on Integrating the Science of Early Childhood Development. Washington, DC: National Academy Press.

Torkington, K. (2001). *WG/ECD Policy Project: A Synthesis Report*. The Hague: ADEA, WG/ECD.

UNESCO. (2000). *Dakar Framework for Action, Education for All: Meeting Our Collective Commitments.* World Education Forum, Dakar, Senegal. Paris: UNESCO. http://www.unesco.org/education/efa.

UNESCO. (2004). Implementation Guidelines for the UNESCO/OECD Early Childhood Policy Review Project. Paris: UNESCO.

UNESCO. Policy Briefs on Early Childhood and Early Childhood Family Policy Series: http://www. unesco.org.

UNESCO. *Early Childhood Care and Education in E-9 Countries: Status and Outlook*. Paris: UNESCO.

UNICEF. (2004). *Early Childhood Resource Pack: A Training Tool Ensuring Young Child Survival, Growth and Development through Integrated Programmes.* New York: UNICEF.

UNICEF. (2003). *Parenting Education Toolkit*. New York: UNICEF.

UNICEF. (2004). *State of the World's Children*. New York: UNICEF.

Vargas-Barón, E. (February 29 2004). *Final Report: Project to Support National Policy Planning for Early Childhood Development in Three Countries of West Africa*. The Hague: ADEA-WG/ECD.

Vargas-Barón, E. (22 November 2004). *Policy Analyses and Recommendations on Early Childhood Development and HIV/AIDS in Mainland Tanzania and Zanzibar*. Unpublished manuscript. Dar es Salaam: report prepared for the Country Support Team for ECD and HIV/AIDS and UNICEF.

Vargas-Barón, E. (October 2002). Working Group on Integrated Early Childhood Development Policy Planning and Research: Recommendations. Second International Conference on Early Childhood Development. Eritrea: Association for the Development of Education in Africa.

Young, M. (1996). *Early Child Development: Investing in the Future*. Washington, D.C.: World Bank.

Young, M. (2002). *From Early child Development to Human Development*. Washington, D.C.: World Bank.

დანართი II

ადრეულ ასაკში განვითარების, ათასწლეულის განვითარების მიზნებთან დაკავშირებული ინდიკატორები

მიზანი 1 – უკიდურესი სიღარიბის და შიმშილის აღმოფხვრა

ათასწლეულის განვითარების მიზნების *მეორე ამოცანაა*: 1990-დან 2015 წლამდე პერიოდში იმ ადამიანების წილის განახევრება, რომლებიც შიმშილით იტანჯებიან. *მეორე ამოცანა* მოიცავს შემდეგ ინდიკატორს: წონანაკლულობის პრობლემა 5 წლამდე ასაკის ბავშვებში. [1]

მიზანი 2 – საყოველთაო დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა

ბავშვებს, როგორც ვაჟებს, ისე გოგონებს, 2015 წლისთვის ყველგან უნდა შეეძლოთ დაწყებითი განათლების სრული კურსის დასრულება. ინდიკატორებია: დაწყებითი განათლების დაწესებულებებში ჩარიცხვის სუფთა მაჩვენებელი და მოსწავლეთა წილი, რომელიც პირველ კლასში შესვლის შემდეგ აღწევს მეხუთე კლასამდე. ბავშვები ყველა თვალსაზრისით „მზად“ უნდა იყვნენ სკოლისთვის, რათა შეძლონ ჩარიცხვა და განათლების დაწყებითი საფეხურის დასრულება კლასში ჩარჩენის გარეშე.

მიზანი 3 – გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა

გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა დაწყებითი და საშუალო განათლების საფეხურებზე სასურველია 2005 წლისთვის, განათლების ყველა დონეზე კი არა უგვიანეს 2015 წლისა. ინდიკატორებია: გოგონების რაოდენობის ვაჟების რაოდენობასთან თანაფარდობა დაწყებითი განათლების საფეხურზე, რაც მოითხოვს, რომ გოგონები ისევე მზად იყვნენ სკოლისთვის, როგორც ვაჟები.

მიზანი 4 – ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება

ეს მიზანი გულისხმობს ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის ორი მესამედით შემცირებას 1900 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში. სამი მნიშვნელოვანი ინდიკატორია: ხუთ წლამდე სიკვდილიანობის მაჩვენებელი; ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი და წითელას მიმართ აცრილი ერთ წლამდე ასაკის ბავშვების წილი.

მიზანი 5 – დედათა ჯანდაცვის გაუმჯობესება

ეს მიზანი გულისხმობს დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის სამი მეოთხედით შემცირებას 1990-დან 2015 წლამდე პერიოდში. ორი ინდიკატორია: დედათა

[1] მსოფლიო ბანკის ვებგვერდზე მითითებულია: ბავშვთა სიკვდილიანობის ნახევარზე მეტის მიზეზია მალნუტრიცია. ის გამოწვეულია მცირე საკვები ენერგიის მოხმარებით, რაც არასაკმარისია ორგანიზმის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. პრობლემას ამძაფრებს იმგვარი რაციონი, რომელშიც არ შედის ძირითადი საკვები ნივთიერებები; ავადმყოფობა, რომელიც იწვევს აღნიშნული ნივთიერებებისგან ორგანიზმის გამოფიტვას და დედათა არასათანადო კვება, რომლებიც შობენ წონანაკლულ ბავშვებს. შემოსავლების ზრდა და სიღარიბის შემცირება აღნიშნულ პრობლემაზე რეაგირების ნაწილია. მაგრამ ღარიბ ქვეყნებშიც კი, არ უნდა არსებობდეს ბავშვთა მალნუტრიციის პრობლემა. მათ შეუძლიათ მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ე.წ. დაბალხარჯიანი ღონისძიებებით, როგორებიცაა: ცოდნის ამაღლება საკვები ნივთიერებების შესახებ, მიკროსაკვები დანამატები და ორგანიზმის გაძლიერება. სხვა ღონისძიებები ასევე მოიცავს ქალთა სტატუსის და განათლების გაუმჯობესებას, მთავრობის პასუხისმგებლობის ზრდას ჯანდაცვასთან და კვებასთან დაკავშირებით და ჯანდაცვის ეფექტიანი ინფრასტრუქტურის შემუშავებას.

სიკვდილიანობის მაჩვენებელი და მშობიარობების წილი, რომელიც მიმდინარეობს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მონაწილეობით.

მიზანი 6 – აივ/შიდსის, მალარიის და სხვა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა

პირველი ამოცანა: აივ/შიდსის გავრცელების შეჩერება 2015 წლისთვის და გავრცელების კლების დაწყება. ინდიკატორებია: ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის გავრცელება 15-დან 24 წლამდე ასაკის ფეხმძიმე ქალებში და 10-დან 14 წლის ასაკამდე ობოლი ბავშვების სკოლაში დასწრების მაჩვენებლის თანაფარდობა არაობოლი ბავშვების დასწრების მაჩვენებელთან. რა თქმა უნდა, პრენატალური განათლება და ზრუნვა აივ/შიდსით დაავადებულ ბავშვებზე უნდა იყოს „ადრეულ ასაკში განვითარების ყოვლისმომცველი სახელმწიფო პოლიტიკის“ ნაწილი.

მეორე ამოცანა: მალარიის შემთხვევების და სხვა ძირითადი დაავადებების გავრცელების შეჩერება 2015 წლისთვის და გავრცელების კლების დაწყება. ინდიკატორებს შორისაა: მალარიის და ტუბერკულოზის გავრცელებასთან დაკავშირებული და სიკვდილიანობის მაჩვენებლების მიმართ ბავშვებზე ფოკუსირებული ღონისძიებები, ისევე, როგორც მალარიის რისკის მატარებელ ადგილებში მოსახლეობის ის წილი, რომელიც მალარიის პრევენციის და მკურნალობის ეფექტიან ღონისძიებებს იყენებს.

მიზანი 7 – გარემოს დაცვის მდგრადობის უზრუნველყოფა

მეორე ამოცანა: 2015 წლისთვის იმ ადამიანების წილის განახევრება, რომელთაც არ მიუწვდებათ ხელი უსაფრთხო სასმელ წყალზე და ძირითად სანიტარიულ პირობებზე. ინდიკატორებია: მოსახლეობის ის წილი ქალაქად და სოფლად, რომელსაც აქვს სტაბილური წვდომა წყლის გაუმჯობესებულ წყაროსთან და გაუმჯობესებულ სანიტარიულ პირობებთან. წყალი და სანიტარიული პირობები აუცილებელი სფეროებია „ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ყოველი სახელმწიფო პოლიტიკისთვის“.

დანართი III

ძირითადი განსაზღვრებები „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ დაგეგმვისთვის

პოლიტიკის დაგეგმვა ხელოვნებაა, რომელიც მიიღწევა დაგროვილი გამოცდილების და წარსულში წარუმატებელი და წარმატებული პოლიტიკის გულდასმით ანალიზის საფუძველზე. პოლიტიკასთან, პოლიტიკის ჩარჩოსთან და მათ მთავარ კომპონენტებთან დაკავშირებული განსაზღვრებები წლების განმავლობაში მუშავდებოდა. მონაწილეობითი პოლიტიკის ხუთი ფაზის დაწყებისთვის მოსამზადებლად წარმოდგენილია აღნიშნული განსაზღვრებების მოკლე მიმოხილვა.

„ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული პოლიტიკის“ და პოლიტიკის ჩარჩოს განსაზღვრება

„ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკა“ არის ოფიციალურად დამტკიცებული მაღალი დონის გეგმა, რომელიც თავის საბაზისო დონეზე მოიცავს:

- მდგომარეობის ანალიზს სტატუსთან, პრობლემებთან და ბავშვების და ოჯახების საჭიროებებთან დაკავშირებით;
- მკაფიოდ განსაზღვრულ და გაზიარებულ სახელმწიფო ხედვას ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარებასთან დაკავშირებით;
- მიზნებს და ამოცანებს, რომლებიც უპასუხებს იდენტიფიცირებულ პრობლემებს და საჭიროებებს;
- სახელმძღვანელო სტრატეგიების, პროგრამის განვითარების სფეროების და სასურველი შედეგების გაცხადებას იმ ინდიკატორების თვალსაზრისით, რომლებიც წარმართავს საქმიანობას და ხელს შეუწყობს მიზნების შესრულებას;
- ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ადმინისტრაციულ, საკოორდინაციო და ორგანიზაციულ სტრუქტურებს ყველა დონეზე;
- ტრენინგის სისტემებს და ღონისძიებებს;
- საინვესტიციო სტრატეგიას და რესურსების (ადამიანური, ინსტიტუციური, ფინანსური და მატერიალური) მობილიზაციას და განაწილებას;
- პოლიტიკის ადვოკატირებას და სოციალურ კომუნიკაციას;
- დონორების და პარტნიორობის კოორდინაციას;
- პოლიტიკის მონიტორინგის და შეფასების სისტემას და ანგარიშგების სისტემას პოლიტიკის შედეგების მიღწევის შესაფასებლად.

ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების სანიმუშო პოლიტიკის შესამუშავებლად საჭიროა შემოქმედებითი მიდგომა და წარმოსახვა. ყველა მთავარ დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების, ალტერნატიული გზების განხილვის და კონსენსუსის მიღწევის შემდეგ, ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკა განსაზღვრავს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებზეც მიიღწა საერთო თანხმობა. ის მოქნილად წარმართავს მიმდინარე და სამომავლო დაგეგმვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, პოლიტიკის განხორციელებას, პოლიტიკის ადვოკატირებას და შეფასებას. „ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების პოლიტიკა“ განსაზღვრავს და წარმართავს ზოგადი პროგრამით განსაზღვრულ განსავითარებელ სფეროებს და უზრუნველყოფს ჩარჩოს, პროგრამის კოორდინაციის სტრატეგიის, სტრუქტურის, დაფინანსების და პროცედურებისთვის.

თუმცა, „ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების პოლიტიკა“ არ მოიცავს პროგრამების ან პროგრამის დაგეგმვის დეტალების დაწვრილებით ოპერაციულ აღწერას, განხორციელებას და შეფასებას. აღნიშნული საკითხები წარმოდგენილია წლიურ სამოქმედო გეგმებში ან პროგრამის აღწერილობასა და სახელმძღვანელოებში. ეროვნული პოლიტიკის დადგენა შესაძლებელია კონსტიტუციით, კანონმდებლობით, პარლამენტის ან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ.

„ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკის“ ჩარჩო განსაკუთრებით სასარგებლოა ქვეყნებისთვის, რომელთაც აქვთ კარგად ჩამოყალიბებული დარგთაშორისი და დარგობრივი პოლიტიკის სრული სპექტრი ბავშვთა პრობლემებთან დაკავშირებით. ის შესაძლოა ასევე სასარგებლო იყოს ქვეყნებისთვის, რომელთაც სურთ არსებული პოლიტიკის გაფართოება და თვალსაჩინო ნაკლოვანებების გამოსწორება პოლიტიკაში. ის უნდა მოიცავდეს ადრე განსაზღვრული დარგობრივი და დარგთაშორისი პოლიტიკის, გეგმების და სტრატეგიების უმრავლესობას (თუ ყველას არა).

ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, პოლიტიკის ჩარჩო ძირითადად ეხება ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკის ყველა ძირითად ელემენტს. ის ხაზს უსვამს

საერთო ხედვის დამკვიდრებას, რომელიც ხელახლა ადასტურებს და განსაზღვრავს ეროვნული პოლიტიკის პრიორიტეტებს და აშუქებს საერთო სტრატეგიებს და სტანდარტებს. საჭიროა ყველა შესაბამისი მაღალი დონის, დარგთაშორისი და დარგობრივი პოლიტიკისა და კანონმდებლობის განხილვა. უნდა განისაზღვროს მთავარი ნაკლოვანებები პოლიტიკასა და კოორდინაციაში, კონფლიქტები და დუბლირების შემთხვევები. გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს ახალი პროგრამებით, რომლებიც ან ინტეგრირებულია შესაბამის პოლიტიკაში ან ახლად არის აღნიშნული პოლიტიკის ჩარჩოში. ეს უნდა გაკეთდეს კონსულტაციების და კონსენსუსის მიღწევის საფუძველზე შერჩეული არსებული პოლიტიკის გასაძლიერებლად, პოლიტიკის სფეროებს შორის პრიორიტეტების და მთავარი სტრატეგიების და სტანდარტების დასადგენად და პოლიტიკაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. პოლიტიკის ჩარჩომ ასევე უნდა დახვეწოს ან მოახდინოს სისტემების რეორიენტაცია განხორციელებისთვის, სერვისების გამოყენებისთვის, ტრენინგისთვის, კოორდინაციისთვის, ადვოკატირებისა და შეფასებისა და მონიტორინგისთვის. გარდაუვალია ახალი დარგობრივი პოლიტიკის, გეგმების და სტრატეგიების ფორმირება დროთა განმავლობაში. ამგვარად პოლიტიკის ჩარჩოები უნდა იყოს მოქნილი და მოიცავდეს დებულებებს მჭიდრო კოორდინაციის ჩამოსაყალიბებლად და ახალი პოლიტიკის შესამუშავებლად.

ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ, შეიმუშაონ თუ არა ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკა თუ პოლიტიკის ჩარჩო. უმეტეს შემთხვევებში მკაფიოდ განისაზღვრება, თუ რომელი მათგანია საჭირო. ზოგადად ქვეყნები, რომელთაც აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლები, უნდა განიხილავდნენ და წყვეტდნენ „ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკის“ მომზადებას:

- ქვეყანას აკლია დარგობრივი და დარგთაშორისი პოლიტიკების ადეკვატური სპექტრი მოწყვლად ბავშვებთან და დედებთან დაკავშირებით, პრენატალური ასაკიდან რვა წლის ასაკამდე;
- ქვეყანა აჩვენებს საზოგადოებრივი ცოდნის დაბალ დონეს მოწყვლადი ბავშვების სტატუსის და საჭიროების შესახებ, აგრეთვე, მათთვის გამოსაყენებელი პროგრამების ტიპების შესახებ;
- ქვეყანას აქვს მთავარი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ნაკლოვანებები მოწყვლადი ბავშვებისთვის გაწეულ სერვისებში;
- ქვეყანამ ხელახლა უნდა განიხილოს ეროვნული სტრატეგიები ყველა ბავშვის ადეკვატური განვითარების უზრუნველსაყოფად;
- ქვეყნის დარგობრივი და დარგთაშორისი პოლიტიკები შემუშავდა დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციების წარმოების და კონსენსუსის მიღწევის გარეშე.

ქვეყნებმა, რომლებიც გადაწყვეტენ „ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკის“ განსაზღვრას, ასევე უნდა მოიცვან არსებული დარგობრივი ან დარგთაშორისი პოლიტიკები ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების სხვა სფეროებში; უზრუნველყონ მითითებები ქვეყნისთვის სხვადასხვა პოლიტიკის როლების შესახებ და ახალი პროგრამების შემუშავება მომსახურებაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

„ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკა“ საკმარისი უნდა იყოს იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს მტკიცე დარგობრივი და დარგთაშორისი პოლიტიკა ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ძირითად სფეროებში ან სადაც მხოლოდ რამდენიმე ნაკლოვანებაა გამოსასწორებელი. ქვეყნებში, სადაც შემუშავებულია მოწინავე პოლიტიკა და პროგრამა მოწყვლადი ბავშვებისა და ოჯახებისთვის, პოლიტიკასთან დაკავშირებული

გამოწვევები, ჩვეულებრივ, ნაკლებად არის დაკავშირებული პოლიტიკაში არსებულ ხარვეზებთან. ისინი მეტწილად უკავშირდება მომსახურებაში და ორგანიზაციებს შორის პრიორიტეტების განსაზღვრაში არსებულ ნაკლოვანებებს, კოორდინაციას, ინტეგრაციას და ანგარიშვალდებულებას. თუ ქვეყნის ლიდერებს უჭირთ გადაწყვეტილების მიღება „ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების პოლიტიკასთან“ ან ჩარჩო პოლიტიკის შექმნასთან დაკავშირებით, ეს შეიძლება მოხდეს გარე მრჩევლის დახმარებით თავდაპირველი ანალიზის განხორციელებაში, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებას.

განსხვავებები პოლიტიკებს და ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ფართომასშტაბიან ეროვნულ პროგრამებს შორის

ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება განსაზღვრავს ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ფართომასშტაბიან ეროვნულ პროგრამას, ან გეგმაზე მომუშავე ჯგუფები გამოიყოფა კონკრეტული პროგრამებისთვის, ჩვეულებრივი მოვლენაა პროგრამის ხელშეწყობის არევა ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების პოლიტიკის დაგეგმვასთან. ზოგჯერ პოლიტიკის დამგეგმავი პირები თავიდან ფიქრობენ, რომ პოლიტიკის შემუშავების ღონისძიება მიზნად ისახავს ძირითადი პროგრამის, როგორც „ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკის“ ძირითადი ელემენტის დადგენას. დიდი პროგრამა იმსახურებს პროგრამის რეალისტურ გეგმას და პოლიტიკაში შეტანას, თუმცა, ის არ შეადგენს ეროვნულ პოლიტიკას, რომელიც მოიცავს ბავშვის და ოჯახის განვითარების ყველა ასპექტს და სფეროს პრენატალური მდგომარეობიდან რვა წლის ასაკამდე. ყველა დარგობრივი და დარგთაშორისი ღონისძიება და ასაკის დიაპაზონი უნდა იყოს შეტანილი „ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნულ პოლიტიკაში“. დებულება მიმდინარე და შემოთავაზებული ეროვნული პროგრამების შესახებ უნდა განხორციელდეს პოლიტიკის სტრატეგიებიდან გამომდინარე. თუ მთავარი ლიდერი შეეცდება პროგრამის, როგორც ეროვნული პოლიტიკის იძულებით გამოყენებას, მაშინ საჭირო იქნება განსაკუთრებული ძალისხმევა იმის ასახსნელად, თუ როგორ იქონიებს პროგრამა უფრო ფართო ზემოქმედებას ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში მთავარ სტრატეგიაში შეტანისას. პროგრამა გახდება უფრო მდგრადი, რადგან კოდიფიცირებული იქნება „ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში“ და მისი მხარდაჭერა გაძლიერდება ფართომასშტაბიანი კონსულტაციებით და კონსენსუსით.

სახელმწიფო პოლიტიკის ხედვის განმარტება

ხედვის ფორმულირება არის „ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების პოლიტიკის“ ან პოლიტიკის ჩარჩოს ყველაზე ფართო და ზოგადი მიზანი. ის მოიცავს ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ყველა სფეროს და განსაზღვრავს იდეალურ ეროვნულ მიზანს ბავშვთა განვითარების შედეგების თვალსაზრისით. ხედვას შეუძლია ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების პოლიტიკის დაკავშირება სხვა სახელმწიფო პოლიტიკებთან. ის იშვიათად იძლევა დეტალებს სტრატეგიების შესახებ, რომლებიც, ჩვეულებრივ, მოგვიანებით განისაზღვრება ხოლმე.

პოლიტიკასთან დაკავშირებული ხედვის მაგალითი:

„(ქვეყნის დასახელება)–ის პოლიტიკაა, რომ ყველა ბავშვი სრულად იყენებდეს საკუთარი განვითარების პოტენციალს, იყოს ჯანმრთელი, ჰქონდეს ადეკვატური საკვები, არ

ემუქრებოდეს საფრთხე და მზად იყოს წარმატების მისაღწევად სკოლაში და ცხოვრებაში. ეს ხედვა და პოლიტიკასთან დაკავშირებული ქვემოთ წარმოდგენილი სტრატეგიები ასახული იქნება ყველა დაკავშირებულ პოლიტიკაში, გეგმაში და სამთავრობო ბრძანებაში და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან და კერძო სექტორთან სიღარიბის შემცირების მიზნით მოწყვლადი ბავშვების და მათი ოჯახების სასარგებლოდ ყველა სახის თანამშრომლობის წარმოებისას.“

გაცხადებული ხედვა უნდა აერთიანებდეს ადამიანებს ქვეყნის მასშტაბით, რათა მიიღწეს ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების მიზნები ყველა ბავშვის განსავითარებლად. ის უნდა ახდენდეს მათ მოტივირებას, წახალისებას ერთად მუშაობისკენ, აძლევდეს მათ იმედს და მონაწილეობდეს მათი ცხოვრების გზის მიმართულების არჩევაში.

სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების განსაზღვრა

ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები განსაზღვრავს საბოლოოდ მისაღწევ შედეგს. ეს მიზნები უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ცხადი. პოლიტიკის მიზნები განსაზღვრავს სახელმწიფო პრიორიტეტებს, იძლევა ფართო მანდატს და მკაფიო მიმართულებას. უნდა ჩამოითვალოს მხოლოდ რამდენიმე მთავარი მიზანი. ყველა ამოცანა და სტრატეგია პოლიტიკასთან მიმართებით, უნდა უკავშირდებოდეს კონკრეტულ მიზანს.

პოლიტიკის მიზნების მაგალითებია:

მიზანი 1: მთავრობა იმუშავებს ჯანდაცვის ყველა პროვაიდერთან, იმისათვის, რათა ყველა დედას მიუწვდებოდეს ხელი პრენატალურ ჯანდაცვაზე, საკვებსა და საგანმანათლებლო სერვისებზე პირველი ტრიმესტრის განმავლობაში და, ასევე, იღებდეს სერტიფიცირებული მეანების დახმარებას.

მიზანი 2: მთავრობა უზრუნველყოფს 0-დან 3 წლის ასაკამდე ყველა ბავშვის დაბადების რეგისტრაციას, რეგულარულ ჯანდაცვას და დაგეგმილ შემოწმებას, დროულ და სრულ იმუნიზაციას, ადეკვატურ კვებას, ჩვილ ბავშვთა სტიმულირებას და ადრეულ ასაკში განათლებას მშობელთა განათლების და მხარდაჭერის საზოგადოებრივი ცენტრების საშუალებით.

სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანების განმარტება

პოლიტიკის ამოცანაა განაცხადი პოლიტიკის მიზნის ერთი ასპექტის მიღწევის განზრახვის შესახებ. პოლიტიკის ერთი ან მეტი ამოცანა უნდა გაცხადდეს პოლიტიკის თითოეული მიზნისთვის. ამოცანები ითვალისწინებს უფრო მეტ სპეციფიკურობას, ვიდრე მიზანი და უკავშირდება ქვეყანაში ამჟამად არსებულ მდგომარეობას. ის იძლევა საკმარის ინფორმაციას იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მასთან შედეგების და შეფასებადი ინდიკატორების დაკავშირება.

პოლიტიკა მოიცავს ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს, ასევე, სკოლისთვის მზადყოფნას, სკოლაში გადასვლას, მშობელთა მხარდაჭერას და სკოლებში მონაწილეობას, სკოლაში ჯანსაღ კვებას, უსაფრთხოებას, სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფას და ინკლუზიურ განათლებას.

ეს სტრატეგიული მიდგომა გამოიყენება იმისათვის, რომ არცერთი ასაკის დიაპაზონი არ დარჩეს გამოტოვებული ან პრიორიტეტებს მიღმა. ის დაგეგმვის თითოეულ ჯგუფს აძლევს შესაძლებლობას, აწარმოოს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან ყველა დონეზე თითოეული ასაკის სპექტრის შესახებ: მათი წარმოდგენა უპირატესი საჭიროებების შესახებ, განსაკუთრებული პრობლემები საზოგადოებაში გარკვეული ასაკის ან ტიპის ბავშვებისთვის, დედებისთვის, მამებისთვის ან ოჯახების ქსელისთვის.

2. თემატური სტრატეგიები

ზოგიერთი სტრატეგია ეხება სპეციალურ თემატურ სფეროებს, როგორებიცაა ბავშვებზე შემდეგი ფაქტორების ზემოქმედება:

- აივ/შიდსი (ობლები, ინფიცირებული ბავშვები, ზრუნვასთან დაკავშირებული პრობლემები, სკოლა და ჯანდაცვა);
- მათხოვრის ან ქუჩის ბავშვის სტატუსი;
- ომი, ძალადობა, იძულებითი გადაადგილება ან ლტოლვილის სტატუსი;
- განვითარების დაგვიანების ან შეზღუდული უნარების მაღალი რისკი;
- ძირითადი დაავადებები (მალარია, ტუბერკულოზი, ძილის დაავადება და ა.შ.) ან
- სექსუალური ან ოჯახური ძალადობა.

3. ინტერვენციის სტრატეგიები

ინტერვენციის რამდენიმე სტრატეგია, რომელიც ეხება ასაკობრივ დიაპაზონს და თემას, გამოიყენება ბავშვთა ადრეული განვითარების პოლიტიკების უმრავლესობაში, მაგალითად:

- მშობელთა დარგთაშორისი საგანმანათლებლო სტრატეგია ყველა ასაკის დიაპაზონისთვის, რომელიც აერთიანებს არსებულ სერვისებს და რეაგირებს მომსახურებაში არსებულ სერვისებზე;
- ტრენინგის სისტემების გაძლიერება პოლივალენტური სფეროს იმ პერსონალისთვის (სამსახურის დაწყებამდე და მუშაობის პროცესში), რომელსაც შეუძლია ინტეგრირებული სერვისების მიწოდება;
- კვლევა და შეფასება ინფორმაციის მისაწოდებლად, პოლიტიკის შემდგომი გადახედვისთვის და პროგრამის გასაუმჯობესებლად;
- პოლიტიკის ადვოკატირება და სოციალური კომუნიკაცია.

4. დარგობრივი სტრატეგიები

ქვეყნების უმეტესობისთვის დარგობრივი სტრატეგიები ყველაზე ნაკლებად წინააღმდეგობრივი ეტაპია, მაგრამ ისინი ქმნიან ბარიერებს ადრეულ ასაკში ბავშვთა

განვითარების მიმართ ინტეგრირებული მიდგომის გამოყენების თვალსაზრისით. შესაძლებლობის ფარგლებში დარგობრივი სტრატეგიები უნდა ასრულებდეს დაქვემდებარებულ და დამხმარე როლებს. დარგობრივი სტრატეგიების წარმოდგენა შეიძლება, თუ ქვეყანას სჭირდება მკაფიო მიმართულების მიცემა დარგისთვის ინტეგრირებული მიდგომის ფარგლებში. მაგალითად, დარგობრივ სტრატეგიაში შეიძლება ნათქვამი იყოს: *განათლების სამინისტრო სრულად ითანამშრომლებს ჯანდაცვის სამინისტროსთან იმისათვის, რათა მშობელთა განათლება მოიცავდეს განათლებას ხარისხიანი ჯანდაცვის, კვების და სანჰიგიენის შესახებ და ჯანდაცვის პერსონალი მონაწილეობდეს მშობლების პოლივალენტური საზოგადოებრივი განმანათლებლების მომზადებაში, რომლებიც მიმაგრებულნი არიან ჯანდაცვის ცენტრებში.*

გაცხადებული სტრატეგიის მაგალითები:

პირველი მიზნის და მისი ამოცანების მისაღწევად მთავრობა გააფართოებს საკუთარი პრენატალური ჯანდაცვის და განათლების სერვისებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს მათი წარმოდგენა პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში ქვეყნის მასშტაბით და ითანამშრომლოს კერძო ჯანდაცვის პროვაიდერებთან ფეხმძიმე ქალების ქვეყნის მასშტაბით მომსახურებასთან დაკავშირებით. ამ სტრატეგიის თანახმად მთავრობა:

1. უზრუნველყოფს ადეკვატურ ტრენინგს ჯანდაცვის პროვაიდერებისა და საზოგადოებრივი განმანათლებლების/მშობელთა განმანათლებლებისთვის საქმიანობის დაწყებამდე და საქმიანობის პროცესში რეგიონული ტრენინგის სისტემების და ქსელების შექმნის საშუალებით;
2. მოამზადებს და გაანაწილებს კულტურული თვალსაზრისით სათანადო პრენატალურ და მშობელთა საგანმანათლებლო მასალებს ყველა სახელმწიფო და კერძო ჯანდაცვის პროვაიდერის მიერ საზოგადოებაში გამოსაყენებლად და
3. განახორციელებს პრენატალური ჯანდაცვის და საგანმანათლებლო სერვისების მონიტორინგს და შეფასებას.

სტრატეგიები შეიძლება უზრუნველყოფდეს მითითებებს ეროვნულ, რეგიონულ და საზოგადოებრივ დონეზე ქვეყნის შიგნით. საჭიროებიდან გამომდინარე, ისინი უნდა უკავშირდებოდეს „სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის დოკუმენტს“ (PRSPs), „ათასწლეულის განვითარების მიზნებს“ (MDGs) და სხვა დარგთაშორის და დარგობრივ პოლიტიკებს. მათ შეუძლიათ დახმარების გაწევა დეცენტრალიზებული პროგრამის შემუშავებაში, მასთან დაკავშირებულ თანამშრომლობაში, კოორდინაციასა და ინტეგრაციაში. მსოფლიო ტენდენცია უფრო მეტი დეცენტრალიზაციისკენ და მთავრობის მიერ ყველა დონეზე მხარდაჭერილი, საზოგადოებაზე დაფუძნებული პროგრამებისკენ, აძლიერებს პოლიტიკის სტრატეგიების შემუშავების მნიშვნელობას, რომელიც მოიცავს ბავშვების და ოჯახების საჭიროებებს და ხელს უწყობს როლების და პასუხისმგებლობების გაყოფას ყველა დონეზე.

ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკები და წლიური სამოქმედო გეგმები

პოლიტიკის შემუშავება და წლიური დაგეგმვა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. წლიურ დაგეგმვას „წლიურ ოპერაციულ დაგეგმვას“ ან „წლიური სამოქმედო ღონისძიებების დაგეგმვას“ უწოდებენ. ორივე ტერმინი მისაღებია, მაგრამ ამ მითითებების მიზნებისთვის გამოვიყენებთ ტერმინს, „სამოქმედო ღონისძიებების დაგეგმვა“. ყოველწლიური ღონისძიებების დაგეგმვა უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს „ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას“. ყოველწლიური სამოქმედო ღონისძიებების დაგეგმვა შედარებით უფრო დეტალური და აღწერილობითი უნდა იყოს, ვიდრე სახელმწიფო პოლიტიკა. ყოველწლიური ECD სამოქმედო გეგმა ყველაზე უკეთ მაშინ მზადდება, როდესაც უკვე არსებობს ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა. თუმცა, პირველი სამოქმედო გეგმა შეიძლება შემუშავდეს პოლიტიკასთან ერთად და დასრულდეს პოლიტიკის დამტკიცების და მიღებისთანავე.

მავრიტანიამ ადრეულ ასაკში განვითარების პირველი სამოქმედო გეგმა „ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის“ პარალელურად მოამზადა. არ იქნებოდა მართებული მოცდა და სამოქმედო გეგმის პოლიტიკის დამტკიცების შემდეგ მომზადება, რადგან ამას შესაძლოა სტიმულის დაკარგვა გამოეწვია. დაგეგმვის ჯგუფს ჩვეულებრივ შეუძლია ორივე პროცესის მართვა. მათ კარგად ემახსოვრებათ ყველაფერი საკონსულტაციო და შემათანხმებელი შეხვედრებიდან, რაც მათ დაეხმარება, რეალისტური და ეფექტიანი პირველი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. პოლიტიკა და წლიური დაგეგმვის პროცესები ციკლურია და დოკუმენტების ერთობლივად მომზადება ხელს შეუწყობს თითოეულის გაუმჯობესებას და მკაფიო საზღვრების გავლებას პოლიტიკას და ყოველწლიური სამოქმედო ღონისძიებების დაგეგმვას შორის. უფრო მეტიც, სახელმწიფო პოლიტიკის დასაგეგმად გამოყენებული მონაწილეობითი პროცესები მსგავსია ყოველწლიური სამოქმედო ღონისძიებების დასაგეგმად გამოყენებული პროცესებისა. ხუთი ან მეტი წლის განმავლობაში ადრეულ ასაკში განვითარების (ECD) ყოველწლიური სამოქმედო გეგმები „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკას“ შეცვლის ახალი სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის მოთხოვნით. დაბოლოს, ზოგიერთი ქვეყანა ირჩევს ადრეულ ასაკში განვითარების ორწლიანი სამოქმედო გეგმის მომზადებას. მეორე წლისთვის გეგმა იცვლება და ემატება ახალი მეორე წელი. ეს უზრუნველყოფს პროგრამის განვითარების და შეფასების უწყვეტობას.

სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანების მაგალითები:

პირველ მიზანთან დაკავშირებით მთავრობის, მოთანამშრომლე დაწესებულებების და საზოგადოების წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

ამოცანა 1.1: პრენატალური ჯანდაცვის, კვების და საგანმანათლებლო სერვისების გაფართოება ყველა ფეხმძიმე ქალის მომსახურებისთვის.

ამოცანა 1.2: ტრენინგის სერვისის გაფართოება სერტიფიცირებულ მეანთა რაოდენობის გასაზრდელად.

მე- 2 მიზანთან დაკავშირებით მთავრობის, მოთანამშრომლე დაწესებულებების და საზოგადოების წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

ამოცანა *2.1: ყველა ბავშვის რეგისტრირება და შეფასება დაბადებისთანავე (სიმაღლე, წონა, აპგარის ქულა და განვითარების სტატუსი).*

ამოცანა 2.2: ყველა ბავშვის რეგულარული შემოწმება, პირველადი სამედიცინო მომსახურების მიწოდება და დროული და სრული იმუნიზაცია.

ამოცანა 2.3: ყველა ჩვილის და მომდევნო ეტაპის ბავშვის კვებითი სტატუსის შეფასება რეგულარული შემოწმების დროს და საკვები დანამატების და მასტიმულირებელი სერვისების უზრუნველყოფა არასათანადო კვების რეჟიმის მქონე და რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის.

ამოცანა 2.4: განვითარების რეგულარული შეფასება ყველა ბავშვისთვის და საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება ყველა რისკის ჯგუფში მყოფი ან მოწყვლადი ბავშვების მშობლებისთვის, ჩვილთა სტიმულირების, ჯანდაცვის, კვების და სანიტარული საკითხების შესახებ განათლების ჩათვლით..

პოლიტიკასთან დაკავშირებული სტრატეგიები

„ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკასთან“ დაკავშირებული სტრატეგიები ფართოა და საჭიროა გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების ორგანიზებისთვის პოლიტიკის მიზნების და ამოცანების მისაღწევად. სტრატეგიები განსაზღვრავს მთავარ ნაბიჯებს პოლიტიკის მიზნების განსახორციელებლად და პოლიტიკასთან დაკავშირებული პრობლემების, დილემების ან გაუგებრობის გადასაწყვეტად. ისინი მოკლედ აღწერენ, ვინ, სად, როგორ, როდის და რას გააკეთებს. შეძლებისდაგვარად მნიშვნელოვანია არსებული, როგორც ინსტიტუციური, ისე ადამიანური სტრატეგიების და რესურსების გამოყენება. თუმცა, ნაკლოვანებები ბავშვებისთვის და ოჯახებისთვის გასაწევ სერვისებში ყველა ქვეყანაში არსებობს და საჭირო იქნება პოლიტიკის მიზნებთან და ამოცანებთან დაკავშირებული ახალი სტრატეგიები. ისინი ერთგვარი ქოლგის როლს ასრულებს პროგრამის სხვადასხვა სფეროებისთვის და მათი ამოცანებისთვის, შედეგებისთვის, ინდიკატორების, ღონისძიებებისა და მიზნებისთვის. სტრატეგიები ასევე განსაზღვრავს მითითებებს ადრეულ ასაკში განვითარების ყოველწლიური სამოქმედო გეგმისთვის. სტრატეგიები უნდა:

- შეესაბამებოდეს ბავშვების, მათი ოჯახების და საზოგადოების პრიორიტეტულ პრობლემებს და საჭიროებებს;
- უკავშირდებოდეს პირველადი სერვისების სისტემების მიმდინარე მიზნებს, სტატუსს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს ბავშვებისა და ოჯახებისთვის;
- ითვალისწინებდეს ოპტიმალურ და რეალისტურ პირობებს, რომლებიც საჭიროა პოლიტიკის მიზნების და ამოცანების მისაღწევად;
- განსაზღვრავდეს ძირითად მოქმედ პირებს და დარგებს, რომლებსაც შეუძლიათ მონაწილეობა სტრატეგიის განხორციელებაში;
- განიხილავდეს გზებს არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებისთვის, სანამ ამოქმედდებოდეს ახალი ღონისძიებები, რაც მოითხოვს დამატებით რესურსებს;
- გამონახოს ინოვაციური გზები კომპლექსური ძალისხმევის ფორმირებისთვის ადრეულ ასაკში განვითარების მიზნების მისაღწევად;
- განსაზღვროს საშუალებები ადრეულ ასაკში განვითარების ხელშეწყობისა და საზოგადოებრივი მხარდაჭერის აღიარებისთვის.

„ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში“ შეიძლება გამოიყენებოდეს **სტრატეგიების ოთხი სხვადასხვა ტიპი**: ასაკის დიაპაზონი, თემატური,

ინტერვენციული და დარგობრივი სტრატეგიები. „თითოეულ ქვეყანაში ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვაზე“ პასუხისმგებელი პირები შეარჩევენ სტრატეგიებს, რომლებიც მოცემულ ქვეყანაში არსებული სიტუაციისთვის საუკეთესოდ მიიჩნევა.

1. სასიცოცხლო ციკლის საწყისი ასაკის დონესთან დაკავშირებული სტრატეგიები

ამ სტრატეგიების გამოყენება ძალიან რეკომენდებულია. მნიშვნელოვანია დადგინდეს სტრატეგია თითოეული ასაკობრივი დონისთვის. ეს ხელს უწყობს კომპლექსური და დარგთაშორისი მიდგომის გამოყენებას და შედეგად, „მთლიანად ბავშვი“ და ოჯახი განიხილებიან განვითარების თითოეულ მნიშვნელოვან ეტაპზე. ეტაპები ჩვეულებრივ იყოფა ქვემოთ წარმოდგენილ დონეებად. შერჩეული ასაკობრივი დონეები შეიძლება იცვლებოდეს ქვეყნების მიხედვით.

სტრატეგიის პირველი დონე: პრენატალურიდან პოსტნატალურამდე
მოიცავს მზადებას ორსულობისთვის პირველი ტრიმესტრიდან მშობიარობამდე, მშობიარობის სერვისებს, შეფასებას, ბავშვის დაბადების რეგისტრაციას და დაუყოვნებელ პოსტნატალურ ჯანდაცვას და განვითარების შეფასების სერვისებს.

სტრატეგიის მეორე დონე: დაბადებიდან სამ წლამდე (ნულიდან 36 თვემდე)
მოიცავს ჩვილის სტიმულირებას, მშობლების განათლებას და მხარდაჭერის სერვისებს, შინ/ადგილზე ვიზიტებს, სერვისების მიწოდებას თემებში არსებულ ცენტრებში, სპეციალიზებულ სერვისებს მალნუტრიციის, ქრონიკული ავადმყოფობის ან სხვა დაავადებების, დაგვიანებული განვითარების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, სახლის სისუფთავეს, თემის სანიტარულ მდგომარეობას, დაცვის სერვისებს ბავშვებისთვის ძალადობრივ ან მოწყვლად სიტუაციებში, ბაგა-ბაღებს, ბავშვებზე ზრუნვას და საგანმანათლებლო სერვისებს (საჭიროების შემთხვევაში) განსაკუთრებით იმ დედებისთვის, ვინც ოჯახის გარეთ მუშაობს.

ეს დონე ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებთან ერთად მოიცავს განვითარების სათანადო ღონისძიებებს მშობლებისთვის, სკოლამდელ განათლებას და მზადებას დაწყებითი განათლების საფეხურზე გადასასვლელად.

დანართი IV

მითითებები წარმატებული პოლიტიკის დასაგეგმად

რამდენადაც პოლიტიკის მონაწილეობითი დაგეგმვა არის ხელოვნება, რომელიც მოითხოვს დიპლომატიას, ტაქტს, უნარებს, შეუპოვრობას და მონდომებას, გთავაზობთ რამდენიმე ზოგად მითითებას:

კარგად დაგეგმეთ თქვენი განზრახვა. თქვენ შეიძლება „სწორად“ გესმოდეთ თქვენი მიზნები და ტექნიკური მოსაზრებები, მაგრამ თუ არ მოახდენთ თქვენი ნაბიჯების გონივრულ ორგანიზებას, არ დაამყარებთ კოლეგებთან თანამშრომლურ ურთიერთობას და არ აიღებთ პასუხისმგებლობას თქვენს შედეგებზე, ვერ მიაღწევთ წარმატებას.

გამოხატეთ თქვენი აზრი მკაფიოდ და კულტურული თვალსაზრისით სათანადო ფორმით. სიტყვები ყველა მონაწილის შესაბამისად განსაზღვრეთ – მშობლებიდან და საზოგადოების ლიდერებიდან დაწყებული, რეგიონული და ეროვნული ლიდერებით დამთავრებული. თუ მათ თქვენი არ ესმით, ისინი გამოეთიშებიან დაგეგმვის პროცესს. იმუშავეთ ადგილობრივ ენაზე და მოამზადეთ თემის ლიდერები, რათა აწარმოონ პოლიტიკასთან დაკავშირებული კონსულტაციები და გამართონ ღონისძიებები კონსენსუსის მისაღწევად. მშობლების განვითარება და ბავშვების აღზრდა ძირითადად ოჯახური და საზოგადოებრივი პროცესებია. ღონისძიებებზე, რომლებიც უცხოა ეთნიკური, ლინგვისტური, სოციალური ან რელიგიური ჯგუფებისთვის, შესაძლოა საბოლოოდ უარი ითქვას.

განახორციელეთ გამჭვირვალე პროცესი. თუ პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი არ იქნება სრულიად გამჭვირვალე, ადამიანებს გაუჩნდებათ ეჭვი, რომ მათი მანიპულირება ხდება. მზრუნველი ადამიანებისთვის იოლია დაშვებული საზღვრების ფარგლებს გარეთ გასვლა და სხვების მოსაზრებების უარყოფა კონსენსუსის მიღწევის მცდელობის ნაცვლად. სწორედ ამ ეტაპზეა საჭირო გარე საკონსულტაციო დახმარება გამჭვირვალე პროცესების უზრუნველსაყოფად.

გააზიარეთ ინფორმაცია. გამჭვირვალობასთან ერთად მუდმივად აუცილებელია ღია წვდომა ინფორმაციასთან დაგეგმვის პროცესის და მისი შინაარსის შესახებ. სანიმუშო გზა აღნიშნულის მისაღწევად არის ყველა შეხვედრის დაწყება და დასრულება ურთიერთგაგების ხაზგასმით. თუ ვინმე არ არის თანახმა, მაშინ ღია დიალოგი თანხმობის მიღწევამდე უნდა გაიმართოს.

მზად იყავით გრძელვადიანი ვალდებულებისთვის. დარწმუნდით, რომ ყველა, ვინც ხელმძღვანელობს პოლიტიკის დაგეგმვის პროცესს, თავიდანვე აცნობიერებდეს, რომ პროცესი აღიშნული პოლიტიკის შესრულების, შეფასების და გადასინჯვის დროსაც გრძელდება. ეს დადებით გამოწვევად უნდა განიხილებოდეს. თუ ზოგიერთ ადამიანს არ სურს ამ გრძელვადიანი როლის საკუთარ თავზე აღება, მაშინ უკეთესი იქნება, სხვები შეირჩნენ ლიდერებად.

გაარკვიეთ ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესი. დაგეგმვის პროცესში ყველა მთავარი დაინტერესებული მხარის სრულად წარმოსადგენად, სცადეთ განსაზღვროთ მათი ინტერესები.

ხელი შეუწყვეთ კონსენსუსის დამყარებას. დასაწყისიდანვე აუცილებელია უთანხმოების ან პოტენციური უთანხმოების იდენტიფიკაცია დაგეგმვის პროცესის მენეჯერებს შორის. ეცადეთ მიაღწიოთ კონსენსუსს საერთო ინტერესებზე ფოკუსირებით და გამოიყენოთ ისინი როგორც საფუძველი კომპრომისისა და კონსენსუსის მისაღწევად.

გამონახეთ სინერგიები ბავშვებისთვის განკუთვნილ დარგობრივ პროგრამებს შორის. ეძებეთ შესაძლებლობები პროგრამის კოორდინაციის, თანამშრომლობისა და ინტეგრაციისთვის. ეს შესაძლებელს გახდის საინტერესო თანამშრომლობის და

კომპლექსური პროგრამების შექმნას, რაც საბოლოოდ შეუწყობს ხელს „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ ძირითადი სტრატეგიების ხაზგასმას.

ხელი შეუწყვეთ ინოვაციას და ენთუზიაზმს. აუცილებელია, რომ ადამიანებს პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი პიროვნული სარგებლის მომტანად მიაჩნდეთ. ხელი შეუწყვეთ ინოვაციას და ენთუზიაზმს ახალი ღონისძიებებისთვის და ეცადეთ მიაღწიოთ პირადი მონაწილეობის და ლიდერობის აღიარებას.

ინოვაციურობის პარალელურად იყავით პრაქტიკული და რეალისტური. შეიტანეთ რეკომენდაციები „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში“ ან ჩარჩოპოლიტიკაში პროგრამების დაგეგმვის და განხორციელების პრაქტიკული ნაბიჯების განსასაზღვრად. ძლიერი აქცენტი გააკეთეთ შრომითი რესურსების ტრენინგის ეფექტიანი სისტემის შექმნაზე, მომსახურების მიწოდების ყველა დონის მონიტორინგზე და შეფასებაზე. სცადეთ, განსაზღვროთ პოტენციური ხარჯები, ტრენინგის და მუშახელის სახელფასო მოთხოვნები პოტენციურ სარგებელთან ან შემოთავაზებული პოლიტიკის ცვლილებებთან ან პროგრამებთან ერთად. ეს მიდგომა მოგვიანებით დაგეხმარებათ არარეალისტური გეგმებით გამოწვეული იმედგაცრუების თავიდან აცილებაში. უზრუნველყავით მტკიცე მხარდაჭერა ფინანსთა სამინისტროსგან და ძირითადი გარე დონორებისგან ბიუჯეტის დაგეგმვის დასრულებისას.

მოახდინეთ ახალი ლიდერების იდენტიფიკაცია და მოტივაცია. განსაზღვრეთ და ხელი შეუწყვეთ ახალი ლიდერების გამოჩენას ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკისთვის ყველა დონეზე. აღიარეთ ახალი ლიდერები და გააძლიერეთ ისინი ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში მათი საქმიანობისთვის მოვალეობების და რესურსების დელეგირებით.

შექმენით ახალი პარტნიორული კავშირები და ქსელები. დაგეგმვის პროცესში წარმოიქმნება შესაძლებლობები ახალი პარტნიორული ურთიერთობების და ქსელების შესაქმნელად. შეიძლება დაარსდეს ფონდი, რომელიც ხელს შეუწყობს ქსელის განვითარებას. ამგვარ თანამშრომლობას ხშირად მოჰყვება ახალი გზების გამოძებნა ადრეულ ასაკში განვითარების პროგრამების ინტეგრირებისთვის.

დანართი V

პოლიტიკის დამგეგმავი სტრუქტურების მიმართ არსებული მოთხოვნების ნიმუში და კონსულტაციები

მოთხოვნების ელემენტები წარმოდგენილია ქვემოთ პოლიტიკის დამგეგმავი შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისთვის:

1. „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ სახელმწიფო საბჭო;
2. პოლიტიკის მომზადების კოორდინაციაზე პასუხისმგებელი სამინისტრო;
3. **„ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ დამგეგმავი სახელმწიფო ჯგუფი**
4. პოლიტიკის ტექსტის პროექტზე მომუშავე ეროვნული კომიტეტი;
5. პოლიტიკის განმხილველი ეროვნული კომიტეტი (არჩევითი);

6. ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული ფორუმი.

1. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის სახელმწიფო საბჭო

შემადგენლობა:

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის სახელმწიფო საბჭო შედგება (განსაზღვრული რაოდენობის) წამყვანი ცენტრალური და რეგიონული სამთავრობო დაწესებულებების წარმომადგენლებისგან, სამოქალაქო საზოგადოებების დაწესებულებების დირექტორებისგან და კერძო სექტორის ლიდერებისგან ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ყველა სფეროში, ესენია: განათლება, ჯანდაცვა, კვება, სანიტარული ჰიგიენა, წყალმომარაგება, სამართლებრივი დაცვა, სოციალური ღონისძიებები/კეთილდღეობა, ქალების და ბავშვების უფლებები და სხვა. საბჭოს თავმჯდომარე იქნება (შესაბამისად განსაზღვრული): პრეზიდენტი, პრემიერმინისტრი, მინისტრი, სახელმწიფო მოღვაწე და ა.შ.). საბჭოს სამდივნო იქნება XXX სამინისტრო, რომელსაც ოფიციალურად აკისრია ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვის კოორდინაცია.

ამოცანები:

- „ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული პოლიტიკის“ ან პოლიტიკის ჩარჩოს საერთო დაგეგმვის ხელმძღვანელობა, გადაწყვეტა, რომელი განხორციელდეს;
- „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ კოორდინატორი სამინისტროს ან ორგანიზაციის განსაზღვრა, თუ უკვე არ არის განსაზღვრული;
- „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ კოორდინატორის და დამგეგმავი ჯგუფის ხელმძღვანელობა და მათგან ანგარიშების მიღება;
- კოორდინატორის და დამგეგმავი ჯგუფის დახმარება პრობლემების დაძლევაში და პოლიტიკის დაგეგმვის მხარდაჭერა;
- ფუნდამენტური ორგანიზაციული სტრუქტურის და პოლიტიკასთან დაკავშირებული სტრატეგიების დამტკიცება;
- პოლიტიკის პროექტების განხილვა საბოლოო ვერსიის ხაზგასმით და დამგეგმავი ჯგუფისთვის კომენტარების მიწოდება;
- პოლიტიკის ოფიციალურად და დროულად დამტკიცება და მიღება;
- პოლიტიკის შემდგომი განვითარების წარმართვა, თუკი საბჭო შეინარჩუნებს თავის სტატუსს პოლიტიკის ძალაში შესვლის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დახმარება ახალი ფორმის დარგთაშორის სახელმძღვანელო ორგანოზე გადასვლაში, რომელიც უხელმძღვანელებს „ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების პოლიტიკის“ განხორციელებას;
- „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ პირველი ყოველწლიური სამოქმედო გეგმის განხილვა და დამტკიცება, მისი განხორციელება დარგთაშორისი კოორდინაციის, ინსტიტუციური როლების და დამტკიცების სისტემების, რეგულაციების და კანონმდებლობის წარმართვით;
- შეფასების და მონიტორინგის სისტემის შექმნა და ფუნქციონირება.

2. პოლიტიკის მომზადების კოორდინაციაზე პასუხისმგებელი სამინისტრო

შემადგენლობა:

სახელმწიფო კოორდინაცია „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ დაგეგმვაზე დელეგირებულია XXX სამინისტროზე. ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის

უზრუნველსაყოფად, ის მჭიდროდ ითანამშრომლებს ყველა შესაბამის სამინისტროსთან, ორგანიზაციასთან, არასამთავრობო ორგანიზაციასთან, სამოქალაქო საზოგადების დაწესებულებასთან და კერძო სექტორთან. სახელმწიფო კოორდინატორი იქნება XXX მინისტრი, ხოლო სამინისტროს XXX სამმართველოს უფროსი - დამატებითი სახელმწიფო კოორდინატორი, რომელიც უხელმძღვანელებს დამგეგმავ ჯგუფს და წარმართავს ყოველდღიურ ოპერაციულ და თანამშრომლობის ღონისძიებებს. კოორდინატორს, XXX მინისტრის ზედამხედველობის ქვეშ და სრული თანამშრომლობით ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო საბჭოსთან, დაეკისრება შემდეგი მოვალეობები:

ამოცანები:

- „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ დაგეგმვასთან დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავების კოორდინაცია;
- „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ სახელმწიფო საბჭოს სამდივნოს სახით ფუნქციონირება;
- გარე მრჩევლის შერჩევა და მისი საქმიანობის მხარდაჭერა;
- პოლიტიკის დამგეგმავი სახელმწიფო ჯგუფის (და საჭიროების შემთხვევაში პოლიტიკის ტექსტის პროექტზე მომუშავე ეროვნული კომიტეტის) შექმნა, ხელმძღვანელობა და მოწვევა;
- ფართომასშტაბიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა პოლიტიკის დაგეგმვასა და წლიური სამოქმედო გეგმის მომზადებაში;
- მოთხოვნების შემუშავება „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ დამგეგმავი სახელმწიფო ჯგუფის, პოლიტიკის ტექსტის პროექტზე მომუშავე ეროვნული კომიტეტის და დამგეგმავი სახელმწიფო ჯგუფის სხვა კომიტეტებისთვის (საჭიროებიდან გამომდინარე), პოლიტიკის განმხილველი ეროვნული კომიტეტისთვის (გამოყენების შემთხვევაში), კონსულტანტებისთვის, „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ ეროვნული ფორუმისთვის და საზოგადოებრივი, რეგიონული და ეროვნული კონსულტაციებისთვის;
- ბიუჯეტის შემუშავება დამგეგმავ სახელმწიფო ჯგუფთან ერთად და დაფინანსების, მასალების და პერსონალის მივლინების უზრუნველყოფა;
- დამგეგმავი ჯგუფის დახმარება საკონსულტაციო შეხვედრებით და კონსენსუსის მიღწევისადმი მიძღვნილი შეხვედრებით;
- „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ ეროვნული ფორუმის ორგანიზება და მართვა;
- პოლიტიკის ადვოკატირება და სოციალური კომუნიკაციის განხორციელება პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის განმავლობაში.

3. „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ დამგეგმავი სახელმწიფო ჯგუფი

შემადგენლობა:

„ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ დამგეგმავი სახელმწიფო ჯგუფი შედგება XX ტექნიკური ლიდერისგან შემდეგ სფეროებში: განათლება, ჯანდაცვა, კვება, სანიტარული ჰიგიენა და წყალმომარაგება, სამართლებრივი დაცვა, სოციალური ღონისძიებები/კეთილდღეობა, ქალების და ბავშვების უფლებები და სხვა. სახელმწიფო კოორდინატორის და დამატებითი სახელმწიფო კოორდინატორის ხელმძღვანელობით

ხელმძღვანელი ტექნიკური დირექტორები შესაბამისი სამინისტროებიდან, სამოქალაქო საზოგადოების დაწესებულებებიდან, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, უნივერსიტეტებიდან, ინსტიტუტებიდან, პროფესიული ასოციაციებიდან, კერძო სექტორიდან და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, და დონორთა სპეციალისტები განახორციელებენ შემდეგ ამოცანებს.

ამოცანები:

- პოლიტიკის ტექსტის პროექტზე მომუშავე ჯგუფის და დამგეგმავი ჯგუფის სხვა კომიტეტების შექმნა და მათი სამუშაოს ხელმძღვანელობა;
- სამუშაო გეგმის შემუშავება და გადასინჯვა „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ დაგეგმვის ყველა ეტაპისთვის;
- ანალიზის მომზადება ბავშვების მდგომარეობის შესახებ: საჭიროებების შეფასება, რესურსების შეფასება და პოლიტიკის მიმოხილვა;
- მჭიდრო თანამშრომლობა ადგილობრივ კონსულტანტებთან და მათი საქმიანობის ხელმძღვანელობა;
- ბიუჯეტის ელემენტების უზრუნველყოფა პოლიტიკის დაგეგმვის პროცესისთვის და დახმარება საჭირო რესურსების უზრუნველყოფაში;
- ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკის პირველი ვარიანტის ან პოლიტიკის ჩარჩოს მომზადება;
- საკონსულტაციო შეხვედრების და კონსენსუსის მიღწევისადმი მიძღვნილი შეხვედრების დაგეგმვა, ორგანიზება და მოწვევა;
- საკონსულტაციო ანგარიშების მომზადება და გაგზავნა მონაწილეებისთვის და შედეგების ჩართვა დაგეგმვის პროცესში;
- კონსულტაციების შემდეგ და პოლიტიკის ტექსტის პროექტის შემმუშავებელ გუნდთან ერთად ალტერნატიული პოზიციების და ტექსტის შეთავაზება პოლიტიკასთან დაკავშირებული ხედვისთვის, მიზნებისთვის, ამოცანებისთვის, სტრატეგიებისთვის, პროგრამული სფეროებისთვის, ინდიკატორებისთვის, ღონისძიებებისა და მიზნებისთვის;
- სტრატეგიების მომზადება ასაკობრივი დიაპაზონებისთვის; სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის და თემატური ან ოპერაციული სტრატეგიები;
- ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკის (ან პოლიტიკის ჩარჩოს) მომდევნო პროექტების მომზადების ხელმძღვანელობა;
- ტრენინგის გეგმის, პოლიტიკის ადვოკატირების და სოციალური კომუნიკაციების გეგმის, კვლევის, მონიტორინგის და შეფასების გეგმის, ფინანსური და საინვესტიციო გეგმისთვის რესურსების პროგნოზირების მომზადება;
- მჭიდრო თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან და ყოველთვიური ანგარიშების მომზადება მიღწეული პროგრესის, გამოწვევების და ვარიანტების შესახებ;
- კონსენსუსის მიღწევისადმი მიძღვნილი შეხვედრების ჩატარება ყველა დონეზე, ძირითად, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად;
- მხარდაჭერის უზრუნველყოფა პოლიტიკის დაგეგმვის პროცესისთვის დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციებში მომუშავე კოლეგებისგან;
- სახელმწიფო კოორდინატორის და „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ სახელმწიფო საბჭოს დახმარება „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ ეროვნული ფორუმის დაგეგმვასა და მოწვევაში;

- „ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკის“ ან პოლიტიკის ჩარჩოს საბოლოო სახით მომზადება და წლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
- დახმარება პოლიტიკის დამტკიცებასა და მიღებაში და წლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცებაში;
- დახმარება პოლიტიკის და გეგმის პრეზენტაციაში და ადვოკატირებაში ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების წინაშე.

4. პოლიტიკის ტექსტის პროექტზე მომუშავე ჯგუფი

შემადგენლობა:

კოორდინატორი დამგეგმავ ჯგუფთან თანამშრომლობით ასახელებს პოლიტიკის ტექსტის შემმუშავებელ ჯგუფს. მისი წევრები, ჩვეულებრივ, მიეკუთვნებიან დამგეგმავ ჯგუფს და რადგან მათი მონაწილეობა მნიშვნელოვანია, მათ მიავლენენ ან ისინი ხდებიან ფასიანი ადგილობრივი კონსულტანტები. დამგეგმავი ჯგუფი ხელმძღვანელობს პოლიტიკის ტექსტის შემმუშავებელ ჯგუფს.

ამოცანები:

- ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკის ან პოლიტიკის ჩარჩოს მომდევნო მონახაზების და ვერსიების პროექტების მომზადება;
- პოლიტიკის შემუშავების პროცესის დოკუმენტირება;
- პოლიტიკასთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაციის დოკუმენტური აღრიცხვის და განხილვის უზრუნველყოფა;
- სიტუაციური ანალიზის მომზადება: საჭიროების შეფასება, რესურსების მიმოხილვა და პოლიტიკის განხილვა კომიტეტებში;
- სიტუაციური ანალიზის სინთეზი და დოკუმენტების მომზადება საკონსულტაციო სამუშაო შეხვედრებისთვის;
- პოლიტიკის ყველა პროექტის მომზადება დამგეგმავ ჯგუფთან და მის შესაბამის კომიტეტებთან თანამშრომლობით;
- პოლიტიკის მაჩვენებლების, მატრიცების და ბიუჯეტის ჩამონათვალის პროექტის მომზადება შესაბამის კომიტეტებთან თანამშრომლობით;
- ვერსიების განსახილველად წარდგენა დაგეგმვის ჯგუფის, კოორდინატორის, პოლიტიკის განმხილველი ეროვნული კომიტეტის და სხვების მიერ და მათი გადამუშავება მიღწეული კონსენსუსის შესაბამისად.

5. პოლიტიკის განმხილველი ეროვნული კომიტეტი (არჩევითი)

შემადგენლობა:

პოლიტიკის განმხილველი ეროვნული კომიტეტი წარმოადგენს „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ დამგეგმავი ჯგუფის გაფართოებულ ვერსიას. ის მოიცავს დამგეგმავ ჯგუფს და „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ სხვა დაინტერესებულ

მხარეებს ტექნიკური სპეციალისტების და მთავრობის ხელმძღვანელების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მათ შორის, რელიგიური ორგანიზაციების, არასამთავრობოების, FBO-ს, პროფესიული ასოციაციების, უნივერსიტეტების, ინსტიტუტების და კერძო სექტორის დაწესებულებების ჩათვლით, ყველა დონეზე. ის, ჩვეულებრივ, მოიცავს საზოგადოებას და რეგიონულ პროგრამებს, რომლებიც ემსახურებიან ბავშვებს, ოჯახებს და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს. დაინტერესებულ დონორებს ხშირად იწვევენ შეხვედრებზე. სახელმწიფო კოორდინატორი, რომელსაც დაეხმარა დაგეგმვის კომიტეტი, ზედამხედველობას უწევს პოლიტიკის განმხილველ ეროვნულ კომიტეტს.

ამოცანები:

- განხილვითი კვლევები ბავშვის სტატუსის შესახებ: საჭიროებების შეფასება, რესურსების შეფასება და პოლიტიკის ანალიზი;
- „ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკის“ ყველა პროექტის განხილვა და მათ გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების მომზადება;
- კომენტარი დაგეგმვის პროცესზე და რეკომენდებული საკითხები პოლიტიკაში შესატანად;
- კონსენსუსის მიღწევა: ხედვა, მიზნები, ამოცანები, სტრატეგიები, პროგრამული სფეროები, ინდიკატორები და ა.შ.;
- დახმარების გაწევა „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ ეროვნული ფორუმის ორგანიზებისა და მოწვევისთვის.
- ადვოკატირების ღონისძიებების პოლიტიკის განხორციელება სხვებთან ერთად, ვინც არ არიან კომიტეტის წევრები.

6. „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ ეროვნული ფორუმი

შედგენილობა:

ფორუმი მოიცავს დაინტერესებულ მხარეებს მთავრობიდან, სამოქალაქო საზოგადოებიდან და კერძო სექტორიდან ყველა დონეზე, დასახლებული პუნქტიდან, რაიონიდან და რეგიონიდან. „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ სახელმწიფო საბჭო სახელმწიფო კოორდინატორის და დამგეგმავი ჯგუფის დახმარებით იწვევს ფორუმს. მას ჩვეულებრივ 150-დან 500+ წევრამდე ჰყავს. „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ ეროვნული ფორუმის მოწვევა შესაძლებელია პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის ადრეულ ეტაპზე კონსულტაციის მიზნით და ბოლო ეტაპზე დასკვნითი განხილვისთვის და „ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკის“ ან პოლიტიკის ჩარჩოს დამტკიცებისთვის ან მისი მიღების ოფიციალური აღნიშვნისთვის. ფორუმს ჩვეულებრივ ხელმძღვანელობს „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე და მომზადებულია კოორდინატორის მიერ დამგეგმავი ჯგუფის დახმარებით.

ამოცანები:

- იდეების მიწოდება „ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული პოლიტიკის“ ან პოლიტიკის ჩარჩოს მოსამზადებლად;
- სახელმწიფო დონეზე კონსულტაციებში მონაწილეობა და ინფორმაციის მიწოდება პოლიტიკის შესამუშავებლად;
- ფორუმის განმავლობაში და საზოგადოების მასშტაბით, კონსენსუსის მიღწევაში დახმარება;

- პოლიტიკის საბოლოო ვერსიის განხილვა და დასკვნითი რეკომენდაციების მიწოდება (არჩევითი);
- პოლიტიკის საბოლოო ტექსტის დამტკიცება ფორუმის სახელით და მისი მიღების რეკომენდება;
- პოლიტიკის მიღების საზეიმო აღნიშვნა და პოლიტიკის ფართომასშტაბიან ადვოკატირებაში მონაწილეობის მიღება;
- დახმარება რესურსების მოზიდვაში პოლიტიკის და „ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის“ წლიური სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად.

დანართი VI

სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის ნიმუში

სამოქმედო გეგმა მაქსიმალურად მარტივი უნდა იყოს. მას ოთხი ძირითადი განზომილება აქვს: დრო/ვადები, ღონისძიებები, პასუხისმგებლობები და დაკვირვებები. შესაძლებელია სხვა ასპექტების დამატებაც. ზოგს ურჩევნია „პროგრამის შეფასების და განხილვის ტექნიკის“ (PERT) გრაფიკის დამატება. ამის მიუხედავად, სირთულის ხარისხის მომატების შემთხვევაში, სამოქმედო გეგმა შეიძლება თვითმიზნად იქცეს. რთულმა ფორმატმა შეიძლება უთანხმოებები გამოიწვიოს და პროცესი შეანელოს.

ქვემოთ მოცემულია სამოქმედო გეგმის ნიმუში, რომლის გამოყენებაც იოლია. სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა საჭიროა თითოეული ეტაპის შემდეგ, ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხშირადაც. როგორც წესი, თითოეული ეტაპის დასრულების შემდეგ, ახალი გარემოებების გათვალისწინებით, გეგმას ახალი დეტალები ემატება.

თარიღი	**ღონისძიებები**	**პასუხისმგებელი ორგანიზაცია ან ჯგუფი**	**დაკვირვებები**
XX/YY/ZZ – XX/YY/ZZ	ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ლიდერის განსაზღვრა	ბავშვთა საკითხების ეროვნული საბჭო	პრემიერმინისტრი ძალიან უჭერს მხარს ადრეულ ასაკში განვითარების ხელშეწყობას.
XX/YY/ZZ – XX/YY/ZZ	პოლიტიკის კოორდინატორის შერჩევა	ბავშვთა საკითხების სამინისტრო	ბავშვთა საკითხების სამინისტროს ოფიციალური მანდატი აქვს
XX/YY/ZZ – XX/YY/ZZ	სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის და წევრების არჩევა	ბავშვთა საკითხების ეროვნული საბჭო, ბავშვთა საკითხების სამინისტრო, განათლების, ჯანდაცვის, სანიტარიის და სოციალური დაცვის სამინისტროები, ნუტრიციის ინსტიტუტი, არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელი, უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანიზაციების ასოციაცია, მშობელთა ასოციაცია და ა.შ.	კანდიდატების დასახელება და განხილვა, შერჩეული კანდიდატების მოწვევა შეხვედრაზე, და ა.შ.
XX/YY/ZZ – XX/YY/ZZ	მოსამზადებელი სამუშაოების დამგეგმავი ჯგუფის შეხვედრის ჩატარება	ბავშვთა საკითხების სამინისტრო და დანიშნული თავმჯდომარე	შეხვედრის ჩატარება XX/YY/ZZ

დანართი VII

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების ტიპიური ბიუჯეტი

ადრეულ ასაკში განვითარების ხელშეწყობის საბჭო

კვარტალური შეხვედრები

შეხვედრებთან დაკავშირებული ხარჯები ჩვეულებრივ ხელმძღვანელი სამინისტროს არაფულადი წვლილია.

სამუშაო ჯგუფი

თავდაპირველად შეხვედრები იმართება კვირაში ერთხელ, შემდეგ ორ კვირაში ერთხელ.

შეხვედრების ადგილს და სხვა ხარჯებს, ჩვეულებრივ, ხელმძღვანელი სამინისტრო და/ან დონორები უზრუნველყოფენ.

წევრები, როგორც წესი, არიან მოხალისეები ან სხვადასხვა სააგენტოების მიერ დანიშნული პირები, რომლებიც ამ საქმეს სამუშაო დროის ნაწილს უთმობენ.

სამგზავრო ხარჯები - თუ შეხვედრებზე დასასწრებად ზოგიერთ წევრს (მაგალითად, რეგიონების წარმომადგენლებს) მგზავრობა სჭირდებათ.

მასალები, ასლების გადაღება, კომუნიკაციები (ინტერნეტი, ტელეფონი, ფაქსი, ფოსტა) და მოწყობილობა.

განმხილველი კომიტეტი

პერიოდული შეხვედრები, განხილვის საჭიროების შესაბამისად.

შეხვედრების ადგილს, კომუნიკაციის საშუალებებს, ასლების გადაღებას და მასალებს, ჩვეულებრივ, ხელმძღვანელი სამინისტრო უზრუნველყოფს.

კონსულტანტები

მგზავრობის ხარჯები, დღიური სამივლინებო ხარჯები და ჰონორარი

კონსულტანტების ანაზღაურებას და ხარჯებს ხშირად ის დონორები ფარავენ, რომლებიც ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავებას უწყობენ ხელს.

გარე კონსულტანტი

პოლიტიკის ტექსტის წამყვანი ავტორი

სხვადასხვა სპეციალობების კონსულტანტები

მასალები, ასლების გადაღება, საკომუნიკაციო საშუალებები, მოწყობილობა.

ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული ფორუმი

ერთდღიანი შეხვედრების რაოდენობა და მათი საპროგნოზო ხარჯები

ხარჯებს ფარავს სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ზოგიერთ დონორთან თანამშრომლობით.

მგზავრობის ხარჯები, დღიური სამივლინებო ხარჯები.

მასალები, ასლების გადაღება, საკომუნიკაციო საშუალებები, მოწყობილობა.

კონსულტაციები თემების, რეგიონების/პროვინციების და ცენტრალურ დონეზე და კონსენსუსის მისაღწევად გამიზნული სესიები

ადგილობრივი, სარაიონო და რეგიონალური წარმომადგენლების მცირე ჰონორარები, ერთი დღის ხელფასის ოდენობით.

კონსულტაციების დაფინანსება ყველაზე რთული აღმოჩნდა. აუცილებელია შეხვედრების ჩატარება დონორებთან, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საელჩოებთან და სხვა მხარეებთან, რომლებიც ადრეულ ასაკში განვითარების საკითხებით არიან დაინტერესებულნი. შეხვედრაზე დასასწრებად მგზავრობის ხარჯები - საჭიროებისამებრ, დღიური სამივლინებო ხარჯები - ღამით გაჩერების საჭიროების შემთხვევაში.

კვება: შესვენება სადილზე/ყავაზე; საღამოს წვეულება.

მასალები, ასლების გადაღება, საკომუნიკაციო საშუალებები, მოწყობილობა.

დანართი VIII

ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის ზოგადი ფორმა

ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტისთვის, ქვეყნის ადმინისტრაციული ტრადიციების, საჭიროებების და დაგეგმვის პრიორიტეტების შესაბამისად, ბევრი სხვადასხვა ფორმის შერჩევა შეიძლება. ქვემოთ შემოთავაზებულია პოლიტიკის დოკუმენტის ფორმის შესარჩევად სასარგებლო რჩევები და პოლიტიკაში შესატანი ელემენტების უმეტესობა.

სატიტულო გვერდი

სარჩევი

მადლობის გამოხატვა, აკრონიმები და წინასიტყვაობა

რეზიუმე

შესავალი

- ადრეულ ასაკში განვითარების მიმართ კომპლექსურ მიდგომაში ინვესტირების დასაბუთება (ბავშვთა გადარჩენისა და განვითარების მრავალმხრივი ხედვა, როგორც კომპლექსური მიდგომის გამოყენების უპირველესი მიზანი);
- თითოეული ასაკობრივი ჯგუფის (პრენატალური; 0 – 36 თვის, 3 – 6 წლის და 6– 8 წლის) ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილების მნიშვნელობის ახსნა;
- ადრეულ ასაკში განვითარების დარგების მიმოხილვა: განათლება, ჯანდაცვა, კვება, სანიტარია, ორსული ქალების, ბავშვების და დედების უფლებები და სამართლებრივი დაცვა და თითოეული ასაკობრივი ჯგუფის საჭიროებების დაკმაყოფილების მნიშვნელობა;
- ადრეულ ასაკში განვითარების ამოცანების დაკავშირება ათასწლეულის გამოწვევის, სიღარიბის დაძლევის და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის მიზნებთან, აგრეთვე სხვა დარგობრივ სამოქმედო გეგმებთან და დაგეგმვის მიმდინარე პროცესებთან;
- ქვეყანაში მცირეწლოვანი ბავშვებისა და დედების ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავების მოკლე ისტორია და მომსახურების არსებული სტრუქტურების მოკლე მიმოხილვა.
- ქვეყანაში მოწყვლადი ბავშვების პრიორიტეტული ჯგუფების განსაზღვრა (მაგალითად, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები, ორსული მოზარდები, ქმართან გაშორებული ან მარტოხელა დედები, წონანაკლული ბავშვები; ფიზიკურ, ენობრივ, შემეცნებით და სოციალურ-ემოციურ განვითარებაში ჩამორჩენილი ბავშვები; ძალადობრივ შრომით საქმიანობაში ჩართული მცირეწლოვანი ბავშვები; მათხოვარი და ქუჩაში მცხოვრები ბავშვები; კონფლიქტის ზონებში და იძულებით გადაადგილებულთა/ლტოლვილთა ბანაკებში მცხოვრები ბავშვები; აივ/შიდსით ინფიცირებული და აივ/შიდსის გამო დაობლებული ბავშვები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები; ფიზიკური და ემოციური ძალადობის მსხვერპლი ბავშვები; დასახიჩრებული ან სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი ბავშვები; სოფლის მომთაბარე ან უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების ბავშვები და ა.შ.).
- ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში სხვადასხვა მხარეების მონაწილეობის პროცესის მოკლე აღწერა: ანალიზი, კონსულტაციები, კონსენსუსი, შეთანხმება, დამტკიცება და მიღება.

ადრეულ ასაკში განვითარების სიტუაციის ანალიზი

- ბავშვებისა და ოჯახების მდგომარეობა
    - სტატისტიკური კვლევა და ანალიზი ორსული მოზარდების, ქალების და 8 წლამდე ასაკის (0-3, 3-6 და 6-8 წლის) ბავშვების შესახებ;
    - ბავშვებისა და ოჯახების სტატისტიკური კვლევა და ანალიზი ძირითადი კულტურული და/ან გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით, ასაკობრივი ჯგუფების, სქესის და სოფლის/ქალაქის მოსახლეობის მიხედვით;
    - მოწყვლადი ბავშვებისა და მათი ოჯახების მდგომარეობის სპეციალური სტატისტიკური კვლევა და ანალიზი მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სპეციალური სტრატეგიების შემუშავების მიზნით;
    - სტატისტიკის ნაკლოვანებებისა და შეუსაბამობების და შემდგომი კვლევების საჭიროებების ჩამონათვალი.

- ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის ამჟამად არსებული მომსახურებების და რესურსების ანალიზი (მათ შორის ასაკობრივი ჯგუფების, დარგების, გეოგრაფიული მდებარეობის, დემოგრაფიული მონაცემების, ბიუჯეტების და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით).
    - სახელმწიფო მომსახურება და რესურსები ადრეულ ასაკში განვითარების ყველა სფეროში (განათლების, ჯანდაცვის, კვების, სანიტარიის და დაცვის სფეროში) რაიონების/თემების, რეგიონების/პროვინციების და მთელი ქვეყნის მასშტაბით.
    - საზოგადოებრივი მომსახურებები და რესურსები რაიონების/თემების, რეგიონების/პროვინციების და მთელი ქვეყნის მასშტაბით, სამინისტროების მიხედვით;
    - კერძო სექტორის მომსახურებები რაიონების/თემების, რეგიონების/პროვინციების და მთელი ქვეყნის მასშტაბით, სამინისტროების მიხედვით;
    - ადრეულ ასაკში განვითარების ქსელები;
    - ოფიციალურად დაფუძნებული ან არაოფიციალურად ჩამოყალიბებული საკოორდინაციო სტრუქტურები ან სისტემები, მათი მიღწევები, გამოწვევები და სამომავლო შესაძლებლობები;
    - მომსახურებაში არსებული ნაკლოვანებები;
    - არსებული მომსახურებების ტიპები, რომლებიც უფრო დიდ გეოგრაფიულ არეალზე უნდა განივრცოს;
    - არსებული მომსახურებების ტიპები, რომელთა ხარისხიც უნდა გაუმჯობესდეს;
    - მომსახურებები, რომლებშიც დამატებითი კომპონენტების შეტანაა საჭირო, რათა უფრო კომპლექსური გახდეს ან გაუმჯობესდეს;
    - კომპლექსურობის მისაღწევად საჭირო დამაკავშირებელი მომსახურებები, განსაკუთრებით რაიონებსა და თემებში;
    - დამატებითი რესურსების პრიორიტეტული საჭიროებები (ზოგადად — დეტალები აღიწერება ინვესტიციებისადმი მიძღვნილ ნაწილში).
    - დამატებითი კოორდინაციის, ლიდერობის და თანამშრომლობის სისტემების საჭიროება.

- პოლიტიკის, გეგმების, მარეგულირებელი წესების და კანონების მიმოხილვა

- დარგობრივი პოლიტიკა, გეგმები და მარეგულირებელი წესები.
  - განათლება (მშობლების განათლება, ბავშვებზე ზრუნვა და სკოლამდელი განათლება, დაწყებითი განათლება, უფროსების კომპლექსური წიგნიერება, დამწყები და მომუშავე სპეციალისტების განათლება ყველა დონეზე).
  - ჯანდაცვა (მშობლების, მშობიარობის, პირველადი და სპეციალური ჯანდაცვის მომსახურეებები, აივ/შიდსთან დაკავშირებული მომსახურებები და ა.შ.).
  - კვება (ნუტრიციული შეფასებები, საკვები დანამატები, ჩვილთა განვითარების
    სტიმულირება, თრექინგი).
  - სანიტარია (წყალი, ნარჩენები, გარემოს დაცვა).
  - სამართლებრივი დაცვა, ბავშვებისა და დედების უფლებები.
  - მცირეწლოვანი ბავშვებისა და მათი ოჯახების ხელშეწყობის სხვა პოლიტიკა: ქალებისთვის, სოციალური აქტივობისთვის, თემის ერთიანობისთვის და ურბანული და სოფლის განვითარებისთვის.
- მრავალდარგობრივი პოლიტიკა და გეგმები.
  - კავშირი ადრეულ ასაკში განვითარების, სიღარიბის შემცირების და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის სტრატეგიებს შორის;
  - მილენიუმის განვითარების გეგმები;
  - რეგიონული პოლიტიკა ან გეგმები და სხვა;
    - არსებულ პოლიტიკაში, გეგმებში, კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებები.
    - სფეროები, სადაც ადგილი აქვს ზედმეტ დუბლირებას;
    - სხვადასხვა პოლიტიკებს, გეგმებს, რეგულაციებს და კანონებს შორის არსებული წინააღმდეგობები და შეუსაბამობები;
    - სხვადასხვა პოლიტიკებისა და გეგმების ჰარმონიზაციის საჭიროება.

ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ხედვა

- ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ხედვის ფორმულირება და მისი მოკლე დასაბუთება.

სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანები და მიზნები

- აქ მოცემული უნდა იყოს პოლიტიკით გათვალისწინებული მიზნების ჩამონათვალი და თითოეული მათგანის ქვეშ - შესაბამისი ამოცანები.
- არგუმენტაცია იმისა, თუ როგორ უკავშირდება თითოეული ამოცანა ადრეულ ასაკში განვითარების სიტუაციურ ანალიზს და მთელი ქვეყნის, თემების და რეგიონების/პროვინციების დონეებზე ჩატარებული კონსულტაციების შედეგებს.

პოლიტიკის სტრატეგიები

- ყველა სტრატეგიის ჩამოთვლა და მოკლე აღწერა:
  - ასაკობრივ ჯგუფებზე დაფუძნებული სტრატეგია საუკეთესოა კოორდინირებული და კომპლექსური მიდგომისთვის მაგალითად, პრენატალური/პერინატალური, 0-

დან 3 წლამდე, 3-დან 6 წლამდე დ 6-დან 8 წლამდე.

- თემატური სტრატეგიები კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფების მიზნობრივი დახმარების საშუალებას იძლევა, მაგალითად, აივ/შიდსით ინფიცირებული ბავშვები, ქუჩაში მცხოვრები ან სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი ბავშვები, რთულ გარემოებებში მყოფი გოგონები, და ა.შ.
- ინტერვენციის სტრატეგიები, მაგალითად, დამწყები და მომსახურე სპეციალისტების ტრენინგის სტრატეგია, მშობლების განათლებისა და მხარდაჭერის სტრატეგია, კვლევისა და შეფასების სტრატეგია და ა.შ.
- როდესაც კონსულტაციების შედეგებს ვეყრდნობით, პრიორიტეტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი დარგის სტრატეგიის გაძლიერება და იმავდროულად დარგთაშორისი კოორდინაციის შექმნა. პოტენციურად, დარგობრივმა მიდგომამ შეიძლება დარგთაშორისი თანამშრომლობა, კოორდინაცია და ინტეგრაცია შეაფერხოს, თუ არ გვექნება ძლიერი დარგთაშორისი შეთანხმებები.

პროგრამის სფეროები

- პოლიტიკით განსაზღვრული თითოეული მიზნისათვის ძირითადი პროგრამული მიდგომის, ამოცანების და სტრატეგიების აღწერა. მათი დაჯგუფება სხვადასხვაგვარად შეიძლება. ზოგიერთი ამჯობინებს სტატუსის მიხედვით დალაგებას:
  - არსებული პროგრამები, რომლებიც უნდა გაფართოვდეს, რომ უფრო ფართო გეოგრაფიული არეალი ან მეტი მოსახლეობა მოიცვას;
  - არსებული პროგრამები, რომლებიც გაუმჯობესდება ან ახალი კომპონენტებით შეივსება;
  - ახალი დარგობრივი პროგრამები
  - ახალი კომპლექსური პროგრამები, და
  - პროგრამების კოორდინაციის და ინტეგრაციის ახალი სისტემები, განსაკუთრებით ადგილობრივ და

  რაიონულ დონეებზე, ეროვნული და რეგიონული მხარდაჭერით.
- მოკლედ აღწერეთ თითოეული პროგრამის სფერო, მათ შორის ამოცანები, ღონისძიებები, მომსახურების მიმღები მოსახლეობა (მაგალითად, ეთნიკური ჯგუფები, გენდერული აქცენტი, შემოსავლის დონეები, მაღალი რისკის ჯგუფები) და გეოგრაფიული არეალი.
- დეტალური ინფორმაცია არსებული მდგომარეობის შესახებ გამოსახული მატრიცების ფორმით - პოლიტიკის მიზნების, ამოცანების, სტრატეგიების და მათი პროგრამების სფეროებში. მაგალითისთვის იხილეთ: **დანართი IX: ალტერნატიული მატრიცები ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკისთვის.**

პოლიტიკის ინდიკატორები, განზომილებები და მიზნობრივი მაჩვენებლები

- ჩამოთვალეთ და მოკლედ აღწერეთ თითოეული სტრატეგია, პოლიტიკის ინდიკატორები, განზომილებები და მონიტორინგისა და შეფასებისთვის საჭირო დაგეგმილი ნიშნულები. პოლიტიკის ინდიკატორების, განზომილებების და ნიშნულების სრული აღწერა, გაცილებით მეტი ტექნიკური დეტალებით, მოგვიანებით ცალკე დოკუმენტში უნდა იყოს მოცემული.
- ამ ინფორმაციის მატრიცების სახით ჩამოყალიბების გზების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ.: **დანართი IX**.

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხორციელების დარგთაშორისი საორგანიზაციო სტრუქტურა

- შეადგინეთ გრაფიკი და წარმოადგინეთ **საორგანიზაციო სტრუქტურა,** რომელშიც ჩამოთვლილი იქნება: 1) ძირითადი წევრები (სამთავრობო უწყებები, სამოქალაქო ორგანიზაციები და კერძო სექტორი) და 2) ადრეულ ასაკში განვითარების ღონისძიებების კოორდინაციისთვის საჭირო ქვემოთ ჩამოთვლილი და სხვა სტრუქტურების ზუსტი როლები და პასუხისმგებლობები: ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული საკოორდინაციო საბჭო (ან მისი ეკვივალენტი); ადრეულ ასაკში განვითარების რეგიონული საკოორდინაციო ჯგუფები/საბჭოები/კომიტეტები და ადრეულ ასაკში განვითარების რაიონული ან თემის კომიტეტები.
- შეადგინეთ გრაფიკი და წარმოადგინეთ **ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განმახორციელებელი და შემფასებელი ჯგუფი** (სამდივნო) - მითითებული უნდა იყოს მდებარეობა, როლები და პასუხისმგებლობებიც, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ:
  - ❑ ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს ფუნქციების შესრულება და მთავარი საკონტაქტო ორგანოს როლის შესრულება რეგიონული, რაიონული, და თემების საბჭოებისა და კომიტეტებისთვის;
  - ❑ ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხილვის ხელმძღვანელობა;
  - ❑ პოლიტიკის და წლიური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა სამუშაოს კოორდინაცია;
  - ❑ შეფასებისა და მონიტორინგის ხელმძღვანელობა; ეროვნულ კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და
  - ❑ კომისიის მიერ კონკრეტული კვლევების ჩატარება დაგეგმვის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ცოდნის მისაღებად.

ადრეულ ასაკში განვითარების ტრენინგის პროგრამები

- აღწერეთ კოორდინირებული ტრენინგის პროგრამები ისეთ სფეროებში, როგორიცაა ცოდნის გავრცელება მშობლებში; თემების მომსახურების პროვაიდერების ტრენინგი, რომლებსაც ადგილობრივ დონეზე კოორდინაციის და ინტეგრაციის გაუმჯობესება შეუძლიათ; სპეციფიკური დარგობრივი ტრენინგები სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებლებისთვის და ჯანდაცვის მუშაკებისთვის, რომლებიც ბავშვებს სახლში მოემსახურებიან; უფლებების დაცვის სპეციალისტების ტრენინგები და ადრეულ ასაკში განვითარების სხვა სპეციალისტების ტრენინგები. თითოეული ტრენინგის კურსისთვის შესაძლებელია სხვა დარგებიდან აღებული კომპონენტების დამატებაც.
- მიუთითეთ ყველა სასწავლებელი, სადაც ტრენინგი უტარდებათ დამწყებ პირებს (სამსახურის დაწყებამდე) და პროვაიდერები წინასწარ მოემზადებიან; აღწერეთ თანამშრომლობა ტრენინგის სფეროში და პროგრამის კომპლექსურობის ხელშეწყობისთვის გამიზნული ტრენინგების აქტივობები.
- მომსახურე სპეციალისტების ტრენინგი, როგორც წესი, უფრო მნიშვნელოვანი და ხანგრძლივია. აღწერეთ ტრენერების ტრენინგის სისტემა, ზედამხედველთა როლები, კავშირები დამწყებთა ტრენინგ ცენტრებთან, დაფარვის სპექტრი, გავრცელების სისტემა, მათ შორის რეგულარული სემინარები, უწყვეტი დეცენტრალიზებული მომსახურებები და ადგილობრივი ტრადიციებისთვის მისაღები, მოქნილი მეთოდები.
- აღწერეთ მომსახურე სპეციალისტების ტრენინგის სისტემა, რომელიც თითოეულ თემს მოიცავს და კომბინირებულია ხელშემწყობ ზედამხედველობასთან, რაც ხარჯებს შეამცირებს და პუბლიკაციას გამორიცხავს.
- განიხილეთ ტრენინგის მიზნების მისაღწევად შემუშავებული ქცევითი ტრენინგის მეთოდები (კომპეტენციების მიხედვით);
- განიხილეთ ამ თავში ინფორმაციის შეტანის შესაძლებლობა „ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული რესურსცენტრების“ ან „ადრეულ ასაკში განვითარების სასწავლო გეგმების და

მასალების შემმუშავებელი ცენტრების“ შესახებ, ტრენინგის სისტემებთან კავშირის უზრუნველსაყოფად.

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მონიტორინგი, შეფასება, კოორდინაცია, ზედამხედველობა და წლიური სამოქმედო გეგმის გადასინჯვა

- აღწერეთ მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი საორგანიზაციო სტრუქტურა (როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს შეიძლება იყოს ადრეულ ასაკში განვითარების საკოორდინაციო ჯგუფი);
- მოკლედ აღწერეთ, თუ რა სახის მექანიზმები გამოიყენება შეფასებების, კვლევების და მონაცემთა შეგროვების მიზნით;
- აღწერეთ ანგარიშგების მეთოდები და უწყვეტი უკუკავშირი, რომელიც თემებთან, რაიონებსა და რეგიონებთან მიიღწევა რეგულარული მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების გზით.

პოლიტიკის კვლევის გეგმა

- ადრეულ ასაკში განვითარების სიტუაციური ანალიზის, საკონსულტაციო სამუშაო შეხვედრების და კონსენსუსის მისაღწევად ორგანიზებული შეხვედრების შედეგად გამოვლენილი პრიორიტეტული საკითხების სია.
- მოკლედ აღწერეთ კვლევის განხორციელების გზები და ვადები.

პოლიტიკის ადვოკატირების და საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმა

- წარმოადგინეთ ადვოკატირების გეგმა, რომელიც საზოგადოების და გადაწყვეტილების მიმღები პირების მხრიდან ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების უწყვეტი მხარდაჭერის მოპოვებას ემსახურება.
- ყურადღება გაამახვილეთ „სოციალური კომუნიკაციის გეგმაზე“, რომლის მიზანია მოქალაქეებისათვის ძირითადი გზავნილების მიწოდება პოლიტიკის მიზნებისა და პროგრამის ამოცანების შესახებ.
- შეადგინეთ მონაწილე დაწესებულებების სია, საზოგადოებასთან ურთიერთობის ორგანიზაციების, კერძო სექტორის ჯგუფების, მედიაორგანიზაციების და ადრეულ ასაკში განვითარების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩათვლით.

საინვესტიციო გეგმა

- წარმოადგინეთ ზოგადი ინფორმაცია პოლიტიკით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად საჭირო რესურსების შესახებ.
- წარმოადგინეთ ინფორმაცია ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული ფონდის ჩამოყალიბების შესახებ (მისი დაარსების შემთხვევაში).
- მე-9 დანართში იხილეთ მატრიცების მაგალითები, რომლებიც შეიძლება შემდეგ ნაწილში გამოგადგეთ (**დანართი IX: „ალტერნატიული მატრიცები ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკისთვის“:**
    - ■ ადამიანური რესურსები (არსებული და საჭირო კადრები);
    - ■ ზოგადი საბიუჯეტო საჭიროებები (გამოსახული ათას აშშ დოლარით ან ადგილობრივი ვალუტით), და
    - ■ არსებული ან პოტენციური ფინანსური რესურსები - გამოყოფილი მთავრობის (ყველა დონის მთავრობის) მიერ, სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ, თემების თანადაფინანსება და საერთაშორისო დონორების სახსრები.

დონორებთან და პარტნიორებთან კოორდინაციის გეგმა

- წარმოადგინეთ ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში დონორების კოორდინაციის გეგმის მონახაზი;
- მოკლედ აღწერეთ ხელმძღვანელობისა და შეხვედრების მექანიზმები;
- აღწერეთ პარტნიორული მიდგომა, და თუ შესაძლებელია, „საპარტნიორო ფონდი“.

დასკვნა

- კიდევ ერთხელ დაადასტურეთ ხედვა, მიზნები, ამოცანები, სტრატეგიები და მისაღწევი შედეგები;
- გააკეთეთ განცხადება ადრეულ ასაკში განვითარების წლიურ სამოქმედო გეგმებზე მუშაობის დაწყების შესახებ;
- მოკლედ აღწერეთ დამტკიცების და მიღების პროცესი და მიუთითეთ, თუ სად და როდის უნდა მიიღებოდეს პოლიტიკა (შეავსეთ ბოლოში).
- გააკეთეთ ბოლო კომენტარები.

დანართები

1. იმ პიროვნებების და ჯგუფების სია, რომლებთანაც ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის მომზადების პროცესში კონსულტაციები უნდა გაიმართოს მთელი ქვეყნის, რეგიონების/პროვინციების, რაიონების/თემების დონეზე.
2. სიტუაციის ანალიზთან დაკავშირებული სიები და განცხადებები. აქ შეიძლება შევიტანოთ მთელი ქვეყნის ინფორმაცია, ან საჭიროების შემთხვევაში, რეგიონების/პროვინციების მიხედვით დაყოფილი ინფორმაცია.
   ა. ბავშვების მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკა;
   ბ. არსებული პროგრამების რესურსების სია;
   გ. პოლიტიკები, გეგმები, მარეგულირებელი წესები, კანონები და ა.შ.

3. პოლიტიკაში შესატანი გრაფიკები, როგორიცაა მაგალითად:
   ა. მიზნები, ამოცანები, სტრატეგიები და პროგრამების სფეროები;
   ბ. პროგრამის სხვადასხვა სფეროების ინდიკატორები, საზომი ერთეულები და მიზნობრივი მაჩვენებლები;
   გ. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ზოგადი საინვესტიციო გეგმა.

4. ადრეულ ასაკში განვითარების საორგანიზაციო სტრუქტურის როლებისა და პასუხისმგებლობების ჩამონათვალი და გრაფიკები (საჭიროების მიხედვით);
5. პირველი წლიური სამოქმედო გეგმა (თუ მზადაა).
6. ტრენინგების გეგმის, ადვოკატირების და საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმის, ადრეულ ასაკში განვითარების კვლევის გეგმის, მონიტორინგისა და შეფასების გეგმის, კოორდინაციის გეგმის და სხვა სფეროების ნახაზები და გრაფიკები (საჭიროების მიხედვით);
7. ბიბლიოგრაფია.

დანართი IX

ადრეულ ასაკში განვითარების ალტერნატიული მატრიცები

ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული მიზნების, ამოცანების, სტრატეგიების, პროგრამის სფეროების, ინდიკატორების, საზომი ერთეულების და მიზნობრივი მაჩვენებლების ცხრილის ნიმუში

ქვემოთ მოცემულია ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დანართის ნიმუში. ხშირად უმჯობესია მისი ორ გრაფიკად დაყოფა. პირველ ცხრილში მოცემული იქნება მიზნები, ამოცანები და სტრატეგიები. მეორეში - მხოლოდ სტრატეგიები, პროგრამის სფეროები, ინდიკატორები, საზომი ერთეულები და მიზნობრივი მაჩვენებლები. სურვილის შემთხვევაში ეს უკანასკნელი შეიძლება ეტაპების სახით გამოისახოს. ამ გრაფიკის/ცხრილის მომზადების შემდეგ სტრატეგიები შეიძლება ფინანსურ გრაფიკს/ცხრილს დავუკავშიროთ, რათა თვალნათლივ დავინახოთ სტრატეგიებისა და პროგრამის სფეროების ზემოქმედება ბიუჯეტზე.

მიზნები	ამოცანები	სტრატეგიები	პროგრამის სფეროები / პასუხისმგებლობა	ინდიკატორები	ზომები	ნიშნულები
ადრეულ ასაკში განვითარების ღონისძიებების კოორდინაცია						
პრენატალური/პერინატალური						
0-დან 3 წლამდე						
3-დან 6 წლამდე						
6-დან 8 წლამდე						
განსაკუთრებული ყურადღების კონცენტრირება მოწყვლად ბავშვებზე *(ჩამოთვალეთ ბავშვების ტიპების / სიტუაციების მიხედვით)*						
დამწყები და მომსახურე პირების ტრენინგის პროგრამა						
კვლევის გეგმა						
მონიტორინგისა და შეფასების გეგმა						
პოლიტიკის ადვოკატირება და საზოგადოებასთან ურთიერთობა						
დონორების კოორდინაცია						

ფინანსური ცხრილი

დაგეგმვის მიზნებისთვის აუცილებელია მომზადდეს და სინთეზურად იყოს წარმოდგენილი პერსონალის ხელფასებისა და სარგებლის, ტრენინგის, კონსულტანტების, ინფრასტრუქტურის, მოწყობილობის, მასალების და პროგრამის სხვა პერიოდული ხარჯების პროგნოზი. მათ მოსამზადებლად საჭირო იქნება პროგრამის თითოეული არეალისთვის მიზნობრივი მაჩვენებლების დადგენა, მოსახლეობის რაოდენობისა და გეოგრაფიული ტერიტორიის მითითებით. გაანგარიშებები და პროგნოზები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკე დანართის ან დოკუმენტის სახით, რომელშიც ასევე იქნება განმარტებული შეფასებების მეთოდები და გაკეთებული დაშვებები. ეს შეფასებები შემდგომში უნდა დაზუსტდეს პროექტის მსვლელობის პროცესში პროგრამის რეალური ხარჯების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების კვალდაკვალ.

სტრატეგიები	**პროგრამის არეალი**	**პერსონალი & შესაბამისი ხარჯები (სარგებელი, ტრენინგი და კონსულტანტები)**		**ინფრასტრუქტურა, აპარატურა და მასალები**		**სხვა რეგულარული ხარჯები**	**მთლიანი წლიური ბიუჯეტი**			**ბიუჯეტის არსებული და პოტენციური წყაროები**
	პასუხისმგებელი დარგი ან ინსტიტუტები	რაოდენობა, ტიპების მიხედვით	ბიუჯეტი $	ტიპები	ბიუჯეტი $	ბიუჯეტი $	სულ $	მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები	თემი	საერთაშორისო დონორები

დანართი X

კონსულტაციები თემის, რეგიონის და ეროვნულ დონეზე

ადრეულ ასაკში განვითარების საკონსულტაციო სამუშაო შეხვედრები თავისი ბუნებით კომპლექსურია, რადგანაც მათში ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობენ. ამის მიუხედავად, მათი მართვა შესაძლებელია მარტივი მიდგომის გამოყენებით. ფაქტობრივად, თითოეულ ასაკობრივ ჯგუფთან ან პოლიტიკის საკითხთან დაკავშირებული ყველა სფეროს გათვალისწინებით, სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს შეუძლიათ კონცენტრირება მოახდინონ ბავშვზე „მთლიანობაში“ ან „მთელ ოჯახზე“ თემის კონტექსტში. იმ მონაწილეებს, რომლებიც განსახილველი დარგის სპეციალისტები არ არიან, შეუძლიათ ეს ერთიანი მიდგომა ინტუიტიურად გაიგონ, ხოლო სპეციალისტები სოციალური პრობლემების დაძლევის და თითოეული ასაკობრივი ჯგუფის/განვითარების დონის ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილების გზებს დაინახავენ. ასეთი მიდგომის შედეგად ყველა მონაწილე პროგრამების კოორდინაციის და ინტეგრაციის შესახებ ფიქრს დაიწყებს, რადგანაც დიეტოლოგები იმ მშობლების გვერდით ისხდებიან, რომლებიც ჯანდაცვის სპეციალისტებთან, რელიგიურ ლიდერებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ისაუბრებენ. საკონსულტაციო სამუშაო შეხვედრებს სამუშაო ჯგუფმა და წამყვანმა სამინისტრომ უნდა უხელმძღვანელონ. საორგანიზაციო საკითხები დირექტორებთან, რეგიონის/პროვინციის ადმინისტრაციებთან და რაიონის/თემის ლიდერებთან თანამშრომლობით უნდა დაიგეგმოს.

1. საკონსულტაციო სამუშაო შეხვედრების ამოცანები

თითოეულ ზონაში საკონსულტაციო სამუშაო შეხვედრების ძირითად ამოცანებს შორის შეიძლება იყოს:

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკასთან დაკავშირებით:

- ორსული მოზარდების, ქალების, ბავშვების და მათი ოჯახების ძირითადი პრობლემების იდენტიფიკაცია ადრეულ ასაკში განვითარების სფეროებში, ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის (პრენატალური; 0-დან 3 წლამდე; 3-დან 6 წლამდე; და 6-დან 8 წლამდე), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების და შესაბამისი ურთიერთგადამკვეთი ღონისძიებების (მაგალითად ტრენინგის) გათვალისწინებით;
- ბავშვთა საკითხებზე გლობალური ხედვის შემუშავება;
- ზემოხსენებული ხედვის შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების იდენტიფიკაცია;
- ზემოხსენებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო საკვანძო სტრატეგიებისა და პროგრამის სფეროების სია;
- რეკომენდაციების მიღება შედეგების შესაფასებლად საჭირო ინდიკატორების შესახებ;
- ადრეულ ასაკში განვითარების ხელშემწყობი აქამდე უცნობი დამატებითი პროგრამების და რესურსების იდენტიფიკაცია.

დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებით:

- მთელი ქვეყნის მასშტაბით ინფორმაციის გავრცელება: 1) ადრეულ ასაკში განვითარების მიმართ კომპლექსური მიდგომის შესახებ; 2) რეგიონებში/თემებში

ბავშვებისა და ოჯახების მდგომარეობის შესახებ; 3) ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული პოლიტიკის შემუშავების პროცესის შესახებ.

- ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ან ჩარჩო-პოლიტიკის გრძელვადიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- პოლიტიკის შესახებ ზოგადი რეკომენდაციების მიღება თემებისგან ან მოსახლეობის იმ ჯგუფებისგან, რომლებსაც აზრს იშვიათად ეკითხებიან;
- კოორდინაციის, კოალიციების, პარტნიორობის და ქსელების მექანიზმების შექმნა მთელი ქვეყნის, რეგიონების, პროვინციების, რაიონების და თემების დონეზე;
- ადრეულ ასაკში განვითარების სამუშაოების ოფიციალური, არაოფიციალური და პოტენციური ლიდერების გამოვლენა და საწყისი პროგრამების იდენტიფიკაცია თითოეულ დონეზე და მათი ჩართვა ადრეულ ასაკში განვითარების ხელშეწყობის ეროვნულ მოძრაობაში.

2. გეოგრაფიული არეალი, კულტურული და ენობრივი კონტექსტები და კონსულტაციების რაოდენობა

თითოეულ ქვეყანაში კონსულტაციების საჭიროებები და რესურსები განსხვავებულია. შეზღუდული რესურსები გვაიძულებს, მივიღოთ რთული გადაწყვეტილებები. შემდეგი კონსულტაციების ჩატარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს:

- ერთი ან მეტი კონსულტაციის ჩატარება ქვეყნის მასშტაბით, ყველა მონაწილე მხარესთან კონსულტაციის უზრუნველსაყოფად;
- ერთი ან მეტი კონსულტაციის ჩატარება თითოეულ პროვინციაში, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, აუცილებელია ერთი ან მეტი კონსულტაციის ჩატარება თითოეულ დიდ ადმინისტრაციულ ერთეულში ან განსხვავებული კულტურული ტრადიციების/ენობრივი ჯგუფის რეგიონში. ბურკინა ფასოში დაიგეგმა ოთხი რეგიონული კონსულტაცია განსხვავებული ენობრივი ჯგუფების მოსახლეობის მიხედვით: მური, დიოულა, ფულფულდე და გულმანსემა.
- ერთი ან მეტი კონსულტაციის ჩატარება თემის დონეზე თითოეულ პროვინციაში ან რეგიონში.

ზოგიერთი ქვეყანა სხვებზე მეტი კონსულტაციის ჩატარებას შეძლებს, რადგან უაღრესად განვითარებული ინფრასტრუქტურა და რეგიონებში/თემებში სამუშაო შეხვედრების ჩატარების სისტემა აქვს. ზოგი ქვეყანა, რეგიონებში შეხვედრების ჩასატარებლად სათანადო ადგილებისა და სასტუმროების უქონლობის გამო, იძულებული იყო რეგიონის წარმომადგენლები ცენტრში მოეწვია. ამის მიუხედავად, ყოველთვის უმჯობესია, რომ კონსულტაციები დეცენტრალიზებულად წარიმართოს, იქ, სადაც მათი მონაწილეები ცხოვრობენ და მუშაობენ. ამით სამგზავრო ხარჯებიც იზოგება და მონაწილეებიც მეტ ძალაუფლებას გრძნობენ საკუთარ გარემოში. გარდა ამისა გრძნობენ მათ მიმართ პატივისცემასაც, რადგანაც მათი რეკომენდაციების და მხარდაჭერის მისაღებად სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლები მათ თავად ეწვივნენ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური და ენობრივი უმცირესობების შემთხვევაში, რომლებსაც ქვეყნის ხელმძღვანელები აზრს იშვიათად ეკითხებიან. სამუშაო შეხვედრები თითოეული რეგიონის ენაზე უნდა წარიმართოს, რომ ადამიანებს მონაწილეობის და თავისი წვლილის შეტანის საშუალება მიეცეთ.

3. საკონსულტაციო სამუშაო შეხვედრების მონაწილეები და მათი რაოდენობა

თუ მცირერიცხოვან ჯგუფებს შევადგენთ, შესაძლებელია მოვიწვიოთ **30-დან 75 მონაწილემდე**. ჩვეულებრივ, პროდუქტიული მუშაობისთვის ჯგუფი მაქსიმუმ 15 წევრისგან უნდა შედგებოდეს. ამიტომ 10-12 კაცისგან შემდგარი ჯგუფი ოპტიმალურია. ეს ნიშნავს, რომ 75 მონაწილე მაქსიმალური ზღვარია. საჭიროა გაიმართოს როგორც პლენარული, ასევე მცირე ჯგუფების შეხვედრები. შეხვედრებზე წარმოდგენილნი უნდა იყვნენ:

ცენტრალურ დონეზე

- ყველა შესაბამისი სამინისტრო და სამთავრობო უწყება;
- ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამჟამად მუშაობენ ან პოტენციურად იმუშავებენ ადრეულ ასაკში განვითარების სფეროში;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები: პროფესიული კავშირები, რელიგიური ჯგუფები, ქალთა ჯგუფები, კავშირები და ა.შ.
- კერძო სექტორი: სკოლამდელი დაწესებულებები, სკოლები, ბიზნესები, კორპორაციები, მედია, სავაჭრო პალატა და ა.შ.
- მშობლები და ახალგაზრდები (დედაქალაქიდან)

რეგიონის/პროვინციის დონეზე

- იგივე მონაწილეები, დამატებული ყველა სათანადო საკოორდინაციო ჯგუფისა და ქსელის წარმომადგენლები რაიონებიდან და პროვინციებიდან;
- გუბერნატორები, რეგიონების ადმინისტრაცია;
- ადრეულ ასაკში განვითარების პროგრამის პერსონალი, რომელიც ამ დონეზე მუშაობს;
- მშობლები და ახალგაზრდები (რეგიონული ცენტრიდან)
- სკოლების ადმინისტრატორები და მასწავლებლები (რეგიონული ცენტრიდან)

რაიონის/თემის დონეზე

- იგივე მონაწილეები, დამატებული ადრეულ ასაკში განვითარების სფეროს სამსახურების და ჯანდაცვის თანამშრომლები, სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებლები, მეანები, მშობლების მენტორები და ა.შ.;
- რაიონების/ თემების ლიდერები;
- მშობლები და ახალგაზრდები (თემიდან);
- სკოლების ადმინისტრატორები და მასწავლებლები (თემიდან);
- ადგილობრივი რელიგიური ლიდერები და თემის სხვა ოფიციალური და არაოფიციალური ხელმძღვანელები;
- ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციები.

4. კონსულტაციების ხანგრძლივობა

კონსულტაციები მინიმუმ მთელი დღის განმავლობაში უნდა მიმდინარეობდეს. უმჯობესია, თუ სამუშაო შეხვედრები შეძლებისდაგვარად ორი ან სამი დღე გაგრძელდება. ხშირად ტრადიციების დასაცავად აუცილებელი ხდება ოფიციალური გახსნის ან დახურვის ცერემონიის ჩატარება. ეს საჭიროა იმის გამოც, რომ ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავება პოლიტიკური პროცესია და ადგილობრივ, რეგიონულ და ქვეყნის ლიდერებს ადრეულ ასაკში განვითარების მიმართ მხარდაჭერის გამოხატვის საშუალება

უნდა მიეცეთ. ამან შეიძლება დიდი დრო წაიღოს პირველი დღის დასაწყისში და ბოლო დღის მეორე ნახევარში. ზოგიერთ ქვეყანაში სადილს და ყავა/ჩაის შესვენებებს საკმაოდ დიდი დრო მიაქვს. 2-3 დღიანი შეხვედრები მონაწილეებს არაოფიციალური დიალოგის და შეთანხმების საშუალებას აძლევს და მომავალი თანამშრომლობის საფუძველს ქმნის. ბევრ ქვეყანაში საქმე სწორედ ამგვარი არაოფიციალური დისკუსიების დროს კეთდება. სამუშაო შეხვედრები არა მხოლოდ დაგეგმვის, არამედ სწავლის საშუალებაცაა. უმჯობესია ადამიანებს გზავნილების კარგად გაცნობიერების დრო მივცეთ, რომ ისინი კარგად დაფიქრდნენ, თუ რას ნიშნავს ადრეულ ასაკში განვითარების მოძრაობა და რა გავლენა შეიძლება მან მოახდინოს ბავშვების ცხოვრებაზე.

5. ბიუჯეტი

კონსულტაციების ბიუჯეტი დასაწყისშივე უნდა შემუშავდეს და პროცესის მიმდინარეობის კვალდაკვალ შესწორდეს. კონსულტაციების ტიპური ბიუჯეტი შემდეგი პუნქტებისგან შედგება:

- კონსულტანტების ჰონორარი, მგზავრობის ხარჯები და დღიური ხარჯები (ადგილობრივი კონსულტანტების მონაწილეობის შემთხვევაში);
- კონსულტაციების ცენტრალური პერსონალის მგზავრობის ხარჯები და დღიური ხარჯები;
- მონაწილეთა მგზავრობის ხარჯები და დღიური ხარჯები;
- სალექციო პლაკატების („ფლიპჩარტების“) სადგამები (მინიმუმ 5) და ბევრი ქაღალდი, მარკერები, წებოვანი ლენტები ნაწერების დასაფარავად, ბლოკნოტები, ფანქრები, მარტივი საქაღალდეები მონაწილეებისთვის (არასავალდებულო) და სამუშაო შეხვედრებისთვის საჭირო სხვა მასალები;
- ასლების გადაღების ხარჯები;
- პროექტორი, „PowerPoint“ პრეზენტაციების პროექტორი და ვიდეომოწყობილობა, საჭიროებისამებრ (შესაძლებელია ვინმესგან ვითხოვოთ);
- ფოსტის, ტელეფონის, ფაქსების ხარჯები და „მეილების“ გასაგზავნად ინტერნეტის ხარჯები (შეიძლება მიღებული იყოს საჩუქრის სახით);
- საკვები ყავის/ჩაის შესვენებებისა და მიღებებისთვის (შეიძლება მიღებული იყოს საჩუქრის სახით);
- შეხვედრების დარბაზის დაქირავება (შეიძლება მიღებული იყოს საჩუქრის სახით).

6. სამუშაო გრაფიკი და სამუშაო შეხვედრების მეთოდოლოგია

თითოეულ ქვეყანას შეხვედრების ჩატარების თავისი ტრადიციები აქვს და ისინი უნდა დავიცვათ. ადამიანებს გარკვეული მოლოდინი აქვთ იმასთან დაკავშირებით, თუ რას გაიგონებენ, როგორ მოეპყრობიან, როგორი იქნება (ან არ იქნება) მათი მონაწილეობა და რა სახის დიალოგები გაიმართება. მცირერიცხოვანი ჯგუფების შეხვედრები ამგვარი ტრადიციის ნაწილი ყოველთვის არ არის, მაგრამ მონაწილეებს ესმით, რომ მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევათ და ყოველთვის იყენებენ ამ შესაძლებლობას. შეხვედრებზე მოსულ ადამიანებს აქვთ მოლოდინი და საკუთარი გეგმები - თავისი თემებისთვის ან პროგრამებისთვის გარკვეული შედეგები სჭირდებათ. მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო შეხვედრის ამოცანები თავიდანვე მკაფიოდ განიმარტოს, რომ ადამიანები აქტიური მონაწილეობისთვის მზად იყვნენ. ქვეყნებში მცირერიცხოვანი ჯგუფების შეხვედრების დროს მონაწილეები ერთდროულად არ ლაპარაკობენ. სხვა ქვეყნებში ყველა ერთდროულად

ლაპარაკობს. ისეთი ქვეყნებიც არის, სადაც შეხვედრების დროს მონაწილეები ბოლო ხმაზე ყვირიან. ზოგ ქვეყანაში მონაწილეები ძალიან სწრაფად ახერხებენ სრულ კონცენტრაციას მათ წინაშე მდგარ ამოცანასა და სამუშაოზე. სხვა ქვეყნებში იცდიან, ვიდრე ერთმანეთს კარგად არ გაიცნობენ, ჯგუფის რიტმსა და სულისკვეთებას შეიგრძნობენ და ერთმანეთთან საუბარს და ნაყოფიერ მუშაობას საკმაოდ დიდი ხნის გასვლის შემდეგ იწყებენ. მაგრამ პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, მონაწილეები აქტიურად ერთვებიან შეხვედრებში, თუ მათ თავიდანვე მკაფიოდ განუმარტავენ მონაწილეობის შესაძლებლობას და სამუშაო შეხვედრის მიზნებს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე საკითხი, რომელიც შეიძლება დღის წესრიგში ჩაიწეროს. პირველი ორი პრეზენტაცია შეხვედრის ტონს განსაზღვრავს. ეს პრეზენტაციები უნდა იყოს მოკლე (დროის მაქსიმალური გამოყენების მიზნით) და დაარწმუნოს მონაწილეები, რომ შეხვედრის ორგანიზატორებს მათი კომენტარების და რეკომენდაციების მოსმენა ნამდვილად სურთ.

საწყისი სესია (პლენარული)

მისასალმებელი სიტყვები

სამუშაო შეხვედრის შესავალი (პლენარული)

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის ან მსგავსი პირის მიერ გაკეთებული პრეზენტაცია (15 წუთიანი) შემდეგ საკითხებზე:

- ქვეყანაში ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავების მოკლე ისტორია;
- სამუშაო შეხვედრის ამოცანები;
- სამუშაო შეხვედრისთვის მომზადებული საქაღალდეების შემცველობა, კითხვარის შევსება (თუ უკვე ჩაბარებული არ არის);
- თითოეული მონაწილის აქტიურობის მნიშვნელობა;
- როგორ გამოიყენებენ მათ რეკომენდაციებს ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში;
- როგორ უნდა შექმნას, გააფართოოს და გააუმჯობესოს პოლიტიკამ ბავშვებისა და ოჯახებისთვის განკუთვნილი პროგრამები;
- კომპლექსური მიდგომა ადრეულ ასაკში განვითარების საკითხის მიმართ;
- როგორ ფოკუსირდება სამუშაო შეხვედრა ასაკობრივ ჯგუფებსა და ეტაპებზე;
- თითოეულ რაიონში ბავშვების, ორსული მოზარდების, და ქალების პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიკაციის მნიშვნელობა.

ადრეულ ასაკში განვითარების სიტუაციური ანალიზი (პლენარული)

- ტექნიკური სპეციალისტის პრეზენტაცია (სასურველია PowerPoint-ში): (15 წუთი)
- ქვეყნის და რეგიონების მასშტაბით ადრეულ ასაკში განვითარების სფეროს არსებული სტატისტიკის და მდგომარეობის ანალიზის პრეზენტაცია.
- ვთხოვოთ მონაწილეებს დაასახელონ სხვა პრობლემები და საჭიროებები.

მცირე ჯგუფების პირველი სესია: ბავშვების, ორსული მოზარდების და ქალების პრობლემები და საჭიროებები რეგიონებსა და თემებში (ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით): (1–2 საათი)

პლენარული სესიის მონაწილენი ხუთ ჯგუფად დაყავით - სთხოვეთ მონაწილეებს ხუთიდან ერთ-ერთ ჯგუფში ჩაეწერონ. სამუშაო შეხვედრის ფასილიტატორი უნდა შეეცადოს, რომ მონაწილეები ჯგუფებში დაახლოებით თანაბრად გადანაწილდნენ. მონაწილეები, თუ ჯგუფის შეცვლის სურვილს თავად არ გამოთქვამენ, მთელი

სამუშაო შეხვედრის განმავლობაში აღნიშნულ ჯგუფებში უნდა დარჩნენ. ეს ჯგუფებია: ა) პრენატალური/პერინატალური; ბ) 0-დან 3 წლამდე; გ) 3-დან 6 წლამდე, დ) 6-დან 8 წლამდე, და ე) განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვები (ჩამოთვალეთ ზოგიერთი ვარიანტები). თითოეულმა ჯგუფმა უპირველეს ყოვლისა თავისი ლიდერი და მომხსენებელი უნდა აირჩიოს. მომხსენებელი ჯგუფის მუშაობის შედეგებს პლენარულ შეხვედრაზე წარადგენს. ჯგუფის ფარგლებში დასაშვებია როლების მონაცვლეობით შესრულებაც, რათა ლიდერობის უნარის გამოყენების შესაძლებლობა რამდენიმე ადამიანს მიეცეს. სამუშაო ჯგუფის წევრები თითოეულ მცირე ჯგუფში უნდა ისხდნენ, შენიშვნები ჩაიწერონ, მაგრამ საუბარში არ ჩაერიონ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაწილეებს გააქტიურება და წახალისება სჭირდებათ. ჯგუფმა თავისი ასაკობრივი ჯგუფის ან განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების პრობლემებისა და საჭიროებების სია უნდა შეიმუშაოს. მომხსენებლის პრეზენტაცია ყველა მონაწილის მიერ შეტანილი წვლილის საფუძველზე უნდა მომზადდეს.

მცირე ჯგუფების პირველი სესიის ანგარიში (პლენარული სხდომა): (1 საათი)

თითოეულ ჯგუფს შედეგების პრეზენტაციის გაკეთება სთხოვეთ (თითო მომხსენებელს 5 წუთი მიეცით) და დიალოგი დაიწყეთ (ფასილიტატორი).

მცირე ჯგუფების მეორე სესია: ბავშვებზე ზრუნვასთან დაკავშირებული ხედვა.

გააცანით მონაწილეებს საკითხი და დაასახელეთ მაგალითები, სადაც ხედვა მოკლედ არის ჩამოყალიბებული (ფასილიტატორი).

დისკუსიები მცირე ჯგუფებში - სთხოვეთ ჯგუფებს შეიმუშაონ „ხედვის გამოხატვისთვის“ საჭირო საკითხების სია. სთხოვეთ მომხსენებელს, პრეზენტაციის მომზადებისას ყველა მონაწილის მიერ შეტანილი წვლილი გაითვალისწინოს.

მცირე ჯგუფების მეორე სესიის ანგარიში (პლენარული სხდომა) (1 საათი)

თითოეულ ჯგუფს შედეგების პრეზენტაციის გაკეთება სთხოვეთ (თითო მომხსენებელს 5 წუთი მიეცით) და დიალოგი დაიწყეთ (ფასილიტატორი).

მცირე ჯგუფების მესამე სესია: დასახული ხედვის მისაღწევად საჭირო მიზნებისა და ამოცანების ტიპები

გააცანით მონაწილეებს მიზნებისა და ამოცანების საკითხი, მაგრამ არ გააკეთოთ დასკვნები - დატოვეთ დისკუსიის საგნად (ფასილიტატორი).

ჩაატარეთ დისკუსიები მცირე ჯგუფებში ცენტრალურ, რეგიონულ და თემების დონეზე განსახორციელებელი მიზნებისა და ამოცანების სიის შესადგენად. სთხოვეთ მომხსენებელს, პრეზენტაციის მომზადებისას ყველა მონაწილის მიერ შეტანილი წვლილი გაითვალისწინოს.

მცირე ჯგუფების მესამე სესიის ანგარიში (პლენარული სხდომა): (1 საათი)

თითოეულ ჯგუფს შედეგების პრეზენტაციის გაკეთება სთხოვეთ (თითო მომხსენებელს 5 წუთი მიეცით) და დიალოგი დაიწყეთ (ფასილიტატორი).

მცირე ჯგუფების მეოთხე სესია: მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო სტრატეგიები და პროგრამები.

გააცანით მონაწილეებს სტრატეგიებისა და პროგრამების ტიპები, მაგრამ არ გააკეთოთ დასკვნები - დატოვეთ დისკუსიის საგნად (ფასილიტატორი). ჩაატარეთ დისკუსიები მცირე ჯგუფებში პოტენციური სტრატეგიებისა და პროგრამების სიის შესადგენად, არსებული პროგრამების ჩათვლით. სთხოვეთ მომხსენებელს, პრეზენტაციის მომზადებისას ყველა მონაწილის მიერ შეტანილი წვლილი გაითვალისწინოს.

მცირე ჯგუფების მეოთხე სესიის ანგარიში (პლენარული სხდომა): (1 საათი)

თითოეულ ჯგუფს შედეგების პრეზენტაციის გაკეთება სთხოვეთ (თითო მომხსენებელს 5 წუთი მიეცით) და დიალოგი დაიწყეთ (ფასილიტატორი).

მცირე ჯგუფების მეხუთე სესია: პროგრამის შედეგების შესაფასებლად საჭირო ინდიკატორები.

გააცანით მონაწილეებს ინდიკატორები და აუხსენით, თუ რას წარმოადგენს და როგორ გამოიყენება ისინი. ბევრს ჰგონია, თემების წარმომადგენლები ამ სამუშაოს თავს ვერ გაართმევენ, მაგრამ ისინი ცდებიან. ჩაატარეთ დისკუსიები მცირე ჯგუფებში პოტენციური ინდიკატორების სიის შესადგენად. სთხოვეთ მომხსენებელს, პრეზენტაციის მომზადებისას ყველა მონაწილის მიერ შეტანილი წვლილი გაითვალისწინოს.

მცირე ჯგუფის მეხუთე სესიის ანგარიში (პლენარული სხდომა): (1 საათი)

თითოეულ ჯგუფს შედეგების პრეზენტაციის გაკეთება სთხოვეთ (თითო მომხსენებელს 5 წუთი მიეცით) და დიალოგი დაიწყეთ (ფასილიტატორი).

სამუშაო შეხვედრის შედეგად მიღებული საბოლოო რეკომენდაციები (პლენარული)

სთხოვეთ მონაწილეებს, გააკეთონ დამატებითი კომენტარები და გამოთქვან სამუშაო შეხვედრის მსვლელობისას გაჩენილი მოსაზრებები.

დასკვნითი სესია: შემაჯამებელი მოხსენება ფასილიტატორის ან სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მიერ

- წარმოადგინეთ მცირე ჯგუფების და პლენარული სესიების შედეგების შემაჯამებელი პრეზენტაცია;
- მადლობა გადაუხადეთ ყველა მონაწილეს და აღნიშნეთ, რომ ზოგიერთი საკითხი, რომელიც შემაჯამებელ დოკუმენტში არ შევიდა, საგულდაგულოდ ჩაინიშნეთ და გათვალისწინებული იქნება ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში.
- გააკეთეთ განცხადება, რომ სამუშაო შეხვედრის ანგარიში ყველა მონაწილეს გადაეცემა;
- შეპირდით, რომ კომენტარების მისაღებად, პოლიტიკის პროექტი ყველა რეგიონში/თემში დაიგზავნება;
- ურჩიეთ მონაწილეებს, რომ თითოეულმა მათგანმა სამუშაო შეხვედრის თემატიკასთან დაკავშირებული დოკუმენტები ყველას გაუზიაროს, გააცნოს სხვებს ეს თემატიკა და ინფორმაცია ადრეულ ასაკში განვითარების მოძრაობის შესახებ და აღნიშნულ საკითხებზე შეხვედრები ჩაატაროს თავის კოლეგებთან, მეგობრებთან და თემის წევრებთან;

- სთხოვეთ მონაწილეებს, გამოუგზავნონ სამუშაო ჯგუფს დამატებითი წინადადებები.

სამუშაო შეხვედრის ოფიციალური დახურვა.

სამუშაო შეხვედრის შეფასება: (5 წუთი)

7. სამუშაო შეხვედრის მოსამზადებელი სამუშაოები

სამუშაო შეხვედრის მოსამზადებელ სამუშაოებში, ჩვეულებრივ, შედის შემდეგი ღონისძიებები:

- ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან კონტაქტი და სამუშაო შეხვედრის ჩატარების ადგილის და სასტუმროს მოძებნა;
- სამუშაო შეხვედრის ფასილიტატორის არჩევა, რომელიც მოსამზადებელ სამუშაოებში დაგეხმარებათ და შეხვედრებს წარუძღვება;
- სამუშაო შეხვედრის ტექნიკური დავალების პროექტის შემუშავება;
- სამუშაო შეხვედრისთვის მოსაწვევების დამზადება;
- სამუშაო შეხვედრის მოკლე აღწერა, სადაც აღნიშნული იქნება სამუშაო პროცესის გამჭვირვალება, თემებთან და რეგიონებთან კონსულტაციების მნიშვნელობა, სამუშაო შეხვედრის ამოცანები და მცირერიცხოვან ჯგუფებში მუშაობის პრინციპი;
- სამუშაო შეხვედრის ზოგადი დღის წესრიგის მომზადება;
- ქვეყანაში და თითოეულ რეგიონში ადრეულ ასაკში განვითარების მდგომარეობის ანალიზის პროექტის შემუშავება;
- მოკლე კითხვარის მომზადება ადრეულ ასაკში განვითარებისთვის საჭირო რესურსების და მომსახურებების შესახებ (ზოგადი მონახაზი იხილეთ ქვემოთ);
- მონაწილეთა სიის შედგენა და მათი საკონტაქტო ინფორმაციის მითითება;
- მონაწილეებისთვის მოსაწვევების გაგზავნა თხოვნით, იფიქრონ ბავშვების საჭიროებებზე; მოსაწვევთან ერთად იგზავნება: სამუშაო შეხვედრის აღწერილობა, დღის წესრიგი, სიტუაციის ანალიზი და ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის სქემა (შედგენილი „ტექსტზე მომუშავე ჯგუფის“ მიერ).
- დღის წესრიგზე მუშაობის დასრულება დარჩენილი მოსამზადებელი სამუშაოების დასაზუსტებლად;
- კონკრეტული პირების მოწვევა, რომლებიც გახსნიან და დახურავენ სამუშაო შეხვედრას (შესთავაზეთ, რომ დაუწერთ სიტყვას);
- სამუშაო შეხვედრის პრეზენტაციების მომზადება და მათი ასლების ამობეჭდვა მონაწილეებისთვის დასარიგებლად;
- მცირე ჯგუფებში მუშაობის წარმართვის ინსტრუქციების შემუშავება და ასლების ამობეჭდვა.
- დასწრების აღრიცხვის ფურცლის მომზადება საკონტაქტო თითოეული პირის ინფორმაციით - ელექტრონული ფოსტის მისამართით, რომელზეც კონსულტაციების ანგარიში გაიგზავნება;
- სამუშაო შეხვედრის შეფასების ფორმის პროექტის შემუშავება (არაუმეტეს ერთი გვერდისა);
- მონაწილეთა საქაღალდეებში ჩასადები დოკუმენტების შერჩევა;
- სამუშაო სალექციო პლაკატების, ბლოკნოტების, მარკერების და წებოვანი ლენტების საკმარისი რაოდენობის უზრუნველყოფა;
- სადილის, ყავა/ჩაის შესვენებების და შესაძლოა, საღამოს მიღების ორგანიზება.

8. მონაწილეებისთვის განკუთვნილი კითხვარი ადრეულ ასაკში განვითარების საკითხებზე

კითხვარი 2 გვერდს არ უნდა აღემატებოდეს. ის სამუშაო შეხვედრამდე უნდა შეივსოს და ამისათვის შეხვედრის წინ მონაწილეებს დრო უნდა მივცეთ. მათ, ვისაც წერა უჭირს, პასუხები ზეპირად უნდა უთხრან წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი საკითხი, რომელიც კითხვარში შეიძლება შევიტანოთ:

1. ბავშვებისა და ქალებისთვის განკუთვნილი პროგრამის, ცენტრის ან სხვა აქტივობის დასახელება;
2. პროგრამის ტიპების სია (პრენატალური განათლება და ზრუნვა; სამშობიარო მომსახურება; პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება; ჩვილთა განვითარების სტიმულირების სერვისი; მშობლების ინფორმირების მიზნით სახლში ვიზიტები ან ჯგუფური სესიები; ბავშვებზე ზრუნვის ცენტრი; სკოლამდელი განათლების ცენტრი; ნუტრიციული შეფასების და საკვები დანამატების უზრუნველყოფის სერვისები; სასკოლო პროცესებში მშობლების მონაწილეობის პროგრამები და ა.შ.);
3. მისამართი/ტელეფონი/ფაქსი;
4. დირექტორის სახელი;
5. მიწოდებული მომსახურება (დატოვეთ საკმარისი ადგილი სიისთვის);
6. მომსახურების მიმღები ბავშვების რაოდენობა (სქესის და ასაკის მითითებით), თუ შესაძლებელია;
7. მომსახურების მიმღები მშობლების რაოდენობა (დედები/მამები);
8. მომსახურე პერსონალის რაოდენობა, ტიპების მიხედვით (ექიმი, მედდა, დიეტოლოგი, მშობლების მენტორი, სკოლამდელი ასაკის ბავშვების მასწავლებელი, აივ/შიდსის სპეციალისტი და ა.შ.);
9. მომსახურების მიღების მომლოდინეთა სიაში მყოფი პირების რაოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
10. პროგრამის ძირითადი საჭიროებები, გაფართოების პოტენციალი, გასაუმჯობესებელი სფეროები;
11. პროგრამის სამომავლო გეგმები: გეოგრაფიული არეალის გაფართოება, მეტი მოსახლეობის მოცვა, მასწავლებლების ტრენინგის პროგრამები, ახალი მშენებლობა, სათამაშოების დროებით თხოვებისთვის ბიბლიოთეკის ტიპის სათამაშოების ფონდის დამატება („სათამაშოების ბიბლიოთეკა“), პერსონალი და ა.შ.
12. დამატებითი კომენტარები.

ეს ინფორმაცია დაგვეხმარება დავინახოთ, თუ რა გამოგვრჩა ადრეულ ასაკში განვითარების მდგომარეობის ანალიზში; ის აგრეთვე მოგვცემს საშუალებას დავაკავშიროთ პროგრამები, გამოვავლინოთ რესურსების/ტრენინგების საჭიროება და სხვა პროგრამებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები.

9. შემდგომი სამუშაოები:

სამუშაო შეხვედრის ანგარიში მისი დამთავრებისთანავე უნდა მომზადდეს. ანგარიშში შეიტანეთ თითოეული მცირერიცხოვანი ჯგუფის რეკომენდაციები. შეაგროვეთ სალექციო პლაკატების ფურცლები, რომ არაფერი გამოგრჩეთ. სამუშაო ჯგუფმა და ტექსტზე მომუშავე კომიტეტმა ანგარიში უნდა განიხილონ და საკონსულტაციო სამუშაო შეხვედრის შესახებ ინფორმირების მიზნით, თითოეულ მონაწილეს, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებას გაუგზავნონ (მერებს, რელიგიურ ლიდერებს, სათემო ორგანიზაციების

დირექტორებს, სკოლის ადმინისტრატორებს და სხვებს). საბოლოო ჯამში ასეთი გამჭვირვალება და კონსენსუსის ძიება დაფასდება და ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკისთვის მხარდაჭერის მოპოვებაში დაგვეხმარება. პოლიტიკის ტექსტის თითოეული მომდევნო პროექტი მონაწილეებს ან მონაწილეთა ჯგუფებს კომენტარებისთვის უნდა დაეგზავნოთ. ეს იქნება პატივისცემის გამოხატვა მათი აზრის მიმართ და ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ძლიერ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. პოლიტიკის ტექსტის ყოველი მომდევნო წაკითხვის შემდეგ ადამიანები სულ უფრო მეტად დარწმუნდებიან, რომ მათ ბავშვების ცხოვრების შეცვლა შეუძლიათ.

დანართი XI

: წარმატებული პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბების სახელმძღვანელო მითითებები

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განსახორციელებლად და მისი მიზნების მისაღწევად სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობის განვითარება, რაც პრიორიტეტული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას უწყობს ხელს, კარგი სტრატეგიაა.

პარტნიორობის კულტურული კონტექსტი როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე ძალიან მნიშვნელოვანია. გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, თითოეულ კონტექსტში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარების წარმატებულ მიდგომებს. მრავალეროვნულ ქვეყნებში, პარტნიორული მიდგომები სხვადასხვა ქვერეგიონში განსხვავებულია. ახალი პარტნიორული ინიციატივების წამოწყებამდე საჭიროა მათი თითოეულ კონტექსტში განხილვა. გარდა ამისა, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების ეროვნულ დონეზე არსებული კულტურული კონტექსტი შეიძლება საკმაოდ განსხვავდებოდეს პროვინციის და თემის დონეზე არსებული კულტურული კონტექსტისგან; შესაბამისად, ბევრ ქვეყანაში, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად შეიძლება საკმაოდ განსხვავებული სტრატეგიების განხორციელება გახდეს საჭირო. ქვეყანას, რომელიც ადრეულ ასაკში განვითარების სფეროში სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობას გადაწყვეტს, სტრატეგიებთან, გეგმებთან და დაფინანსებასთან დაკავშირებით მთელი რიგი მიდგომების შემუშავება დასჭირდება. ეს, მინიმუმ, შემდეგ სფეროებს მოიცავს:

- პოტენციური პარტნიორების იდენტიფიცირება და მოწვევა ჩართულობაზე აქცენტის გაკეთებით;
- ფინანსური რესურსების, საქონლის და მომსახურების თანაბრად განაწილების მეთოდების დადგენა;
- რეკომენდაციების უზრუნველყოფა პარტნიორული ურთიერთობების დამყარების და განხორციელების შესახებ;
- პარტნიორული ურთიერთობების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება ანგარიშვალდებულების და გამჭირვალების უზრუნველსაყოფად და შედეგების შესაფასებლად.

ამ კონტექსტში, მრავალ სექტორს შორის წარმატებული პარტნიორული ურთიერთობის განხილვის საფუძველზე შემუშავდა სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის მდგრადი პარტნიორული ურთიერთობების განვითარების ზომები:[48]

პარტნიორულ ურთიერთობაში მონაწილე თითოეული სახელმწიფო და კერძო დაწესებულების წარმომადგენელმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა სახის დაგეგმვის და შეფასების პროცესებში. დაწესებულებებმა დამოუკიდებლობა უნდა შეინარჩუნონ, თუმცა უნდა ეცადონ, რომ დაბალანსებული და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობები განავითარონ. პარტნიორი დაწესებულებების ხელმძღვანელობის სტილი უკიდურესად მნიშვნელოვანი იქნება ხელმძღვანელი პირების დონეზე გრძელვადიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ხელმძღვანელები, რომლებიც აფასებენ გუნდურ მუშაობას, მკაფიო კომუნიკაციას, პროგრამის ერთობლივ მართვას, გამჭირვალებას და ანგარიშვალდებულებას, ჩვეულებრივ, ძლიერ, გრძელვადიან და წარმატებულ პარტნიორულ ურთიერთობებს ამყარებენ.

ერთობლივი ხედვა, მოლოდინები, როლები და ამოცანები ნდობის კლიმატს ქმნიან

პირველ რიგში ახალმა პარტნიორებმა ერთობლივი ხედვა და მოლოდინები უნდა ჩამოაყალიბონ. შემდეგ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ფუნქციები და მოვალეობები. ეს ფუნქციები და მოვალეობები ჩვეულებრივ ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება, მაგრამ პარტნიორების თვალში თანაბარი ღირებულება უნდა ჰქონდეს. თითოეულმა პარტნიორმა პარტნიორული ურთიერთობების პოტენციური ამოცანები უნდა განსაზღვროს, შემდეგ გააერთიანოს ისინი ერთობლივად განსახორციელებელი ამოცანების ნუსხის შესაქმნელად. ეს ფუნქციები, მოვალეობები და ამოცანები ხშირად უნდა გადაიხედოს და განახლდეს პარტნიორული ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. საჭიროა ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების განვითარება და შენარჩუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში პარტნიორულ ურთიერთობებში ბზარი გაჩნდება და ბოლოს დაირღვევა.

მკაფიოდ განსაზღვრული სარგებელი ყველა პარტნიორისთვის

შემლებისდაგვარად, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, აღიწეროს და განხილულ იქნას რა სარგებელს მიიღებს თითოეული პარტნიორი. როგორც წესი, თითოეული პარტნიორის სარგებელი განსხვავებული იქნება განსხვავებული მოლოდინის გამო. როდესაც პარტნიორები მათი ორგანიზაციების პროგრამების ფარგლებში მოსალოდნელ მოკლე და გრძელვადიან სარგებელს იღებენ, ზოგადად, პარტნიორული ურთიერთობების შენარჩუნების სურვილი აქვთ.

ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერის კონკრეტული წყაროები

შემლებისდაგვარად სახელმწიფო და კერძო დონორების ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერის წყაროები თავიდანვე მკაფიოდ უნდა განისაზღვროს და მათ შესახებ პარტნიორებს ინფორმაცია მიეწოდოს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლოა პარტნიორებისთვის დაარსდეს ცალკე ფონდი რესურსებზე წვდომის, გამჭირვალე მართვის, ანგარიშგებისა და შედეგების შეფასების შესახებ სახელმძღვანელო რეკომენდაციების უზრუნველსაყოფად. მხარდაჭერის დამატებითი წყაროები, ზოგადად, დროთა განმავლობაში განისაზღვრება, მაგრამ პარტნიორული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად საწყის ეტაპზე მხარდაჭერა აუცილებელია.

პერიოდულად ადამიანებთან ურთიერთობა და მათი პროცესში ჩართვის თანმიმდევრული წესები

პარტნიორ ორგანიზაციებს შორის პერიოდულად გაცვლითი ვიზიტები უნდა განხორციელდეს და შეხვედრები ჩატარდეს პარტნიორული საქმიანობის ტემპის შესანარჩუნებლად და სახელმწიფო და კერძო სექტორში გადაწყვეტილებების მიმღები პირების აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. საჭიროა მონაწილეობის და კომუნიკაციის გასაგები და თანმიმდევრული წესების შემუშავება. მართალია ვირტუალური კომუნიკაცია ყოველდღიური ურთიერთობისთვის მოსახერხებელია, მაგრამ პარტნიორობის შესანარჩუნებლად საკმარისი არ არის. კარგი პიროვნული ურთიერთობები ორგანიზაციათა შორის თანამშრომლობას და ერთობლივი ამოცანების შესრულებას უწყობს ხელს.

პარტნიორობის პროგრამა

თითოეულმა პარტნიორმა უნდა შეიმუშაოს შეთანხმებული ამოცანების შესრულებაზე ორიენტირებული პარტნიორობის პროგრამა. ამ პროგრამამ, პარტნიორული ურთიერთობის შემოქმედებითი ხასიათის და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ხელი უნდა შეუწყოს რისკზე წასვლის და სიახლეების დანერგვის სურვილის გაღვივებას. დროთა განმავლობაში შეიძლება პროგრამის შინაარსმა ცვლილებები განიცადოს და მასში პარტნიორების მიერ შესწორებების შეტანა გახდეს საჭირო. ეს პროცესი პარტნიორებმა გამჭირვალედ და მოქნილად უნდა წარმართონ.

მოქნილი პარტნიორული სამოქმედო გეგმა

პარტნიორობის პროგრამას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ვადის სამოქმედო გეგმა. იგი უნდა მოიცავდეს მკაფიოდ განსაზღვრულ ნაბიჯებს ან ეტაპებს, თანმიმდევრობის მიხედვით დალაგებულ კონკრეტული აქტივობების სიას, ყველა პასუხისმგებელ მხარეს და ამ აქტივობების შესრულების ბოლო ვადებს. სამოქმედო გეგმა პერიოდულად უნდა გადაიხედოს ახალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და შუალედური შედეგების გამოსაყენებლად.

ანგარიშვალდებულება: პარტნიორული ურთიერთობების შიდა და გარე შეფასება

ყველა პარტნიორმა უნდა განსაზღვროს ორმხრივად მისაღები შედეგები და წარმატების მაჩვენებლები. შედეგების თანმიმდევრულად გაზომვით თითოეულმა პარტნიორმა ორგანიზაციამ უნდა შეაფასოს საკუთარი და პარტნიორის წვლილი, მიღწევები და გამოწვევები. საჭიროა ამ შეფასებების ურთიერთგაცვლა და მათი გამოყენება მომავალი ნაბიჯების დასაგეგმად და ეფექტიანობისა და შედეგიანობის გასაუმჯობესებლად. ასევე საჭიროა პარტნიორული ურთიერთობების საჭიროებისამებრ გადახედვა. პერიოდულად, სხვადასხვა დაწესებულებებში არსებული ტენდენციების დასადგენად და დონორებისთვის ანგარიშების მოსამზადებლად, კარგი იქნება დამატებითი შედეგების გარე შეფასება.

ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარებისთვის მზაობა

მართალია, სახელმწიფო და კერძო სექტორებიდან პოტენციური პარტნიორების განსაზღვრისთვის ყველაზე დიდი ძალისხმევა საწყის ეტაპზეა საჭირო, ზოგადად,

პარტნიორული ურთიერთობის წარმატებით განვითარების შემთხვევაში ჩნდებიან ახალი დაწესებულებები. ჩაკეტილობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ან წერტილი დაუსვას შესანიშნავ პარტნიორულ ურთიერთობებსაც კი. შესაბამისად, აუცილებელია დროთა განმავლობაში ახალი პარტნიორების მოქნილად ინტეგრირების სისტემების შემუშავება.

დასკვნა

მიღებული კულტურული სისტემების გამოყენებით, სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენელ ორგანიზაციებს შორის დაბალანსებული ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის დამყარებით, შესაძლებელია ადრეულ ასაკში განვითარების სფეროში წარმატებული პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება, განვითარება და შენარჩუნება. ეს ურთიერთობები უნდა იყოს გამჭირვალე, სამართლიანი, სარგებლის მომტანი და ანგარიშვალდებული. მათ შეუძლიათ სახელმწიფო სექტორს სერვისების გაფართოებაში, ხარისხის გაუმჯობესებაში, მეტი სამართლიანობის მიღწევასა და უფრო ეფექტიანი და ქმედითი სერვისების შექმნაში დაეხმარონ. თუმცა ეს ურთიერთობები სახელმწიფო სექტორის ძირითად ფუნქციას – ქვეყნის ყველა ბავშვისთვის კარგი ჯანდაცვის, განათლების და უსაფრთხოების გარანტირებულად უზრუნველყოფას – ვერ ჩაანაცვლებს.

შენიშვნა

[48] ემილი ვერგას ბარონი (1998). „უმაღლესი განათლების სფეროში საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების სახელმწიფო დაფინანსება ვაჭრობისა და განვითარების მიზნით" - State Financing of International Higher Education Partnerships for Trade and Development, *Technology and the Educational Workplace: Understanding Fiscal Impacts, Yearbook of the American Educational Finance Association*. Thousand Oaks: Corwin Press.

დანართი XII

პოლიტიკის ინდიკატორების განსაზღვრა და შერჩევის ინსტრუქციები

დანართში მოცემულია ძირითადი პირობების განმარტებები და პოლიტიკის ინდიკატორების შერჩევის სახელმძღვანელო მითითებები.

განმარტებები

რა არის შედეგი?

შედეგი აღნიშნავს ბავშვების, მშობლების, ოჯახების ან თემის მომსახურების სისტემების სასურველ მდგომარეობას, მაგალითად, ადამიანთა ჯგუფების კეთილდღეობას. მაგალითები:

- ბავშვები იბადებიან ჯანმრთელები და დროულად.
- სამი წლის ასაკისთვის ჯანმრთელები და კარგად გამოკვებილები არიან და კარგად ვითარდებიან.
- მშობლები კარგად ზრდიან, კვებავენ და ავითარებენ ბავშვებს.
- თემის მომსახურების სისტემები კარგად ეხმარება მშობლებს და ოჯახებს და ხელს უწყობს ბავშვის კარგად განვითარებას მისი სკოლისთვის მომზადების მიზნით.
- თემებს აქვთ ადრეულ ასაკში მოვლის და განვითარების ოჯახის და ცენტრზე დაფუძნებული ნორმალური ხარისხის სერვისები იმისათვის, რათა მოთხოვნას უპასუხონ (სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება და ბავშვებზე მზრუნველობა).
- მშობელთა ინფორმირების და ადრეულ ასაკში განათლების ხარისხიანი სერვისები უზრუნველყოფს ბავშვების სკოლისთვის მომზადებას.
- სკოლები უზრუნველყოფენ მშობლების მონაწილეობას სკოლის საქმიანობაში და ეხმარებიან ბავშვებს სკოლაში მისვლაში.
- ბავშვები ჯანმრთელები, კარგად გამოკვებილები და სკოლისთვის მომზადებულები არიან.
- ბავშვები აღწევენ წარმატებას სკოლაში მესამე (მეორე) კლასის ჩათვლით სკოლის გაცდენის, კლასში დარჩენის, სკოლიდან გამოსვლის გარეშე; აბარებენ მესამე (მეორე) კლასის გამოცდებს.
- ბაშვებს ბევრი და სუფთა წყალი აქვთ.
- უპატრონო ბავშვები, რომლებიც ადრე ქუჩაში იყვნენ (ან სხვა სიტუაციაში), არიან უსაფრთხოდ, დაცულები და გამოკვებილებ. კარგად ვითარდებიან და სკოლაში წარმატების მისაღწევად მზად არიან.

რა არის ინდიკატორი?

ინდიკატორი არის საზომი, ნიშნული, რომლის საშუალებითაც რაოდენობრივად განისაზღვრება, კლასიფიცირდება და გამოითვლება შედეგი. ინდიკატორი რაოდენობრივად გამოიხატება, მაგალითად:

- დღენაკლული ბავშვების პროცენტი
- წონანაკლული ბავშვების პროცენტი
- განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების პროცენტი
- მალნუტრიციის (არასრულფასოვანი კვების) მქონე ბავშვების პროცენტი
- განვითარების დარღვევების მქონე ბავშვების წილი
- მშობლის გაუმჯობესებული უნარების მქონე მშობლების პროცენტი
- იმ ოჯახების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც მშობლებს და ბავშვებს ეხმარებიან
- ქალაქების და სოფლების წილი, რომლებსაც აქვთ ჯანდაცვის მომსახურება და რეგულარულად უზრუნველყოფენ ყველა ბავშვის სრულ გეგმიურ შემოწმებას
- იმ ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც ესაჭიროებათ, ხელი მიუწვდებათ და შეუძლიათ მიიღონ ხარისხიანი ზრუნვა.

რა არის საზომი?

საზომი არის ინდიკატორის რაოდენობრივად გამოხატვის საშუალება, ურთიერთობებისთვის რიცხვების მინიჭებით, და ინდიკატორის მიღწევის რაოდენობრივი შეფასების საშუალებას იძლევა, მაგალითად:

- X წელს ნაადრევად დაბადებული ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი, ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემების მიხედვით.
- იმ ბავშვების, მშობლების ან თემების რიცხვი, რომლებიც მომსახურებას იღებენ, Y სამინისტროს მონაცემების მიხედვით.
- ბავშვის განვითარების გაუმჯობესების დონე დროის ერთი პუნქტიდან მეორემდე, X პროგრამის ან შინამეურნეობების Y გამოკითხვის თანახმად.
- X კვების პროგრამის ფარგლებში აწონილ და გაზომილ იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც არასრულფასოვნად იკვებებოდნენ.

ყოველთვის მოცემულია საზომის წყარო. შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფილია **საბაზისო მაჩვენებელი** (ბავშვთა მიმდინარე მდგომარეობა და ა.შ. საზომის ქვემოთ). თუ მონაცემები მოიპოვება, რეკომენდებულია **ტრენდის ხაზის** (გრაფიკის ფორმით საზომის ცვლილებები დროის ერთი წერტილიდან მეორე წერტილამდე) წარმოდგენა. თუ საბაზისო მაჩვენებელი ან ტრენდის ხაზი ხელმიუწვდომელია, ეს ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში უნდა აღინიშნოს და საბაზისო მაჩვენებლის განსაზღვრის სამუშაოები პოლიტიკის **კვლევის, შეფასების და მონიტორინგის გეგმაში** უნდა შევიდეს.

რა არის მიზნობრივი მაჩვენებელი?

მიზნობრივი მაჩვენებელი არის ინდიკატორის რაოდენობრივად გამოსახული მიზანი, რომელიც მომავალში განსაზღვრულ წელს ან წლებში უნდა მიიღწეს.

მიზნობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა ორიდან ხუთ წლამდე პერიოდისთვის უკეთესია, ვიდრე ერთწლიანი პერიოდისთვის, რადგან მათი მიღწევა ძნელია. მიზნობრივი მაჩვენებლები ყველაზე უკეთ ტრენდის ხაზების შეფასების შემდეგ განისაზღვრება. თუ ცვლილება ტრენდის ხაზის ბუნებრივ ზრდაზე (ან შემცირებაზე)

უკეთესია, ეს დადებით შედეგად მიიჩნევა. ზოგჯერ, უბრალოდ ტრენდის ხაზის შენარჩუნებაც კი დადებით შედეგად მიიჩნევა შიმშილის, აივ ინფექცია/შიდსის, დაავადებების მაჩვენებლების ზრდის დროს და ა.შ. ასევე შესაძლებელია მიზნობრივი მაჩვენებლების მაღალი, საშუალო და დაბალი ვარიანტების განსაზღვრა, იმისთვის, რათა ქვეყანას წარუმატებლობა ავაცილოთ თავიდან თუ ამ მაჩვენებლების მისაღწევად ძალიან მოკლე ვადაა მოცემული ან თუ დაგეგმილი მაჩვენებლები ძალიან ამბიციურია, მაგალითად:

- 2007 წლისთვის წონანაკლული ჩვილების პროცენტული მაჩვენებელი 25%-დან 22%-მდე შემცირდება, ხოლო 2010 წლისთვის კი 15-მდე (მაღალი), 17%-მდე (საშუალო) ან 18%-მდე (დაბალი).
- 2007 წლისთვის, ტანდაბალი ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი 33%-დან 25%-მდე შემცირდება, ხოლო 2010 წლისთვის 12%-მდე (მაღალი), 15%-მდე (საშუალო) და 18%-მდე (დაბალი).
- 2007 წელს, იმ ობოლ ბავშვთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა მშობლები შიდსით გარდაიცვალნენ, სტაბილურად 10%-ზე დარჩება, ხოლო 2010 წლისთვის 6%-მდე შემცირდება.

მიზნობრივი მაჩვენებლების ყველაზე ეფექტიანად წარმოდგენა გრაფიკებით არის შესაძლებელი, რომლებიც არსებულ ტრენდის ხაზებს და მიზნობრივ მაჩვენებლებს ასახავენ დროის გარკვეულ პერიოდში (შესაძლოა სამ არჩევით დონეზე: მაღალი, საშუალო და დაბალი). გრაფიკების საშუალებით გადმოიცემა ინდიკატორის ცნება, მიზანი და მნიშვნელობა. ისინი აჩვენებენ, რომ საჭიროა მუშაობა „მრუდის მიმართულების შესაცვლელად“. იგი ასევე წარმოადგენს გრძელვადიან პერსპექტივაში პოლიტიკაზე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის რეალურ გზას.

ინდიკატორების დონეები ქვეყანაში

ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკაში ხშირად ინდიკატორები მომსახურების მთელ რიგ დარგებს ეხება, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, კვება, სანიტარია, ბავშვების დაცვა და უფლებები, განვითარება ქალაქად და სოფლად და ა.შ. ადრეულ ასაკში განვითარების წამყვანი ინდიკატორების „მრუდის მიმართულების შესაცვლელად“, ხშირად რეკომენდებულია სხვადასხვა სფეროებში სერვისების ინტეგრირება მათი ერთად დაგეგმვის და განხორციელების საშუალებით და პროგრამის საწყის პროექტში გაერთიანებით. თუმცა, როგორც წესი, პროგრამის ინდიკატორები სახელმწიფო პოლიტიკის ინდიკატორები არ არიან.

რა დონის ინდიკატორები არსებობს ქვეყანაში?

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნებში ადრეულ ასაკში განვითარების ინდიკატორების რამდენიმე დონე გამოიყენება. ბევრ ადამიანს პოლიტიკის ინდიკატორები და პროგრამის ინდიკატორები ერთმანეთში ეშლება. ადრეულ ასაკში განვითარების ინდიკატორების გავრცელებული დონეებია:

- პოლიტიკის ეროვნული დონის ინდიკატორები
  ეს ინდიკატორები ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკაში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიების ფარგლებში მიღწევების და მათი შედეგების შესაფასებლად გამოიყენება.

- პოლიტიკის ინდიკატორები რეგიონის, პროვინციის, რაიონის და თემის დონეზე
  მათი შემუშავება შესაძლებელია სისტემების ან პროგრამის ინტეგრირებული აქტივობების შედეგების შესაფასებლად რეგიონებში. შესაბამისად, თითოეულ რეგიონს ან შტატს, ზოგადად, მსგავსი, მაგრამ ეროვნული სიისგან და ერთმანეთისგან განსხვავებული სია აქვს. რეგიონის ან შტატის სიებში ეროვნულ სიაში არსებული ყველა ინდიკატორი შედის. მაგრამ ინდიკატორების ეროვნულ სიაში არ შედის ყველა ადგილობრივი, რაიონის ან პროვინციის ადრეულ ასაკში განვითარების ინდიკატორი.
- პროგრამის ინდიკატორები
  პროგრამის ინდიკატორები იმ ძირითადი შედეგების შესაფასებლად გამოიყენება, რომლებიც, მიიჩნევა, რომ პროგრამის აქტივობებთან ***პირდაპირ*** არის დაკავშირებული. პროგრამის ინდიკატორები იშვიათად გამოიყენება ეროვნულ დონეზე ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში შეტანის მიზნით, თუ პროგრამები მართლაც მთელ ქვეყანას არ მოიცავს. ზოგადად, პროგრამის დონეზე, ინდიკატორების უფრო გრძელი და დეტალური სია გამოიყენება მუშაობის შედეგების შესაფასებლად. მხოლოდ რამდენიმე დაკავშირებული ეროვნული ინდიკატორი შეიძლება პროგრამის ინდიკატორებში შევიდეს.

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ინდიკატორების განსაზღვრა და შერჩევა

არსებული ინდიკატორების განსაზღვრის და შერჩევის რა გზები არსებობს?

არსებობს ეროვნული პოლიტიკის არსებული ინდიკატორების იდენტიფიცირების სხვადასხვა გზა. ჩვეულებრივ მათ შემდეგი ქმედებების საშუალებით განსაზღვრავენ:

- კონსულტაციების გავლა ყველა დონეზე, ადრეულ ასაკში განვითარებასთან დაკავშირებული დარგების და სფეროების წარმომადგენლებთან.
- კონსულტაციების გავლა ყველა დაკავშირებულ სამთავრობო სტრუქტურასთან, დონორებთან (რომელშიც ორი ან რამდენიმე მხარე მონაწილეობს), სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის კვლევით ინსტიტუტებთან და უნივერსიტეტის კათედრებთან.
- ეროვნული ინდიკატორების სიების ნახვა სიღარიბის დაძლევის სტრატეგიაში, („მთელი დარგის მომცველი მიდგომის“, „განათლება ყველასათვის“ გეგმებში, რათა დარწმუნდეთ, რომ ადრეულ ასაკში განვითარებასთან დაკავშირებული იგივე ინდიკატორები გამოიყენება ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაშიც. ამის დახმარებით პოლიტიკა სიღარიბის შემცირების გეგმას და დარგობრივი ინვესტიციების გეგმებს დაუკავშირდება. რადგან მონაცემები უკვე მოპოვებულია, ეს დროს და რესურსებს დაგიზოგავთ და ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის გათავისებას შეუწყობს ხელს.
- ეროვნული სტატისტიკის, შინამეურნეობების კვლევების, ძირითადი კვლევითი პროექტების, შეფასებების და სხვა კვლევების მონაცემების გადახედვა შესაძლო ინდიკატორების განსაზღვრის მიზნით.

როგორ უნდა განისაზღვროს ინდიკატორები?

1. განსაზღვრეთ დიდი რაოდენობით შესაძლო ინდიკატორები.
2. სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ყველა დონეზე კონსულტაციების საშუალებით დაადგინეთ ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ხედვა.
3. განსაზღვრეთ სტრატეგიები და შედეგები სასიცოცხლო ციკლის თითოეული საფეხურისთვის, სპეციალური პროგრამებისთვის, და ძირითადი პროცესების სტრატეგიებისთვის.
4. იმსჯელეთ, რომელი ინდიკატორებით იზომება თითოეული შედეგი უკეთესად.
5. შეადგინეთ თითოეული სტრატეგიის პოტენციური ინდიკატორების დიდი საწყისი სია. შეარჩიეთ კარგი ინდიკატორები თითოეული საფეხურისთვის: პრენატალური/პერინატალური; ნულიდან 36 თვემდე; 37-დან 72 თვემდე; 73-დან 96 თვემდე, სტრატეგიები მოსახლეობის განსაკუთრებული ჯგუფებისა და ძირითადი პროცესებისთვის, როგორიცაა ტრენინგი, შეფასება, მონიტორინგი და ა.შ.
6. შეაფასეთ თითოეული ინდიკატორი შემდეგის მიხედვით:

ა. საკომუნიკაციოდ იოლი.

ბ. სხვა ინდიკატორების ჩანაცვლების უნარი.

გ. სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობა ინდიკატორის შესაფასებლად დროის გარკვეულ მონაკვეთში.

დ. დამატებითი მონაცემების მოპოვების შესაძლებლობა ამ ინდიკატორის მიხედვით პროგრესის შესაფასებლად.

7. გააცანით ინდიკატორების სიის პროექტი ყველა იმ პირს და ორგანიზაციას, რომელთანაც კონსულტაციები გაიარეთ ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკასთან დაკავშირებით.
8. განიხილეთ ყველა მოსაზრება და შეხვდით ყველა მხარეს, იმისათვის, რათა მიაღწიოთ შეთანხმებას რამდენიმე წამყვან ინდიკატორზე თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის, პროგრამის სპეციალური სფეროსა და ძირითადი პროცესების სტრატეგიაზე.
9. შეიტანეთ ეს ინდიკატორები ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის პროექტში მთლიანი პროექტის კონტექსტში შეფასების და კონსენსუსის მისაღწევად.

დანართი XIII

პოლიტიკის ინდიკატორები
(კონტენტის სფეროების და პოლიტიკის შესაფასებლად)

ამ დანართის მიზანია ინფორმაცია მიაწოდოს სამუშაო ჯგუფს ინდიკატორების ფართო სპექტრის შესახებ, რომელიც უკვე ბევრმა ქვეყანამ გამოიყენა ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის მიმართ. რამდენიმე ინდიკატორი სიღარიბის დაძლევის სტრატეგიებში და სხვა მრავალდარგობრივ პოლიტიკებშიც იყო გამოყენებული (როგორიცაა მაგალითად ჯანდაცვის, კვების, სანიტარიის, განათლების და ბავშვთა უფლებების დაცვის და მცირეწლოვან ბავშვებთან და მათ ოჯახებთან დაკავშირებული სხვა პოლიტიკა). ამ დოკუმენტში მოცემული ზოგიერთი ინდიკატორი ფართოდ გამოიყენება, ხოლო სხვები კონკრეტული სიტუაციებისა და ქვეყნებისთვის არის მიზანშეწონილი. ამ უკანასკნელი ჯგუფის ინდიკატორებს ძირითადად ის ქვეყნები იყენებენ, რომლებსაც ძალიან შეზღუდული რესურსები და პუმანიტარული განვითარების მწვავე საჭიროებები აქვთ. ჩვენს მიერ მოყვანილი სია ამომწურავი არ არის. ის უბრალოდ ფიქრის საფუძველს იძლევა, იმისათვის რათა თითოეულმა ქვეყანამ მისთვის საუკეთესო ინდიკატორები შეარჩიოს.

ყველა ინდიკატორს არცერთი ქვეყანა არ გამოიყენებს, რადგანაც სია მეტისმეტად გრძელია და ყველა ამ მონაცემთა შეგროვება ძალიან ძვირი დაჯდება. მათ მხოლოდ რამდენიმე ინდიკატორი უნდა აირჩიონ. სამუშაო ჯგუფმა შედეგების შეფასების ინდიკატორები თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის და სფეროსთვის უნდა შეარჩიოს. შესაძლებელია სხვა ისეთი ინდიკატორების დამატებაც, რომლებიც ამ სიაში არ არის. სიის ბოლოს მოცემულია რამდენიმე ინდიკატორი, რომელიც თავად პოლიტიკის შესაფასებლად არის საჭირო. შესაძლებელია სხვა ინდიკატორების დამატებაც, თუმცა პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების შესაფასებლად ზემოხსენებული ინდიკატორები საკვანძოა.

ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკის შედეგების შეფასების ინდიკატორების მაგალითები, ცხოვრების ციკლის და განსაკუთრებული თემატიკის მიხედვით

ქვემოთ მოყვანილი სია დაყოფილია ასაკობრივი ჯგუფების ან მოსახლეობის განსაკუთრებული ჯგუფების მიხედვით:

- პრენატალური/პერინატალური პერიოდი;
- 0-დან 36 თვემდე ასაკობრივი ჯგუფი;
- 37-დან 72 თვემდე;
- 73-დან 96 თვემდე;
- მოსახლეობის განსაკუთრებული ჯგუფები;
- პოლიტიკის განხორციელების შეფასების ინდიკატორები.

მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ ასაკობრივ ან განსაკუთრებულ ჯგუფში განიხილებოდეს შემდეგი სფეროები: ჯანდაცვა, კვება, სანიტარია, განათლება და სამართლებრივი დაცვა. თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის პოლიტიკის შედეგები დაყოფილია შემდეგ ტიპებად:

- ზემოქმედება ბავშვების მდგომარეობაზე;
- ოჯახსა და თემთან დაკავშირებული შედეგები;
- პროგრამის სერვისებთან დაკავშირებული შედეგები.

•
•

ინდიკატორების ამგვარად დაყოფა სამუშაო ჯგუფებს საშუალებაა აძლევს სწორი ინდიკატორები შეარჩიონ თითოეული ასაკობრივი ჯგუფის, დარგის და შედეგის ტიპისთვის.

ქვემოთ ჩამოთვლილ ინდიკატორთაგან ზოგიერთი, სამუშაო ჯგუფმა, შესაძლოა სხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვისაც გამოიყენოს. ამგვარი გამოყენებისთვის რეკომენდებული ინდიკატორები სიაში ვარსკლავით არის აღნიშნული. ამ დოკუმენტის სიაში ისინი არ მეორდება, თუმცა პოლიტიკის ტექსტში მათი ჩამატება შესაძლებელია.

პრენატალური/პერინატალური პერიოდის ინდიკატორები

ზემოქმედება ბავშვების მდგომარეობაზე: მშობიარობის შედეგები

- ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი (1000 ჩვილზე)
- ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლების თანაფარდობა მოსახლეობის უღარიბეს კვინტილში ნაკლებად ღარიბ მოსახლეობასთან შედარებით;
- წონანაკლული (2500 გრამზე ნაკლები წონის) ახალშობილების პროცენტი
- დღენაკლული (32 კვირაზე ნაკლები) ბავშვების პროცენტი
- დაბადებისას რეგისტრირებული და პირადი ნომრის მიმღები ახალშობილების პროცენტი;
- დაბადებისას ან დაბადებიდან უმოკლეს დროში განვითარების თანდაყოლილი დარღვევების, სმენის/მხედველობის დარღვევების ან სხვა შეზღუდული უნარების გამოვლენის პროცენტი.

ზემოქმედება ოჯახებსა და თემებზე: დედათა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შედეგები

- 11-დან 17 წლამდე ორსული გოგონების პროცენტი;
- მარტოხელა ორსული ქალების და გოგონების პროცენტი;
- სიღარიბესა და უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ორსული ქალების პროცენტი (ეროვნული სტატისტიკა);
- პრენატალურ პერიოდში ანემიის მქონე ან სხვა ვიტამინების/მინერალების ნაკლებობის მქონე ქალების პროცენტი;
- დედების სიკვდილიანობის მაჩვენებელი;
- მხოლოდ პირველი ექვსი თვის განმავლობაში ბუნებრივ კვებაზე მყოფი ბავშვების პროცენტი.

პროგრამის სერვისების შედეგები

- იმ ორსული ქალების პროცენტული წილი, რომლებიც პრენატალური სამედიცინო მომსახურების, სათანადო კვების და მშობლიური ზრუნვის შესახებ განათლების მიღებას პირველ ტრიმესტრში იწყებენ;
- იმ ორსული ქალების პროცენტული წილი, რომლებიც რეგულარულ, დაგეგმილ პრენატალურ სამედიცინო შემოწმებას გადიან;
- ორსული ქალების პროცენტული წილი, რომლებიც პრენატალური ჯანდაცვის, კვების და მშობლიური ზრუნვის შესახებ ინფორმაციას იღებენ მშობიარობამდე, სპეციალისტის მიერ მათთან სახლში მინიმუმ ოთხი ვიზიტის ან ჯგუფური შეხვედრის დროს;
- სპეციალური მომზადების მქონე, კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის დახმარებით მშობიარობის პროცენტი;
- სახელმწიფო ან სხვა ხარისხიან სამედიცინო დაწესებულებაში მშობიარობის პროცენტი;

- იმ ქალების პროცენტული წილი, რომლებიც პოსტნატალური სამედიცინო მომსახურების და ინფორმაციის მისაღებად საგანმანათლებლო ან სამედიცინო ცენტრს მინიმუმ სამჯერ მაინც ეწვევიან;
- იმ ქალების პროცენტული წილი, რომლებიც ბავშვებზე ზრუნვის და ფსიქოსოციალური სტიმულირების, მშობლიური ზრუნვის, ბავშვის განვითარების, ჯანმრთელობის დაცვის და კვების შესახებ ინფორმაციას იღებენ სპეციალისტის მიერ მათთან სახლში მინიმუმ ოთხი ვიზიტის ან ჯგუფური შეხვედრის დროს, სანამ ბავშვი ექვსი თვის გახდება.*
- იმ დედების პროცენტული წილი, რომლებმაც იციან ჩვილი ბავშვების კვების კარგი პრაქტიკის შესახებ და ასრულებენ მას.*

0-დან 36 თვემდე ასაკობრივი ჯგუფის ინდიკატორები

ზემოქმედება ბავშვების მდგომარეობაზე

- განვითარებაში ჩამორჩენილი ან გარკვეულ ასაკში (მაგალითად, სამი, ექვსი, 12, 18, 24 და 36 თვის) ჩამორჩენის მაღალი რისკის მქონე ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი;
- იმ ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც სამი, ექვსი, 12, 18, 24 და 36 თვის ასაკში ნორმალურ განვითარებას აღწევენ;
- მხედველობის ან სმენის პრობლემების მქონე ექვს ან 12 თვემდე ასაკის ჩვილ ბავშვთა პროცენტული წილი;
- იმ ბავშვების პროცენტული წილი, რომლებსაც დიფტერიის, ყივანახველის და ტეტანუსის აცრების (DPT3) სრული კურსი ჩაუტარდათ;
- იმ ჩვილი და მცირეწლოვანი (36 თვემდე) ბავშვების პროცენტული წილი, რომლებსაც ყველა აცრა (იმუნიზაცია) დროულად ჩაუტარდათ;
- იმ ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დილის საუზმეს რეგულარულად იღებენ;*
- ჩვილი ბავშვებისა და ზოგადად ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც საკმარისი რაოდენობის A ვიტამინს, ვიტამინებს და მინერალებს იღებენ, იოდის ჩათვლით;*
- დიარეის შემთხვევების რაოდენობა 36 თვის ასაკამდე (60 თვის ასაკამდე) ბავშვებში;*
- დიარეით გამოწვეული სიკვდილიანობის რაოდენობა 36 თვემდე (60 თვემდე) ბავშვებში;*
- მალარიით გამოწვეული სიკვდილიანობის რაოდენობა 36 თვემდე (60 თვემდე) ასაკის ბავშვებში;*
- მალარიის (ან სხვა დაავადების) დიაგნოზის მქონე 36 თვემდე (60 თვემდე) ასაკის ბავშვების პროცენტული წილი;*
- 36 თვემდე (60 თვემდე) ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებსაც სიმაღლეში ზრდის საშუალო ან ძლიერი ჩამორჩენა აქვთ (ასაკთან შედარებით);*
- 36 თვემდე (60 თვემდე) ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებსაც საშუალოზე ნაკლები ან ძლიერი სიგამხდრე აქვთ (სიმაღლის გათვალისწინებით);*
- საშუალოდ ან ძლიერ წონანაკლული 36 თვემდე (60 თვემდე) ასაკის ბავშვების პროცენტული წილი;*
- იმ ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც დადასტურებული მონაცემების მიხედვით არასაკმარის კვებას იღებდნენ და რომელთა ზრდის მრუდი უმჯობესდება.*

ზემოქმედება ოჯახებსა და თემებზე

-
-
- იმ დედების პროცენტული წილი, რომლებიც ბავშვებს 6, 12 და 18 თვის ასაკამდე ბუნებრივად კვებავენ;
- იმ მშობლების პროცენტული წილი, რომლებიც მშობლიური ზრუნვის კარგ უნარს ავლენენ ან ივითარებენ (იზომება მშობლებზე დაკვირვების შკალის მეშვეობით);*
- იმ მშობლების პროცენტული წილი, რომლებიც ფლობენ კარგ ცოდნას კვების, ჯანმრთელობის და სწავლის ძირითად საკითხებში და ბავშვის განვითარების ეტაპებში (ფასდება კითხვარის მეშვეობით გამოკითხვის შედეგების საფუძველზე);*
- იმ დედების და მამების პროცენტული წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ ადრეული განვითარების პროგრამებში მონაწილეობის შედეგად, ისინი, როგორც მშობლები, მეტ მხარდაჭერას გრძნობენ და კარგი უნარები შეიძინეს;*
- იმ დედების პროცენტული წილი, რომლებმაც დაწყებითი სკოლა დაამთავრეს;*
- იმ მშობლების პროცენტული წილი, რომლებიც ამბობენ, რომ კვირაში რამდენჯერმე ზღაპრებს უყვებიან ან უკითხავენ 3-დან 6 წლამდე ბავშვებს;*
- იმ მშობლების პროცენტული წილი, რომლებიც ამბობენ, რომ დახმარების ქსელებით სარგებლობენ და აღზრდის საკითხებზე რჩევების და რესურსების მიღება შეუძლიათ;*
- იმ მცირეწლოვანი ბავშვების ოჯახების პროცენტული წილი, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ წყალგაყვანილობის სისტემიდან ან დაცული წყაროდან მიწოდებულ სუფთა წყალზე, რომელიც მათთვის სასმელი წყლის ძირითადი წყაროა;*
- იმ ოჯახების პროცენტული წილი, რომლებსაც სუფთა წყლის მოსატანად 30 წუთზე ნაკლები სჭირდებათ.*
- სიღარიბის ზღვარზე ან მის ქვემოთ მცხოვრები ოჯახების პროცენტული წილი;*
- იმ მცირეწლოვანი ბავშვების ოჯახების პროცენტული წილი, სადაც ორივე მშობელი უმუშევარია;*
- მარტოხელა მომუშავე დედების რაოდენობა და პროცენტული წილი;*
- მარტოხელა უმუშევარი დედების რაოდენობა და პროცენტული წილი;*
- კვების თვალსაზრისით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ოჯახების პროცენტული წილი;*
- იმ რაიონების პროცენტული წილი, სადაც საკვების უკმარისობის რისკი არსებობს;*
- იმ ოჯახების პროცენტული წილი, რომლებიც საკვებს დღეში მხოლოდ ერთხელ იღებენ;*
- იმ მამების პროცენტული წილი, რომლებიც ოჯახთან ერთად არ ცხოვრობენ, მაგრამ სათანადო ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას უწევენ ბავშვს (ბავშვთა დახმარების ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად)*
- შობადობის კოეფიციენტი;*
- ქოლერის (ან სხვა ფართოდ გავრცელებული დაავადების) შემთხვევების რაოდენობა;*
- სიცოცხლის ხანგრძლივობა.*

პროგრამის სერვისების შედეგები

- იმ ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომელთა განვითარება შემოწმდა ან შეფასდა სამი, ექვსი, 12, 18, 24 და 36 თვის ასაკში (შეფასების ინსტრუმენტის არსებობა სავალდებულოა);
- იმ ჩვილების და ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებსაც განვითარებაში ჩამორჩენა ან ჩამორჩენის მაღალი რისკი აღენიშნებათ და რომლებსაც მშობლების ინფორმირებისა და ბავშვთა განვითარების სტიმულირების სათემო პროგრამები ემსახურებიან;*

- იმ ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც გონებრივი ჩამორჩენის ან ჩამორჩენის რისკის გამო სათანადო მომსახურებას იღებენ და ზედამხედველობის ქვეშ არიან 36 თვის (48 ან 60 თვის) ასაკამდე;*
- იმ ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებმაც მხედველობისა და სმენის შემოწმება გაიარეს 24 თვის ასაკამდე;
- იმ მშობლების პროცენტული წილი, რომლებმაც გარკვეული ფორმის სასწავლო პროგრამა გაიარეს ადრეულ ასაკში სწავლის საკითხებში (მაგალითად, სახლებში ვიზიტის პროგრამები, ბავშვებზე ზრუნვა ოჯახში ან ცენტრებში, ოჯახის რესურსცენტრები ან სხვა);*
- ოჯახური რესურსცენტრების ან მშობლების განათლებისა და მხარდაჭერის სერვისების ხელმისაწვდომობა თითო ქალაქში ან სოფელში;*
- თემის მენტორების რაოდენობა, რომლებმაც ტრენინგი გაიარეს და თემებს ჯანდაცვის, კვების და ბავშვის განვითარების საკითხებს ასწავლიან;*
- იმ თემების რაოდენობა და პროცენტული წილი, სადაც სპეციალურად მომზადებული მენტორები არიან;*
- ოჯახების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც მომსახურებას თემის თითოეული/ყველა მენტორისგან იღებენ;*
- ნოლიდან 36 თვემდე (37-დან 60 თვემდე) ასაკის ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც მომსახურებას თემის მენტორებისგან იღებენ);*
- ერთი ბავშვის მიერ ერთი წლის განმავლობაში პოლიკლინიკაში ვიზიტების რაოდენობა;*
- პირველადი სამედიცინო მომსახურების მიმღები ბავშვების პროცენტული წილი და ჯანმრთელი ბავშვების გეგმიური, დროული სამედიცინო შემოწმების პროცენტული წილი;*
- (ალტერნატიული ინდიკატორი) იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებმაც ფიზიკური შემოწმება გაიარეს ან ჯანმრთელი ბავშვების ვიზიტი სამედიცინო შემოწმების მიზნით, შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფისთვის რეკომენდებული ინტერვალებით;*
- იმ ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებსაც ჯანმრთელი ბავშვის სამედიცინო შემოწმების ანკეტა აქვთ გახსნილი;*
- არასათანადო კვების მიმღები იმ ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომელთა ოჯახები სათანადო მომსახურებებს იღებენ;*
- ოჯახის დაგეგმვის მომსახურების მიმღები პირების მთლიანი რაოდენობა;*
- იმ დედების პროცენტული წილი, რომლებიც მათთვის და მათი შვილებისთვის მიწოდებული მომსახურებით კმაყოფილნი არიან;*
- იმ რადიო და სატელევიზიო პროგრამების რაოდენობა, რომლებიც ინფორმაციას ავრცელებენ მშობელთა განათლების, ადრეულ ასაკში განვითარების, ჯანმრთელობის დაცვის და კვების შესახებ;*
- ხარისხიანი ზრუნვის მიმღები ჩვილებისა და 36 თვემდე ასაკის ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი.

37-დან 72 თვემდე ასაკობრივი ჯგუფის ინდიკატორები

ზემოქმედება ბავშვების მდგომარეობაზე

- 48 და 60 თვის ასაკის ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებმაც სამედიცინო შემოწმება ან შეფასება გაიარეს და განვითარების ჩამორჩენა ან ჩამორჩენის მაღალი რისკი დაუდგინდათ;
- ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც 48 და 60 თვის ასაკში ნორმალურ განვითარებას აღწევენ;

-
-
- ბავშვთა (60 თვემდე ასაკის) სიკვდილიანობის დონე;
- განვითარების მძიმე ჩამორჩენის ან შეზღუდული უნარების მქონე ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებში არიან ჩართულნი;*

ზემოქმედება ოჯახებსა და თემებზე

- იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებიც აცხადებენ, რომ ბავშვებზე ხარისხიანი ზრუნვის ან სკოლამდელი განათლების მომსახურება მათთვის ხელმისაწვდომია;
- იმ ოჯახების პროცენტული წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ მათი ბავშვები დაცულები არიან უბედური შემთხვევებისგან, ბავშვებზე ზრუნვის ცენტრში ან სკოლამდელ დაწესებულებაში შესვლამდე და დატოვების შემდეგ;

პროგრამის სერვისების შედეგები

- იმ ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომელთა განვითარება შეფასდა 48 და 60 თვის ასაკში (საჭიროა შეფასების ან სკრინინგის ინსტრუმენტის არსებობა);
- იმ ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებსაც ზრუნვის ან სკოლამდელი მომსახურება ესაჭიროებათ და იღებენ მას;
-
- ბავშვებზე ზრუნვის ცენტრებში არსებული ადგილების მთლიანი რაოდენობა;
- საბავშვო ბაღებში არსებული ადგილების მთლიანი რაოდენობა;
- ბავშვთა ცენტრების მთლიანი რაოდენობა;
- ბავშვთა ლიცენზირებული ცენტრების მთლიანი რაოდენობა;
- სკოლამდელი დაწესებულებების მთლიანი რაოდენობა;
- ლიცენზირებული სკოლამდელი დაწესებულებების მთლიანი რაოდენობა;
- იმ ბავშვთა ცენტრების მთლიანი რაოდენობა, რომლებიც ბავშვების კომპლექსური განვითარებისთვის ასაკობრივი ჯგუფების შესაბამის სასწავლო გეგმებს იყენებენ;
- იმ სკოლამდელი დაწესებულებების მთლიანი რაოდენობა, რომლებიც ბავშვების კომპლექსური განვითარებისთვის ასაკობრივი ჯგუფების შესაბამის სასწავლო გეგმებს იყენებენ;
- გარემონტებული ან გაუმჯობესებული ბავშვთა ცენტრების მთლიანი რაოდენობა;
- გარემონტებული ან გაუმჯობესებული სკოლამდელი დაწესებულებების მთლიანი რაოდენობა;
- ბავშვებზე ზრუნვის ცენტრების ან სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებსაც მოწესრიგებული და გამართული ტუალეტები აქვთ;
- ბავშვებზე ზრუნვის ცენტრების ან სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებსაც დიდი რაოდენობით სუფთა წყალზე მიუწვდებათ ხელი;
- ბავშვებზე ზრუნვის ცენტრების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომელთა ხარისხი დამაკმაყოფილებლად შეფასდა (ფასდება შკალის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს: ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისი სასწავლო გეგმების, მეთოდების, სათანადო კვალიფიკაციის პერსონალის, საკმარისი რაოდენობის სასწავლო მასალების, სათანადო შენობის და მოწყობილობის არსებობას, და ა.შ.);
- სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომელთა ხარისხი დამაკმაყოფილებლად შეფასდა (ფასდება შკალის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს: ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისი სასწავლო გეგმების, მეთოდების, სათანადო კვალიფიკაციის პერსონალის, საკმარისი რაოდენობის სასწავლო მასალების, სათანადო შენობის და მოწყობილობის არსებობას, და ა.შ.);

- ოჯახური ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი (ერთი წლის მონაცემები - ასაკის, სქესის და რეგიონების მიხედვით);
- სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ და რეგულირებად ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი (ერთი წლის მონაცემები - ასაკის, სქესის და რეგიონების მიხედვით);
- ბავშვთა ცენტრების მომსახურების მიმღები ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი (ერთი წლის მონაცემები - ასაკის, სქესის და რეგიონების მიხედვით);
- სკოლამდელი დაწესებულებების მოსწავლეების რაოდენობა და პროცენტული წილი (ერთი წლის მონაცემები - ასაკის, სქესის და რეგიონების მიხედვით);
- სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და რეგულირებადი სკოლამდელი დაწესებულებების მოსწავლეების რაოდენობა და პროცენტული წილი (ერთი წლის მონაცემები - ასაკის, სქესის და რეგიონების მიხედვით);
- იმ ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებსაც ხარისხიანი ზრუნვის ან სკოლამდელი სერვისები სჭირდებათ და იღებენ მათ (ერთი წლის მონაცემები - ასაკის, სქესის და რეგიონების მიხედვით);
- ბავშვების მომვლელთა რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც ყოველწლიურად მინიმუმ 10 დღიან (80 საათიან) ტრენინგს გაივლიან სამუშაოსგან მოუწყვეტლად;
- სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებელთა რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც ყოველწლიურად მინიმუმ 10 დღიან (80 საათიან) ტრენინგს გაივლიან სამუშაოსგან მოუწყვეტლად;
- სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებელთა რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებმაც ოფიციალური ტრენინგის კურსი გაიარეს, ეროვნული სტანდარტების შესაბამისად;
- მომვლელების და მასწავლებლების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებმაც ოფიციალური ტრენინგის კურსი გაიარეს და სერტიფიკატი მიიღეს ბავშვების მომსახურების და კვების, წონანაკლულობის, განვითარების ჩამორჩენის და ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემების სფეროებში;
- ბავშვთა ცენტრებში მომვლელთა კადრების წლიური ცვლილების პროცენტული წილი;
- სკოლამდელი განათლების ცენტრებში მომვლელთა კადრების წლიური ცვლილების პროცენტული წილი;
- თანამდებობაზე მომვლელთა შენარჩუნების საშუალო ხანგრძლივობა;
- ოფიციალური აღიარების მქონე საოჯახო ბავშვთა სახლების რაოდენობა და პროცენტული წილი;
- ბავშვთა ცენტრებში სპეციალური მომზადების მქონე დირექტორების რაოდენობა და პროცენტული წილი;
- სკოლამდელ დაწესებულებებში სპეციალური მომზადების მქონე დირექტორების რაოდენობა და პროცენტული წილი;
- ბავშვებზე ზრუნვის იმ ცენტრების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც დამაკმაყოფილებლად შეფასდნენ (ხარისხის შეფასების შკალის მიხედვით);
- სპეციალური მომზადების მქონე თანამშრომლებისა და ბავშვების თანაფარდობა საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში;
- სპეციალური მომზადების მქონე თანამშრომლებისა და ბავშვების თანაფარდობა ბავშვებზე ზრუნვის ცენტრებში;
- სპეციალური მომზადების მქონე თანამშრომლებისა და ბავშვების თანაფარდობა სკოლამდელ დაწესებულებებში;

-
-
- საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში ერთ ბავშვზე გაწეული საშუალო საათობრივი ხარჯები;
- ბავშვებზე ზრუნვის ცენტრებში ერთ ბავშვზე გაწეული საშუალო საათობრივი ხარჯები;
- სკოლამდელ დაწესებულებებში ერთ ბავშვზე გაწეული საშუალო საათობრივი ხარჯები; ან
- ოჯახური ზრუნვის სრულდღიანი მომსახურების შემთხვევაში ერთ ბავშვზე გაწეული საშუალო დღიური ან ყოველკვირეული ხარჯები;
- ბავშვებზე ზრუნვის ცენტრებში სრულდღიანი მომსახურების შემთხვევაში ერთ ბავშვზე გაწეული საშუალო დღიური ან ყოველკვირეული ხარჯები;
- სკოლამდელ დაწესებულებებში ერთ ბავშვზე გაწეული საშუალო დღიური ან ყოველკვირეული ხარჯები სრულდღიანი მომსახურების შემთხვევაში;

73-დან 96 თვემდე ასაკობრივი ჯგუფის ინდიკატორები

ზემოქმედება ბავშვების მდგომარეობაზე

- შეფასების მიხედვით ბავშვების რა პროცენტი „არის მზად სკოლისთვის“ და აქვს სათანადო უნარები და ქცევა - ასაკის, სქესის და რეგიონების მიხედვით აღებული მონაცემები (შეფასების ინსტრუმენტის არსებობა სავალდებულოა);
- დაწყებით სკოლაში ჩარიცხულ ბავშვთა პროცენტული წილი, რომლებიც დაწყებით სკოლაში ერთი ან ორი წლის განმავლობაში სწავლობენ (სქესის/რეგიონების მიხედვით);
- დაწყებით სკოლაში ჩარიცხვის სუფთა მაჩვენებელი (net);
- დაწყებით სკოლაში ჩარიცხვის სუფთა მაჩვენებელი (gross);
- გოგონების და ბიჭების თანაფარდობა დაწყებით სკოლაში;
- იმ ბავშვების პროცენტული წილი, რომლებსაც დაწყებით სკოლაში ჩარიცხვისას განვითარების ჩამორჩენა ან შეზღუდული უნარები აღმოაჩნდათ;
- სკოლის გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებელი;
- იმ ბავშვების პროცენტული წილი, რომელთა მშობლიური ენა სახელმწიფო ენისგან განსხვავდება და რომლებსაც პირველად ასწავლიან მშობლიურ ენაზე;
- იმ ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც პირველ, მეორე და მესამე კლასებს დაამთავრებენ;
- იმ ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დაწყებითი სკოლის მესამე კლასის დამთავრებამდე ერთსა და იმავე კლასში ერთხელ ან ორჯერ ჩარჩნენ;
- იმ ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც მესამე კლასის ბოლოს კითხვის უკეთეს უნარს ავლენენ, ვიდრე მოეთხოვებათ;
- იმ ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც მესამე კლასის ბოლოს მათემატიკაში მოთხოვნილზე უკეთეს უნარს ავლენენ;
- იმ ბავშვების პროცენტული წილი, რომლებმაც სკოლას თავი დაანებეს (სქესისა და რეგიონების მიხედვით);
- დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებული ბავშვების პროცენტული წილი;
- იმ ბავშვების პროცენტული წილი, რომლებმაც დაწყებითი სკოლის გამოსასვლელი გამოცდა ჩააბარეს;
- იმ ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც მუშაობენ და სკოლაში არ დადიან;
- იმ ბავშვების პროცენტული წილი, რომლებსაც სკოლაში შესვლისას სრული იმუნიზაცია ჩაუტარდათ.

ზემოქმედება ოჯახებსა და თემებზე

- იმ მშობლების პროცენტული წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ პოზიტიური ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ ადგილობრივ სკოლებთან, ბავშვზე ზრუნვის მომსახურებების პროვაიდერებთან და ჯანდაცვის დაწესებულებებთან;
- იმ მშობლების პროცენტული წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ მათი შვილების სასკოლო საქმეებში მონაწილეობენ;
- იმ მშობლების პროცენტული წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ წვლილი შეაქვთ მათი შვილების სკოლის განვითარებაში;
- იმ მშობლების პროცენტული წილი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი შვილები უსაფრთხოდ არიან სკოლის გაკვეთილების დაწყებამდე და დასრულების შემდეგ.

განათლებისა და პროგრამის სერვისების შედეგები

- დაწყებითი სკოლების პროცენტული წილი, რომლებიც ბავშვების მიღებისას ამოწმებენ ან აფასებენ მათ სკოლისთვის მზაობას;
- მოსწავლეებისა და მასწავლებლების თანაფარდობა;
- ბავშვების რაოდენობა კლასებში;
- განვითარების ჩამორჩენის ან შეზღუდული უნარების მქონე იმ ბავშვების პროცენტული წილი, რომლებსაც სკოლებში ინკლუზიურ განათლებას იღებენ;
- სკოლის გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებელი;
- სწავლის მიტოვების მაღალი მაჩვენებლის მქონე დაწყებითი სკოლების პროცენტული წილი;
- კლასში ჩარჩენის მაღალი მაჩვენებლის მქონე დაწყებითი სკოლების პროცენტული წილი;
- იმ დაწყებითი სკოლების პროცენტული წილი, რომელთა დამთავრების მაჩვენებელი დაბალია;
- ხარისხიანი სასწავლო გარემოს მქონე დაწყებითი სკოლების პროცენტული წილი (დაკვირვების შკალა);
- იმ დაწყებითი სკოლების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებსაც მოწესრიგებული და გამართული ტუალეტები აქვთ;
- იმ დაწყებითი სკოლების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებსაც დიდი რაოდენობით სუფთა წყალზე მიუწვდებათ ხელი;
- იმ დაწყებითი სკოლების პროცენტული წილი, რომლებსაც ყოველი სასწავლო წლისთვის მშობელთა საორიენტაციო პროგრამები აქვთ, განსაკუთრებით პირველი კლასებისთვის;
- იმ დაწყებითი სკოლების პროცენტული წილი, რომელთა მასწავლებლები მინიმუმ წელიწადში ერთხელ მოსწავლეებს სახლში ეწვევიან;
- იმ დაწყებითი სკოლების პროცენტული წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ სწავლების შედეგების გაუმჯობესების მიზნით ოჯახებთან მუშაობენ;
- იმ დაწყებითი სკოლების პროცენტული წილი, რომლებსაც მშობლების ჩართვის პოლიტიკა და აქტივობები აქვთ;
- იმ დაწყებითი სკოლების პროცენტული წილი, რომლებსაც განსაკუთრებული საჭიროებების ბავშვების პროგრამები აქვთ, რისთვისაც ოჯახი დახმარებას საჭიროებს;
- იმ დაწყებითი სკოლების პროცენტული წილი, რომლებიც ოჯახებს მხარდაჭერის სერვისებს სთავაზობენ;
- იმ დაწყებითი სკოლების პროცენტული წილი, რომლებსაც სკოლაში კვების პროგრამები აქვთ (მიუთითეთ საუზმე და/ან სადილი).

მოსახლეობის განსაკუთრებული კატეგორიებისთვის განკუთვნილი ინდიკატორები

-
-
- ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის ან ბავშვის ინტერესების უგულებელყოფის დამტკიცებული შემთხვევები (1000 ბავშვზე)
- სასტიკი მოპყრობის ან უგულებელყოფის მსხვერპლი ბავშვების რაოდენობა, რომელთა მშობლები განათლებას, დახმარებას და კონსულტაციებს იღებენ მშობლიური ზრუნვის საკითხებში;
- ბავშვიანი ოჯახების წილი ოჯახური ძალადობის რეგისტრირებულ შემთხვევებში (100,000 ოჯახზე);
- იმ ოჯახების რაოდენობა და პროცენტული წილი, სადაც ოჯახური ძალადობის ფაქტები აღინიშნა და რომლებიც კონსულტაციებს და განათლებას იღებენ მშობლიური ზრუნვის საკითხებზე;
- დედების დეპრესიის შემთხვევების წილი;
- დეპრესიის მქონე იდენტიფიცირებული ქალების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც კონსულტაციებს, საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საჭირო დახმარებას და მშობლიური ზრუნვის საკითხებზე განათლებას იღებენ;
- სამიდან რვა წლამდე მომუშავე ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი;
- სამიდან რვა წლამდე მომუშავე ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც ბავშვთა განვითარების პროგრამებში ჩაერთნენ, რომ სკოლაში შესასვლელად მოემზადონ ან დაწყებით სკოლაში შევიდნენ;
- ომის შედეგად დაზარალებული ან იძულებით გადაადგილებულთა ოჯახებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი;
- ომის შედეგად დაზარალებული ან იძულებით გადაადგილებულთა ოჯახებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც მიღებულ ტრავმასთან დაკავშირებულ მომსახურებას, განვითარების ხელშემწყობ მომსახურებას ან მშობლების ინფორმირების მომსახურებას იღებენ;
- აივ/შიდსით ინფიცირებული ან დაზარალებული ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი;
- შიდსის შედეგად დაობლებული ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი;
- აივ/შიდსით ინფიცირებული ან დაზარალებული ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც ბავშვთა განვითარების ხელშემწყობ მომსახურებებს იღებენ;
- იმ იდენტიფიცირებულ ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც ქუჩაში მათხოვრობენ;
- იმ ბავშვების რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც ადრე ქუჩაში მათხოვრობდნენ და ამჟამად კარგი მზრუნველობის ქვეშ ან სახლებში იმყოფებიან.

პოლიტიკის შეფასების ინდიკატორები

- ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს, განიხილეს, დაამტკიცეს და მიიღეს;
- ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხორციელების, კოორდინაციის, მონიტორინგის, შეფასების და გადასინჯვის სტრუქტურები შეიქმნა და მუშაობენ (ეროვნულ, რეგიონალურ/პროვინციის და რაიონის/თემის დონეებზე, ეტაპების მიხედვით);
- „პოლიტიკის განხორციელების და შეფასების ჯგუფი“ ჩამოყალიბდა და ყველა თავის ფუნქციას წარმატებით ასრულებს; ადრეულ ასაკში განვითარების პრიორიტეტული

პროგრამები შემუშავდა, გაიზარდა ან გაუმჯობესდა პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად;

- ადრეულ ასაკში განვითარების ტრენინგის გეგმა შემუშავდა და განხორციელდა ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- პოლიტიკის ადვოკატირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმა შემუშავდა და განხორციელდა ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- დონორებისა და პარტნიორების კოორდინაციის გეგმა განხორციელდა გრაფიკის მიხედვით;
- საინვესტიციო გეგმა განხორციელდა და დამატებითი ინვესტიციები გაკეთდა გეგმის მიხედვით;
- პოლიტიკის ინდიკატორების შესრულების შესაფასებლად საჭირო მონაცემები შეგროვდა, გაანალიზდა, ფართოდ გავრცელდა და გამოიყენეს ადრეულ ასაკში განვითარების მომდევნო წლიური სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად;
- ადრეულ ასაკში განვითარების მომდევნო წლიური სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო საკონსულტაციო და შესათანხმებელი შეხვედრები დაიგეგმა, ჩატარდა და შესაბამისი ანგარიშები შემუშავდა;
- ადრეულ ასაკში განვითარების მეორე წლიური სამოქმედო გეგმა შემუშავდა, განიხილეს, დაამტკიცეს და მიიღეს.

დანართი XIV

ადრეულ ასაკში განვითარების საკოორდინაციო სტრუქტურების ფუნქციები და მოვალეობები

თანამშრომლობის, კოორდინაციის და ინტეგრაციის სისტემები ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკასა, ან ჩარჩო-პოლიტიკაში უნდა აისახოს. სისტემები ქვეყნის ყველა ძირითად ადმინისტრაციულ დონეს უნდა მოიცავდეს:

პროგრამების ინტეგრაციაში ბევრი პოტენციური ბარიერია. ყველა ქვეყანას ძლიერი დარგობრივი ტრადიციები აქვს, რომელთა მხარდაჭერა ცალკეული სამინისტროების ბიუჯეტებიდან ხდება. სახელმწიფო დაწესებულებების უმრავლესობის ინსტიტუციური კულტურა მკაცრად დარგობრივია. როგორც სამინისტროს, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებს, დარგობრივი სამუშაოს შესრულება მოეთხოვებათ და არა თანამშრომლობის, პარტნიორული ურთიერთობების განვითარება, ქსელების და ადგილზე განსახორციელებელი ინტეგრირებული პროგრამების შემუშავება. ცოტა სპეციალისტს თუ აქვს გავლილი ტრენინგი ერთზე მეტ სფეროში, და მათ არ ჰყოფნით წარმოსახვის უნარი, როგორ შეიმუშაონ კომპლექსური პროგრამები. შესაბამისად, საჭიროა ახალი ტრენინგის პროგრამები ადრეულ ასაკში განვითარების სერვისების მიმართ ინტეგრირებული მიდგომის, პარტნიორული ურთიერთობების და ქსელების ჩამოსაყალიბებლად და კოორდინირებული პროგრამების განსახორციელებლად.

თუმცა, როგორც დარგთაშორისმა სიღარიბის დაძლევის პროგრამებმა გვიჩვენა, რამდენიმე სფეროში წარმატების სწრაფად მისაღწევად, საჭიროა ახალი სტრატეგიების განსაზღვრა რესურსების მაქსიმალურად გასაზრდელად და თემის დონეზე ეფექტიანი პროგრამების შესამუშავებლად. როდესაც პოლიტიკის შემუშავების პროცესში მრავალი მხარის მონაწილეობის შედეგად კონსენსუსი მიიღწევა და საერთო ხედვები და სტრატეგიები ჩამოყალიბდება, ზოგადად, უფრო იოლდება ინტეგრირების მიმართულებით არსებული ბარიერების აღმოფხვრა, განსაკუთრებით ადგილობრივ და რაიონულ დონეზე, სადაც თემებს კარგად მოეხსენებათ არსებული კორუფციის, გაფლანგვის, კვალიფიციური პერსონალის არყოლის, თემში აქტიური თანამშრომლობის მოთხოვნის, ადგილობრივი განათლებისა და სოციალური სერვისებისთვის რესურსების გაზრდის საჭიროების შესახებ. შესაძლოა ადრეულ ასაკში განვითარების სფეროს ზოგიერთმა წარმომადგენელმა იფიქროს, რომ კომპლექსურმა მიდგომამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მათი ხელმძღვანელობის ფუნქციებს, ინსტიტუციებს, თანამშრომლებს ან პროგრამის ბიუჯეტებს. შეიძლება შეშინდნენ, რომ პოლიტიკის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად მათმა საქმიანობამ შეიძლება მიმართულება იცვალოს ან დიდი ცვლილებები განიცადოს. ეს ხალხი ინტეგრაციას შეეწინააღმდეგება, თუ არ ეცოდინება, რომ თანამშრომლობის, კოორდინაციის, ინტეგრაციის შედეგად, მათ შეეძლებათ საკუთარი პროგრამების დაცვა, გაფართოება ან გაუმჯობესება. თუ პოლიტიკასთან დაკავშირებული ცვლილებები მათ პროგრამებზე ზეგავლენას მოახდენს, ყურადღებით დაგეგმვის საშუალებით შესაძლოა თანხების მიმართვა ასეთი ხელმძღვანელი პირების და მათი პერსონალის ტრენინგზე და მათთვის ახალი და უფრო საინტერესო საქმიანობის უზრუნველყოფაზე. ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკამ ასეთი სირთულეები უნდა გაითვალისწინოს. თუმცა, ზოგადად, რესურსების სიმცირის პირობებში, არსებული პროგრამების უმრავლესობა ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის შემუშავებით ბოლოს მაინც სარგებელს ნახულობს, რადგან მომსახურებაში არსებული ხარვეზების ამოსავსებად იქმნება ახალი პროგრამები ახალი სამუშაო ადგილებით.

ქვემოთ მოცემულია მაკოორდინირებელი სტრუქტურები, რომლებიც ადრეულ ასაკში განვითარების სახელმწიფო პოლიტიკაში უნდა განისაზღვროს, ასევე მათ მიერ შესასრულებელი ფუნქციები და მოვალეობები. უკიდურესად მნიშვნელოვანია თითოეული ტიპის ჯგუფის ან ორგანიზაციის ფუნქციების და მოვალეობების განსაზღვრა.

ეროვნული დონე: ადრეულ ასაკში განვითარების ხელშეწყობის

სამინისტროთაშორისი საბჭო (ან მსგავსი ორგანო)

- კვარტალური შეხვედრების ჩატარება, ადრეულ ასაკში განვითარების სფეროში პოლიტიკით განსაზღვრული ყველა ქმედების ხელმძღვანელობა და უფლებამოსილების დელეგირება; ქმედებების კარგად დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების უზრუნველყოფა.
- ხელმძღვანელი პირების დონეზე დარგთაშორისი დიალოგის გრძელვადიან პერიოდში შენარჩუნება.
- დარგთაშორისი ტექნიკური ჯგუფის კვარტალური ანგარიშების მიღება, ანალიზი, განხილვა და დამტკიცება.
- ექვსთვიანი ანგარიშების წარდგენა პრეზიდენტისთვის, პრემიერმინისტრისთვის, მინისტრთა კაბინეტისთვის და სხვა მაღალი თანამდებობის პირთა ჯგუფებისთვის.
- ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის განხილვა და დამტკიცება; განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ბიუჯეტის მიზნობრივი მაჩვენებლებისთვის ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე, ასევე ცვალებადი ინდიკატორებისთვის და პროგრამის შედეგებისთვის.
- სტანდარტების, წესების, კანონების, ნორმების და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების განხილვა, დამტკიცება და ოფიციალურად მიღების ხელშეწყობა.
- ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის სტრატეგიების და პროგრამის ორიენტაციების გადასინჯვა სიტუაციის შესაბამისად.
- ფინანსთა სამინისტროსთან (ან ანალოგიურ ორგანოსთან) პოლიტიკის ადვოკატირება ადრეულ ასაკში განვითარების პრიორიტეტულ პროგრამებში ინვესტიციების გასაზრდელად.
- ეროვნული დონორების საკოორდინაციო საქმიანობისთვის სახელმძღვანელო რეკომენდაციების უზრუნველყოფა და მათი განხორციელების კონტროლის დელეგირება დარგთაშორისი ტექნიკური ჯგუფისთვის და ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხორციელების და შეფასების ჯგუფისთვის.

დარგთაშორისი ტექნიკური ჯგუფი (მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლები)

- ადრეულ ასაკში განვითარების ხელშეწყობის სამინისტროთაშორისი საბჭოს ტექნიკური განყოფილების და ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხორციელების და შეფასების ჯგუფის ტექნიკური მხარდაჭერის გუნდის მოვალეობების შესრულება.
- დღის წესრიგის მომზადება და საბჭოსთვის კვარტალური ანგარიშების და ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის წარდგენა.
- ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხორციელების და შეფასების ჯგუფის მიერ მომზადებული კვარტალური ანგარიშების და ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის განხილვა.
- შემოთავაზებული სტანდარტების, წესების, კანონების, ნორმების და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების განხილვა და ადრეულ ასაკში განვითარების ხელშეწყობის სამინისტროთაშორისი საბჭოსთვის წარდგენა.

- ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხორციელებისა და შეფასების ჯგუფისთვის დარგთაშორის კონტაქტებში დახმარება.
- დონორთა საკოორდინაციო შეხვედრების ჩატარება; პოლიტიკისთვის საერთაშორისო დონორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის მოპოვება.

ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხორციელების და შეფასების ჯგუფი (დაახლოებით 5 პროფესიონალისგან შემდგარი მცირე ჯგუფი, რომელიც, როგორც წესი, ხელმძღვანელ სამინისტროში მდებარეობს)

- დარგთაშორისი ტექნიკური ჯგუფის და ადრეულ ასაკში განვითარების ხელშეწყობის სამინისტროთაშორისი საბჭოს სამდივნოს ფუნქციის შესრულება.
- ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში განსაზღვრული ყველა სახის საქმიანობის, მონიტორინგის და შეფასების ღონისძიებების მართვა და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა ასეთი თხოვნით მომართვის შემთხვევაში.
- წლიური ანგარიშის პირველი ვერსიის მომზადება, თემის, რაიონის, პროვინციის და რეგიონის დონეზე მომზადებული ანგარიშების გამოყენებით.
- დამტკიცების შემდეგ, ეროვნული ანგარიშის საბოლო ვერსიის და რეგიონის/პროვინციის ანგარიშების ყველა დონეზე გაგზავნა;
- იმ შემთხვევაში, თუ შექმნილია, „ადრეულ ასაკში განვითარების ფონდი მოწყვლადი ბავშვებისთვის“, მართვა.
- ადრეულ ასაკში განვითარების სტანდარტების, წესების, კანონების, ნორმების და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების განსახილველად მომზადება ან მათ მოსამზადებლად სხვა ჯგუფებთან მუშაობა.
- ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული ტრენინგის გეგმის, პოლიტიკის ადვოკატირების და სოციალური კომუნიკაციის გეგმის, კვლევის გეგმის და მონიტორინგის და შეფასების გეგმის მართვა ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაში მოცემული ინსტრუქციების შესაბამისად.
- პროგრამების და სერვისების კოორდინირება ყველა დონეზე.
- პროგრამებისთვის ყველა დონეზე დახმარება ბიუჯეტების და ფინანსური ანგარიშების გამჭირვალედ და რეგულარულად მომზადებასა და წარდგენაში და ამ ანგარიშების ანალიზი წლიური ანგარიშგებისთვის.
- თემზე დაფუძნებული პროგრამების შედგენის სტიმულირება და თემის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა.
- რეგიონული თანამშრომლობის, ზედამხედველობის/ტრენინგის სისტემების ამოქმედება.
- პარტნიორული ურთიერთობების და ქსელების შექმნის ხელშეწყობა, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების, მასწავლებელთა მოსამზადებელი კოლეჯების, პროფესიული ასოციაციების, რელიგიური ჯგუფების, კავშირების და სხვა ჯგუფების, რომლებიც ადრეულ ასაკში განვითარების საკითხებზე მუშაობენ.
- განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა კულტურულად შესაბამისი პროგრამების და სამართლიანი მომსახურების უზრუნველყოფისთვის.
- ადრეულ ასაკში განვითარების ინოვაციური პროგრამების შემუშავების სტიმულირება; პროგრამებს შორის თანამშრომლობის, კოორდინაციის და ინტეგრაციის ხელშეწყობა საჭიროებისამებრ.
- კომპლექსური პროგრამების შემუშავების და განხორციელების ხელშეწყობა;
- პროგრამის მონიტორინგი, შეფასება და მის შესახებ ანგარიშგება გრაფიკის შესაბამისად სტატისტიკის ეროვნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

- ყოველწლიურად პოლიტიკის ყველა ინდიკატორის გაზომვა და ინდიკატორების, საზომების და მიზნობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების წინადადებით გამოსვლა გარკვეული დროის განმავლობაში.
- წლიური სამოქმედო გეგმის პირველი ვერსიის მომზადება, მისი განსახილველად გადაცემა დარგთაშორისი ტექნიკური ჯგუფისთვის და ადრეულ ასაკში განვითარების ხელშეწყობის სამინისტროთაშორისი საბჭოსთვის.
- დონორების ყველა საკოორდინაციო შეხვედრების და ქმედებების დაგეგმვა, მართვა და შესაბამისი ღონისძიებების შემდგომი შესრულების კონტროლი.

ადრეულ ასაკში განვითარების ეროვნული ფორუმი (არჩევითია, მაგრამ რეკომენდებული)

- მოქმედებს ადრეულ ასაკში განვითარების ხელშეწყობის სამინისტროთაშორისი საბჭოს დაქვემდებარებაში, როგორც დიდი ეროვნული ადვოკატირების ორგანო, რომელიც წელიწადში ან ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება.
- ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის განხილვა და რეკომენდაციების უზრუნველყოფა.
- სოციალური კომუნიკაციის ღონისძიებების განხორციელება და ბავშვების განვითარებაში ინვესტიციების გაზრდის ადვოკატირება.
- ადრეულ ასაკში განვითარების სფეროში ენთუზიაზმის გაღვივება და შესაბამის ღონისძიებებში თემის მონაწილეობის ხელშეწყობა.
- ადრეულ ასაკში განვითარების პროგრამების მიღწევების აღნიშვნა და ლიდერების დაჯილდოება და აღიარება.

ბავშვებისა და ოჯახებისთვის ნახევრად ავტონომიური დაწესებულების შექმნა (არჩევითი)

ასეთი ტიპის ინტეგრირებული დაწესებულება ძალიან კარგად მუშაობს რამდენიმე ადგილას, სადაც ნახევრად ავტონომიურ დაწესებულებებს იყენებენ, მაგრამ ის მხოლოდ ისეთი ქვეყნებისთვის არის რეკომენდებული, სადაც წარმატებული ნახევრად ავტონომიური დაწესებულებების ქონის ტრადიცია აქვთ.

- ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხორციელების და შეფასების ჯგუფის საქმიანობის საკუთარ თავზე აღება.
- პრიორიტეტული კომპლექსური პროგრამების ხელმძღვანელობა, სხვადასხვა სამინისტროების დაფინანსებით.
- ბავშვების საჭიროებების შესახებ კვლევის ჩატარება, მათი შეფასება და სხვა ღონისძიებების განხორციელება.

პროვინციის ან რეგიონის დონე:

რეგიონული დარგთაშორისი საბჭოები

- პროვინციის/რეგიონის დონეზე იგივე ქმედებების განხორციელება, რასაც სამინისტროთა მრავალდარგობრივი საბჭო ეროვნულ დონეზე ახორციელებს.
- სამინისტროთაშორისი საბჭოს წინაშე ანგარიშგება, ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის განხორციელების და შეფასების ჯგუფისთვის ანგარიშების გაგზავნა.
- რეგიონული დარგთაშორისი ტექნიკური ჯგუფის მუშაობის ხელმძღვანელობა.
- ამ ჯგუფის ანგარიშების მიღება და განხილვა.

რეგიონული დარგთაშორისი ტექნიკური ჯგუფები

- მცირეწლოვანი ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის მათ რეგიონში დარგობრივი და მრავალდარგობრივი პროგრამების შემუშავების კოორდინირება და ხელმძღვანელობა.

- რეგიონული დარგთაშორისი ტექნიკური ჯგუფის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ ანგარიშგება ეროვნული დარგთაშორისი ტექნიკური ჯგუფის წინაშე.
- რეგიონული რესურსებისა და ტრენინგის ცენტრის შექმნა (მომსახურებამდე და მომსახურების პროცესში ტრენინგი ადრეულ ასაკში განვითარების ყველა სფეროში: მშობელთა ინფორმირება და სკოლამდელი განათლება, ჯანმრთელობა, კვება, სანიტარია და ბავშვთა დაცვის სერვისები).
- თანამშრომელთა ცენტრის დაკომპლექტება პროფესიონალებითა და ადგილობრივი სპეციალისტებით ადგილობრივი ქმედუნარიანობის უზრუნველსაყოფად.
- დარგთაშორისი კომიტეტების დაარსება თითოეული სტრატეგიისთვის ან ძირითადი პროგრამისთვის, საჭიროებისამებრ.
- რაიონებთან და თემებთან ქსელების შექმნა ან მათი გაძლიერება.
- რაიონების დახმარება ადრეულ ასაკში განვითარების ტექნიკური ჯგუფების და პროგრამის ჯგუფების განვითარებაში, საჭიროებისამებრ.
- თემების დახმარება თემის განვითარების საბჭოებსა და ჯგუფებში ადრეულ ასაკში განვითარების ღონისძიებების ორგანიზებასა და ადრეულ ასაკში განვითარების მომსახურების პროგრამების შემუშავებაში ადგილზე დადგენილი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.
- ფულადი, ადამიანური და მატერიალური რესურსების რეგიონული ბიუჯეტის შედგენა.
- ბიუჯეტის მომზადება და რაიონებისა და თემებისთვის მის შესახებ ინფორმაციის გადაცემა.
- რეგიონიდან/პროვინციიდან რაიონებისა და თემების მიერ მიღებული ფულადი, ადამიანური და მატერიალური რესურსების გამჭირვალედ მართვის, ანგარიშების მომზადების და წარდგენის უზრუნველყოფა.
- რაიონების და თემების ტექნიკური მხარდაჭერა, მარტივი, მაგრამ ეფექტიანი ანგარიშგების ფორმების უზრუნველყოფა პროგრამის მონიტორინგის, შეფასების და ფინანსური ანგარიშგებისთვის.
- ყველა ფორმის რეგულარულად შეგროვება, მათი შინაარსის ანალიზი და მათ შესახებ ეროვნულ დონეზე ანგარიშგება.
- ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის კომპონენტების მომზადება რეგიონის მიზნების, ამოცანების და წინა წლის გამოცდილების საფუძველზე.

რაიონის დონე:

რაიონის დონეზე შესაძლებელია ორი სახის ჯგუფის (რომელთაგან ორივე მოქმედია) განვითარება ან გაძლიერება:

რაიონის დარგთაშორისი ტექნიკური ჯგუფები

- რაიონში ადრეულ ასაკში განვითარების ყველა დარგობრივი და დარგთაშორისი ღონისძიებების კოორდინირება და ჯგუფის შემადგენლობაში თითოეული დარგის წარმომადგენლის შეყვანა.
- რეგიონული დარგთაშორისი ტექნიკური ჯგუფებისთვის ტექნიკური მხარდაჭერის და სახელმძღვანელო ინსტრუქციების მოთხოვნა და მათი მიღება.
- რაიონისთვის წლიური ბიუჯეტის მომზადება.
- თემის ადრეულ ასაკში განვითარების ყველა ღონისძიების პირდაპირი მხარდაჭერა რაიონში.

- უზრუნველყოფილი ფორმატების გამოყენებით პროგრამის შეფასების, მონიტორინგისა და ფინანსური საკითხების შესახებ ანგარიშგება პროვინციის და რეგიონის დონეზე.

პროგრამის ჯგუფები

- რაიონში, მომსახურებაზე, პროგრამის შესაბამის დონეზე ინტეგრაციის მისაღწევად, ადგილობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ზემოთ აღნიშნული ყველა ღონისძიების განხორციელება ადრეულ ასაკში განვითარების ძირითადი პროგრამების ფარგლებში.

თემის დონე: *თემის განვითარება*

ორგანიზაციები ან საბჭოები

- ადგილობრივი დარგთაშორისი და დარგობრივი პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებასა და შეფასებაში მონაწილეობის მიღება, მათი მაქსიმალურად ინტეგრირების ხელშეწყობა.
- ადრეულ ასაკში განვითარების პროგრამების ადგილზე მომუშავე ადგილობრივი პერსონალის წარმომადგენლების დასახელება.
- ადრეულ ასაკში განვითარების პროგრამების მხარდაჭერა საზოგადოებრივი საქმიანობით და მასალების უზრუნველყოფით, მოხალისეებით, მარაგების, ფართის, მიწის ნაკვეთის უზრუნველყოფით და შესაძლებლობის ფარგლებში, მასწავლებლებისა და სხვა ადგილობრივი დამხმარე პერსონალისთვის ანაზღაურების ან საზოგადოებრივი სამუშაოების უზრუნველყოფით.
- მშობელთა ასოციაციის ან საბჭოს შექმნა ან გაძლიერება; ადრეულ ასაკში განვითარების პროგრამებსა და სკოლების საქმიანობაში მცირეწლოვანი ბავშვების მშობლების მინიმუმ 80%–ის აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა.
- საჭიროებისამებრ რაიონული და რეგიონული დონის დარგთაშორისი ტექნიკური ჯგუფებისგან თემის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ტრენინგის და ტექნიკური დახმარების მოთხოვნა და მიღება.
- თემის წლიური დიაგნოსტიკური შემოწმების უზრუნველყოფა მშობლების და მათი შვილების პრობლემების და საჭიროებების დასადგენად და პრიორიტეტული პროგრამებისა და პროგრამის კომპონენტების განსასაზღვრად.
- ადრეულ ასაკში განვითარების თემის წლიური სამოქმედო გეგმის მომზადება, თემის საჭიროებების, მოთხოვნების და პროგრამის შესახებ ანგარიშების საფუძველზე (იხ. ქვემოთ), მათ შორის: წლიური გეგმები და ამოცანები; შესასრულებელი ღონისძიებები; გაფართოება/შემცირება, ხარისხის გაუმჯობესება, ახალი კომპონენტები, კოორდინაცია, და ა.შ.; უნდა მიეთითოს, რა თანხას ითხოვს სახელმწიფო ორგანოებისგან მშობლებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, და ამ სფეროში მომუშავე სხვა ორგანიზაციებისგან (ფონდები, საწარმოები, ადგილობრივი მეცენატები და ა.შ.) მოთხოვნილი ბიუჯეტი და მასალა, საჭირო ტექნიკური დახმარება და ტრენინგი, და დაგეგმილი წლიური შედეგები.
- წლიური გეგმის რაიონულ დონეზე გაგზავნა და მათი კომენტარებისა და სახელმძღვანელო ინსტრუქციების მიღება.
- გამჭირვალე ფინანსური მართვის სისტემის დანერგვისა და შენარჩუნების უზრუნველყოფა.
- უზრუნველყოფა, რომ პროგრამით გათვალისწინებული რესურსებით (მაგალითად, საკვები დანამატები, ჯანდაცვის მომსახურება, სახლში ვიზიტი, სანიტარიული მომსახურება) მათ ისარგებლონ, ვისაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება; ფეხმძიმე

ქალების, სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების და სხვა ჯგუფების (რომელთა მომსახურებაც პრიორიტეტულია) იდენტიფიცირებაში დახმარება.

ადრეულ ასაკში განვითარების თემის პროგრამები

- ადრეულ ასაკში განვითარების ინტეგრირებული სერვისების შემუშავება, განხორციელება, მართვა, მონიტორინგი და შეფასება და დარგობრივ სერვისებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა.
- იმ ადგილობრივი, ადგილზე დასაქმებული პერსონალის იდენტიფიცირება, კანდიდატებად დასახელება და მხარდაჭერა, რომელთაც მთელი რიგი სერვისების უზრუნველყოფა შეუძლიათ (მაგალითად, თემის მშობელთა მენტორები, ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის გამავრცელებლები, შემფასებლები და ა.შ.).
- ადგილობრივი პერსონალის მომსახურებამდე და მომსახურების პროცესში ტრენინგის ხელშეწყობა.
- ადგილობრივი პერსონალის მიერ ადეკვატური ხელფასის, ანაზღაურების ან ოჯახის სერვისების მიღების უზრუნველყოფა, რაც მათ საშუალებას მისცემს დიდი ხნის განმავლობაში იმუშაონ პროგრამაში.
- თემის განვითარების ორგანიზაციასთან მუშაობა, რათა მომსახურებამ ადრესატამდე მიაღწიოს.
- იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა მაღალი რისკის ჯგუფში შემავალი ან მოწყვლადი ორსული, მოზარდი, ქალი, ჩვილი და ბაშვი იდენტიფიცირებული და გადამისამართებული იყოს თემის რომელიმე ან ყველა პროგრამაში, იღებდეს შესაბამის მომსახურებას და შეძლებისდაგვარად რუტინულად მიმდინარეობდეს მათი მომსახურების შემდგომი მონიტორინგი.
- თემის განვითარების ორგანიზაციისთვის პროგრამის კვარტალური ანგარიშების წარდგენა.
- თემის ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავებაში დახმარება.
- პროგრამის მონიტორინგის და შეფასების მოკლე და მარტივი თვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშების და ფინანსური ანგარიშების მომზადება რაიონიდან და რეგიონიდან მიღებული სახელმძღვანელო ინსტრუქციების შესაბამისად.

დანართი XV

ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმის ზოგადი მონახაზი

ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმა შემდეგ ღონისძიებებს უნდა მოიცავდეს:

პოლიტიკის დირექტივები

- ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ხედვის, მიზნების და ამოცანების, პროგრამის სფეროების და ინდიკატორების ხელახლა დამტკიცება;
- პროგრამის განვითარების ზოგადი ყოველწლიური სტრატეგიების აღწერა, მათ შორის პროგრამების გაფართოების, გაუმჯობესების, გადასინჯვის, კომბინირების და გაუქმების, ასევე ახალი პროგრამების შემუშავების გეგმები;
- დარგთაშორისი და დარგობრივი პოლიტიკის და პროგრამების კოორდინაციის, დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურების, მათი ფუნქციების და მოვალეობების ხელახლა დამტკიცება.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

თითოეული დარგის და ძირითადი დარგთაშორისი ინიციატივის ფარგლებში ყველა პროგრამას უნდა ჰქონდეს:

- ახალი ან გაგრძელებული პროგრამის ან ღონისძიების სახელი;
- მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია;
- ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები;
- ახალი და არსებული პროგრამების ფარგლებში ძირითადი ქმედებების აღწერა; აღნიშვნა, რომელი სფერო მოითხოვს გაფართოებას, გაუმჯობესებას, გადასინჯვას, სხვა პროგრამებთან შეერთებას ან კომპონენტების გაუქმებას;
- მოსალოდნელი მოცვის სფერო, გეოგრაფიული ზონის, მოსახლეობის, ასაკობრივი ჯგუფების და ა.შ. ჩათვლით;
- პროგრამის ზოგადი ვადები;
- პროგრამის კოორდინაციის, სექტორთაშორისი თანამშრომლობის და/ან ინტეგრაციის გეგმები;
- პროგრამის ინდიკატორები, საზომები და მიზნობრივი მაჩვენებლები; ზედამხედველობაზე, მონიტორინგზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები;
- პროგრამის დაახლოებითი ბიუჯეტი და სხვა საჭირო საკადრო და მატერიალური რესურსები;
- დაფინანსების არსებული და მოსალოდნელი წყაროები, მათში არსებული ხარვეზების აღნიშვნით და მათი აღმოფხვრის გეგმებით.

სხვადასხვა დარგებისა და პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი დამატებითი ქმედებები

ცალკე ღონისძიებების სიის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:

- პოლიტიკის ადვოკატირების გეგმები;
- პერსონალის ტრენინგის კომპლექსური პროგრამები;

- სოციალური კომუნიკაციის გეგმა;
- კოორდინაციის, თანამშრომლობის, პარტნიორული ურთიერთობების განვითარების და ქსელების შექმნის ზოგადი გეგმების აღწერა;
- წლიური მონიტორინგის და შეფასების ღონისძიებების ზოგადი აღწერა;
- რეკომენდაციები კონკრეტული საქმიანობის კვლევების შესახებ მომავალში დაგეგმვისა და პროგრამის შემუშავების პროცესში;

- სახელმძღვანელოდ.

წლიური ფინანსური და რესურსების გეგმა

- ყველა დარგისა და პროგრამის ზოგადი წლიური სავარაუდო მთლიანი ბიუჯეტის წარმოდგენა, შესაძლებლობის ფარგლებში, მოდელირების გამოყენებით, რესურსების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით;
- შეძლებისდაგვარად ყველა პროგრამის ვადის განსაზღვრა (იგი შეიძლება პირველი ყოველწლიური გეგმის ფარგლებს გასცდეს);
- ყველა არსებული და პოტენციური დაფინანსების წყაროს აღნიშვნა და მათი დაკავშირება მიმდინარე და დაგეგმილ პროგრამებთან; იმ სფეროების აღნიშვნა, რომლებიც დამატებით ადგილობრივ და საერთაშორისო დაფინანსებას საჭიროებენ პოლიტიკის მიზნების მისაღწევად.

დანართი XVI

მატრიცის მოდელი სამოქმედო გეგმის დეტალების წარმოსადგენად

ეს მატრიცა ქვეყნის საჭიროებების მიხედვით უნდა შეიცვალოს. ის მარტივი უნდა იყოს.

პოლიტიკის მიზანი
პოლიტიკის ამოცანა
პოლიტიკის სტრატეგია

პროგრამები და ღონისძიებები	**პასუხისმგებელი ორგანიზაციები**	**ვადები**	**სულ საჭირო რესურსები**
პრენატალური: 1. 2. 3. და ა.შ.			

0-დან 3 წლამდე: 1. 2. 3. და ა.შ.			
3-დან 6 წლამდე 1. 2. 3. და ა.შ.			
6-დან 8 წლამდე 1. 2. 3. და ა.შ.			
განსაკუთრებით მოწყვლადი ბავშვები: აივ/შიდსით დაზარალებულნი 1. 2. და ა.შ.			
კონფლიქტით დაზარალებული ბავშვები 1. 2. და ა.შ.			
მათხოვარი და ქუჩის ბავშვები და ა.შ. 1. 2. და ა.შ.			
ადრეულ ასაკში განვითარების სფეროში ტრენინგის ეროვნული პროგრამა 1. 2. და ა.შ.			
მონიტორინგისა და შეფასების სისტემა 1. 2. და ა.შ.			

ადრეულ ასაკში განვითარების დაგეგმვის პოლიტიკა: მოქმედების სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო წარმოადგენს ინსტრუმენტს ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის ან ჩარჩოპოლიტიკის შესამუშავებლად. მასში აღწერილია, თუ როგორ შეუძლიათ ჯანდაცვის, კვების, სანიტარული ჰიგიენის, განთლების და სამართლებრივი დაცვის სფეროებში დასაქმებულ სახელმწიფო მოხელეებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ინტეგრირებული მიდგომის გამოყენება ბავშვთა სიცოცხლის გადარჩენის და ადრეული განვითარების მიმართ. სახელმძღვანელო წარმოადგენს დაგეგმვის პროცესის ხუთ ძირითად ეტაპს, წარმატების მიღწევის, კონსულტაციების ჩატარების და კონსენსუსის დამყარების მეთოდების განსაზღვრიდან პოლიტიკის მიღებამდე და განხორციელებამდე. სახელმძღვანელო ხსნის, თუ როგორ მოხდეს ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვის ინტეგრაცია სხვა დარგთაშორის და დარგობრივ პოლიტიკებთან და გეგმებთან. ამასთან ერთად, სახელმძღვანელო ქვეყნებს ეხმარება ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკების და ადრეულ ასაკში განვითარების წლიური სამოქმედო გეგმების მომზადებაში, რომლებიც რეაგირებას ახდენს მოწყვლადი ბავშვებისთვის განკუთვნილ სერვისებში არსებულ ხარვეზებზე და წარმართავს ყოვლისმომცველ და კულტურულად მისაღებ ECD პროგრამებს.

კომენტარები

„დოქტორმა ვარგას–ბარონმა მოამზადა ფასდაუდებელი რესურსი არა მარტო იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც განიხილავენ ბავშვებთან დაკავშირებული პოლიტიკების შექმნას ან მათი განხორციელების ადრეულ ეტაპზე იმყოფებიან, არამედ იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებიც ფიქრობენ არსებული პოლიტიკების შეცვლასა და განახლებაზე. მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებული მიდგომა ლაკონიური და ინფორმაციულია, ის თავს არიდებს რეცეპტის შედგენას, ხელს უწყობს ქვეყნებს ისეთ პროცესებში ჩაბმაში, რომლებიც მოიცავს მრავალფეროვან პერსპექტივებსა და ინტერესებს. ის ფასეული და უნიკალური რესურსია ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკის დაგეგმვის განვითარებადი სფეროსთვის.“

ალან პენსი, პროფესორი, ვიქტორიის უნივერსიტეტი
დირექტორი, ადრეულ ასაკში განვითარების ვირტუალური უნივერსიტეტი (ECDVU)

„პოლიტიკის ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს ადრეულ ასაკში განვითარების პოლიტიკაზე მომუშავე ADEA ჯგუფის და გაეროს ბავშვთა ფონდის დასავლეთი და ცენტრალური აფრიკის ოფისის თანამშრომლობის შედეგს ადრეულ ასაკში განვითარების ჩარჩო პოლიტიკის შემუშავებაში ჩაბმული ქვეყნების მხარდასაჭერად. ჩვენი მიზანია მდგრადი პოლიტიკის გარემოს განვითარების უზრუნველყოფა, რათა გარანტირებული იყოს ბავშვების უფლება, იცხოვრონ მაქსიმალურად საუკეთესო პირობებში. ეს თანამშრომლობა შეუძლებელი იქნებოდა დოქტორ ემილი ვარგას–ბარონის, როგორც მაღალი დონის კონსულტანტის, პროფესიონალიზმის და კომპეტენციის გარეშე. ის იყო დამაკავშირებელი რგოლი მხარეებს შორის და მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია როგორც ქვეყნის მხარდაჭერის, ისე ამ სახელმძღვანელოს შემუშავების თვალსაზრისით. ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნება ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელიც მუშაობს ბავშვთა უფლებების უზრუნველყოფაზე განვითარების დაგეგმვის ეროვნული პროცესების ფარგლებში.“

ეველინ პრესუარი, კლინიკოსი ფსიქოლოგი
ECD კონსულტანტი, გაეროს ბავშვთა ფონდის დასავლეთი და ცენტრალური აფრიკის რეგიონული ოფისი

ავტორი

ემილი ვარგას–ბარონი ხელმძღვანელობს The RISE ინსტიტუტს. მან აღიარება მოიპოვა ნაშრომებისთვის განათლების და ინტეგრირებული ადრეული განვითარების პოლიტიკის დაგეგმვის და შემუშავების სფეროში. ის კონსულტაციებს უწევს რამდენიმე ქვეყანას და საერთაშორისო ორგანიზაციას და არის ბევრი წიგნის და სტატიის ავტორი.

დისტრიბუტორი:

UNICEF ADEA
UNICEF Regional Offi ce for Association for the Development of Education in Africa
West and Central Africa 7 - 9 rue Eugène-Delacroix, 75116
Paris, France
Eveline Pressoir: epressoir@unicef.org adea@iiep.unesco.org
http://www.unicef.com http://www.adeanet.org.